



საქართველოს მთიანეთის
და ტერიტორიული მდგრადი
დაცვის სამინისტრო



IFAD
Investing in rural people



გარემოსდაცვითი
რეგიონალისა და განვითარების
ცენტრი

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მურნეობის სექტორისთვის

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ მიერ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი დაკვეთით. პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, პროექტის „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზარზე წვდომა და მოქნილობა“ (AMMAR) ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ IFAD/GEF--ის მხარდაჭერით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ მადლობას უხდის პროექტში მონაწილე ყველა ექსპერტს:

მარინა შვანგირაძეს (მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“ პროექტის ჰუფის ხელმძღვანელი);

დავით ბედომშვილს (კლიმატის ცვლილების გავლენა ხორბალსა და სიმინდზე);

სალომე გელაშვილს (სოფლის მეურნეობის პოლიტიკის კვლევის ცენტრი (ISET),
(კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯ-სარგებლივანობის ანალიზი);

გიზო გოგიჩაშვილს (გარემოს ეროვნული სააგენტო აგროკლიმატური ზონები და კლიმატის ცვლილების გავლენა კარტოფილზე);

ვახტანგ გოგუაძეს (სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ციტრუსი, კარტოფილი და მეცხოველეობა აჭარაში);

მედეია ინაშვილს (პროექტის ექსპერტი კლიმატის ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის სექტორისაათვის ეროვნული საადაპტაციო გეგმის მოსამზადებელი გზამკვლევი);

ნატო კუტალაძეს (გარემოს ეროვნული სააგენტო ცვლილებები აგროკლიმატურ ზონებში და კლიმატის ცვლილების მომავლის სცენარები);

ლიკა მეგრალიძეს (გარემოს ეროვნული სააგენტო კლიმატის მიმდინარე ცვლილების სცენარები, კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება ერთწლიანი კულტურების წყალმოთხოვნილებაზე და პროდუქტიულობაზე);

ნატო მიქაძეს (პროექტის ექსპერტი კლიმატის ცვლილების გავლენა თხილის კულტურაზე ზუგდიდი მუნიციპალიტეტში);

გია ნახუცრიშვილს (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის პროფესორი კლიმატის ცვლილების გავლენა საძოვრებზე);

ანა რუხაძეს (პროექტის ექსპერტი საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასების დოკუმენტების მიმოხილვა და პრობლემების იდენტიფიცირება);

თენგიზ ყურაშვილს (სავეტერინარო მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი კლიმატის ცვლილების გავლენა მეცხოველეობაზე);

ნათია ჭავახიშვილს (გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, პროექტის თანაშემწე).

დოკუმენტის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და მოსაზრებები წარმოადგინეს სექტორულმა სამინისტროებმა, რისთვისაც ავტორები მადლობას უხდიან:

გრიგოლ ლაბრიეგს (კლიმატის ცვლილების სამმართველოს ხელმძღვანელი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო);

ლაშა ზივზივაძეს (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი).

სარჩევი

შესავალი	6
1. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისათვის	8
1.1. ხედვა 2030	8
1.2. მანდატი	8
1.3. არსებული მდგომარეობა	8
1.4. სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მთავარი სტრატეგიული მიმართულებები	9
2. ცვლილებები ძირითად კლიმატურ პარამეტრებში	9
3. ცვლილებები საქართველოს აგრო-კლიმატურ ზონირებაში	10
4. კლიმატის ცვლილების გავლენა ხორბლის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები	15
4.1. ხორბლის წარმოება საქართველოში	15
4.2. კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა ხორბლის მოსავლიანობაზე	18
4.3. მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები ხორბლის აგროკლიმატურ ზონირებაში	20
4.4. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შეფასება ხორბლის მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმოთხოვნილებაზე მოდელის საშუალებით	21
4.5. რეკომენდაციები ხორბლის წარმოების ადაპტაციისათვის	24
4.6. ხორბლის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი	25
4.7. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში	26
5. კლიმატის ცვლილების გავლენა სიმინდის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები	27
5.1. სიმინდის წარმოება საქართველოში	27
5.2. კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა სიმინდის მოსავლიანობაზე	28
5.3. მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები სიმინდის აგროკლიმატურ ზონირებაში	30
5.4. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შეფასება სიმინდის მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმოთხოვნილებაზე მოდელის საშუალებით	31

5.5.	რეკომენდაციები სიმინდის წარმოების ადაპტაციისათვის	34
5.6.	სიმინდის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი	34
5.7.	ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში	36
6.	კლიმატის ცვლილების გავლენა კარტოფილის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები	36
6.1.	კარტოფილის წარმოება საქართველოში	36
6.2.	კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა კარტოფილის მოსავლიანობაზე	38
6.3.	მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები კარტოფილის აგროკლიმატურ ზონებში	41
6.4.	კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შეფასება კარტოფილის მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმოთხოვნილებაზე მოდელის საშუალებით	42
6.5.	რეკომენდაციები კარტოფილის წარმოების ადაპტაციისათვის	47
6.6.	კარტოფილის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი	48
6.7.	ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში	48
7.	კლიმატის ცვლილების გავლენა მანდარინის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები	49
7.1.	მანდარინის წარმოება აჭარაში	49
7.2.	კლიმატის მიმდინარე დაპროგნოზირებული ცვლილების გავლენა მანდარინის მოსავლიანობაზე	50
7.3.	მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები მანდარინის აგროკლიმატურ ზონებში	51
7.4.	რეკომენდაციები მანდარინის წარმოების ადაპტაციისათვის	53
7.5.	მანდარინის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი	54
7.6.	ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში	55
8.	კლიმატის ცვლილების გავლენა თხილის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები	55
8.1.	თხილის წარმოება საქართველოში	55
8.2.	კლიმატის მიმდინარე დაპროგნოზირებული ცვლილების გავლენა თხილის მოსავლიანობაზე	56

8.3.	მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები თხილის აგროკულიმატურ ზონირებაში	58
8.4.	რეკომენდაციები თხილის წარმოების ადაპტაციისათვის	59
8.5.	თხილის წარმოების კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი	59
8.6.	ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში	61
9.	კლიმატის ცვლილების გავლენა საძოვრებზე და საადაპტაციო ღონისძიებები	62
9.1.	საძოვრების გავრცელება საქართველოში	62
9.2.	კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა საძოვრების პროდუქტიულობაზე	63
9.3.	კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შეფასება სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობასა და საირიგაციო წყალმოთხოვნილებაზე Aquacrop მოდელის საშუალებით	67
9.4.	რეკომენდაციები საძოვრების ადაპტაციისათვის	74
9.5.	საძოვრების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი	76
9.6.	ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში	77
10.	კლიმატის ცვლილების გავლენა მეცხოველეობაზე და საადაპტაციო ღონისძიებები	78
10.1.	მეცხოველეობის სექტორის განვითარების მდგომარეობა	78
10.2.	კლიმატის მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილების გავლენა მეცხოველეობის სექტორზე	79
10.3.	რეკომენდაციები მეცხოველეობის სექტორის ადაპტაციისათვის	81
10.4.	მეცხოველეობის საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი	82
10.5.	ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში	82
11.	დასკვნები და რეკომენდაციები ადაპტაციის ეროვნული გეგმის და მისი მომზადების პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის	83
	დანართი	89

შესავალი

საქართველოში სოფლის მეურნეობა ტრადიციულად არის ძირითადი ეკონომიკური სექტორი, რომელშიც დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 42%, თუმცა, მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტშიარცუისემაღალიადა 2015 წელს 9.3% შეადგენდა¹. სექტორისაჭიროებს რეაბილიტაციას და რეფორმირებას და ამ პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესები. სასოფლო-სამეურნეო წარმოება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე. კლიმატის პროგნოზირებული ცვლილება მნიშვნელოვნად ზრდის სექტორის განვითარების რისკებს, ასევე, ნეგატიურად აისახება ფერმერებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. თუმცა არის დადებითი გავლენებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა კლიმატის ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადება, რაც ინიცირებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროექტის „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზარზე წვდომა და მოქნილობა“ (AMMAR) ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ IFAD/GEF-ის მხარდაჭერით და მისი მიზანია მსხვილი ფერმერებისათვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირებაში დახმარება, მცირებინიანი ფერმერების შემოსავლების გაზრდა და კლიმატის ცვლილების ზეგავლენისადმი მდგრადობის ამაღლება კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი ინფრასტრუქტურის, საწარმოო სისტემებისა და ტექნოლოგიების ინვესტიციების მემვეობით.

სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის (შემდგომში „ადაპტაციის ეროვნული გეგმა (აეგ)“) მომზადებას წინ უძღვდა სოფლის მეურნეობის სექტორის მოწყვლადობისა და ადაპტაციის შეფასების მიმართულებით ქვეყანაში განხორციელებული კვლევების ანალიზი, რის შედეგადაც გამოვლინდა არსებული ხელმისაწვდომი მონაცემები და ინფორმაცია, ასევე ხარვეზები და საჭიროები აეგ-ს შემუშავებისთვის. აღნიშნულის საფუძველზე გაკეთდა აეგ-ს მომზადების და განვითარების საგზაო რუკა, რომლითაც განისაზღვრა ადაპტაციის გეგმის შემუშავების თანმიმდევრული ეტაპები, ასევე, შეფასდა, თუ რამდენად ხელსაყრელია არსებული პოლიტიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო დოკუმენტის შემუშავებისა და მიღებისათვის.

საგზაო რუკის მომზადებისას განხილულ იქნა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტები, აგრეთვე რამდენადაა შესწავლილი საქართველოში ამ კომპონენტებზე კლიმატის ცვლილების გავლენა. განხილული ძირითადი კომპონენტებია კლიმატი და აგროკლიმატური ზონები, ნიადაგები, სარწყავი წყალი და ირიგაციის საშუალებები, სოფლის მეურნეობის მიმართულებები (ერთწლიანი კულტურები, მრავალწლიანი ნარგავები, საძოვრები და მეცხოველეობა). არსებული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ თოთქმის ყველა ეს კომპონენტი არის ნაწილობრივ შესწავლილი კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. არსებული კვლევები და შეფასებები განიხილავენ სხვადასხვა ერთწლიან კულტურებს, თუ მრავალწლიან ნარგავებს; შედარებით მწირია ინფორმაცია კლიმატის ცვლილების გავლენაზე მეცხოველეობის სექტორზე და ამ სექტორში დაავადებების რისკების ზრდაზე; სარწყავ წყალზე მოთხოვნილების ზრდისა და მდინარეებში ჩამონადენის შემცირების პირობებისთვის ნაკლებადაა შეფასებული სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობა იმ მდინარეებში, რომლებიც სარწყავად გამოიყენება. კლიმატის ცვლილების გავლენა მეტნაკლებად შეფასებულია მხოლოდ დედოფლისწყაროს საძოვრებზე; ნიადაგებთან დაკავშირებით კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაცია ძირითადად შეფასებულია აჭარაში და ნაწილობრივ კახეთში; ასევე მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან სისტემის ადაპტაციის უნარის შეფასება, რაც გაკეთდა კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში მხოლოდ 14 მუნიციპალიტეტისათვის და აგრობიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასების რეგიონულ პროექტში², რომელმაც განიხილა მხოლოდ ნახევრადარიდული 5 მუნიციპალიტეტი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიც არის კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება მთელ ღირებულებათა ჯაჭვზე შეფასებული აქამდე არ ყოფილა, თუმცა ამ პროცესის ზოგიერთ რგოლზე იყო გაკეთებული კლიმატის ცვლილების გავლენა და მომზადდა საადაპტაციო ღონისძიებები. კერძოდ, კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში შეფასებულ იქნა კლიმატის ცვლილების გავლენა მარცვლეულის თესლის ხარისხზე და მაღლფუნქციალი ბოსტნეულის რეალიზაციის (კაბალის ბაზრობა) პროცესზე. მომზადდა საადაპტაციო ღონისძიებები.

¹ http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2016%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf

² <http://www.rec-caucasus.org/projects.php?id=&lang=en&p=2>

არსებულ კვლევებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ კლიმატის მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებების ზეგავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე ძირითადად ვლინდება შემდეგი:

აგრო-კლიმატური ზონების გადანაცვლება; ამასთან დაკავშირებით, ამ პროექტის ფარგლებში დაიგეგმა აგროკლიმატურ ზონებში მიმდინარე ცვლილებების შეფასება და ასეთი შეფასებები გაკეთდა როგორც ზოგადიად, ასევე თითოეული კულტურისათვის ცალკ-ცალკე. ამ ამოცანის ბოლომდე მისაცავანად საჭიროა შემდეგ ეტაპზე შეფასდეს ამ აგროკლიმატურ ზონებში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობები და მათი ვარგისიანობა კონკრეტული კულტურის ან სოფლის მეურნეობის დარგისათვის.

- **უმეტესი კულტურების მოსავლის შემცირება გვალვების, ძლიერი ქარების, ართანაზომიერად გადანაწილებული ნალექების, სეტყვიანი დღეების, თბური ტალღებისა და ევაპოტრანსპირაციის ზრდის შედეგად;** ამ მიმართულებით, მიმდინარე პროექტი შეფასდა საქართველოსათვის წამყვანი სასოფლო-სამეურნეო მარცვლოვანი კულტურებიდან ხორბალი და სიმინდი, საექსპორტო მრავალწლიანი ნარგავებიდან თხილი და მანდარინი, საკვებად ფართოდ გამოყენებადი ერთნალიანი კულტურებიდან კარტოფილი და მეცხოველეობის დარგი საძოვრებთან ერთად. შედეგები წარმოდგენილია შესაბამის თავებში. კლიმატის ცვლილების გავლენა შეფასებულია მხოლოდ სავეგეტაციო ჰერიოდზე, ამ ჰერიოდში წყალმოთხოვნილებაზე და მოსავლიანობაზე არაა განხილული სრული ციკლის ღირებულებათა ჟაჭვის დანარჩენი კომპონენტები (ნერგები, თ.ესლი, რეალიზაცია, ზამთარში შენახვა და სხვ.). უფრო სრულყოფილი სტრატეგიის მისაღებად აუცილებელია კლიმატის ცვლილების გავლენა შეფასდეს მთელს ღირებულებათა ჟაჭვზე, ყველა კულტურაზე და სოფლის მეურნეობის მიმართულებაზე და ყველა რეგიონისათვის, სადაც სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგია.
- **სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერების შემცირება და დეგრადაციის ინტენსივობის ზრდა,** რასაც ხშირად კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ინტენსიური ექსტრემალური მოვლენები (მეწყერები, ღვარცოფები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები და ა.შ.) უწყობს ხელს; სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერების შემცირების რისკები არაპირდაპირ იქნა განხილული ზოგიერთ კულტურასთან მიმართებაში (კარტოფილი ახალციხეში და საძოვრები დედოფლისწყაროში და ყაბბეგში. საადაპტაციო გეგმაში ეს მიმართულება ცალკე არაა გამოყოფილი და სრულად გაანალიზირებული თუნდაც იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც განხილული იქნა საადაპტაციო გეგმის მომზადების ამ ეტაპზე).
- **მოსავლის დანაკარგის ზრდა ექსტრემალური ამინდის გახშირების შედეგად (სეტყვები, წაყინვები და ა.შ.);** აღნიშნული მოვლენების დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო დაბლვევასთან გაკეთდა, როგორც საადაპტაციო ღონისძიება მხოლოდ მანდარინისათვის. ეს მიმართულება უმნიშვნელოვანესია ამინდის გახშირებული ექსტრემალური მოვლენების პირობებში და საჭიროა უფრო დიდი ყურადღების დათმობა ამ მიმართულებისათვის. კლიმატის ცვლილების ფარგლებში შეფასებულ უნდა იქნას დაბლვევის მექანიზმის ხარჯთ-სარგებლიანობა ყველა პროდუქტისათვის, რომლისთვისაც დაბლვევა უკვე მოქმედებს (მარცვლეული, პარკოსნები, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხეხილი, ციტრუსი და სხვ.).
- **გასარწყავებული მიწების ფართობის შემცირება და სარწყავ წყალზე მოთხოვნილების ზრდა.**

ეაგ-ს შემუშავების პროცესში გამოვლინდა, რომ ერთი მცირე მასშტაბის პროექტის ფარგლებში შეუძლებელია ყველა რეგიონის, სექტორის და სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი კომპონენტის შეფასება კლიმატის ცვლილების რისკებთან მიმართებაში. ეს უნდა იყოს მუდმივად განახლებადი პროცესი, რომელიც ეტაპობრივად დათარავს ყველა იმ საკითხს და შეავსებს იმ დანაკლისს, რომელიც უკვე არის აღნიშვნილი საგზაო რუკაში, რომელიც გამოვლინდა ამ პროექტი და მომავალში კიდევ გამოვლინდება სხვადასხვა პროექტებში. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მუდმივად უნდა განხილოს კლიმატის ცვლილების გავლენა როგორც არსებული სტრატეგიის განახლების პროცესში („კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობა“ არ უნდა იყოს ცალკე მიმართულება სტრატეგიაში, რადგან ესაა კონცეპცია, რომელიც უნდა აისახოს სტრატეგიის შესაბამის მიმართულებებში), ასევე რეგიონული მიართულებების განვითარების გეგმებში და პროგრამებში.

შემდეგ თავებში წარმოდგენილია, ამ ეტაპისათვის, წინასწარ შერჩეულ კულტურებსა და მიმართულებებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება და პოტენციური საადაპტაციო ღონისძიებები, მათი ხარჯთ-სარგებლიანობა და სოციალური ეფექტი.

1.

კლიმატის ზოლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სტრუქტურისათვის

1.1. ხედვა 2030

საქართველოში განვითარებულია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, სიღარიბის აღმოფხვრას სოფლად და აგროეკონისტების სერვისების მდგრადობას მაღალპროდუქტული წარმოების მეთოდების დანერგვისა და კლიმატის ცვლილებასთან ასოცირებული რისკების მართვის გზით.

1.2. მანდატი

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისათვის უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის განუყოფელი ნაწილი და დაეხმაროს მთავრობას სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში კლიმატის ცვლილების რისკების გათვალისწინებით. ეაგ-ის შემუშავების პროცესი გრძლვადიანია და მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარისა თუ უწყების ჩართვას მისი მომზადების პროცესში, რის შემდეგაც დოკუმენტი უნდა იყოს სახელმძღვანელო ყველა სამთავრობო უწყებისა და სხვა მხარეებისთვის, რომლებიც დაინტერესებული და ჩართული არიან სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში და კლიმატის ცვლილებისადმი მის ადაპტაციაში.

1.3. არსებული მდგრადირებები

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრება **საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის (2015-2020)³** მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სტრატეგიის თანახმად, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებამ უნდა უპასუხოს სამ ურთიერთგადამკვეთ გამოწვევას: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოებისა და შემოსავლების გაზრდის გზით, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია და კლიმატის ცვლილების შერბილების ხელშეწყობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენა ფაქტურად განხილულ იქნა კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს ყველა ეროვნულ შეტყობინებაში. საქართველოს **მესამე ეროვნული შეტყობინების (2012-2014)** მომზადების პროცესში სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესწავლა ჩატარდა საქართველოს ორი, ერთმანეთისაგან კლიმატის თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავებული რეგიონის - აჭარისა და კახეთის მუნიციპალიტეტების მაგალითზე. ხოლო ზემო სვანეთისათვის შეფასდა მიმდინარე საუკუნის დასასრულისათვის კლიმატის პროგნოზირებული ცვლილების მოსალოდნელი გავლენა აგროკლიმატური ზონების ტრანსფორმირებაზე. აღნიშნული შეფასებების საფუძველზე **საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგია - 2014⁴** ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების მიმართ სოფლის მეურნეობის მოწყვლადობის შეფასებას საქართველოს სხვა რეგიონებშიც და ადაპტაციის პრიორიტეტების განსაზღვრას; ასევე, სოფლის მეურნეობის მომსახურების ცენტრების პოტენციალის გაძლიერების ხელშეწყობას კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის რისკების შესამცირებლად და მიწის ნაყოფიერების გასაზრდელად. საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგია რეკომენდაციას უწევს კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის ღონისძიებებს აჭარისა და კახეთის 14 მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრადობის გაზრდის მიზნით.

კლიმატის ცვლილების შესახებ მესამე ეროვნულ შეტყობინებაში წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის ადაპტაციის სტრატეგია იძლევა რეკომენდაციას, რომ განსაზღვრული ღონისძიებები ინტეგრირებული უნდა იქნას ცალკეული რეგიონების განვითარების სტრატეგიებში.

³ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობისგანკარგულებით N167,2015 ნლის 11 თებერვალი

⁴ მომზადებულია კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში

1.4. სოფლის გეურნეობის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები

კლიმატის ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის სექტორის ადაპტაციის ეროვნული გეგმის პრიორიტეტები, რა თქმა უნდა, ძირითადად ეფუძნება სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს:

- აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება (ფერმერთა ცოდნის ამაღლება, პროფესიული სწავლება, სადაზრვევო ბაზრის განვითარება, კოოპერატივების ხელშეწყობა და ა.შ.)
- ინსტიტუციური განვითარება (ძირითადად შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ინსტიტუციების განვითარებასა და გაძლიერებას)
- მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება (საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების გაუმჯობესება, ნიადაგების რაციონალური გამოყენება)
- რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა (თესლისა და სარგავი მასალის წარმოება და სერტიფიცირება, დარგობრივი პროგრამების შემუშავება და ა.შ.)
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მონიტორინგი)
- სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ მოიცავს როგორც კლიმატის ცვლილებასთან სექტორის ადაპტაციას, ასევე სექტორის მხრიდან გლობალურ დათბობაზე უარყოფითი გავლენის მომხდენი პროცესების შემცირებას.

ამ უკანასკნელის მიმართებით სტრატეგიაში განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება
- საინფორმაციო ბაზის შექმნა კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენის შესახებ
- აგროკლიმატური მონიტორინგის, ანალიზის, შედეგების საკომუნიკაციო და სხვა მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სისტემის დანერგვა
- შესაბამისი გადამზადების პროგრამების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერებას სოფლის მეურნეობაში კლიმატგონივრული მიდგომების გამოყენების მიმართულებით.

2. პარამეტრები ძირითად კლიმატურ პარამეტრები

გასული 55 წლის განმავლობაში (1961-2015) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღინიშნებოდა საშუალო წლიური ტემპერატურის მატების ტენდეცია. მისი მაქსიმალური ნაზრდი დაფიქსირდა აღმოსავლეთ საქართველოში - დედოფლისწყაროში (0.9°C), ხოლო დასავლეთ საქართველოში - ფოთში (0.6°C). დათბობის შედარებით ნაკლები, მაგრამ მნიშვნელოვანი ტენდეცია გამოვლინდა მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში. მომავლის პროგნოზით 2021-2050 წლისათვის ყველაზე მეტი დათბობა მოსალოდნელია საჩხერეში (2.1°C -ით), შემდეგ აჭარის სანაპირო ზოლსა და გოდერძის უღელტეხილზე. 2071-2100 წლებისათვის კი ტემპერატურის უდიდესი ნაზრდი მოსალოდნელია ბათუმში (4.2°C -ით). ტემპერატურის აწევა 3.7°C -ით) მოსალოდნელია საჩხერეში, ამბოლაურსა და მესტიაში.

ნალექების წლიურმა კამა ორ პერიოდს შორის (1966-1990; 1991-2015) ყველაზე მეტად სვანეთის დაბალმთიან ზონებსა და აჭარის მთიანეთში მოიმატა (14%-მდე), აგრეთვე საგრძნობლად მოიმატა ფოთსა და იმერეთის მთიანეთში (10%-მდე). ზოგადად დასავლეთ საქართველოში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მნიშვნელოვანი კლება მოხდა მაღალმთიანი აჭარის აღმოსავლეთ ნაწილში, გოდერძის გადასასვლელზე -17%), ნალექების მატება მიმდინარეობს, აღმოსავლეთში კი კლება, თუმცა გამონაკლისები აქაცაა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლაგოდებია, სადაც ნალექების

მატება მეორე პერიოდში 7.6%-ია. დასავლეთ საქართველოში ნალექების მატების მდგრადი ტრენდი გრძელდება 2050 წლამდე, რის შემდეგაც იწყება კლება გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (ბათუმი, ფსეუ და აღმოსავლეთ შიმთა-საბუეთი). აღმოსავლეთ საქართველოში კლების ტრენდი გრდით იცვლებადა 2050 წლამდე მოსა-ლოდნელია ნალექების მატება საშუალოდ 3.4%-ით. 2100 წლისათვის მოსალოდნელია ნალექების მნიშვნელოვანი კლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მათ შორის ყველაზე მეტად სამეგრელოში, ქვემო ქართლსა და კახეთში (22%).

ქარის საშუალო წლიურმა სიჩქარემ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად დაიკლო, მათ შორის ყველაზე დიდი კლება მდგრადი ტრენდით იმ სადგურებზეა (მთა-საბუეთი, ფოთი), რომლებიც შერჩეული იყო, როგორც ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე ქარის ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. საუკუნის ბოლომდე საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე კლებას განაგრძობს. თუმცა შესაძლოა ზოგან მატებასაც ჰქონდეს ადგილი. ქარის საშუალო სიჩქარის პროგნოზირებული მატება ახმეტაშია, თუმცა საუკუნის ბოლოსათვის ყველაზე ქარიანი ადგილები (5.1 მ/წმ) იქნება ქუთაისი, ბათუმი და გოდერი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ძლიერი სიჩქარის ქარებზე, რომლებიც ყველაზე სახითათოა სოფლის მეურნეობისათვის, დაკვირვება და აღრიცხვა არ წარმოებს, ასევე ვერ ხერხდება პროგნოზი.

ყინვიანი დღეების რაოდენობის შემცირება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება დაკვირვების მეორე პერიოდში. მომდევნო პერიოდში ყინვიანი დღეების რაოდენობა შემცირდება ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, მომდევნო პერიოდში ყინვიანი დღეების რაოდენობა შემცირდება ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, თუმცა ამ საუკუნის 50-იანი წლებისათვის ყინვიანი დღეები ჰქონდება კერ კიდევ იქნება საქართველოს ბარში, ზამთარშიც და განსაკუთრებით გაზაფხულზე. ხოლო საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები ძირითადად მხოლოდ მთიანი ტერიტორიებისათვის იქნება დამახასიათებელი.

უფრო კონკრეტული ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასა და მის გავლენაზე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურებზე, რომლებიც ამ ეტაპზე შეირჩა ადაპტაციის ეროვნულ გეგმაში განსახილველად მოცემულია შესაბამის სექტორებში.

3. ცვლილებები საქართველოს ამრო-კლიმატურ ზონირებაში

აგროკლიმატური ზონების ცვლილება ტემპერატურის მატებისა და ნალექების ცვლილების ფონზე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკია სოფლის მეურნეობის სექტორისათვის. აგროკლიმატური ზონების შემცირება ან ზრდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას მოითხოვს ამ დარგში. სოფლის მეურნეობის სექტორისათვის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადების პროცესში შეფასებულ იქნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აგროკლიმატური ზონების გართობების ცვლილება შემდეგი აგროკლიმატური პარამეტრების ცვლილებების გათვალისწინებით: აქტიურ ტემპერატურათა ჭამი, ვეგეტაციის პერიოდში მოსული ნალექის რაოდენობა და ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმის საშუალო მნიშვნელობა სწორედ ამ პარამეტრებით მოხდა პირველად საქართველოს აგროკლიმატური დარაიონება 70-იან წლებში.

ცვლილებები აქტიურ ტემპერატურათა ჭამში

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უმეტესობის ვეგეტაცია გრძელდება იმ პერიოდის განმავლობაში, როცა საშუალო დღიური ტემპერატურის ჭამი აღემატება 10°C -ს, თუმცა არის კულტურები, რომლებიც ვეგეტაციას უფრო ადრე 5°C ან უფრო გვიან 12°C იწყებენ. საქართველოში, ამ პერიოდის განმავლობაში სითბოთი ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი დაბლობი რაიონებია, სადაც აქტიურ ტემპერატურათა წლიური ჭამი 4000°C და მეტია. ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად, აქტიურ ტემპერატურათა ჭამი მცირდება ყოველ 100 m სიმაღლეზე, დაახლოებით, 160°C -ით და 1500 m სიმაღლეზე 2000°C -მდე ეცემა. ცხრილში 3.1 მოცემულია აქტიურ ტემპერატურათა განაწილება ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით, შესაბამისი ფართობები და მათი ცვლილება 1991-2015 წწ და 2071-2100 წწ პერიოდებში.

ცხრილი 3.1. აქტურ ტემპერატურათა განაწილება ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით და ფართობები სხვადასხვა პერიოდში

ნლები	<500°	500-1000°	1000-1500°	1500-2000°	2000-2500°	2500-3000°	3000-4000°	3500-4000°	4000-4500°	>4500°
სიმაღლე(მ)										
1966-1990	>2500	2300-2500	2100-2200	1500-2000	1200-1500	1000-1200	800-1000	500-800	<500	<500
1991-2015	3000	2500-3000	2100-2500	1700-2100	1300-1700	1100-1300	900-1100	700-900	500-700	<500
2071-2100	3500	3000-3500	2500-3000	2000-2500	1500 -2000	1200-1500	1000-1200	800-1000	<800	<800
ფართობი (კმ²)										
1966-1990	7745	4943	6626	6944	7078	6998	7351	8389	9557	796
1991-2015	6722	4306	6257	6812	6886	7003	7444	7394	9669	7441
2071-2100	252	3692	4632	5091	6795	10409	8107	9344	10545	12700

ტენით უზრუნველყოფის ცვლილებები/ვეგეტაციის პერიოდში მოსული ნალექები

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის მიღების ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორი, სითბოთი უზრუნველყოფის შემდეგ, არის ტენით უზრუნველყოფის პირობები.

საქართველოში ვეგეტაციის პერიოდში ნალექების რაოდენობის მიხედვით გამოყოფილი იქნა შემდეგი 3 ზონა:

1. მშრალი (500 მმ -მდე)
2. ზომიერი (500-900 მმ)
3. ტენიანი (900 მმ-ზე მეტი)

1991-2015 წ.წ. პერიოდის მონაცემებით ნალექის რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში მცირედ იცვლება. ხოლო 2071-2100 წ.წ. პერიოდისათვის, მნიშვნელოვნად მცირდება სავეგეტაციო პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა. ცხრილში 3.2 მოცემულია სავეგეტაციო პერიოდში ტენით სხვადასხვაგვარად უზრუნველყოფილი ტერიტორიების ფართობები ორი პერიოდისათვის. 2071-2100 წლებისათვის თითქმის ორჯერ შემცირდება ტენიანი ზონის ტერიტორია და, შესაბამისად, გაიზრდება მშრალი ზონის ფართობი, ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობზე.

ცხრილი 3.2. ტენით სხვადასხვაგვარად უზრუნველყოფილი ტერიტორიების ფართობები (კმ²)

ნლები	მშრალი (600 მმ -მდე)	ზომიერი (600-900 მმ)	ტენიანი (900 მმ-ზე მეტი)
1966-1990	14665	46386	8113
2071-2100	22799	41699	4673

ცვლილებები აგროკლიმატურ ზონებში


აგროკლიმატური ზონების მარტივად აღნიშვნის მიზნით მოხდა შემდეგი აღნიშვნების შემოტანა: აქტიურ ტემპერატურათა ფართი უზრუნველყოფის მიხედვით გამოყოფილი იქნა სამი ზონა: A ($<1000^{\circ}\text{C}$), B ($<1000-3900^{\circ}\text{C}$) და C ($>3900^{\circ}\text{C}$). A ზონა, ყველაზე ცივია და მხოლოდ საძოვრად შეიძლება იქნეს განხილული, C - ყველაზე ცხელი და მხოლოდ აქ მოდის ციტრუსი და ჩაი და B ის ზონაა, რომელიც ყველა სხვა კულტურისათვის საკმარისი სითბოთია უზრუნველყოფილი. სამივე ზონაში ტენით უზრუნველყოფის მიხედვით გამოყოფა შემდეგი ქვეზონები: (1) - მშრალი (ნალექების რაოდენობა ნაკლებია 500 მმ-ზე); (2) - ზომიერად ტენიანი (ნალექების რაოდენობა - 500-900 მმ) და (3) - ტენიანი (ნალექების რაოდენობა მეტია 900 მმ-ზე).

ცხრილში 3.3 მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილი აგროკლიმატური ზონების ფართობების ცვლილება 1966-1990 წლების, 1991-2015 წლებისა და 2071-2100 წლების პერიოდებისათვის. როგორც ცხრილიდან 3.3 ჩანს, 1991-2015 წლებში შემცირდა A2 ზონის ფართობი, რადგანაც ზონამ 1000 გრადუსამდე აქტიურ ტემპერატურათა ფართი აინაცვლა ვერტიკალურად 300-500 მ-ით და ეს ტერიტორიები ჩაანაცვლა B ზონამ. თავად B ზონის ფართობიც შემცირდა, დაახლოებით ერთნაირად ყველა ქვეზონაში. ამ ზონის ტერიტორიები ჩაანაცვლა C ზონამ. C ზონის სამივე ქვეზონის ფართობი გაიზარდა და ყველაზე მეტად C3 (ტენიანი) ქვეზონის, რომელიც ზღვასთან ყველაზე ახლოს მდებარეობს და ამ პერიოდში 800 მ სიმაღლემდე ტერიტორიებსაც იკავებს.

2071-2100 წლების პერიოდისათვის იმის გათვალისწინებით, რომ აქტიურ ტემპერატურათა ფართი ქვენის თითქმის მთელ ტერიტორიაზე დაახლოებით 100 -1000 გრადუსამდე იზრდება და ზონების ნაცვლებავერტიკალურად ზევით კიდევ დაახლოებით 500 მ-ით მოხდება და მთელს აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში სავეგეტაციო პერიოდში ტენით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი დეფიციტი გაჩნდება, აგროკლიმატურ დარაიონებაში შემდეგი ხასიათის ცვლილებები იქნება მოსალოდნელი: ამ პერიოდისათვის A2 ზონის ფართობი ძალიან შემცირდება (მესამედი დარჩება). B3 ზონა აღარ იარსებებს, B2-ის ფართობი შემცირდება, ხოლო B1-ის მნიშვნელოვნად გაიზრდება ეს არის მშრალი ქვეზონა 3900 გრადუსამდე აქტიური ტემპერატურით, რომელიც დაიკავებს იმერეთის, ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქართველოს მაღლობ ტერიტორიებს. C1 და C2 ზონების ფართობებიც მნიშვნელოვნად გაიზრდება (თითქმის ორჯერ), მაგრამ 3-კერ შემცირდება C3 ზონის ფართობი. ეს არის ციტრუსის მოსაყვანად ხელსაყრელი ზონა მისი ფართობი მიმდინარე პერიოდშია ყველაზე მეტი და მომავალში საგრძნობლად იკლებს.

ცხრილი 3.3. ცვლილებები აგროკლიმატური ზონების ფართობებში (კმ^2)

1966-1990 წლები			
	500-1000 $^{\circ}\text{C}$ (A)	1000-3900 $^{\circ}\text{C}$ (B)	>3900-5000 $^{\circ}\text{C}$ (C)
ტენიანი >900 მმ (3)		4741	4448
ზომიერად ტენიანი 500-900 მმ (2)	12636	35502	3752
მშრალი < 500 მმ (1)		1356	6772
1991-2015 წლები			
ტენიანი >900 მმ (3)		3336	5816
ზომიერად ტენიანი 500-900 მმ (2)	11012	35639	5034
მშრალი < 500 მმ (1)		881	7240
2071-2010 წლები			
ტენიანი >900 მმ (3)			1910
ზომიერად ტენიანი 500-900 მმ (2)	3868	30316	10268
მშრალი < 500 მმ (1)		9693	13097



ნახაზი 3.1 ცვლილებები აგროკლიმატურ ზონებში 1961-1990, 1991-2015 და 2071-2100 წლებში

6 მეტეოროლოგურისათვის (დედოფლისწყარო, მესტია, ზუგდიდი, თასანაური, ხულო, სტეფანწმინდა) შეფასებული იქნა ცვლილებები აგროკლიმატური ზონების თვალსაზრისით. ცხრილში 3.4 მოცემულია, თუ როგორ იცვლება აღნიშნული მეტეოროლოგურების მიდამოებში აგროკლიმატური ზონები 1966-1990, 1991-2015 და 2071-2100 წლების პერიოდებში.

ცხრილი 3.4. სხვადასხვა პერიოდში მეტეოროლოგურების მდებარეობა აგრო-კლიმატურ ზონებში

	1966-1990 წ.წ.	1991-2015 წ.წ.	2071-2100 წ.წ.
დედოფლისწყარო	B1	C1	C1
მესტია	B2	B2	B2
ზუგდიდი	C3	C3	C2
თასანაური	B2	B2	B1
ხულო	B2	B2	B1
სტეფანწმინდა	A2	A2	B2

ცხრილი 3.5. მოცემულია კლიმატური პარამეტრების ცვლილების ტრენდების კოეფიციენტები 1966-2015 წ.წ. პერიოდში. ტემპერატურული პარამეტრების ცვლილების ტენდენცია იმის მაჩვენებელია, რომ სავეგეტაციო პერიოდში უფრო ხელსაყრელი ტემპერატურული რეჟიმი იქნება, უფრო მაღალი ტემპერატურათა კამით და ნაკლები ყინვიანი დღეებით. თუმცა მაღალი ტემპერატურათა კამი ხშირად დაკავშირებულია მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების ზრდასთან, ახალი ტიპის დაავადებების წარმოქმნასთან. რაც შეეხება ნალექებს, მხოლოდ ხულოში გამოვლინდა ნალექების რაოდენობის მდგრადი ზრდადი ტრენდები სავეგეტაციო პერიოდში, ასევე იზრდება ამ პერიოდში თავსემა ნალექიან დღეთა რაოდენობა, რაც ამ ტერიტორიისათვის უფრო ნეგატიურ გავლენად შეიძლება იქნას განხილული, რამდენადაც თავსემა ნალექი წყლისმიერი ეროვნული მუნიციპალიტეტების მიერ განვითარებას მოახდენს ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე, რომელიც საკმაოდ მაღალი დაქანებისაა. ყველა სხვა შემთხვევაში ტენდენციები არასტაბილურია და შემდეგში მოსალოდნელია ნებისმიერი მიმართულებით ცვლილება.

ცხრილი 3.5. კლიმატური პარამეტრების ცვლილების ტრენდების კოეფიციენტები 1966-2015 წ.წ. პერიოდში⁵

#	პარამეტრი	აბანი	დეკტექტურის-საუკარი	გეო	გეგმის	ხლ	ფასანარი	სტანდარი-ზე
1	ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი, °C	0.049	0.081	0.033	0.029	-0.017	0.043	0.011
2	ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი, °C	0.067	0.072	0.043	0.046	-0.003	0.002	0.011
3	აქტიურ ტემპერატურათა კამი, °C	6.093	9.918	4.866	8.269	0.396	4.645	2.181
4	ცხელ დღეთა ($T_{max}>25^{\circ}\text{C}$) რაოდენობა (SU25)	0.496	0.802	0.514	0.625	0.232	0.528	0.14
5	ცხელ დღეთა ($T_{max}>30^{\circ}\text{C}$) რაოდენობა (SU30)	0.468	0.768	0.271	0.62	0.133	0.221	0.015
6	ყინვიანი ღამეების ($T_{min}<0^{\circ}\text{C}$) რაოდენობა (FD0)	-0.314	-0.37	-0.009	-0.107	0.167	-0.01	0.291
7	ყინვიანი დღეების ($T_{max}<0^{\circ}\text{C}$) რაოდენობა(ID0)	-0.16	-0.066	0.276	-0.005	0.229	-0.092	0.003
8	ნალექების კამი სავეგეტაციო პერიოდში, მმ	-0.035	0.297	4.078	2.633	6.611	0.826	1.68
9	თანმიმდევრულად მშრალი დღეების რაოდენობა (CDD, 3.b.)	-0.176	0.117	-0.055	-0.049	-0.097	0.038	-0.028
10	დღეთა რიცხვი, როდესაც ნალექების რაოდენობა ≥ 20 მმ (R20)	-0.002	0.017	0.043	0.045	0.156	0.04	0.08
11	არიდულობის ინდექსი	-0.005	-0.049	-0.011	0.023	0.032	0.005	0.005

⁵ შავი ფერით მოცემულია მდგრადი ტრენდების კოეფიციენტები და წითელი ფერით არამდგრადი ტრენდების კოეფიციენტები

კლიმატის ცვლილების გავლენა ხორბლის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები


4.1. ხორბლის წარმოება საქართველოში

1909-1913 წლებში მემარცვლეობას წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით პირველი ადგილი ეკავა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. იმ დროინდელი სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში საშემოდგომო ხორბალი არანაკლებ 180 ათას ჰექტარზე ეთესა, მისი მოსავალი კი 132 ათას ტონას შეადგინდა საშუალოდ. საგაზაფხულო ხორბალს მე-20 საუკუნის დასაწყისში საშემოდგომო ხორბლის ფართობის ნახევარი (დაახლოებით 90,000 ჰა) ეკავა და მარცვლის მოსავლითაც მისი ნახევარის ტოლი იყო. 1913 წელს საქართველოს მოსახლეობა 2.6 მილიონს არ აღემატებოდა და ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში თითქმის 104 კგ ხორბლის მარცვალი იწარმოებოდა. ამჟამად ეს მაჩვენებლი მნიშვნელოვნად დაბალია და 36 კგ უფროდება⁶. აღსანიშნავია, რომ 1909-1913 წლებშიც კი საქართველოში რუსეთის გუბერნიებიდან დიდი რაოდენობით (დაახლოებით 97,000 ტონა⁷) შემოდიოდა ხორბლის ფევილი, რადგან მოყვანილი ხორბლის მარცვალი არ იყო საკმარისი ხორბლის ფევილზე ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

კულტურული ხორბლის დღეისათვის აღწერილი 24 სახეობიდან საქართველოში გვხდება 12 სახეობა; აქედან ხუთი ენდემია, რომელიც საქართველოში წარმოიშვა და მხოლოდ საქართველოში იყო გავრცელებული. ასეთია გვარა ზანდური, ჩელტა ზანდური, დიკა, კოლხური ასლი და მახა.

დღეისათვის საქართველოში მხოლოდ რბილი ხორბალი ითესება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების მიხედვით ხორბლის ნათესი ფართობი თითქმის მთლიანად (95.6%) საშემოდგომო ხორბალს უჭირავს, ხოლო საგაზაფხულო რბილი ხორბლის მინდვრები ძალზე იშვიათია (4.4%). საგაზაფხულო რბილი ხორბალი ძირითადად ითესება ზამთარში განადგურებული დაღუპული საშემოდგომო ნათესის ადგილას.

საქართველოში საშემოდგომო ხორბლის მწარმოებელი წამყვანი რეგიონია ვახეთი, როგორც ნათესი ფართობების, ისე 1 ჰა-ზე წარმოებული მოსავლის მიხედვით. ვახეთის რეგიონში, ხორბლის წარმოების მხრივ, გამოირჩევა დედოფლისწყაროს და სიღნაღმის მუნიციპალიტეტები.




ნახაზი 4.1. ხორბლის ნათესი ფართობები რეგიონების მიხედვით (წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

⁶ შესაძარებლად: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 2015 წელს 3,713 ათას ადამიანს შეადგინდა, ხოლო ხორბლისა წარმოება 133 ათას ტონას შეადგენდა. სტატისტიკური კრებული, 1909-1921 წწ. თბილისი 1923, გვ. 78-79.

⁷ სტატისტიკური კრებული, 1909-1921 წწ. თბილისი 1923, გვ. 78-79.


ხორბლის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (ათასი ჰექტარი)



ნახატი 4.2. ხორბლის ნათესი ფართობები რეგიონების მიხედვით ჰა-ში

ხორბლის ფართობი საქართველოში თითქმის ურნყავია, რის გამოც მისი მოსავლიანობა მნიშვნელოვნად ეცემა გვალვიან წლებში. ურნყავში ხორბლის წინამორბედი კულტურების არჩევანი ძალზე მწირია. დედოფლისწყაროში ურნყავ ფართობებზე ყველაზე ხშირად ხორბლის წინამორბედად გამოიყენებოდა მზესუმბირა, თუმცა მისი ფართობი თანდათან მნიშვნელოვნად მცირდება (2,700 ჰა დედოფლისწყაროში). ამიტომ ხორბლის ფართობის უმეტეს ნაწილში მონოკულტურა გავრცელებული, რაც უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე.

საბჭოთა პერიოდში ხორბლის მოსავლიანობის დინამიკის საილუსტრაციოდ ნახაზე 4.1 მოყვანილია ხუთწლიანი შუალედით აგებული გრაფიკი, რომელიც ეყრდნობა ვ. ქვეხიშვილის⁸ მონაცემებს. მართალია ამ გრაფიკით შეუძლებელია კლიმატის ხორბლის წარმოებაზე გავლენის შეფასება, მაგრამ მასზე ნათლად იკვეთება ხორბლის მოსავლიანობის ზრდის ტენდენცია, რომელიც დაკავშირებული იყო ჯიშების გაუმჯობესებასთან და აგროტექნიკის დახვეწასთან.




ნახატი 4.3. ხორბლის მოსავლიანობის დინამიკა 1940-1990 წლებში

⁸ ვ. ქვეხიშვილი (2001) ხორბალი. აგროტექნიკა. თბილისი. გამომცემლობა „ახალი საქართველო“. 399 გვ.

1992-2016 წლებში (იხ. ნახატი 4.5) ხორბლის მოსავლიანობა ძლიერ მერყეობდა, თუმცა, წინა პერიოდისგან განსხვავევიბით მისი კლებისა ან მატების ტენდენცია არ არის ამ ეტპზე მკვეთრად გამოკვეთილი. ხორბლის მოსავლიანობის პირველი ვარდნა 1991-94 წლებში მოხდა. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების მიმოხილვაში⁹, რომელიც 1996 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა და რომელშიც 1985-1994 წლების პერიოდია განხილული, აღნიშნულია რომ ხორბლის დაბალი მოსავლიანობის ძირითადი მიზეზები იყო აგროვადების დაუცველობა, აგროტექნიკური ღონისძიებების შესრულების დაბალი ხარისხი, უხარისხო თესლი, სასუქების უკმარისობა, სარეველების, დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის არასრულყოფილი და უშედეგო მეთოდები, დანაკარგები მოსავლის აღების დროს და დაბალპროდუქტული ჭიშები.

1990 წელს საქართველო ხორბლის მოსავლიანობით აღერბაიჯანის, სომხეთისა და მსოფლიო საშუალო მოსავლიანობას. მას შემდეგ ხორბლის მოსავლიანობა საქართველოში არ გაიზარდა, ხოლო აზერბაიჯანის, სომხეთისა და მსოფლიო საშუალო მოსავლიანობა კი ამაღლდა. 2012-2014 წლებში საქართველოში ხორბლის საშუალო მოსავლიანობა თითქმის ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე მსოფლიოში და მნიშვნელოვნად ნაკლები იყო ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. აგროტექნიკური ღონისძიებების შესრულების ხარისხითა და დროულობით (ოპტიმალურ ვადებში ჩატარება) საქართველო საბჭოთა ეპოქის საუკეთესო წლებშიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა განვითარებულ ქვეყნებს და ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ეს პროცესი გრაფიკული სახით წარმოდგენილია ნახაზზე 4.4.



ნახაზი 4.4. ხორბლის მოსავლიანობის დინამიკა 1990-2014 წწ

ასეთი სურათი შესაძლოა გამოწვეული იყოს მძიმე კლიმატური პირობებით დედოფლისწყაროს რაიონში, რომელიც კიდევ უფრო მძიმდება მიმდინარე კლიმატის ცვლილების ფონზე.

სოფლის მეურნეობის სექტორისათვის კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო ეროვნული გეგმის მომზადების პროცესში საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება განხორციელდა კახეთის რეგიონისთვის.

⁹ World Bank Report: Georgia Agriculture and Food Sector Review (in two volumes). January 24, 1996. No. 14659-GE. Volume I: Main Report. Volume II: Sub-sectoral Analysis.

4.2. კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა ხორბლის მოსავლისაზე


1966-1990 და 1991-2015 წწ. პერიოდებს შორის **საშუალო წლიური ტემპერატურა** დედოფლისწყაროში მომატებულია 0.9°C -ით. დათბობა მიმდინარეობს ყველა სეზონზე, უდიდესია ზაფხულში ($+1.6^{\circ}\text{C}$), ხოლო უმცირესი გაზაფხულზე ($+0.4^{\circ}\text{C}$). აღნიშნულ ორ პერიოდს შორის **წლიური კამური ნალექები** უმიშვნელოდ შემცირდა (9 მმ, -1%). ნალექებმა მნიშვნელოვნად დაიკლო ზაფხულში (-16%), თუმცა მნიშვნელოვნად მოიმატა შემოდგომაზე (+14%). დღე-ღამეში მოსული ნალექების აბსოლუტურმა მნიშვნელობებმა 40 მმ-ით დაიკლო გაზაფხულზე, თუმცა მათი მაქსიმუმი კვლავ ზაფხულში აღინიშნება. ჰარის ფარდობითი ტენიანობის სეზონურმა და წლიურმა მნიშვნელობებმა ორ პერიოდებს შორის 3-4%-ით მოიმატა. ქარის საშუალო სიჩქარემ პერიოდებს შორის ყველა სეზონზე დაიკლო $0.2\text{-}0.4\text{მ/წმ-ით}$ და წლიური საშუალოს 1.6მ/წმ-დან შემცირდა 1.3 მ/წმ-ძეგლი .

ექსტრემალური მოვლენებიდან გამოვლინდა სასოფლო-სამეურნეო ტიპის როგორც ზომიერი, ისემკაცრი და ექსტრემალური გვალვების შესამჩნევი გახშირება, რაც არსებითი ზიანის მომტანია სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის და მოითხოვს შესაბამისი საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებას. გამოვლინდა აგრეთვე ექსტრემალურად უხვი ნალექების (≥ 40 მმ) სიხშირის გარკვეული მატება (0.1 დღითზელი ინციდენტი).

90-იანი წლების შემდგომ, დედოფლისწყაროში ხორბლის მოსავლიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (10.2 ც/ჰა) აღინიშნა 2010 წელს. ამ წელს, წლიური საშუალო ტემპერატურა 13.3°C ყველაზე მაღალია 1961-2015 წლების პერიოდში. იმავე პერიოდში, ივნისის საშუალო ტემპერატურაც ყველაზე მაღალი იყო 2010 წელს. გარდა ამისა, უჩვეულოდ თბილი იყო 2009-2010 სეზონის ზამთარი, რადგან მისი არც ერთი თვის საშუალო ტემპერატურა არ დაცემულა 0°C -ის ქვემოთ. ასეთ ტემპერატურულ პირობებში, მიუხედავად წლიური ნალექების საშუალო სიდიდის შენარჩუნებისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნიადაგი მაღალ გაზაფხულზე, რამაც შეაფერება ხორბლის ზრდა-განვითარება.

2000 წელიც ერთ-ერთი ყველაზე მოუსავლიანი (10.4 ც/ჰა) აღმოჩნდა „დიდი“ გვალვის გამო. დედოფლისწყაროს მეტეოროლოგურის მონაცემების მიხედვით, ხორბლის სავეგეტაციო პერიოდში მოსული ნალექების ჯამში 238 მმ შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 1961-2015 წლებში. გვალვას ტემპერატურის მატებაც დაემატა მაშინ. 2000 წელს დედოფლისწყაროში ივნისის საშუალო ტემპერატურამ 26.2°C მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1961-2015 წლებში.

1998 წელს ხორბლის მოსავლიანობის დაცემის მიზეზიც სავარაუდოდ მაღალი ტემპერატურაა. დედოფლისწყაროს სადგურის მონაცემებით აქტიურ ტემპერატურათა ჯამში ამ წელს 4038°C შეადგინა. როგორც წესი დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი $3000\text{-}3700^{\circ}\text{C}$ ფარგლებში ცვალებადობს. დედოფლისწყაროში მოუსავლიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, აღნიშნულთან ერთად, მაღალი სიჩქარის ქარებია გაზაფხულზე, რომელიც „დახვეტავს“ დათესილ ყანებს და ჰუმუსთან ერთად მიაქვს. 2000 წლის დაბალი მოსავალი, სწორედ ასეთი ქარის შედეგია, რომელსაც ადრე ქარსაფარები აკავებდა.



ნახაზი 4.5. ხორბლის მოსავლიანობა 1990-2016 წლებში დედოფლისწყაროში

დიაგრამა 4.5-ზე ჩანს მოსავლიანობის მკვეთრი მატება 2001 (26.9 ც/ჰა) და 2015-16 წლებში (26.0 ც/ჰა). 2000 წლის შემოდგომაზე მასობრივად დაითესა საერთაშორისო დახმარების პროგრამით თურქეთიდან შემოტანილი ხორბლის მაღალხარისხიანი თესლი, რასაც დაემთხვა ნალექების ხორბლისათვის ხელსაყრელი რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში. 2015-16 წლებში მოსავლიანობის ზრდა დაკავშირებული იყო დახმარების სახელმწიფო პროგრამების აქტიურობასთან, რის შედეგადაც ფერმერთათვის ხელმისაწვდომი გახდა კრედიტი, ხარისხიანი თესლი და სხვა საწარმოო საშუალებები.

ხორბლის დაავადებებიდან საქართველოში ყველაზე ხშირად გვხვდება ყვითელი უანგა. ყვითელ უანგა ხორბლის სერიოზულ დაავადებას წარმოადგენდა 1987-99 წლებში, როდესაც ამ დაავადებას რეგულარულ მონიტორინგს უწევდნენ. (Naskidashvili et all, 2001)¹⁰ მიხედვით მათ აღნიშნეს ყვითელი უანგას ძლიერი ეპიდემიის შემთხვევები საქართველოში. საქართველოს პირობებში ყვითელი უანგას ინფიცირებისათვის იდეალური პირობებია მაისის მეორე ნახევარში გრილი ღამეები (11 - 13°C) და შედარებით ტენიანი ამინდი (ნამიანი ფოთლები).

მურა და ღეროს უანგას განვითარებას უფრო მაღალი ტემპერატურა სჭირდება და, როგორც წესი, უფრო ცხელ და ტენიან სეზონზე იჩენს თავს. მურა უანგა, რომელიც საერთოდ არ წარმოადგენდა პრობლემას 1990-იან წლებამდე, ბოლო წლებში ნელ-ნელა იკრებს ძალას. ღეროს უანგას გავრცელება ისევ ლოკალიზებულია სამხრეთ საქართველოში, ახალციხის რაიონში. სავარაუდოდ, კლიმატის დათბობასთან ერთად, შემცირდება ყვითელი უანგას გავრცელება, მაგრამ გაიზრდება მურა უანგას გავლენა. ამ დაავადების პირობებში ძლიერი ინფექციის შემთხვევაში მოსავლიანობა უკიდურესად მცირდება (მიმღებ ჭიშებში თითქმის 100%-ით) და ბური მარცვალი ყალიბდება, რომელიც გამოუსადეგარია პურცხობისათვის.

დედოფლისწყაროში ხორბალს აწარმოებენ ურნყავ პირობებში. ამიტომ მასზე ყველაზე მეტ ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო ტიპის გვალვის გახშირება. გვალვის უარყოფითი გავლენა მაქსიმუმს აღწევს თესვის შემდეგ, გაზაფხულზე და მარცვლის შევსების პერიოდში.

კახეთში თესვა ხშირად გვალვის ფონზე მიმდინარეობს. ნიადაგი სწრაფად შრება თბილი ამინდების გამო. არც ისე იშვიათია, როდესაც ოქტომბერში დათესილი ხორბალი ზამთრის დადგომამდე აღმოცენებას ვერ ახერხებს და ის მხოლოდ ზამთრის შემდეგ (თებერვალ-მარტში) აღმოცენდება, როდესაც ნიადაგში საკმარის რაოდენობით ტენი დაგროვდება. გვიანი ბარტყობის გამო წარმოიქნება მეჩერი ნათესი, რაც თავის მხრივ აქვეითებს მოსავლიანობა.

აპრილი ტრადიციულად ყველაზე მშრალი თვეა კახეთში და ხორბლის განვითარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული პერიოდია, რადგან მის დასაწყისში იწყება ხორბლის აღერება, ხოლო აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში - დათავთავება და შემდეგ ყვავილობა. ამ პერიოდში გვალვა აჩერებს ღეროს ზრდას და ხორბალი დაბალღეროიანი, დაბალმოზარდი გამოდის. დაბალი სიმაღლე თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია მაღალ სიმშრალესთან აღერების ფაზაში. შემცირებული ტენიანობისა და ჰაერის მაღალი ტემპერატურის პირობებში მცენარე ამოკლებს თავის ვეგეტაციას, აჩქარებულად გადის განვითარების საფეხურებს და ვერ ასწრებს ნორმალურად განვითარებას. ყვავილობის შემდეგ წყლის უკმარისობა იწვევს მარცვლის რაოდენობის შემცირებას თავთავში, ქარალმარცვლიანობას და ცარიელთავთავიანობას.

დამწიფების ფაზაში ხელშემწყობია 22-27°C. ჰაერის მაღალი ტემპერატურა (35-40°C) მარცვლის შევსების პერიოდში უარყოფითად მოქმედებს მარცვლის ამოვსებულობაზე და წარმოიქმნება ბური მარცვალი. წყლის ნაკლებობის პირობებში თესლის მომწიფება არ მიმდინარეობს ნორმალურად ღეროსა და ფოთლების ნაადრევი ჭვნობისა და გახმობის გამო.

¹⁰ Naskidashvili J., Aptsiauri N., Sikharulidze Z., Natsarashvili K. (2001) Virulence structure of the population wheat yellow rust causing *Puccinia striiformis* West f. sp. *tritici* Eriks. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. V 163 (2), 364- 366.

4.3. მიმდინარე და პროგნოზირებული შვლილებები ხორბლის აგროკლიმატურ ზონირებაში


საშემოდგომო ხორბლის მოსაყვანად საჭიროა აქტიურ ტემპერატურათა ჯამი $2100-2200^{\circ}\text{C}$ და 600 მმ ნალექები სავეგეტაციო პერიოდში კამურად. ამ კულტურის სავეგეტაციო პერიოდი სექტემბრიდან იწყება, ნოემბრის ბოლოდან ჩერდება მარტის ბოლომდე, შემდეგ აგრძელებს განვითარებას მოსავლის აღებამდე (ივნისის ბოლო). აგროკლიმატური ზონირების შეფასების შედეგად გამოიყო შემდეგი სამი ზონა:

1 ზონა - ხორბლის მოსაყვანად არ არის საკმარისი სითბო (ნახაზე 4.6 აღნიშნულია წითლად)


2 ზონა - შესაძლებელია ხორბლის მოყვანა წყლით უზრუნველყოფის შემთხვევაში (ნახაზე 4.6 აღნიშნულია ღია მწვანე ფერით)

3 ზონა - ხელსაყრელი კლიმატური პირობები საშემოდგომო ხორბლის მოსაყვანად (ნახაზე 4.6. აღნიშნულია მუქი მწვანე ფერით)


1966-1990 ნლები



1991-2015 ნლები



2071-2100 წლები



ნახატი 4.6. ცვლილებები ხორბლის აგროკლიმატურ ზონირებაში 1966-90, 1991-2015 და 2071-2100 წლებში

ცხრილი 4.1. ხორბლის მოსაყვანად ხელსაყრელი ზონების ფართობები სხვადასხვა დროით პერიოდში

	1966-90 წ.წ. (ჰა)	1991-2015 წ.წ (ჰა)	2071-2100 წ.წ. (ჰა)
ზონა 2	844200	846900	594600
ზონა 3	3171800	3365300	4675600

საშემოდგომო ხორბლის მოსაყვანად ხელსაყრელი ზონების ფართობები, სადაც მორჩილი პირობებში შესაძლებელია ამ კულტურის მოყვანა, მიმდინარე პერიოდში გაზრდილია 212,200 ჰა-ით, ხოლო მომავალში 1,254,200 ჰა-ით გაიზრდება, რაც ძირითადად ტემპერატურის მატების გამო მოხდება, როდესაც ზღვის დონიდან 1,200-1,500 მეტრ სიმაღლეზეც აქტიურ ტემპერატურათა კამი 2100-2200°C გახდება. ეს არის საშუალო სიმაღლის მთიანი ზონა, რომელიც რთული ოროგრაფიით გამოირჩევა, დანაწევრებულია და მცირე ნაკვეთებით არის წარმოდგენილი. ხორბლის მოსაყვანად აქ არის ხელსაყრელი ნიადაგი. აღნიშნული ტერიტორიების დიდი ნაწილი ამჟამად ტყეებისა და საძოვრებს უჭირავთ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდშიც საქართველოში კლიმატური თვალსაზრისით ხელსაყრელი ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი გამოიყენება საშემოდგომო ხორბლის წარმოებისათვის, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- ქვემო იმერეთში (წყალტუბო, სამტრედია, ხონი), კახეთსა და ქართლში, სიობოთი და ტენით იგივე უზრუნველყოფის პირობებში, მოყავთ ეკონომიკურად ხორბალზე მომგებიანი კულტურები: აღმოსავლეთში ვაზი, ხოლო დასავლეთში - მწვანილი და ბაღჩეული
- დასავლეთ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებისათვის დამახასიათებელია უხვი ნალექები მაის-ივნისში, რაც იწვევს ხორბლის „ჩანოლას“ და ამიტომ აქ ხორბალი არ მოჰყავთ.

4.4. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შეფასება ხორბლის მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმომზადებების შეფასება

ხორბლის მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმომზადებაზე კლიმატის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილების ზეგავლენა შეფასებულ იქნა Aquacrop(FAO) მოდელის და ექსპერტების ერთობლივი შეფასებებით.¹¹ მოდელით სიმულირებული იქნა 4 სხვადასხვა პერიოდი: ორი მიმდინარე 25-წლიანი (1966-1990 წწ.; 1991-2015 წწ.) პერიოდი და ორი საპროგნოზო 30-წლიანი პერიოდი (2021-2050 წწ; 2070-2099 წწ.).

¹¹ <http://www.fao.org/land-water/databases-and-software/aquacrop/en/> მომავლის კლიმატის სიმულირებისას გამოყენებული იქნა IPCC კლიმატის ცვლილების A1B სკენარი. კლიმატური პარამეტრები (ატმოსფერული ნალექები, ჰაერის გაესიარული და მინიმალური ტემპერატურა, ეტალონური ევაპოზირანსპირაცია) მიღებული იქნა გლობალური ცირკულაციური მოდელის (ECHAM4.1) რეგიონში დამასმებებით/დაყვანით რეგიონული დინამიკური კლიმატური ძოდელის (RegCM) საშუალებით.

მოდელში შემავალი სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური პარამეტრები ყველა განხილული პერიოდისათვის და შესაბამისი სიმულირებული მოსავლიანობა მოცემულია ცხრილში 4.2.

ცხრილი 4.2. საშემოდგომო ხორბლის სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები დაცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (დედოფლისწყარო) ნახშირორუანგის ზრდის ეფექტის გათვალისწინებით

პერიოდი / პარამეტრი	ნალექი, მმ	კლიმატურისპე-რიაცია, მმ	ატმოსფერული ტუბერკულა-ტურათა ჰამი, ტედჯ	CO ₂ , ppm	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ერთწევი)	მოსავლიანობა, ტ/ჸა (სარწყვავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჸა (სარწყვავი) (RAW30)
1966-1990(1)	467	494	2185	336	2.4	6.2	6.2
1991-2015(2)	441	505	2329	375	2.7	7.5	7.5
2021-2050 (3)	449	385	2544	442	5.4	8.5	8.3
2070_2099(4)	356	349	3018	540	4.5	11.5	11.5
აბს. ცვლილება_21	-25	11	144	40	0.2	1.2	1.2
აბს. ცვლილება_32	8	-120	215	66	2.7	1.0	0.9
აბს. ცვლილება_42	-85	-156	690	164	1.8	4.1	4.1
ფარდ. ცვლილება_21	-5%	2%	7%	12%	9%	20%	20%
ფარდ. ცვლილება_32	2%	-24%	9%	18%	102%	14%	12%
ფარდ. ცვლილება_42	-19%	-31%	30%	44%	67%	54%	54%

ცხრილი 4.2 განხილულია ის ვერსია, როდესაც მოდელირების პროცესში გათვალისწინებულია CO₂-ის ეფექტი, ხოლო ცხრილში 4.3 მოცემულია ის შედეგები, რომლებიც მიიღება CO₂-ის ზრდის ეფექტის გათვალისწინების გარეშე.

ცხრილი 4.3. საშემოდგომო ხორბლის სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები და ცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (დედოფლისწყარო) ნახშირორუანგის ზრდის ეფექტის გარეშე

პერიოდი / პარამეტრი	ნალექი, მმ	კლიმატურისპე-რიაცია, მმ	ატმოსფერული ტუბერკულა-ტურათა ჰამი, ტედჯ	CO ₂ , ppm	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ერთწევი)	მოსავლიანობა, ტ/ჸა (სარწყვავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჸა (სარწყვავი) (RAW30)
1966-1990	467	494	2185	336	2.4	6.2	6.2
1991-2015	441	505	2329	366	2.6	7.3	7.3
2021-2050	449	385	2544	369	4.6	7.5	7.3
2070-2099	356	349	3018	369	3.3	9.2	9.2
აბს. ცვლილება_21	-25	11	144	30	0.2	1.1	1.1
აბს. ცვლილება_32	8	-120	215	3	1.9	0.2	0.0
აბს. ცვლილება_42	-85	-156	690	3	0.7	1.8	1.8
ფარდ. ცვლილება_21	-5%	2%	7%	9%	7%	17%	17%
ფარდ. ცვლილება_32	2%	-24%	9%	1%	75%	3%	0%
ფარდ. ცვლილება_42	-19%	-31%	30%	1%	25%	25%	25%

როგორც ცხრილი 4.2 და 4.3 -ის შედარება აჩვენებს, დედოფლისწყაროს რაიონში ხორბლის მოსავლიანობას როგორც CO₂-ის ზრდის ეფექტის გათვალისწინებით, ასევე მის გარემე 2050 წლამდე ზრდის პოტენციალი აქვს (თუ სხვა ყველა გარემოება გარდა კლიმატური პარამეტრების ცვლილებისა იგივე დარჩა), მაგრამ განსხვავებაა საუკუნის ბოლოსკენ და თუ CO₂-ის ზრდის ეფექტის გათვალისწინებით, ხორბლის მოსავლიანობას ზრდადი პოტენციალი აქვს საუკუნის ბოლომდე, ამ ეფექტის გარეშე, ურნებავ პირობებში, სავარაუდოა თითქმის 30%-იანი კლება პირველ საპროგნოზო ჰერიოდთან შედარებით, მაგრამ ეს მაინც 27%-ით მაღალი იქნება მიმდინარე ჰერიოდთან შედარებით.

მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობის რეალურ სტატისტიკასთან შედარებისას გასათვალისწინებელია, რომ მოდელი არ განიხილავს მოსავლის პროდუქტიულობაზე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას, როგორიცაა ექსტრემალური მოვლენები: წყალდიდობი, სეტყვა, ძლიერი ქარები და ა.შ.. გარდა ამისა, ტემპერატურის ზრდითა და თბერი ტალღების გახშირებით იზრდება ხანძრების რისკი, მავნებლების გამრავლების და დაავადებების გამოვლინების სიხშირე და რაც მთავარია, მოდელი განიხილავს აგროტექნიკური ღონისძიებების სრულყოფილად და დროულად გატარებას და მაღალი ხარისხის სერთიფიცირებული თესლის უზრუნველყოფას. შესაბამისად მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობა უფრო აღნიშნული რეგიონისათვის პოტენციალის მაჩვენებელია ვიდრე რეალური სიტუაციის, თუმცა იდელურ პირობებში შეიძლება კარგი თანხვედრაც მოხდეს. პროექტის ფარგლებში გადამოწმდა დედოფლისწყაროსა და სიღნაღმი 2016-2017 წლებში მიღებული მოსავალი. ადგილობრივი მსხვილი ფერმერების¹² მიერ დადასტურებული იქნა, რომ 2016 წლის მოსავალი ძალიან მაღალი იყო-4 ტ/ჰა ურნებავ პირობებში, ხოლო 2017-ში გაზაფხულის მაღალი ქარების გამო მოსავალი 3ტ/ჰა მოვიდა. ბუნებრივია ასეთი მაღალი შედეგი ყველა ფერმერს¹² არ აქვს, მაგრამ ეს აჩვენებს ამ რეგიონის პოტენციალს, რაც ბევრად მაღალია ვიდრე მოდელირებული საშუალო. როგორც ნახაგი 4.5-დან ჩანს 2015 და 2016 წლებში დედოფლისწყაროში საშუალო სტატისტიკური მოსავლიანობა მართლაც მაღალია და ძალიან ახლოა მოდელირებულ მნიშვნელობასთან, თუმცა როგორც აღვნიშნეთ ერთეულმა ფერმერებმა უფრო მაღალი მოსავალიც კი მიიღეს. მოდელით მიღებული მომავლის პროგნოზის მიხედვით 2050 წლისათვის მოსავლიანობის თითქმის გაორმაგებას შეიძლება ველოდეთ ურნებავი ხორბლის პირობებშიც კი, რა თქმა უნდა თუ სხვა ყველა პირობა დაცული იქნება. რაც შეეხება წინა წლების სტატისტიკას, ამ შემთხვევაში დაბალი მოსავლიანობა გამოწვეული იყო აგროტექნიკური პროცესების თითქმის სრულად უგულებელყოფით და გარკვეულ წლებში ამას ემატებოდა გვალვები და საჭიროება ბევრად მაღალი აქტიურ ტემპერატურათა ჭამი ვეგეტაციის ჰერიოდში, როგორც ეს ახსნილია წინა შექციებში.

რაც შეეხება მოთხოვნილებას სარწყავ წყალზე ცხრილში 4.4. მოცემულია საშემოდგომო ხორბლის კულტურის სარწყავი წყლის მოთხოვნილება ადვილად ხელმისაწვდომი წყლის (RAW¹³) ორი სცენარის მიხედვით. ნარინჯისფერი ფონი მიუთითებს სარწყავი წყლის მოთხოვნილების ზრდაზე, ხოლო მწვანე-შემცირებაზე.

ცხრილი 4.4. საშემოდგომო ხორბლის საირიგაციო წყალმოთხოვნილების მნიშვნელობები (მმ) და ცვლილება 1991-2015 (2) და 1966-1990 (1), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) ჰერიოდებსშორის

ჰერიოდი / ცვლილება	კახეთი (დედოფლისწყარო)	
	RAW50	RAW30
1966-1990(1)	126	140
1991-2015(2)	154	168
2021-2050 (3)	60	73
2070_2099(4)	87	100
აბს. ცვლილება_21	28	28
აბს. ცვლილება_32	-93	-95
აბს. ცვლილება_42	-67	-68
ფარდ. ცვლილება_21	22%	20%
ფარდ. ცვლილება_32	-61%	-57%
ფარდ. ცვლილება_42	-43%	-40%

¹² ბატონი გიორგი (ბონდო) ბოლაშვილი, სიღნაღმი.

¹³ ფესვთა გავრცელების ზონაში არსებული ადვილად ხელმისაწვდომიწყლის (RAW) ორი სცენარი, როდესაც ფესვთა ზონის დასაშვები გამოშრომის ხარისხი შეადგენს 50 და 30% (RAW50, RAW30).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სარწყავ მოთხოვნილებაზე ასევე იმოქმედებს ირიგაციის ტექნოლოგია, რამდენადაც სხვადასხვა სარწყავი სისტემები ხასიათდებიან წყლის ხარჯვის განსხვავებული ეფექტურობით. მოდელში ჰაური საირიგაციო წყალმოთხოვნილების შეფასებისას გათვალისწინებულია ე.წ. დაწვიმებით (Sprinkler irrigation) რწყვის ტექნოლოგია.

მოდელირების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- კლიმატის ცვლილების შერჩეული სცენარის (A1B¹⁴) მიხედვით როგორც ურწყავი, ისე სარწყავი მინათმოქმედების პირობებში საშემოდგომო ხორბლის პოტენციური მოსავლიანობა, სავარაუდოდ, გაიზრდება. ირიგაციის ეფექტი განსაკუთრებით მაღალია მიმდინარე 25-წლიან პერიოდში დამლაშებულ ნიადაგებზე ნათესი ფართობებისთვის, ხოლო პირველ საპროგნოზო პერიოდში - შედარებით ნაკლებია.
- ურწყავი მინათმოქმედების პირობებში საუკუნის ბოლოსთვის მოსალოდნელია გაზრდილი, მაგრამ ნაკლებად სტაბილური მოსავლიანობა. პროგნოზი ყველაზე ოპტიმალურია პირველ საპროგნოზო პერიოდში, რაც გულისხმობს საშემოდგომო ხორბლის გაზრდილ და სტაბილურ მოსავალს. სარწყავი მინათმოქმედების პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება მოსავლის როგორც რაოდენობა, ისე სტაბილურობის მაჩვენებელი. საკმარისი ირიგაციის შედეგად საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა შესაძლებელია 2-3-ჯერ გაიზარდოს. მიმდინარე პერიოდში ასეთი ზრდა საშუალოდ 6-8 ტ/ჰა მოსავლიანობას ნიშნავს, ხოლო საუკუნის ბოლოსთვის 10 ტ/ჰა-ს აღემატება.
- საშემოდგომო ხორბლის კულტურისთვის, რომელიც მიეკუთვნება ნიადაგის წყალშემცველობის სტრესის მიმართ ზომიერად მგრძნობიარე კულტურათა რიცხვს, ნალექის შემცირების ეფექტი მიმდინარე პერიოდში თვალსაჩინოა მხოლოდ დამლაშებულ ნიადაგებზე ნათესი ფართობებისთვის. დანარჩენ ტერიტორიაზე ნალექების კლებით გამოწვეული წყლის დეფიციტი გადაფარულია ნიადაგის ზედაპირიდან წყლის ფიზიკური აორთქლების და შესაბამისად, ევაპოტრანსპირაციის შემცირებით და მცენარის მიერ წყლის განვითარების ეფექტურობის ზრდით. მომავლის სცენარის თანახმად, აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია საუკუნის ბოლომდე და მეორე საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ნალექების კლების მნიშვნელოვანი ტენდენციის მიუხედავად, საკვლევ ტერიტორიაზე ურწყავი მინათმოქმედების პირობებშიც კი მოსალოდნელია მოსავლიანობის ზრდა. შესაბამისად, ორივე საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში საშემოდგომო ხორბლის მაქსიმალური მოსავლიანობის შესანარჩუნებლად წყლის 40-60%-ით ნაკლებირაოდენობა იქნება საჭირომიდინარე პერიოდთან შედარებით.
- CO₂-ის გაზრდილ კონცენტრაციის ექნება დადებითი ეფექტი საშემოდგომო ხორბლის წარმოებულ ბიომასაზე. CO₂-ით სარგებლის ეფექტი რიგ შემთხვევებში გადათარულია სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში კლიმატური პარამეტრების არახელსაყრელი ცვლილებებით და სპეციფიურია საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული ნიადაგის ტიპები დამოკიდებულებით.

4.5. რეკომენდაციები ხორბლის ნარმოების აღაპთაციისათვის

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავება;
- ხორბლის ურწყავ პირობებში წარმოებისათვის შემდეგი აგროტექნიკური ღონისძიებების განხორცილება: ნიადაგის ნახევრად ანეულად დამუშავება; თესვის ოპტიმალური ვადის დაცვა (ოქტომბერი დედოფლისწყაროში); თესვის სიღრმე უნდა შეადგენდეს 4-5 სმ-ს. ნაკლებტენიან ნიადაგებში თესლი უნდა დაითესოს უფრო ღრმად (6-8 სმ); ნიადაგის განვითარება; ნიადაგის მოტკეპნა თესვის შემდეგ; ნაკვეთებში თოვლის შეკავება თოვლმხვნელებით; საშემოდგომო ხორბლის წინამორბედი კულტურების დათესვა, როგორიცაა სამარცვლე პარკოსანი კულტურები, სასილოსე სიმინდი, სიმინდი მწვანე საკვებად, ფართო მწკრივად ნათესი სამარცვლე სიმინდი, ერთწლიანი პარკოსნებისა და მარცვლოვნების (შვრიანარევი ბარდა ან ცერცველა) ნარევი მწვანე საკვებად, მრავალწლიანი ბალახების კორდი და მზესუმბირა; ურწყავი ხორბლის წარმოება ნიადაგის ნულოვანი დამუშავებით ანუ ნოუ-ტილის ტექნოლოგიით; გაუმჯობესებული ჰაშების გამოყენება.

¹⁴ IPCC Special Report: Emissions Scenarios. WMO/UNEP. 2000: www.ipcc.ch/pdf/special-reports/spm/sres-en.pdf; IPCC-ს სპეციალური ანგარიში და ემისიების მომავალი სცენარების შესახებ: „A1B - ყველა ტიპის სანვაკის დაბალანსებული მოხარება (ბალანსი ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ არ უნდა იყოს სრული/გადამეტებული დამოკიდებულება ერთ რომელიმე სანვაკის სახეობაზე, იმ დამვებით, რომ ტექნოლოგიების განვითარების კოეფიციენტი ერთანარი აქვთ სხვადასხვა მნარმოებელ და საბოლოო მომხარებელ ტექნოლოგიებს სხვადასხვა სანვაკის შემთხვევაში.“

- ხორბლის სარწყავ პირობებში წარმოებისათვის შემდეგო აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება:საშემოდგომო ხორბლის ნათესის უნდა მორწყვა დათესვისთანავე. პირველი სავეგეტაციო რწყვა უნდა ჩატარდეს აღერების ფაზაში - აპრილში. ხოლო მეორე სავეგეტაციო რწყვა უნდა ჩატარდეს მარცვლის შევსების პერიოდში - ივნისში. დაწვიმებით მორწყვის ტექნილოგიის დაწერგვა;ნიადაგის განოყიერება;კულტურათა მორიგეობა: სარწყავ პირობებში საშემოდგომო ხორბლის ყველაზე სასურველი წინამორბედი კულტურები სამარცვლე სიმინდი (მოკლე ვეგეტაციის), სასილოსე სიმინდი, ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურები, მრავალწლიანი ბალახების კორდი, სანაწვერალო კულტურები და სამარცვლე-პარკოსანი კულტურებით მოთხესილი ანეულია; გაუმჯობესებული ჭიშების გამოყენება სარწყავ პირობებში; ხორბლის ბაძოებზე თესვა.

4.6. ხორბლის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯი-სარგებლიანობის ანალიზი

ხორბლის წარმოებაში კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციოდ, ამ ეტაპზე, გამოიკვეთა ორი ღონისძიება: დედოფლისწყაროს რაიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავება და აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება. ორივე ღონისძიების შემთხვევაში განხილულია ორი სცენარი არსებული გვალვიანობის პირობებში და სასოფლო-სამეურნეო გაძლიერების მომატების შემთხვევაში. პირველი ღონისძიების ღირებულება 26.6 მლნ ლარია 11 წლის განმავლობაში, ხოლო მეორე ღონისძიების ღირებულებაა 11.9 მლნ. ლარი ირიგაციით და 8.9 მლნ. ლარი ირიგაციის გარეშე.

ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ურწყავი სოფლის მეურნეობაა გაბატონებული. კლიმატური მოდელირებით დადგინდა, რომ დედოფლისწყაროს რაიონში საშემოდგომო ხორბალი წყლის დანაკლისს განიცდის და საირიგაციო წყალმოთხოვნილება შავმინა წიადაგებზე 100-150 მმ შეადგენს. ეს დანაკლისი ახლო მომავალში (2021-2050) რამდენადმე შემცირდება, მაგრამ შემდეგ (2070-99) წლებში ისევ გაიზრდება და დაუბრუნდება ახლანდელ დონეს. ამის პარალელურად პროგნოზი აჩვენებს, რომ განუხრელად იზრდება აეტიურ ტემპერატურათა ჭამი და ნახშირორენგის კონცენტრაცია, რაც საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობაზეპოზიტურად იმოქმედებს. ღონისძიება თითქოს წინააღმდეგობაში მოდის იმ ცვლილებებთან, რომელიც 2050 წლამდე არის მოსალოდნელი, მაგრამ წყლის დანაკლისის შემცირება არ ნიშნავს, რომ დანაკლისი საერთოდ აღარ იქნება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საშემოდგომო ხორბლის საშუალო მოსავლიანობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმარის დაბალ ნიშნულთან, 2-დან 3 ტონამდე მერყეობს და ამის მთავარი მიზები ხშირ შემთხვევაში წყლის დანაკლიასია (თუმცა ხშირად ეს გამოწვეულია გაზაფხულის მაღალი სიჩქარის, „დაბერვითი ქარებით“. თუ საშემოდგომო ხორბალი უზრუნველყოფილი იქნება საკმარისი ტენით, მისი მოსავლიანობა 2-3 ჭერ გაიზრდება და 6-8 ტ/ჰა მიაღწევს, რაც შესაბამისობაშია მოდელის მიერ გამოთვლილ მოსავლიანობასთან.

პირველი რეკომენდირებული ღონისძიება, ხორბალთან მიმართებაში, დედოფლისწყაროს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავებაა. ამ მიმართულებით გავთებულ ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის/ინსტალაციის დანახარჯები, ვინაიდან ანალიზი მხოლოდ ფერმერის სარგებელსა და დანახარჯებს განიხილავს.

ხარჯ-სარგებლის ანალიზში გამოყენებული დაშვებები და სხვა დეტალები მოცემულია დანართში 1.4. შეფასების პერიოდი სტანდარტულ (2018-2028 წწ) 11 წელს მოიცავს. ანალიზი მოიცავს მხოლოდ დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას.

დანახარჯები ძირითადად დათვლილია რწყვასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯებით, რაც მოიცავს წყლის გადასახადს და რწყვის პროცესთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. ეს დანახარჯი მთელ განხილულ პერიოდში უდრის 26.6 მლნ ლარს. რაც შეეხება სარგებელს, ესაა: გასარწყავების შედეგად მიღებული დამატებითი მოსავლისაგან მიღებული შემოსავალი და სხვაობა სარწყავი და ურწყავი მიწის ფასებში. გასარწყავება ზრდის მოსავლიანობას 2.5 ტ/ჰა-დან 5.5 ტ/ჰა-მდე, ხოლო ურწყავი მიწა საშუალოდ 2.3-ჭერ უფრო იაფია ვიდრე სარწყავი სისტემით უზრუნველყოფილი მიწა.

გასარწყავება დადებითად აისახება მოსავლიანობაზე და მიწის ფასზე და არსებული ტარიფებიდან გამომდინარე დიდი ფერმერისთვის ამ ღონისძიებიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით აღემატება დანახარჯებს.

მოგება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($(R=4.76\%)$) შეადგენს 179.2 მლნ ლარს, ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($R=9.98\%$) - 131.9 მლნ ლარს.

იგივე ღონისძიების მეორე სცენარის პირობებში ხდება გვალვების გახშირება და ამშემთხვევაში ხორბლის მოსავლიანობა ურწყავში ყოველწლიურად მცირდება $5\%-ით$ (დაშვება). 2017 წელს მოსავლიანობა ურწყავში შეადგენს 2.5 ტ/ჰა და ყოველწლიური $5\%-იანი$ შემცირების შედეგად 2027 წლისთვის ეს მაჩქნებელი 1.3 ტ/ჰა იქნება. მეორე სცენარის შემთხვევაში ღონისძიების სარგებელი უფრო მაღალია ძირითად სცნართან შედარებით და უდრის 171.5 მლნ ლარს 7.37% დისკონტის განაკვეთის პირობებში (პირველ სცენარში ასეთი დისკონტის შემთხვევაში 153 მლნ. ლარია).

მეორე ღონისძიება განხილავს აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და თანამედროვე დონეზე გატარებას. გამართული აგროტექნიკური ღონისძიებები დადებითად აისახება ხორბლის პროდუქტიულობაზე. ანალიზში განხილულია აგროტექნიკური ღონისძიებების ეფექტი ორი შემთხვევისთვის: ხორბლის მოყვანა ურწყავ პირობებში და ხორბლის მოყვანა სარწყავ პირობებში.

ურწყავ პირობებში აგროტექნიკურ ღონისძიებებში შედის: ნიადაგის ნახევრად ანეულად დამუშავება, თესვის ოპტიმალური ვადის დაცვა, თესვის ოპტიმალური სიღრმის განსაზღვრა, ნიადაგის განოყიერება, ნიადაგის მოტკეპნა თესვის შემდეგ, ნაკვეთებში თოვლის შეკავება, თესლბრუნვა, ნოუტილი და გაუმჯობესებული ჭიშები.

სარწყავ პირობებში ხორბლის მოყვანის აგროტექნიკურ ღონისძიებებში შედის: რწყვა, ნიადაგის განოყიერება, კულტურათა მორიგეობა და სარწყავი პირობებისათვის შესაბამისი ჭიშების შერჩევა.

აგროტექნიკური ღონისძიებების დეტალები და ხარჯ-სარგებლიანობის გამოთვლა მოცემულია დანართში 1.4.

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის ორივე შემთხვევაში დადებითი, ურწყავშიც და სარწყავშიც თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების გამოყენებას აქვს დადებითი ეფექტი. იგი უფრო მეტია, როდესაც თანამდეროვე აგროტექნიკური ღონისძიებები გამოიყენება სარწყავ პირობებში და მოგება აღნევს 8.7 მლნ ლარს, ხოლო ურწყავ პირობებში მოგება პერიოდის ბოლოს 7 მლნ. ლარია მოსალოდნელი. თუ ფერმერი იყენებს თანამედროვე აგროტექნიკურ ღონისძიებებს, მაშინ მისთვის უფრო მომგებიანია ხორბლის სარწყავ პირობებში წარმოება, რადგან ეს ორი ღონისძიება ერთად არის უფრო შედეგიანი. ამ ღონისძიების მეორე სცენარში მატულობს გვალვები და თუ ფერმერების მიერ არ იქნა დანერგილი თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებები, მაშინ მოსავლიანობა შემცირდება, კვრძოდ: იგულისხმება, რომ საბაზისო მეთოდების გამოყენების შემთხვევაში ურწყავში მოსავლიანობა ყოველ წელს $5\%-ით$ შემცირდება, ხოლო სარწყავში $-2.5\%-ით$. თუ გვალვებმა მოიმატა, ღონისძიების სარგებელი თითქმის ორმაგდება და ხდება სარწყავში 17 მლნ. ლარი, ხოლო ურწყავში 14.6 მლნ ლარი, რაც იმაზე მიანიშნებს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე აგროტექნიკურ ღონისძიებებს კლიმატის ცვლილების ფონზე.

4.7. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სორიტების განხორციელებაში

ხორბალთან მიმართებაში განხილულ ღონისძიებებს შესაძლოა ჰქონდეს სოციალური დატვირთვაც, თუმცა უფრო მეტი მნიშვნელობა ამ ღონისძიებებს აქვს მსხვილი ფერმერებისათვის, რადგან ამ საქმიანობაში ძირითადად საშუალო და მსხვილი ფერმერები არიან ჩართულები და მომავალში მოხდება ამ ფერმების კიდევ უფრო გამსხვილება, მაგრამ ამ ღონისძიებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია სურსათით უზრუნველყოფის საიმედოობის ამაღლებაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში მიწების მელიორაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა, ექსპლუატაცია და მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ

მიმართულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ინტენსიური და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნა. 2012-2014 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების (სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო სამუშაოები) შედეგად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წყალუბრუნველყოფილი ფართობები 88 ათას ჰა-მდე გაიზარდა, ხოლო 2017 წლისათვის 114,300 ჰა-ია. 2020 წლამდე იგეგმება გასარწყავებული და დაშრობილი ფართობების რაოდენობის გასამმაგება. დედოფლისწყაროში ხორბლის ნათესები არ ირწყვება.

სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის მიზანს წარმოადგენს სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სამელიორაციო მომსახურების არეალის გაზრდა და ნიაღავში მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, რამაც თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების პარალელურად უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და გარანტირებული მოსავლის მიღება. ამ ღონისძიებას წვლილი შეაქვს სტრატეგიის მიერ დასახულ მიზანში, რადგან სამელიორაციო სისტემების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია წყალზე მოთხოვნილების არსებობაზე.


ღონისძიების განმახორციელებელი ხორბლის წარმოებაში დასაქმებული კერძო სექტორი უნდა იყოს და სახელმწიფოს მხრიდან ჩართული უნდა იყოს შპს „საქართველოს მელიორაცია“.

კლიმატის ცვლილების გავლენა სიმინდის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები

5.


5.1. სიმინდის წარმოება საქართველოში

2016 წელს საქართველოში სამარცვლე სიმინდის ნათესმა ფართობმა შეადგინა 95.9 ათასი ჰა. სიმინდის ნათესი ფართობის 70% დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. სიმინდის წარმოებაში ერთ-ერთი წამყვანი რეგიონია სამეგრელო-ზემო სვანეთი.



ნახაზი 5.1. სიმინდის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

სიმინდის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (1000 ჰექტარი)



ნახაზი 5.2. სიმინდის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (ჰა)


გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ძირითადად ითესებოდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გამოყვანილი სიმინდის ჰიშები (აჭამეთის თეთრი, ადგილობრივი თეთრი ნახევარკბილა, ადგილობრივი თეთრი კაუნივანა და სხვა). ეს ჰიშები სასურსათო მიმართულებისაა, მაგრამ პირუტყვის საკვებადაც გამოიყენებოდა. ამ პერიოდში სიმინდის პიბრიდეულ ჰიშებს მთელი ნათესი ფართობის 5%-ზე ნაკლები ეჭირა. 2007 წლიდან საქართველოში, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, დაიწყო „პიონერის“ პიბრიდების გავრცელება. დღეისათვის „პიონერის“ პიბრიდები ყველაზე მეტად გავრცელებულია სარწყავ პირობებში, ლაგოდების, ბოლნისისა და გორის რეგიონებში. ქართველ ფერმერებს შორის პოპულარულია „პიონერის“ საგვიანო (130-145 დღიანი) და ბომიერად საგვიანო (110-120 დღიანი) პიბრიდები. დასავლეთ საქართველოში მეტი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივი ჰიშები, რომლებსაც აქვთ სასურსათო მნიშვნელობა.

კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ეროვნული საადაპტაციო გეგმის მომზადების პროცესში სიმინდის მოსავლიანობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის.

5.2. კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა სიმინდის მოსავლიანობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, 1961-1993 წლებთან შედარებით, 1998-2015 წლებში დაახლოებით 1°C -ით არის გაზრდილი საშუალო წლიური, საშუალო წლიური მინიმალური და საშუალო წლიური მაქსიმალური ტემპერატურები. 1998-2015 წლებში უყინვო პერიოდი გაიზრდა 9 დღით. წლიური ნალექების კამი კი პრატიკულად არ შეცვლილა. ძლიერი ქარი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სიმინდის ჩანოლა, ისევ ივლისში აღინიშნება. აღსანიშნავია, რომ თვის საშუალო ტემპერატურა თითქმის არ გაზრდილა აპრილსა ($+0.2$) და მაისში ($+0.4$) და უმნიშვნელოდ იმატა ივნისში ($+0.6$); ხოლო ივლისში ($+1.6$), აგვისტოში ($+1.8$), სექტემბერში ($+2.0$) და ოქტომბერში ($+0.5$) „და თბობის“ ეფექტი ბევრად უფრო შესამჩნევია. ეს ნიშნავს, რომ ტემპერატურული პირობები სიმინდის თესვისა და ვეგეტაციის პირველ ეტაპზე თითქმის არ შეცვლილა. მაგრამ სავაგეტაციო პერიოდის მე-2 ნახევარში და დამწიფების ფაზაში საკმარისად არის მომატებული ტემპერატურა, რამაც შეიძლება მოახდინოს გავლენა მოსავლის ფორმირებასა და დამწიფებაზე.

კოლხეთში ტენი საკმარისი რაოდენობითაა და სიმინდის რწყვის აუცილებლობა არ არსებობს. შესაბამისად სიმინდის მოსავლიანობის დამოვიდებულება ნალექებზე მცირეა და ვლინდება მხოლოდ განსაკუთრებით მშრალ ან ცხელ წლებში.



ნახაგი 5.3. სიმინდის მოსავლიანობა 1990-2016 წლებში

მიმდინარე ჰერიონდში სიმინდის ყველაზე დაბალი მოსავლიანობა (14.1 ც/ჰა) 2010 წელს აღინიშნა. ზუგდიდის მეტეოროლოგიური მონაცემების შესწავლისას თვალში საცემია, რომ 2010 წელს ძალიან მაღალი იყო აქტიურ ტემპერატურათა ($>10^{\circ}\text{C}$) ჭამი (5368). ეს რეკორდული მაჩვენებელია 1961-2015 წლებისათვის. არცერთ სხვა წელს აქტიურ ტემპერატურათა ჭამი ზუგდიდში არ ასცდენია 4995-ს. ამ წელს მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს საშუალო თვიური (აგრეთვე საშუალო მაქსიმალური) ტემპერატურები ყველაზე მაღალია ბოლო ნახევარ საუკუნის განმავლობაში. სიმინდის, რომელიც კარგად იტანს მაღალ ტემპერატურას და თავისუფლად ახორციელებს ფოტოსინთეზს 45°C -ს მიახლოებულ ტემპერატურაზე, დააკლდა ტენი. სიმინდისათვის ასევე გვალვიანი წელი გამოდგა 2001, როდესაც სიმინდის მოსავლიანობა 15.6 ცენტინერამდე შემცირდა.

სიმინდის ყველაზე მაღალი მოსავლიანობა აღინიშნა 1996 წელს. ეს წელი ნალექებითა და ტემპერატურული მონაცემების მიხედვით არ გამოირჩევა სხვა წლებისგან და ძნელი ასახსნელია ასეთი მკვეთრი მატების მიზეზი, რომელიც შეიძლება კლიმატთან არ იყოს დაკავშირებული ან უფრო დეტალურ კვლევას მოითხოვდეს რა მოხდა ვეგეტაციის ცალკეულ ეტაპზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 80-იან წლებთან შედარებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სიმინდის თესვის ჰერიონდი და, შესაბამისად, განვითარების ფაზები გადაწეულია თითქმის ერთი თვით. ბევრგან სიმინდი ითესება მაისის მეორე ნახევარში და ზოგჯერ ივნისის პირველ რიცხვებშიც. გვიანი თესვა არ უნდა იყოს გამოწვეული კლიმატური ფაქტორებით, რადგან როგორც მეტეოროლოგიურ მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს აპრილ-მაისში პრაქტიკულად არ შეცვლილა ტემპერატურული რეჟიმი.

არ აღინიშნება რაიმე ცვლილებები სიმინდის სოკოვანი დაავადებების, ასევე სარეველების გავრცელებაში. მწერებს შორის კვლავინდებურად სიმინდის აზიანებს ღეროს ფარვანა და მდელოს ხვატარი, რომლებსაც ბოლო რამდენიმე წელია დაემატა აზიური ფაროსანა.

5.3. მიმინდის და კონტროლირებული ფალილებები სიმინდის აგროკლიმატურ ზონირებაში

სიმინდის მოსაყვანად აუცილებელი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საადრეო და საგვიანო ჯიშებისათვის $1700-2800^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო საშუალო სიმწიფის სიმინდისათვის 2200°C -ია. ნალექების საჭირო ჯამი, როგორც საადრეაო, ისე საგვიანო ჯიშებისათვის შეადგენს 800 მმ-ს. აგროკლიმატური ზონირება ჩატარდა საშუალო სიმწიფის სიმინდისათვის.


აგროკლიმატური ზონირების შედეგად გამოიყო შემდეგი სამი ზონა:

1 ზონა - სიმინდის მოსაყვანად არ არის საკმარისი სითბო (სურათზე 5.4 აღნიშნულია წითლად);


2 ზონა - შესაძლებელია სიმინდის მოყვანა წყლით უზრუნველყოფის შემთხვევაში (სურათზე 5.4 აღნიშნულია ღია მწვანე ფერით);

3 ზონა - ხელსაყრელი კლიმატური პირობები სიმინდის მოსაყვანად (სურათზე 5.4 აღნიშნულია მუქი მწვანე ფერით).


1966-1990 წლები



1991-2015 წლები



2071-2100 წლები



ნახაზი 5.4. ცვლილებები სიმინდის აგროკლიმატურ ზონირებაში 1966-90, 1991-2015 და 2071-2100 წლებში

ცხრილი 5.1. სიმინდის მოსაყვანად ხელსაყრელი ზონების ფართობები სხვადასხვა დროით პერიოდში

	1966-90 წ.წ. (ჰა)	1991-2015 წ.წ (ჰა)	2071-2100 წ.წ. (ჰა)
ზონა 2	1601500	1643400	3528000
ზონა 3	2414600	2568800	1742200

ნახაზი 5.4-სა და ცხრილი 5.1-ის მიხედვით, მიმდინარე პერიოდში სიმინდის მოსაყვანად ხელსაყრელი ტერიტორიების ფართობი იზრდება. მომავალში მნიშვნელოვნად მოიმატებს ტერიტორიის ფართობი, სადაც სიმინდის მოყვანა იქნება ხელსაყრელი, მაგრამ საჭიროებს რწყვას, ხოლო შემცირდება იმ ტერიტორიის ფართობები, სადაც შესაძლებელია სიმინდის ურნწყავად მოყვანა. ნაწილი ტერიტორიებისა, რომლებშეც მომავალში საკმარისი სითბო იქნება სიმინდის მოსაყვანად ძირითადად მთიანია, სადაც ნალექის რაოდენობა სავარაუდოდ საკმარისი იქნება მოსავლის მისაღებად რწყვის გარეშეც. ამდენად ამ ადგილებში სიმინდის მოყვანა ეკონომიკურად შესაძლოა უფრო გამართლებული იყოს მომავალში.

მიმდინარე პერიოდში, გაცილებით მცირეა სიმინდის ნათესი ფართობები იმ ტერიტორიასთან შედარებით, სადაც არის ხელსაყრელი კლიმატური პირობები სიმინდის მოსაყვანად. საშემოდგომო ხორბლის ანალოგიურად აღნიშნული განპირობებულია ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული გარემოებით.

5.4. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შეფასება სიმინდის მოსავლიანობასა და საირიგაციო წევავლენის შეფასება მოდელის საშუალებებით

სიმინდის მოსავლიანობასა და საირიგაციო წევავლენის შეფასებული კლიმატის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილების ზეგავლენა შეფასებულ იქნა Aquacrop(FAO) მოდელის და ექსპერტების ერთობლივი შეფასებებით.¹⁵ მოდელით სიმულირებული იქნა 4 სხვადასხვა პერიოდი: ორი მიმდინარე 25-წლიანი (1966-1990 წწ.; 1991-2015 წწ.) პერიოდი და ორი საპროგნოზო 30-წლიანი პერიოდი (2021-2050 წწ; 2070-2099 წწ.).

მოდელში შემავალი სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური პარამეტრები ყველა განხილული პერიოდისათვის და შესაბამისი სიმულირებული მოსავლიანობა მოცემულია ცხრილში 5.2.

¹⁵ <http://www.fao.org/land-water/databases-and-software/aquacrop/en/> მომავლის კლიმატის სიმულირებისას გამოყენებულ იქნა IPCC კლიმატის ცვლილების A1B სცენარი. კლიმატური პარამეტრები (ატმოსფერული ნალექები, ჰაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ეტალონური ევაპოზრანსპირაცია) მიღებული იქნა გლობალური ცირკულაციური მოდელის (ECHAM4.1) რეგიონზე დამასტებით/დაყვანით რეგიონები დინამიკური კლიმატური მოდელის (RegCM) საშუალებით.

ცხრილი 5.2. სიმინდის სავგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები და ცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (ზუგდიდი)

პერიოდი / ჰარამეტრი	წლები, მ	ეკონომიკური რაოდი, მმ	აქტუალ ტემპერატურაზე, °C	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნები)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW30)
1966-1990(1)	742	470	1740	2.03	2.10	2.09
1991-2015(2)	677	492	1891	1.99	2.16	2.14
2021-2050 (3)	910	506	1912	1.94	2.21	2.17
2070_2099(4)	630	487	2153	2.07	2.24	2.21
აბს. ცვლილება_21 ¹⁶	-65	22	152	-0.04	0.06	0.05
აბს. ცვლილება_32	233	14	21	-0.05	0.05	0.03
აბს. ცვლილება_42	-47	-5	262	0.08	0.09	0.07
ფარდ. ცვლილება_21	-9%	5%	9%	-2%	3%	3%
ფარდ. ცვლილება_32	34%	3%	1%	-3%	2%	1%
ფარდ. ცვლილება_42	-7%	-1%	14%	4%	4%	3%

ცხრილში 5.2 მოცემულია ის შედეგები, რომელიც მიიღება CO_2 -ის ეფექტის გათვალისწინების გარეშე, რადგან FAO-ს თანახმად¹⁷ CO_2 -ის ეფექტი სიმინდის კულტურაზე უმნიშვნელოა.

მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობის რეალურ სტატისტიკასთან შედარებისას გასათვალისწინებელია, რომ მოდელი არ განიხილავს მოსავლის პროდუქტიულობაზე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას, როგორიცაა ექსტრემალური მოვლენები: წყალდიდობები, სეტყვა, ძლიერი ქარები და ა.შ.. გარდა ამისა, ტემპერატურის ზრდითა და თბური ტალღების გახშირებით იზრდება ხანძრების რისკი, მავნებლების გამრავლების და დაავადებების გამოვლინების სიხშირე და რაც მთავარია, მოდელი განიხილავს აგროტექნიკური ღონისძიებების სრულყოფილად და დროულად გატარებას და მაღალი ხარისხის სერთიფირებული თესლის უზრუნველყოფას. შესაბამისად მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობა უფრო აღნიშნული რეგიონისათვის პოტენციალის მაჩვენებელია ვიდრე რეალური სურათის და სტატისტიკის, თუმცა იდელურ პირობებში შეიძლება კარგი თანხვედრაც მოხდეს. ნახაზე 5.3 მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ზუგდიდის რაიონში რეალური მოსავლიანობა 10% მაღალია მოდელირებულზე, მხოლოდ ზოგიერთი გამონაკლისი წლებია, როდესაც სხვადასხვა კლიმატური თუ ადამიანური ფაქტორების გამო მოსავლიანობა შედარებით დაბალია. ამის გამომწვევი მიზეზები ახსნილია შესაბამის ქვეთავში. ნახაზიდან ასევე ჩანს მოსავლიანობის კლების ტრენდი მეორე პერიოდში, რაც გაგრძელდება 2050 წლამდე, თუ ზუსტად იგივე პირობები დარჩა (მაგრამ შეიძლება შემოიტანონ მაღალმოსავლიანი ჟიშები და მაშინ სურათი შეიცვლება).

რაც შეეხება მოთხოვნილებას სარწყავ წყალზე ცხრილში 5.3 მოცემულია სიმინდის კულტურის მოთხოვნილება სარწყავი წყალზე ადვილად ხელმისაწვდომი წყლის (RAW¹⁸) ორი სცენარის მიხედვით. ნარინჯისფერი ფონი მიუთითებს სარწყავი წყლის მოთხოვნილების ზრდაზე, ხოლო მწვანე-შემცირებაზე.

¹⁶ აღნიშნავს ცვლილებას მე-2 და 1-ლ პერიოდებს შორის. შესაბამისად დანარჩენი პერიოდებისთვისაც

¹⁷ გაზრდილი ტემპერატურა და CO_2 კონცენტრაცია განიხილება, როგორც კლიმატის ცვლილების ძირითადი მექანიზმი, რომელსაც მოსავლის პროდუქტიულობაზე ექნება ძნიშვნელოვანი გავლენა წყლის გამოყენების გაზრდილი ეფექტურობისა და ბიომასის დაგროვების მეტვებით, თუმცა სხვა კულტურებით მედარებით სიმინდისთვის ნაზრდი შედარებით მცირეა, რაც აისხება სიმინდის მიერ ნახშირადის ფიქსციის მაღალი უნარით.

¹⁸ ფესვთა გავრცელების ზონაში არსებული ადვილად ხელმისაწვდომი წყლის (RAW) ორი სცენარი, როდესაც ფესვთა ზონის დასაშვები გამოშრობის ხარისხი შეაღენს 50 და 30% (RAW50, RAW30).

ცხრილი 4.3. სიმინდის საირიგაციო წყალმოთხოვნილების მნიშვნელობები (მმ) და ცვლილება 1991-2015 (2) და 1966-1990 (1), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) ჰერიოდებს შორის

ჰერიოდი/ცვლილება	სამეცნიერო-ზემო სვანეთი (ზუგდიდი)	
	RAW50	RAW70
1966-1990(1)	17	6
1991-2015(2)	30	16
2021-2050 (3)	41	18
2070_2099(4)	50	22
აბს. ცვლილება_21	14	9
აბს. ცვლილება_32	11	2
აბს. ცვლილება_42	20	7
ფარდ. ცვლილება_21	82%	148%
ფარდ. ცვლილება_32	37%	14%
ფარდ. ცვლილება_42	66%	42%

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სარწყავი მოთხოვნილებაზე ასევე იმოქმედებს ირიგაციის ტექნოლოგია, რომელიც ადგილზე გამოიყენება, რამდენადაც სხვადასხვა სარწყავი სისტემები ხასიათდებიან წყლის ხარჯვის განსხვავებული ეფექტურობით. მოდელში კამური საირიგაციო წყალმოთხოვნილების შეფასებისას გათვალისწინებულია ე.წ. დაწვიმებით (Sprinkler irrigation) რწყვის ტექნოლოგია. მოდელირების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- კლიმატის ცვლილების შერჩეული სცენარის (A1B) მიხედვით, მთელი საკვლევი ჰერიოდის განმავლობაში როგორც ურწყავი, ისე სარწყავი მინათმოქმედების პირობებში, სიმინდის მოსავლიანობა წლიდან წლამდე საკმაოდ სტაბილურია, საკვლევ ჰერიოდებს შორისაც უმნიშვნელოდ იცვლება ($\pm 4\%$) და საშუალოდ 2-2.5 ტ/ჰა-ს შეადგენს.
- სიმინდის კულტურისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მიეკუთვნება ნიადაგის წყალშემცველობის სტრესის მიმართ მგრძნობიარე კულტურათა რიცხვს, ნალექის ცვლილების ეფექტი არ აღმოჩნდა თვალსაჩინო, რასაც საკვლევი ტერიტორიის მაღალი ტენიზრუნველყოფა განაპირობებს. ამავე მიზეზით არ გამოვლინდა ირიგაციის რაიმე მნიშვნელოვანი ეფექტი მოსავლიანობის მატებაზე.
- სიმულაციის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ მთელი საკვლევი ჰერიოდის განმავლობაში მცენარებები მოქმედი სტრესული ფაქტორები (ტემპერატურა, ფოთლის გაშლა, მცენარის ბაგების დახურვა) უმნიშვნელოა და მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში აღინიშნება.
- საკვლევ რეგიონში სიმინდის 8რდა-განვითარებისთვის როგორც ამჟამად, ისე მომავალში ხელსაყრელი გარემო პირობები არსებობს და საშუალო მოსავლიანობის მცირე მაჩვენებელი (გლობალურთან შედარებით) უფრო მეტად კულტურის კიშით ან სხვა მიზეზით (მავნებლები, დაავადებები, არაეფექტური მენეჯმენტი) უნდა იყოს განპირობებული.

5.5. რეკომენდაციები სიმინდის წარმოების ადაპტაციისათვის

- გაუმჯობესებული ჰიშების წარმოება: სიმინდის ჰიბრიდულის გავრცელება; თუმცა, გატარებული უნდა იქნეს ღონისძიებები უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისათვის (მაგალითად საიზოლაციო მანძილების დაცვა აღგილობრივი პოპულაციების გენეტიკურად დაბინძურების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ჰიბრიდული ჰიშების მოსაყვანად საჭირო ინტენსიური ტექნოლოგიის ადაპტირება დასავლეთ საქართველოს უხვნალექიანი პირობებისათვის და მისი დანერგვა);
- ადგილობრივი ჰიშების რენტაბელობის ამაღლება გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე, ადგილობრივი ჰიბრიდულის გავრცელება. ჰიბრიდულისა და ადგილობრივი ჰიშების ნათესები უნდა მოეწყოს ერთამანეთისგან 300-400 მეტრის დაშორებით, რომ არ მოხდეს ადგილობრივი ჰიშებისა და ჰიშ-პოპულაციების დაბინძურება უცხო სიმინდის მტვრის მარცვლით.
- წინამორბედი კულტურების დათესვა, როგორიცაა სოია;
- აგროტექნიკური ღონისძიებები: ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესება და დიფერენცირება ზონების მიხედვით.

5.6. სიმინდის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლივანობის ანალიზი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კლიმატის მიმდინარე ცვლილებასთან სიმინდის კულტურის წარმოების პროცესის ადაპტაციის მიზნით გამოიკვეთა ორი ღონისძიება, რომელთათვისაც ჩატარდა ხარჯთ-სარგებლივანობის ანალიზი. თითოეული ღონისძიება შეფასდა ორი სცენარით.

სიმინდი მინდვრის ბევრ სხვა კულტურაზე უკეთ იტანს მაღალ ტემპერატურას და მისთვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობებია ამჟამად ზუგდიდის რეგიონში მაღალი მოსავლის მისაღებად, რაც ვერ ხერხდება ადგილობრივი ჰიშების საშუალებით. კოლხეთში წლიური და სავეგეტაციო ჰერიოდის ნალექების ჟამი საკმარისიადა ასეც იქნება 2050 წლამდე სიმინდის წარმოებისათვის. თუმცა ზოგიერთი წლის ცალკეულ თვეებში სიმინდი ტენის ნაკლებობას განიცდიდა წარსულშიც, რაც ამცირებდა მის მოსავლიანობას და ეს გაგრძელდება მომავალშიც. კლიმატის ცვლილებასთან ერთად ტენის ნაკლებობის საფრთხე მნიშვნელოვნად (12%-ით) გაიზრდება საუკუნის მეორე ნახევარში.

უკვე პირველ საპროგნოზო ჰერიოდში (2020-2030) გაზაფხულზე ნალექი მცირდება 21%-ით, რაც გავლენას ახდენს ამ კულტურის ვეგეტაციაზე. ამ პირობებში აუცილებელია ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებადი სიმინდის მაღამოსავლიანი ჰიშების გამოყენება. ჰიბრიდული, რომელიც ადგილობრივ ჰიშებთან შედარებით მაღალმოსავლიანია, ბევრია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. მაგრამ აქ, კლიმატურ პირობებთან ერთად, გასათვალისწინებელია ის, რომ დასავლეთ საქართველოში სიმინდი უმთავრესი პურეული კულტურაა და ჰიშის გემურ თვისებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის. ამჟამად ხელმისაწვდომი უცხოური ჰიბრიდული მეტნილად პირუტყვის საკვები მიმართულებისაა და მათი გამოყენება სურსათად გამორიცხულია დაბალი გემური თვისებების გამო. ამ ჰიბრიდულის არეალი თანდათან ფართოვდება მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად.

ანალიზი ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე მხოლოდ. განიხილება თეთრი სიმინდი, რომელიც დასავლეთში გამოიყენება როგორც სასურსათო მიზნებისათვის, ასევე პირუტყვის საკვებად და ქართული და უცხოური ჰიბრიდული, რომელიც მხოლოდ პირუტყვის საკვებად გამოიყენება. იგულისხმება, რომ ფერმერების გარკვეული ნაწილი ქართული ჩვეულებრივი ჰიშის სიმინდიდან გადადის ქართულ ჰიბრიდზე, ხოლო ნაწილი ფერმერებისა გადადის უცხოურზე. ანალიზი სტანდარტულად მოიცავს 11 წელს (2018-2028). დეტალური დაშვებები და გამოთვლები ღონისძიებებთან დაკავშირებით მოცემულია დანართში 1.5.

ძირითადი სარგებელი, რომელიც მიიღება **პიველი ღონისძიების** (ჰიბრიდულის გამოცდა ადგილობრივ ჰირობებში) ფარგლებში არის დამატებითი მოსავლის ღირებულება. ქართული ჰიბრიდის გამოყენების შემთხვევაში მოსავლიანობა იზრდება 3.5 ტ/ჰა-დან 7 ტ/ჰა- მდე, ხოლო უცხოური ჰიბრიდის შემთხვევაში იგი იზრდება 7 ტ/ჰა-დან 10 ტ/ჰა-მდე. რაც შეეხება დანახარჯებს, აյ ძირითადად შედის სხვაობა ჰიბრიდული ჭიშის წარმოების დანახარჯებსა და ჩვეულებრივი ჭიშის წარმოების დანახარჯებს შორის. ქართული ჰიბრიდის გამოყენების შემთხვევაში დანახარჯი იზრდება 1,230 ლ/ჰა-დან 2,043 ლ/ჰა-მდე, ხოლო უცხოური ჰიბრიდის შემთხვევაში - 1,230 ლ/ჰა-დან 2,523 ლ/ჰა-მდე.¹⁹ საერთო დანახარჯი მთელს ჰერიოდში 505 მლნ ლარია (4,877 ჰა). სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება ჰერიოდის ბოლოს არის 469,368ლარს მაღალი დისკონტის განაკვეთის ჰირობებში, რაც ნიშნავს, რომ ღონისძიება მომგებიანია.

ამ ღონისძიების მეორე სცენარი განიხილავს მოსავლის შემცირებას საბაზისო ტექნოლოგიების (არაჰიბრიდული ჭიშის) გამოყენების შემთხვევაში. თუ კლიმატის ცვლილების გამო ტემპერატურამ თანდათანობით იმატა, ეს გამოიწვევს სიმინდის (ჩვეულებრივი ჭიში, არა ჰიბრიდული) მოსავლის შემცირებას 3.5 ტ/ჰა-დან 1.1 ტ/ჰა-მდე.²⁰ ამ ღონისძიების მოგება ჰერიოდის ბოლოს 777,579ლარია.

მეორე ღონისძიება გულისხმობს მზრალად ხვნის აგროტექნიკურ ღონისძიებას. როგორც წესი, დასავლეთ საქართველოში სიმინდისათვის განკუთვნილი ნიადაგი მზრალად უნდა მოიხსა ნოემბრის ბოლოს, დეკემბერის დასაწყისში. მოხნული ნიადაგი ზამთრის განმავლობაში აგროვებს ტენს, მისი კოშტები დაბალი ტემპერატურის მოქმედებით იშლება და გაზაფხულზე, თესვის წინ, მხოლოდ ნიადაგის კულტივაციაა (ზედაპირული დამუშავება) საჭირო. გამონაკლისს წარმოადგენს ზღვისპირა დაბლობზე განლაგებული მინდვრები, სადაც ძალზე უხვი და ძლიერი წვიმების გამო ნიადაგი იტკეპნება და ადრე გაზაფხულზე თავიდან მოსახნავი ხდება. გაზაფხულზე მოხნული ნიადაგი კი სწრაფად შრება (მაღალი ტემპერატურის გამო), რაც თესლის აღმოცენებასა და ღივის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ წვიმიან დაბლობ ადგილებში მზრალად ხვნა უფრო გვიან, თებერვლის ბოლოს ან მარტში არის სასურველი - ასეთ შემთხვევაში ნიადაგი ვერ მოასწრებს გამომრობას თესვის წინ და ხვნა საჭირო აღარ იქნება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მზრალად ხვნის ოპტიმალური ვადების დაცვა, რაც დღევანდელ ჰირობებში არ ხდება.

ეს ღონისძიება გულისხმობს თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანის ორი ტექნოლოგიის შედარებას: ორი ალტერნატივის შედარებას: ფერმერულ მეურნეობებში ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აბაშის საცდელ სადგურზე დანერგილი გაუმჯობესებული ტექნოლოგიის.

ანალიზი მოიცავს 11 წლიან სტანდარტულ ჰერიოდს (2018-2028). ძირითადი სარგებელი ამ ღონისძიების გატარებისას არის ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად ნამეტი მოსავლიდან შემოსავალი. საბაზისო და ფერმერულ მეურნეობებში გავრცელებული სიმინდის მოყვანის ტექნოლოგია იძლევა 3.5 ტ/ჰა-ზე, ხოლო გაუმჯობესებული ტექნოლოგიით შესაძლებელია 5 ტ/ჰა-ზე მიღება. სხვაობის ღირებულება არის დამატებითი სარგებელი, რომელსაც ფერმერი იღებს. რაც შეეხება დანახარჯს, ესაა სხვაობა საბაზისო და გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების ღირებულებებს შორის. გაუმჯობესებული ღონისძიებები უფრო მეტ მოსავალს იძლევა, თუმცა უფრო ძვირია და მთელი ჰერიოდის განმავლობაში დანახარჯი შეადგენს 2.9 ლარს, ხოლო მოგება ჰერიოდის ბოლოს 2.5 მლნ ლარია (788 ჰა). მოგებაა დისკონტის მაღალი 10%-იანი განაკვეთის შემთხვევაშიც.

იგივე ღონისძიების **მეორე სცენარი** განიხილავს დანახარჯების გაზრდას საბაზისო აგროტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში კლიმატის ცვლილების ჰირობებში.

თუ კლიმატის ცვლილების შედეგად ტემპერატურა გაიზრდება, ერთი და იგივე მოსავლის მისაღებად საბაზისო აგროტექნიკური ღონისძიებები გაძვირდება. იგულისხმება, რომ დანახარჯები ყველაზე გაიზრდება 5%-ით. ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს, ღონისძიება საკმაოდ მომგებიანია.

¹⁹ მონაცემების სიმშირის გამო არ განიხილება ის შემთხვევა, როდესაც ფერმერი ქართული ჰიბრიდიდან გადადის უცხოურზე

²⁰ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით 1,1 ტ/ჰა არის ყველაზე დაბალი მაჩვანებელი, რომელიც დაფიქსირებულა სამეცნიერო რეგიონისთვის 2006-2013 ნაირის მანძილზე

5.7. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში

ღონისძიების სოციალური ეფექტი არაა, ამ შემთხვევაში, დათვლილი მონეტარულ ერთეულებში, მაგრამ სიმინდის მოსავლიანობის და ხარისხის გაზრდას მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტი ექნება, რადგან ეს კულტურა ძირითადად მცირე ფერმებში და მოსახლეობაშია გავრცელებული და გამოიყენება როგორც სასურსათედ, ასევე საქონლის საკვებად ანუ ამ ღონისძიებას ეფექტი ექნება მეცხოველეობის განვითარებაშიც. სტატისტიკური მონაცემების თანახმად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი პირველ ადგილზეა მსხვილფეხა პირუტყვის წარმოების მხრივ. ჰიბრიდული გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაცულ იქნეს შესაბამისი უსაფრთხოების ზონები.

სიმინდის წარმოებაში მოსავლიანობის გაზრდის ღონისძიებები გარდა იმისა, რომ სრულად ჰდება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებებში, ასევე ეთანხმებადა წვლილი შეაქვს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში. კერძოდ, სტრატეგიის იმ მიმართულებაში, რომელიც გულისხმობს ადგილებზე ცოდნის ამაღლებას აგროტექნიკურ ღონისძიებებზე, თესლისა და სარგავი მასალის ადგილზე წარმოების ხელშეწყობას და სერთიფიცირებას.

ორივე რეკომენდირებული ღონისძიება სიმინდის წარმოების ადაპტაციისათვის კლიმატის ცვლილებასთან უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსტენციის ცენტრების აქტიური ჩართულობით და ფერმერების მიერ.


6. კლიმატის ცვლილების გავლენა კარტოფილის წარმოებაზე და საბადაპტაციო ღონისძიებები

6.1. კარტოფილის წარმოება საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ვარტოფილი შედარებით ახალი კულტურაა. მე-19 საუკუნემდე ის სრულიად უცნობი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ვარტოფილის პირველი ნათესები საქართველოში გაჩნდა მე-19 საუკუნის მეორე ათწლეულში (1818-1819 წ.). მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარტოფილის მოყვანას ხელი მოჰყო ადგილობრივმა მოსახლეობამაც, განსაკუთრებით ახალციხისა და გორის მაზრაში. 1913 წელს ვარტოფილის ნათესი ფართობი საქართველოში 6800 ჰექტარს არ აღემატებოდა, ხოლო 1970 წლების ბოლოსათვის ის ოთხჯერ უფრო მეტად გაიზარდა და 32 ათას ჰექტარს გადააჭარბა. ვარტოფილის ნათესების 80 %-ი მოქცეულია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და გავრცელებულია უმთავრესად მთიან მუნიციპალიტეტებში: ახალციხის, ახალქალაქის, წალკის, დმანისის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, თიანეთის, დუშეთის მუნიციპალიტეტებში. დასავლეთ საქართველოში ვარტოფილის მოყვანას შედარებით ფართოდ მისდევენ შიდა მთიან აჭარაში - ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე ზემო და ქვემო სვანეთში. მცირე რაოდენობით მოჰყავთ ის ზემო იმერეთსა და რაჭაში. საადრეო ვარტოფილი მოჰყავთ ქვემო ქართლში - ბოლნისის, მარნეულის და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში.


დღესდღეობით, საქართველოში ვარტოფილის მნარმოებელი წამყვანი რეგიონებია სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და აჭარა, თუმცა მევარტოფილეობის დიდი ტრადიცია არსებობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც. დუშეთში, თიანეთში და ყაბბეგში მევარტოფილეობა ერთ-ერთ იძირითადი მიმართულებაა.

კარტოფილის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (2006-2015 წ.წ)



ნახატი 6.1. კარტოფილის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

კარტოფილის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (ათასი ჰექტარი)



ნახატი 6.2. კარტოფილის ნათესი ფართობები რეგიონების მიხედვით (ათასი ჰა)

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის ეს კულტურა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი იჩენს შეგუების დიდ უნარს მთიანი ჰავების პირობებისადმი და თავისი გავრცელებით აღწევს ისეთ სიმაღლეს ბლვის დონიდან, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა კულტურის მოყვანა.

საქართველოში კარტოფილის მოსავლიანობა გლობალურ მაგალითებთან შედარებით ზოგადად დაბალია, რაც გამოწვეულია მინათმოქმედების დაბალი კულტურით და კლიმატური პირობებით.

საქართველოში ყველაზე მეტად კარტოფილის თეთრ ტუბერიანი ფერის ჭიშებია გავრცელებული, თუმცა გვხვდება წითელი და ლურჯ ტუბერიანი კარტოფილიც. ღონისძიების მიერ საქართველოში, მათ შორის აჭარაში გამოიცადა კარტოფილის მრავალი ჭიში, რომელთაგანაც დარაიონდა 15 საუკეთესო ჭიში: აგრია, დეზირე, სანტე, მაჟესტიკი, ნევსკი, მარფონა, პიკასო, ველოქსი, ალვარა და სხვა.

კლიმატის ცვლილებასთან საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ეროვნული საადაპტაციო გეგმის მომზადების პროცესში კარტოფილის მოსავლიანობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის, აჭარისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებისთვის.


6.2. კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა კარტოფილის მოსავლიანობაზე

ახალციხის მუნიციპალიტეტში 1970 წლიდან 1990 წლამდე კარტოფილის ნათესებს 1,000–1,600 ჰექტარამდე ეკავათ. 1993 წლიდან 2000 წლამდე კარტოფილით დაკავებული ფართობების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და ერთეულ ჰექტარებს არ აღემატებოდა, 2000 წელს კი კარტოფილის ნათესმა ფართობებმა მოიმატა და 2,300 ჰექტარი შეადგინა. 2016 წელს მთელს სამცხე-ჯავახეთში კარტოფილის ნათესი ფართობი 10,800 ჰა იყო.

ახალციხის მუნიციპალიტეტში 1970-2000 წლებში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 7.7 ტ/ჰა-ზე იყო, ხოლო 2013-2015 წლებში მოსავლიანობა ორჯერ და მეტად გაიზარდა და 16.6 ტონაა ჰექტარზე შეადგინა.ამ რეგიონში ზაფხულის თვეებში 15 დღით გაიზარდა ისეთი დღეების რაოდენობა, როცა ტემპერატურა 30°C -ს აღემატება, რაც არც თუ ისე დადგებითია კარტოფილის კულტურისათვის, რადგან ამ ჰერიოდში მცენარის ვეგეტაცია/განვითარება ჩერდება. ახალციხის, ადგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების კარტოფილისნათესების მხოლოდ 40% ირწყვება, ის ტერიტორიები რაც დაბლობ გონაშია, სეზონზე საშუალოდ 3-4-ჯერ. მთიან აღგილებში რწყვა არ ხდება. სარწყავი წყლის ნაკლებობა (სარწყავი წყლის გრაფიკით მიზოდება) იძულებულს ხდის ფერმერებს მორწყვა აწარმოონ დღის განმავლობაში, რაც ქმნის ჭრაქის გაჩენის დამატებით საფრთხეს.

ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, წარმოება და საშუალო მოსავლიანობის შემდეგი პარამეტრების მიხედვით: კულტურის სახეობა, ტიპი, რეგიონი და წელი

20.00 ნათესი და აღებული ფართობები ათას ჰექტარებში; წარმოება ათას ტონებში, საშუალო მოსავლიანობა ტონა/ჰექტარზე




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო (საქსტატი)

ნახაზი 6.3. კარტოფილის მოსავლიანობა სამცხე - ჯავახეთში (ტ/ჰა)

მაღალ ტემპერატურული დღეების მატებასთან ერთად ამ რეგიონში 10%-ით მოიმატა მაის-ივნისის ნალექების რაოდენობამ ბოლო ათი წლის განმავლობაში, თუმცა ნალექების რაოდენობა მთელ ვეგეტაციის ჰერიოდშინ 5%-ით შემცირდა. როგორც ზემოთ აღინიშნა მაის-ივნისის ნალექების ზრდა გარკვეულ პრობლემებს უქმნის კარტოფილის მოსავალს. ბოლო 5 წლის განმავლობაში მაის-ივნისის ნალექი მომატებულია 17%-ით, რაც ტბორავს კარტოფილის ნათესებს და იწვევს თესლის ლპობას. ასევე გაზრდილია ამ ჰერიოდში თავსხმა ნალექიანი (როდესაც დღეში 25 მმ-ზე მეტი ნალექი მოდის) დღეების რაოდენობა. ამ მოვლენამ, ბოლო წლებში, განსაკუთრებით დააზარალა ახალციხისა და ადგენის მუნიციპალიტეტებში არსებული სავარგულები, ახალციხეში დაახლოებით 120 ჰა ხოლო ადგენში 140 ჰა. ჯარბი ნალექების გამო, ასევე, იტბორება კარტოფილის ნათესები (ძირითადად ვალეში), რაც იწვევს მოსავლის 70%-მდე განადგურებას.

აჭარაში კარტოფილი მოყვავთ ყველა მუნიციპალიტეტში, მაგრამ ძირითადად ხულოში, სადაც არის ყველაზე მაღალი მოსავლიანობა. 1990 წლიდან მოყოლებული ყველაზე დიდ ფართობზე (2,370 ჰა) კარტოფილი აჭარაში დაითესა 2010 წელს, რის შემდეგაც დათესილმა ფართობებმა დაიწყო კლება და 2015 წელს 2,024 ჰა შეადგინა²¹. ბოლო პერიოდში აჭარაში, კერძოდ ხულოს მუნიციპალიტეტში, ხელსაყრელი კლიმატური პირობებია ჩამოყალიბებული კარტოფილის მოსავლიანობის ზრდისათვის. 1980-2010 წლებში აჭარაში კარტოფილის მოსავლიანობა თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. 2007 და 2008 წელს აჭარაში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა იყო 17-18 ტ/ჰა. ბოლო წლებში შეიმჩნევა კარტოფილის საერთო მოსავლის კლება, რაც უფრო დაკავშირებულია კარტოფილის ალტერნატიული კულტურებით ჩანაცვლებასთან, რომელთა მოყვანა ფერმერთათვის უფრო ხელსაყრელია.

ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, წარმოება და საშუალო მოსავლიანობის შემდეგი პარამეტრების მიხედით: კულტურის სახეობა, ტიპი, რეგიონი და წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო (საქსტატი)

ნახაზი 6.4. კარტოფილის მოსავლიანობა ხულოში (აჭარაში) (ტ/ჰა)

კარტოფილის ზრდისა და ტუბერზარმოქმნისათვის ოპტიმალური ტემპერატურა $13-15^{\circ}\text{C}$. მაღალ $25-30^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე ტუბერი ცუდად იზრდება, და 30°C კარტოფილი ზრდას აფერხებს, ხოლო 35°C საერთოდ წყვეტს ვეგეტაციას. მაღალი ტემპერატურის ბრალია ის, რომ ბარის რაონებში, აჭარაში, ზაფხულში კარტოფილი გადაგვარებას განიცდის, ხოლო მთიან რაიონებში 1,200-2,000 მ ზღვის დონიდან კარტოფილი კარგად ვითარდება, მოსავალიც მეტია და ნაკლებად ავადდებიან.

ნალექები მაის-ივნისის თვეში აქაც მომატებულია 9%-ით ბოლო 10 წლის განმავლობაში და 18%-ით ბოლო 5 წლის განმავლობაში, თუმცა აქ კარტოფილის შენახვის პრობლემა გამორჩის პერიოდში არ დამდგარა. ასევე მომატებულია თავსება ნალექიანი (50მმ და მეტი) დღეების მოხდენის ალბათობა. თუ 1966-1990 წლებში ასეთი მოვლენა მხოლოდ ერთხელ იყო ბოლო 5 წლითადში უკვე 2-ჯერ მოხდა. უკანასკნელ პერიოდში (2000-2015 წლებში) 100 მმ-ზე მეტი ნალექიანი დღეების ორჯერ მომატება 1966-2000 წლებთან შედარებით იწვევს კარტოფილის სოკოვანი დაბადებების (ფიტოფორა და ალტერნარიოზი) სწრაფად გავრცელებას.

²¹ ეს ფართობები მოწოდებულია ექსპერტის მიერ, ხოლო სტატისტიკა აჩვენებს ამის ნახევარს 2016 წელს 1000 ჰა-ს მთელ აჭარაში.

კლიმატის დათბობის შესაბამისად 2050 წლისათვის შესაძლებელი იქნება კარტოფილის გავრცელება უფრო მაღალმთიან ზონაში(რაც უკვე დაწყებულია), თუმცა ეს პროცესი უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი, რათა კარტოფილის ფართობების სტიქიურმა ზრდამ, რაც საძოვრებისა და სათიბების შევიწროებას გამოიწვევს, უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის-მეცხოველეობის განვითარებაზე. ასევე, აჭარაში ეს პროცესი სახითათოა დიდი დახრილობის მქონე ნიადაგების ეროვნული პროცესების გამოწვევის კუთხით.


დუშეთის მუნიციპალიტეტში კარტოფილის ნათესი ფართობები 1970-1981 წლებში შეადგენდა 76 ჰექტარს. შემდეგ წლებში კი მკვეთრად შემცირდა და 1-4 ჰექტარს შეადგენდა. 2016 წელს მთლის მცხეთა-მთანეთის ტერიტორიაზე კარტოფილი დაითესა სულ 500 ჰ/კ-ზე. **დუშეთში** 1970-80 წლებში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 5.5 ტ/ჰ/კ-ზე, ხოლო 1993-2000 წლების პერიოდში 2.9 ტ/ჰ/კ-ზე. 2013-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში მოსავლიანობა გაიზარდა და შეადგინა 19.1 ტ/ჰ/კ-ზე. ზოგადად ამ კულტურის მოსავლიანობის შემცირება დაკავშირებულია როგორც აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობასთან, ასევე ცვლილებებთან კლიმატურ პარამეტრებში. კერძოდ, საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში ნალექები მაის-ივნისის თვეში ბოლო 10 წლის განმავლობაში (2006-2015) მომატებულია 13%-ით 1966-2015 წლების იმავე თვეების საშუალოსთან შედარებით, ხოლო ბოლო ხუთ წელიწადში (2011-2015) ნაზრდი 22%-ია. ამ პერიოდში ზედმეტი ნალექი იწვევს კარტოფილის თესლის ლპობას და პრობლემა ექმნება ხანგრძლივი პერიოდით მის შენახვას.

დღეისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტის მთიან სოფლებში, კერძოდ ბარისახოს თემში შეინიშნება ზამთრის პერიოდში შენახული კარტოფილის ტუბერების მშრალი სიდამპლე. ამ ეტაპზე ზუსტი მიზეზი დადგენილი არაა, მაგრამ გამორიცხული არაა სწორედ მაის-ივნისში მოსული ზედმეტი ნალექი იყოს მიზეზი. იგივე პერიოდებში მომატებულია თავსხმა წვიმიანი (40 მმ-ზე მეტი) დღეებიც. მეორე 25 წლიან პერიოდში 6 დღით და ბოლო 5 წელიწადში ამან ყოველწლიური ხასიათი მიიღო. სხვამხრივ კლიმატის ცვლილების რაიმე თვალსაჩინო გავლენა კარტოფილზე დუშეთის რაიონში არ დაიკვირვება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარტოფილის ვეგეტაციის პერიოდში ტემპერატურა მეორე პერიოდში (1991-2015) პირველ პერიოდთან შედარებით მომატებულია 2.5°C -ით, რაც ძირითადად მაღალ ტემპერატურული ($>30^{\circ}\text{C}$) დღეების გაზრდის ხარჯზე მიმდინარეობს. ასეთი დღეები მეორე პერიოდში 10 დღითაა გაზრდილი. მუნიციპალიტეტის ბარის სოფლებში უკვე გჩნდა კარტოფილის ისეთი დაავადებები, რომელთა წინააღმდეგ სპეციალურ აგროტექნიკურ ღონისძიებებს ატარებს ადგილობრივი მოსახლეობა. ასეთ დაავადებებს ჰქონ არ შეუწევებია მთის მოსახლეობა, მაგრამ უახლოეს მომავალში მთიან რეგიონებში დათბობის ფონზე (2050 წლისათვის მოსალოდნელია ვეგეტაციის პერიოდში ტემპერატურის 8°C -ით ზრდა, ხოლო ცხელი დღეების კიდევ 14 დღით გაზრდა) მოსალოდნელია კარტოფილის დაავადებების გახშირება და აქაც საჭირო იქნება აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება.

6.3. მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები კარტოფილის ამონაკლიმატურ ზონები

კარტოფილის მოსაყვანად საჭიროა $1500-2800^{\circ}\text{C}$ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი²². ნახაზე 6.3 წარმოდგენილია საქართველოში კარტოფილის მოსაყვანად ხელსაყრელი აგროკლიმატური ზონების ცვლილება 1996-1990, 1991-2015 და 2071-2100 წლების პერიოდებში.



ნახაზი 6.3. ცვლილებები კარტოფილის აგროკლიმატურ ზონებში 1966-1990, 1991-2015 და 2071-2100 წლების პერიოდებში

²² ცხადია იმ ტერიტორიაზე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 28000°C გრადუსის მოყვანა უკონიმიკურად უფრო მომგებიანი კულტურები, ვიდრე კარტოფილი

ცხრილში 6.1 მოცემულია ვარტოფილის მოსაყვანად ხელსაყრელი აგროკლიმატური ზონების ფართობების ცვლილება იმავე პერიოდებში. აქ წარმოდგენილი აგროკლიმატური ზონების ფართობები აგებულია მხოლოდ კლიმატური პარამეტრების კომბინაციაზე დაყრდნობით და არ ასახავს რეალურ პოტენციალს, რომლის შესაფასებლად საჭიროა ამ ზონებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ვატეგორიის მიწების ფართობების შეფასება, ნიადაგების ტიპების დადგენა ვარტოფილისთვის ვარგისიანობაზე და ა.შ., რომელიც ამ ეტაპზე არ გავთებულა. ვარტოფილის მოყვანა ეკონომიკურად უფრო გამართლებულია მეორე ზონაში, სადაც ნაკლები ნალექებია და შედარებით გრილა, რადგან ვარტოფილი ვერ უძლებს დიდ სიცხეებს და არ უყვარს ზედმეტი წყალი. მისი მოყვანა შესაძლებელია მე-3 ზონაშიც, რომლის ფართობიც იზრდება, მაგრამ ამისთვის უნდა შეფასდეს ხარჯთ-სარგებლიანობა იმ კულტურებთან შედარებით, რომლებიც ახლაა ამ ტერიტორიებზე.

ცხრილი 6.1. ვარტოფილის მოსაყვანად ხელსაყრელი აგროკლიმატური ზონების ფართობების ცვლილება

	1966-90 წ.წ. (ჰა)	1991-2015 წ.წ (ჰა)	2071-2100 წ.წ. (ჰა)
ზონა 2	4467500	4360900	4139900
ზონა 3	7954500	8366000	10901200

ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მეტი ფართობი 26,200 ჰა საქართველოს ტერიტორიაზე დაითვა 2013 წელს და აქედან 47% სამცხე-ჭავახეთის ტერიტორიაზე.

6.4. კლიმატის მოსალოდნელი გადატევის გავლენის შეფასება კარტოფილის მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმომოւრებული მოდელის საშუალებებით

ვარტოფილი მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმომოւრებული კლიმატის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილების ზეგავლენა საქართველოს სამ რეგიონში (ახალციხე, დუშეთი-თასანაური, ხელი) შეფასებულ იქნა Aquacrop(FAO) მოდელის და ექსპერტების ერთობლივი შეფასებებით.²³ მთითოეული რეგიონისათვის მოდელით სიმულირებული იქნა 4 სხვადასხვა პერიოდი: ორი მიმდინარე 25-წლიანი (1966-1990 წწ; 1991-2015 წწ) პერიოდი და ორი საპროგნოზო 30-წლიანი პერიოდი (2021-2050 წწ; 2070-2099 წწ).

მოდელში შემავალი სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური პარამეტრები ყველა განხილული პერიოდისათვის და შესაბამისი სიმულირებული მოსავლიანობა მოცემულია ცხრილებში 6.2; 6.3 და 6.4.

ცხადია, მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობის რეალურ სტატისტიკასთან შედარებისას გასათვალისწინებელია, რომ მოდელი არ განიხილავს მოსავლის პროდუქტულობაზე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას, როგორიცაა ექსტრემალური მოვლენები: ტემპერატურის ზრდითა და თბური ტალღების გახშირებით გაზრდილი მავნებლების გამრავლების და დაავადებების გამოვლინების სიხშირის და ინტენსივობის ზრდა და წყალდიდობები. რაც მთავარია, მოდელი განიხილავს აგროტექნიკური ღონისძიებების სრულყოფილად და ღრუულად გატარებას და მაღალი ხარისხის სერთიფიცირებული თესლის უზრუნველყოფას. შესაბამისად მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობა უფრო აღნიშნული რეგიონისათვის პოტენციალის მაჩვენებელია ვიდრე რეალური სიტუაციის, თუმცა იდელურ პირობებში შეიძლება ვარგი თანხვედრაც მოხდეს. პროექტის ფარგლებში სამივე განხილულ რეგიონში გადამოწმდა საშუალო სტატისტიკური მოსავლიანობა²⁴ და ადგილზე მოსავლიანობის საუკეთესო მაგალითები.

²³ <http://www.fao.org/land-water/databases-and-software/aquacrop/en/> მომავლის კლიმატის სიმულირებისას გამოყენებული იქნა IPCC კლიმატის ცვლილების A1B სცენარი. კლიმატური პარამეტრები (ატმოსფერული ნალექები, ჰაერის მასიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ეტალონური ევაპორანსპირაცია) შეიცვლილი იქნა გლობალური ცირკულაციური მოდელის (ECHAM4.1) რეგიონზე დამასმტაბებით/დაყვანით რეგიონული დინამიკური კლიმატური მოდელის (RegCM) საშუალებით.

²⁴ <http://geostat.ge>

ცხრილებში 6.2, 6.3 და 6.4 განხილულია ის ვერსია, როდესაც მოდელირების პროცესში გათვალისწინებულია CO_2 -ის ეფექტი.

ცხრილი 6.2. კარტოფილის სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები და ცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (ახალციხე)

პერიოდი / პარამეტრი	ნალექი, მმ	კაპიტალის რაოდი, მლ	ჟურნალურა-ტემპერატურა, გრ.°	CO_2 , ppm	მოსავლიანობა, ტ/ჰ/კ	მოსავლიანობა, ტ/ჰ/კ (სრულადი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰ/კ (სრულადი) (RAW70)
1966-1990(1)	294	581	2016	336	7.4	38.2	37.2
1991-2015(2)	278	571	2094	376	6.9	42.4	41.4
2021-2050 (3)	283	573	2174	442	9.5	47.7	46.3
2070_2099(4)	215	519	2375	540	5.2	52.5	50.8
აბს. ცვლილება_21 ²⁵	-17	-10	78	40	-0.5	4.2	4.2
აბს. ცვლილება_32	5	3	80	65	2.6	5.4	4.9
აბს. ცვლილება_42	-63	-52	281	163	-1.7	10.2	9.4
ფარდ. ცვლილება_21	-6%	-2%	4%	11%	-7%	10%	10%
ფარდ. ცვლილება_32	2%	0.4%	4%	17%	38%	13%	12%
ფარდ. ცვლილება_42	-23%	-9%	13%	43%	-25%	24%	23%

არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2006-2016 წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყველაზე დაბალი საშუალო მოსავლიანობა 6.7 ტ/ჰ-ზე 2006 წელს დაფიქსირდა და ამის შემდეგ წლებში საშუალოდ 10-12 ტ/ჰ-ზეა, რამაც 2016 წელს რეკორდულ 15 ტ/ჰ-ზე მიაღწია. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ გარემოებამ, რომ რეგიონში მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობების დახმარებით მოეწყო სარწყავი სისტემები (არხები და წყალსაქაჩები) და ამჟამად კარტოფილის ნათესების 60% ირწყვება, 40% კი არა. ამასთანავე, ფერმერებმა დაინტეს ზედმინევნით კარგად აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება. მიუხედავად ამისა, თუ ურნეავ პირობებში მოსავლიანობა (2006 წ.) დაახლოებით ემთხვევა მოდელის მიერ შეფასებულ საშუალო სიდიდეს მიმდინარე პერიოდში (7.4 -6.9 ტ/ჰ), როცვის პირობებში აე მოსავალი უნდა აღწევდეს 38-42 ტ/ჰ-ზე და ამ რაოდენობას აქვს 8რდადი ტემპი 2050 წლამდე. ამხელა მოსავალი ამ რეგიონში ჰქონის არ დაფიქსირებულა. ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრი ჰქონის არ დაფიქსირებულ 14.5 ტ/ჰ საშუალო მოსავალსიანობას და მაქსიმუმი 25 ტ/ჰ უფრო ძლიერი ფერმერების შემთხვევაში. მოდელის მიხედვით, მომავალ საპროგნოზო პერიოდში მოსავლიანობა კიდევ უფრო იზრდება, როგორც სარწყავ ასევე ურნეავ პირობებში. ამ რეგიონში ძალიან დიდი დანაკარგებია თავსხმა წვიმების შემთხვევაში, როდესაც იტბორება კარტოფილის ნათესები და 70% ნათესის ლპება, ხდება მიწის დეგრადაცია, რაც შეიძლება ერთ-ერტი მიზეზი იყოს შედარებით დაბალი მოსავლიანობის.

²⁵ აღნიშნავს ცვლილებას მე-2 და 1-ლ პერიოდებს შორის. შესაბამისად დანარჩენი პერიოდებისთვისაც

საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით აუცილებელია ადგილზე ყველა აქ მოყვანილი მონაცემის გადამოწმება.

ცხრილი 6.3. კარტოფილის სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები და ცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (ხელო)

პერიოდი / პარამეტრი	ნალექი, მმ	ცვაპორნიპი-რაოჭა, მმ	ატმოსფერული ტემპერატუ-რიანის ზარი, °C ⁺ დღე	O ₂ , ppm	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნება)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW70)
1966-1990(1)	317	470	1837	336	19.5	36.1	35.4
1991-2015(2)	344	463	1849	376	24.7	39.9	39.2
2021-2050 (3)	312	478	2015	441	21.5	43.7	42.5
2070_2099(4)	250	484	2388	539	14.3	49.8	47.8
აბს. ცვლილება_21	28	-7	12	40	5.2	3.9	3.9
აბს. ცვლილება_32	-33	15	166	65	-3.2	3.8	3.3
აბს. ცვლილება_42	-94	21	540	163	-10.4	9.9	8.5
ფარდ. ცვლილება_21	9%	-1%	1%	12%	21%	10%	10%
ფარდ. ცვლილება_32	-9%	3%	9%	17%	-13%	10%	8%
ფარდ. ცვლილება_42	-27%	4%	29%	43%	-42%	25%	22%

არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2006-2016 წლებში აჭარის ა/რ კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 15-16 ტ/ჰა, თუმცა არის წლები (2015), როდესაც საშუალო მოსავლიანობა განახევრდა (7 ტ/ჰა). ყველაზე მაღალი მოსავალი ხულოს მუნიციპალიტეტშია და იგი 20-25 ტ/ჰა აღნევს სხვადასხვა წლებში. ეს სტატისტიკა საკმაოდ კარგად ეხმიანება მოდელის მიერ შემოთავაზებულ სურათს ურწყავი კარტოფილის სცენარში, სადაც მეორე პერიოდში მოსავლიანობა იზრდება, თუმცა 2021 წლის მერე ხულოს მუნიციპალიტეტში კარტოფილის მოსავალი დაინუებს კლებას და მაღალი მოსავლიანობის მისაღებად, რაც მოდელის მიხედვით ხულოს მუნიციპალიტეტის პოტენციალია, აუცილებელი იქნება რწყვა. ამჟამად, აჭარის მთიან ზონაში, კარტოფილი არ ირწყვება მცირედი გამონაკლისის გარდა.

ცხრილი 6.4. კარტოფილის სავეგებაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მიზნები დაცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებსშორის (დუშთი-ფასანაური)

პერიოდი / პარამეტრი	წლები, წ	კლიმატურისპი-რაჟობა, წ	აქტუალ ტემპერატუ-რისა ზე, 0C*წლები	CO ₂ , წყმ	მოსავლიანობა, ტ/ ჰა (წრიწყავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (საწწყავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (საწწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (საწწყავი) (RAW70)
1966-1990(1)	472	457	1626	336	24.1	27.5	27.4	
1991-2015(2)	462	444	1676	376	26.4	30.5	30.4	
2021-2050 (3)	480	469	1772	442	27.9	34.3	34.1	
2070_2099(4)	380	433	1958	540	29.0	37.6	37.3	
აბს. ცვლილება_21	-10	-13	51	40	2.4	3.0	2.9	
აბს. ცვლილება_32	18	25	95	65	1.4	3.8	3.8	
აბს. ცვლილება_42	-82	-11	281	163	2.6	7.1	7.0	
ფარდ. ცვლილება_21	-2%	-3%	3%	12%	9%	10%	10%	
ფარდ. ცვლილება_32	4%	6%	6%	17%	5%	13%	12%	
ფარდ. ცვლილება_42	-18%	-2%	17%	43%	10%	23%	23%	

მცხეთა-მთიანეთში და კერძოდ დუშეთში არასდროს, არც ერთ პერიოდში არ დაფიქსირებულა იმხელა მოსავალი, როგორსაც მოდელი აჩვენებს (ყველაზე მცირე 24 ტ/ჰა). წარსულის ტრენდი, რომელიც 6.2 თავშია განხილული ამბობს, რომ 1970-1980 წლებში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 5.5 ტ/ჰა-ზე (2016 წლის ოფიციალური სტატისტიკაც ამ რიცხვს აჩვენებს, სხვა წლები საერთოდ არაა მოცემული), ხოლო 1993-2000 წლების პერიოდში დაეცა 2.9 ტ/ჰა-ზე, რადგან ამ პერიოდში თითქმის არ ტარდებოდა შესაბამისის აგროკლიმატური ღონისძიებები და თესლიც უხარისხო იყო, ხოლო 2013-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივების ინფორმაციით მოსავლიანობა გაიზარდა და 19 ტ/ჰა-ზე მიაღწია, რასაც არ ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკა, რადგან როგორც ჩანს ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის ცნობით, არაგვისპირის ნაწილი ამ ბოლო პერიოდში გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით 20-25 ტონა რწყვის პირობებში, მაგრამ ეს როგორც ჩანს ერთეული შემთხვევებია. ამ სამსახურების ინფორმაციით მთაში საშუალო მოსავლიანობა 12 ტ/ჰა-ზე, რაც ასევე არ დასტურდება ოფიციალური სტატისტიკით²⁶. მოდელის მიხედვით, მომავალ საპროგნოზო პერიოდში მოსავლიანობა კიდევ უფრო იზრდება, როგორც სარწყავ ასევე ურწყავ პირობებში. ამ რეგიონში აუცილებელი იქნება გადამოწმდეს მაქსიმალური მოსავალი, რომელსაც ფერმერები ღებულობენ და შეირჩეს რეგიონისათვის საუკეთესო აგროტექნიკური ღონისძიებები.

რაც შეეხება მოთხოვნილებას სარწყავ წყალზე ცხრილში 6.5 მოცემულია კარტოფილის კულტურის სარწყავი წყლის მოთხოვნილება განხილულ სამ რეგიონში ადვილად ხელმისაწვდომი წყლის (RAW²⁷) ორი სცენარის მიხედვით. ნარინჯისფერი ფონი მიუთითებს სარწყავი წყლის მოთხოვნილების გრძაზე, ხოლო მწვანე-შემცირებაზე.

²⁶ ამ პროექტში, ამ ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული ადგილზე გასვლა და იქ უფრო ზუსტი ინფორმაციის შეგროვება უშუალოდ მხარმოებლებისაგან

²⁷ ფესვთა გავრცელების ზონაში არსებული ადვილად ხელმისაწვდომიწყლის (RAW) ორი სცენარი, როდესაც ფესვთა ზონის დასაშვები გამოშრომის ხარისხი შეადგენს 50 და 30% (RAW50, RAW30)

ცხრილი 6.5. კარტოფილის საირიგაციო წყალმოთხოვნილების შეზღუდულობები (მმ) და ცვლილება 1991-2015 (2) და 1966-1990 (1), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის სამივე რეგიონში

პერიოდი/ცვლილება	სამცხე-ჭავახეთი (ახალციხე)		აჭარა(ხულო)		მცხეთა-მთიანეთი (თასანაური)	
	RAW50	RAW70	RAW50	RAW70	RAW50	RAW70
1966-1990(1)	251	235	153	134	63	50
1991-2015(2)	250	235	133	119	65	52
2021-2050 (3)	233	218	138	124	70	57
2070_2099(4)	232	216	175	160	83	62
აბს. ცვლილება_21	-1	1	-20	-16	3	2
აბს. ცვლილება_32	-17	-17	5	6	5	5
აბს. ცვლილება_42	-18	-19	42	42	18	10
ფარდ. ცვლილება_21	-0.4%	0.3%	-13%	-12%	4%	3%
ფარდ. ცვლილება_32	-7%	-7%	4%	5%	8%	10%
ფარდ. ცვლილება_42	-7%	-8%	32%	35%	28%	20%

მოდელირების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- კლიმატის ცვლილების შერჩეული სცენარის (A1B) მიხედვით, ურნყავი მიწათმოქმედების პირობებში კარტოფილის ჰოტენციური მოსავლიანობა, სავარაუდოდ, მთელი საპროგნოზო პერიოდის განძავლობაში გაიზრდება მხოლოდ მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ხოლო მაღალმთიან აჭარაში - მნიშვნელოვნად შემცირდება (10-40%-ით). ირიგაციის შემთხვევაში მოსავლიანობა ყველაზე იზრდება, განსაკუთრებით მაღალია ირიგაციის ეფექტი ახალციხეში, ხოლო მცხეთა-მთიანეთში - შედარებით უმნიშვნელოა, რაც აისანება ნალექების სხვადასხვა რეჟიმით (ახალციხე მცირენალექიანია, ხოლო ფასანაურში წყლის დეფიციტია მცირე) და ასევე, ნიადაგის გრანულობებრიული შედეგილობით.
- ხულოში, მომავლის სცენარის მიხედვით, კარტოფილის პროდუქტიულობა საგრძნობლად მცირდება და არასტაბილური ხდება, ხოლო ფასანაურში პროგნოზი ყველაზე ოპტიმალურია, რაც გულისხმობს კარტოფილის გაზრდილ და სტაბილურ მოსავალს. ახალციხეში სურათი განსხავებულია და ირიგაციის გარეშე მოსავლიანობის მატებაც ვი არ განაპირობებს მის სტაბილურობას.
- კარტოფილის კულტურისთვის, რომელიც მიეკუთვნება ნიადაგის წყალშემცველობის სტრესის მიმართ მგრძნობიარე კულტურათა რიცხვს, ნალექების ცვლილების ეფექტი, საირიგაციო წყალმოთხოვნილებასთან მიმართებაში, მიმდინარე პერიოდში თვალსაჩინოა ხულოსა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში. საპროგნოზო პერიოდებში, განსაკუთრებით საუკუნის ბოლოსთვის, სამივე რეგიონში უპირატესია ნალექების კლების ტენდენციები. წყლის დეფიციტის პირობებში ნალექების გავლენა კარტოფილის მოსავლიანობაზე იზრდება და წარმოადგენს მოსავლიანობის კლების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. მოდელირების შედეგების თანახმად, ხულოსა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში საირიგაციო წყალმოთხოვნილება საუკუნის შუა წლებისთვის, გაიზრდება საშუალოდ 10%-მდე, ხოლო საუკუნის ბოლოს წყლის 20-40%-ით მეტი რაოდენობა გახდება საჭირო კარტოფილის მაქსიმალური მოსავლიანობის შესანარჩუნებლად. სამცხე-ჭავახეთში ვი, სადაც ამჟამად კარტოფილის ნარმოება ქვეყანაში ყველაზე მასშტაბურია, პროგნოზი ყველაზე ოპტიმისტურია და სამომავლოდ რნყვაზე მოთხოვნილების შემცირებაა მოსალოდნელი.

- CO_2 -ის გაზრდილ კონცენტრაციას ექნება დადგებითი ეფექტი კარტოფილის მოსავლიანობაზე, თუმცა აღნიშნული ეფექტი რიგ შემთხვევებში გადაფარულია სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში კლიმატური პარამეტრების არახელსაყრელი ცვლილებებით და სპეციფიკურია რეგიონზე დამოკიდებულებით.
- 2050 წლისთვის მოსალოდნელი დათბობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კარტოფილის კულტურის შემდგომი გავრცელება უფრო მაღალმთიან ზონაში (რაც უკვე დაწყებულია), თუმცა ეს პროცესი უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და დაგემილი, რათა კარტოფილის ფართობების სტიქიურმა ზრდამ, რაც საძოვრებისა და სათიბების შევიწროებას გამოიწვევს, უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის - მეცხოველეობის განვითარებაზე.

6.5. რეკომენდაციები პარტოფილის წარმოების ადაპტაციისათვის

კარტოფილის შემთხვევაში შეირჩა სამი ძირითადი ღონისძიება: დუშეთის რაიონის მაღალმთიან ზონაში კარტოფილის დაავადებებისაგან დასაცავი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, ზამთრის პერიოდში მოსავლის შესანახი სპეციალური სარდაფების მოწყობა და სამცხე-ჭავახეთში კარტოფილის ნაკვეთებში წყალშემკრები და წყალგამყვანი კვლების მოწყობა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მთიანი სოფლების ფერმერებმა კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებით გამოწვეული კარტოფილის დაავადებების გახშირებასთან დაკავშირებით, ზედმინევნით უნდა დაიცვან და სრულყოფილად გაატარონ კარტოფილის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებები. ფერმერებმა დროულად, გამოვლენისთანავე უნდა მოახდინონ დაავადებებისა და მავნებლების კონტროლი, მცენარეთა დაცვის საშუალებების რეკომენდირებული დოზებით გამოყენებით.

დუშეთში ბარში ფერმერების უმეტესობა უკვე იყენებს მცენარეთა დაცვის საშუალებებს, ვინაიდან ბარში დაავადებების რაოდენობა შედარებით დიდია. მთაში კი დაავადებების რაოდენობა ნაკლებია და შესაბამისად დღესდღეობით მცენარეთა დაცვის საშუალებების საჭიროება ნაკლებია. თუმცა მომავალში კლიმატის ცვლილების ფონზე სავარაუდოა დაავადებების გახშირება მთაშიც, რისთვისაც რეკომენდირებულია უფრო სრულყოფილი აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გატარება, რაც დანახარჯების ზრდაში აისახება.

დუშეთის მუნიციპალიტეტში ზამთრის პერიოდში კარტოფილის მოსავლის დაახლოებით 6% უფრადება იმ ფერმერებს, რომელებსაც არ აქვთ სპეციალური შესანახი სარდაფები. პრობლემის გამომწვევი მიზები ჰერ-ჰერობით ბუსტად არაა დადგენილი, მაგრამ, ამ ეტაპზე, იკვეთება ორი სავარაუდო მიზები: ყინვიანი დღეების ზრდა, რასაც თან ახლავს კარტოფილის გაყინვა, თუ პროდუქცია სწორად არაა შენახული და მას -ივნისის თვეში ნალექების სერიოზული ზრდა, რაც გარდა იმისა, რომ აზიანებს მოსავალს, ასევე აქვეითებს კარტოფილის გამოზამთრების უნარს. ამ მიმართულებით დაკვირვება და კვლევა კვლავ უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ამ ეტაპზე, ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, შეთავაზებულია ღონისძიება, რომელიც გულისხმობს, რომ კარტოფილის მწარმოებლებმა უნდა მოაწყონ კარტოფილის შესანახი სპეციალური სარდაფები და შესანახად უნდა შეარჩიონ მხოლოდ საღი, დაუავადებელი კარტოფილი.

მესხეთში (ახალციხისა და სხვა მუნიციპალიტეტებში), ბოლო ხუთ წელიწადში, კლიმატის ცვლილების ფონზე, 10% არის გაზრდილი მაის-ივნისის ნალექების რაოდენობა. მსგავსი მატება აღნიშნება დუშეთის მუნიციპალიტეტშიც და ხულოშიც. მომავალში წლიური ნალექების და ვეგეტაციის პერიოდში ნალექების ჟამი მცირდება, მაგრამ ზრდის ტრენდს ინარჩუნებს წვიმების ინტენსივობა, რის გამოც გაგრძელდება კარტოფილის მინდვრების დროებითი დატბორვა, რაც თავის მხრივ წევატიურად იმოქმედებს წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს. აღნიშნული პროცესთან ადაპტაციის მიზნით, საჭიროა დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში აპრობირებული მეთოდის გადმოღება სამცხე-ჭავახეთში, რაც გულისხმობს კარტოფილის ნაკვეთებში წყალშემკრები და წყალგამყვანი კვლების მოწყობას. აღნიშნულ კვლებში ჩატარდება ნაკვეთის ზედაპირზე დროის მცირე პერიოდში მოსული ნალექი, რომელიც წყალგამყვანი კვლებით გაიყვანება მინდვრიდან. კვლები უნდა მოეწყოს ნაკვეთის საგაზაფხულო ხვინის დროს, ხოლო მისი ფასი შედის ხვინის ფასში. აღსანიშნავია, რომ ორივე პროცესი ერთდროულად კეთდება.

6. პარტოფილის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი

პირველი ღონისძიება, რომელიც ეხება კარტოფილის ნათესების მავნებლებისაგან დაცვას დუშეთის მთიან ზონაში. ანალიზი მოიცავს 11 წელს და ვრცელდება სტანდარტულ 2018-2028 პერიოდზე. კარტოფილთან დაკავშირებული საადაპტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული დაშვებები და გამოთვლები მოცემულია დანართში 1.6.

პირველი ღონისძიებით მიღებული ძირითადი სარგებელი არის გაზრდილი მოსავლიანობით მიღებული დამატებითი შემოსავალი. თუ ტრადიციული ტექნოლოგიითმიღება 9ტ/ჰა, გაუმჯობესებული ტექნოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსავალის რაოდენობა გაიზარდოს 22.5 ტ/ჸა-მდე. რაც შეეხება დანახარჯს, მასში შედის სხვაობა გაუმჯობესებული და ტრადიციული აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ღირებულებებს შორის და ღონისძიების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში აღნევს 9.3 მლნ. ლარს.

ეს ღონისძიება ეკონომიკურად მომგებიანია და 11 წლის ბოლოს მინიმალური მოგება (მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში) მოსალოდნელია 9.2 მლნ. ლარი. ამავე ღონისძიების მეორე სცენარი გულისხმობს საბაზისო ტექნოლოგიით მიღებული მოსავლის შემცირებას კლიმატის ცვლილების გამო დაავადებების გახშირების შემთხვევაში. ამ სცენარის შემთხვევაში მინიმალური მოგება პერიოდის ბოლოს შედარებისთ ნაკლებია (8.5 მლნ. ლარი), მაგრამ მაინც დადებითია.

მეორე ღონისძიება, რომელიც კარტოფილის შესანახი სარდაფის მოწყობას გულისხმობს წამგებიანია. 0.70 ლარის ფასის შემთხვევაში ფერმერს 1.8 ტ კარტოფილი მაინც უნდა უფურცებოდეს იმისათვის, რომ მან განახორციელოს 1,250 ლარის ინვესტიცია სარდაფის გაუმჯობესებაში. ამ ღონისძიებაში სარგებელის ძირითადი კატეგორია გაფურცებას (დალპობას) გადარჩენილი მოსავლის ღირებულებაა, ხოლო ხარჯში შედის სარდაფის მოწყობის ხარჯი.

ამ ღონისძიების მეორე სცენარი განიხილავს, რომ პერიოდის ბოლოსათვის მოსავლის დანაკარგი შემნახველი სარდაფის არარსებობის შემთხვევაში გაიზრდება 6%-დან 15%-მდე (მაის-ივნისში უხვნალეესიანი დღეების გაზრდის გამო ან წაყინვების მომატების გამო, რაც ნაკლებ მოსალოდნელია). მეორე სცენარში წაგება კიდევ უფრო მეტია და დისკონტის დაბალი განაკვეთის პირობებში საბოლოო წაგება 7.6 მლნ. ლარია მთელ პერიოდში.

მესამე ღონისძიებისათვის, რომელიც გულისხმობს ჭარბ ნალექებთან ბრძოლას ახალციხეში ძირითადი სარგებელი დატბორვას გადარჩენილი მოსავლისგან მიღებული შემოსავალია, ხოლო ხარჯი ნულის ტოლია, რადგან საჭიროა მხოლოდ წყალშემკრები კვლების მოწყობა, რაც შედის ხვნის ხარჯში და არ საჭიროებს დამატებით დანახარჯს. ეს ღონისძიება ცალსახად მომგებიანია, რადგან ხარჯიარავეს.

6.7. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებაში

კარტოფილი საქართველოში ფართოდ გავრცელებული კულტურაა და ერთ-ერთი სასოფლო სამეურნეო პროდუქტია, რომელიც 90%-ით აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. ოჯახური მეურნეობების წილი კარტოფილის მთლიან წარმოებაში 99.8% (2015 წლის მონაცემი). კარტოფილისათვის საკანონმდებლო კლიმატური პირობებია მთიან და მაღალმთიან რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ფართოდ იყენებს მას საკვებად განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. გამომდინარე იქნება, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით და კერძოდ, კარტოფილის ვეგეტაციის პერიოდში ნალექების განაწილების ცვლილების ფონზე, ასევე ძალიან ცხელი (30°C -ზე მეტი) დღეების მატების ფონზე, მნიშვნელოვანია ზუსტად იქნეს დადგენილი თუ რა რისკებია მოსალოდნელი ხარისხიანი კარტოფილის მოყვანის და ზამთრის პერიოდში შენახვის პროცესში და როგორ უნდა იმოქმედოს მოსახლეობამ სხვადასხვა რისკების შესამცირებლად, მნიშვნელოვანია ეს ინფორმაცია დროულად იქნას მიწოდებული მცირე ფერმერებისათვის ექსტენციის ცენტრებისა და საინფორმაციო

ცენტრების მეშვეობით და შეიქმნას, გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მათ ცოდნით და ამ ცოდნის პრაქტიკაში გასატარებლად საჭირო დამატებითი საშუალებებით. აქ მოყვანილი ღონისძიებები არაა საკმარისი დარგის სრულად დასაცავად კლიმატის ცვლილების რისკებისაგან, მაგრამ მათი გატარების შემთხვევაში სოციალური ეფექტი რა თქმა უნდა ყველაზე მაღალი იქნება ამ ეტაპზე ადაპტაციის გეგმაში განხილულ ღონისძიებებს შორის, რადგან, როგორც უკვე ითქვა კარტოფილი ფართოდ გამოიყენება საკვებად და მას საკმაოდ დიდი ფართობები უჭირავს საქართველოშიარამარცვლოვან ერთნლიან კულტურებში. ღონისძიებაში განხილული 3 მუნიციპალიტეტი (ახალციხე, დუშეთი, ხულო) შედიან საქართველოში კარტოფილის მნარმოებელ მსხვილ რეგიონებში (აჯარა, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჭავახეთი). ამ რეგიონებში სულ 57,373 კარტოფილის მცირე ფერმერული მეურნეობაა, რაც საქართველოში ამ დარგში არსებული ფარმერული მეურნეობების 41%, ხოლო განხილულ მუნიციპალიტეტებში ჟამში 15,438 მეურნეობაა, რაც ამ სამ რეგიონში არსებულის 27%-ია²⁸.

ცალკე უნდა გამოიყოს შესანახი სარდაფების მოწყობის ღონისძიება. ამ ღონისძიების სოციალური ეფექტი ძალიან დაბალია, რადგან ღონისძიება წამგებიანია იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რასაც ამ ეტაპზე ფლობდნენ ექსპერტები. პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რეალურად რამდენი ოჯახი ზარალდება ამ ღონისძიების გამო და ეს ზარალი იზრდება თუ კლებულობს.

რაც შეეხება, ამ ღონისძიებების ადგილს და წვლილს სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში (2015-2020), ღონისძიებები წვლილს შეიტანენ შემდეგ მიმართულებებში: ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა; საქართველოს სოფლის მეურნეობის დარღვევითი პროცესების შემუშავება, თესლისა და სარგავი მასალის წარმოება-სერთიფიცირების პროცესების ხელშეწყობა, მცენარეთა დაცვა და ფინანსურული კეთილსამედოობის უზრუნველყოფა, მელიორაცია და ნიადაგების რაციონალური გამოყენება.

კარტოფილის წარმოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხორციელებაში ძირითადი მხარეები არიან: სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსტენციის და საინფორმაციო ცენტრები (ინფორმაციის მოძიება და მინოდება), სურსათის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (ზამთარში კარტოფილის შენახვასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზების დადგენა, კლიმატის ცვლილების სხვა შესაძლო უარყოფითი გავლენების გამოვლენა და რეკომენდაციები), ადგილობრივი მოსახლეობა (უშუალოდ განმახორციელებელი), შპს „საქართველოს მელიორაცია“ (სადრენაჟე სისტემებთან დაკავშირებული რეკომენდაციები).

კლიმატის ცვლილების მავლენა მანდარინის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები

7.

7.1. მანდარინის წარმოება აზარაში

კლიმატის ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის სექტორის ეროვნული საადაპტაციო გეგმის მომზადების პროცესში მანდარინის მოსავლიანობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის. ასევე განისაზღვრა მიმდინარე და პროცესირებული ცვლილებები ჩაის აგროკლიმატურ ზონებში. აჭარაში სუბტროპიკული მეზილეობის განვითარება მე-19 საუკუნეში დაიწყო. ციტრუსებიდან თავიდანვე ფართოდ გავრცელდა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. საბჭოთა პერიოდში შეიქმნა მეციტრუსეობის მსხვილი სპეციალიზირებული სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობები. 1985 წლისათვის ციტრუსით დაკავებული ფართობი აჭარაში 8,000 ჰა-ს აღემატებოდა. შემდგომ წლებში აღინიშნება ციტრუსებით დაკავებული ფართობების შემცირება. დღეისათვის, აჭარაში ციტრუსოვანთა ფართობები 5,800 ჰა-ია. ციტრუსების საერთო მოსავალი 1985-2015 წლებში 40 ათასი ტონიდან 150 ათას ტონამდე მერყეობდა.

²⁸ სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014

საქართველოში ჩაის კულტურა, სავარაუდოდ, მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში შემოიტანეს. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო მეჩაიერობის აღმავლობა. 1980-ანი წლებისათვის ჩაის პლანტაციას აჭარაში 7,500 ჰექტარი ფართობი ეკავა და საშუალოდ წლიურად 65-70 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი იკრიფებოდა. აჭარაში ძირითადად დარაიონებული იყო ჩაის ოთხი ჯიში, მათ შორის „ჩინური“ (65%), ინდოჩინური (15%), იაპონური (10%) და ქართული სელექციური ჯიში „კლონი კოლხეთი“ (10%). გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა მეჩაიერაბაზე. დაიწყო ჩაის პლანტაციების ამოძირვაკერძო საკუთრებაში გადასულ ნაკვეთებზე სხვა კულტურების გაშენების მიზნით. ხოლო შემორჩენილი ჩაის პლანტაციების დიდ ნაწილი დასარევლიანებულია. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გათვალისწინებული აქცე მხოლოდ 1,000 ჰა ჩაის პლანტაციის შენარჩუნება უახლოეს მომავალში.

7.2. კლიმატის მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილების გავლენა მანდარინის მოსავლიანობაზე

აჭარის სუბტროპიკული ზონისათვის ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურად რჩება მანდარინი შესაბამისი კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების არსებობისა და ერთეული ფართობიდან მეტი შემოსავლების მიღების გამო. საქართველოს სუბტროპიკული ზონა მდებარეობს სუბტროპიკული სარტყლის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, რომლის კლიმატურ თავისებურებას განაპირობებს ორი ფაქტორი: შავი ზღვა, რომელიც ზაფხულში აკუმულირებს დიდი რაოდენობით სითბოს და ზამთარში თანდათანობით გამოცემს მას სანაპირო ზოლში; და კავკასიონის მაღალი მთები, რომლებიც ხელს უშლის ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი მასების შემოღწევას. შესაბამისად აჭარაში ზამთარი ზომიერად თბილია, მაგრამ უხვოთოვლიანი.

აჭარის მეტოროლოგიური სადგურების მრავალწლიანი(1961-20015 წ) მონაცემებით ირკვევა, რომ მანდარინისათვის დამღვეველი კრიტიკული ტემპერატურა ამ პერიოდში ბათუმის მიდამოებში არ დამდგარა, ხოლო ძირითადი ტოტების მოყინვას ადგილი ჰქონდა 1964, 1971, 1983 და 1993 წლებში. ქობულეთში ძალიან მკაცრი ბამთარი იყო 1985 წელს (-13,8°C), რასაც უნდა გამოეწვია ციტრუსოვანთა ნარგავების მთლიანი გახმობა, მაგრამ, საბედნიეროდ, მკაცრ ყინვას წინ უსწრებდა უხვი თოვლი, რომლის საფარმა 1,5-2,0 მ მიაღწია, რამაც მნიშვნელოვნად დაიცვა მცენარეები განადგურებისაგან. აღსანიშნავია, რომ მკაცრი ყინვების განმეორადობის მაჩვენებელი პერიოდების მიხედვით კლებულობს. ასე მაგალითად, 1960-1985 წლებში მკაცრ ყინვებს ადგილი ჰქონდა ხეთკერ, 1985-2000 წლებში სამჯერ, ხოლო 2000-2015 წლებში ერთხელ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყინვების რისკი თანდათან მცირდება.

პერიოდების მიხედვით აღინიშნება, ყინვიან დღეთა რაოდენობის კლება დააბსოლუტური მინიმალურიტემპერატურის კლება. თუ 1966-1990 წლებში ყინვიან დღეთა რიცხვი ბათუმში იყო 7.1; 1991-2015 წლებში - 8.2; ხოლო 2071-2100 წლებში მოსალოდნელია ყინვიან დღეთა რიცხვის შემცირება 0.4-მდე. 1966-1990 წლებში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა იყო -7.5°C; 1991-2015 წლებში -6.6°C, ხოლო მომავალში, პროგნოზის თანახმად, კლიმატის ცვლილების შედეგად აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა მხოლოდ -0.6°C-მდე დაეცემა. მსგავსი მონაცემებია მიღებული ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვისაც. აქაც პერიოდების მიხედვით მცირდება ყინვიან დღეთა რაოდენობა(0.4) და აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა(-1.1°C).

კლიმატის ცვლილება მომავალში (2100 წლისათვის) გამოიწვევს საშუალო ტემპერატურის მომატებას საშუალოდ 4.0°C -ით, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამის გაზრდას 4900°C -მდე, რაც სრულად დაავავყოფილებს ციტრუსოვანთა მოთხოვნილებას სითბოსადმი, მომავლის გათვლებში უმნიშვნელოდ იცვლება ნალექების თვიური, სეზონური, სავეგეტაციო პერიოდის და წლიური ჯამები.

ამ ეტაპზე, მანდარინისათვის განსაკუთრებით საშიშია შემოდგომის წაყინვები ან სეტყვა. ეს ის პერიოდია როცანაყოფი ჰერ კიდევ არ არის შესული სრულ სიმრიცეში. ბათუმისა და ქობულეთის შეტეოსადგურების მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შემოდგომის წაყინვებს (ოქტომბერი, ნოემბერი) ან სეტყვას ქობულეთის ზონისათვის ადგილი აქცე თითქმის ყოველ მეორე წელს, რაც პირდაპირ კავშირშია ნაყოფის მნიშვნელოვან ან ნაწილობრივ დაზიანებასთან, მსგავსი მოვლენები უფრო იშვიათია ბათუმის

მიმდებარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისათვის. 1985-2015 წლებში წაყინვა და სეტყვა 10-ჯერ დაფიქსირდა. ნაყოფის დასეტყვამ ბოლო პერიოდში თითქმის სისტემატური ხასიათი მიიღო, კერძოდ 2016 წელს სეტყვა 2 ნოემბერს მოვიდა და მნიშვნელოვნად დააზიანა ციტრუსოვნების ნაყოფი. თუ ძლიერი ყინვების ჰერადობაში, ბოლო წლების მიხედვით, შეიმჩნევა კლების ტენდენცია, ამას ვერ ვიტყვით შემოდგომაზე მოსული სეტყვის განმეორადობაზე, იგი პირიქით საგრძნობლად მომატებულია.

მომავალი კლიმატის ცვლილება ასევე დადგებითად იმოქმედებს შემოდგომისა და გაზაფხული წაყინვებზე, რაც შეამცირებს მცენარის ყინვისაგან დაზიანების რისკს და მოსავლის სეტყვისაგან გაფუჭებას.

მანდარინის ნაყოფის სრული სიმწიფისათვის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მინიმუმ $4000-4200^{\circ}\text{C}$ -ს უნდა შეადგენდეს, რაც დღეისათვის აჭარაში მიიღონ ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში. კლიმატისცვლილების პროგნოზი უჩვენებს, რომ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი $2071-2100$ წ. საშუალოდ 1000°C -ით მოიმატებს და მთლიანად უზრუნველყოფს ნაყოფის სრულ სიმწიფეს ოქტომბრისათვის. თუმცა, კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების მომზადების პროცესში დადგინდა, რომ აქტიურ ტემპერატურათა ჯამის ზრდას თან სდევს ციტრუსისთვის მავნებელი უცხო დაავადებების შემოჭრა, რაზეც ადეკვატური რეაგირება უჭირთ ფერმერებს და მოსახლეობას.

აჭარის სუბტროპიკული უხვნალექიანობით ხასიათდება. მაგრამ, მაის-ივნისში, როცა მანდარინს ყველაზე მეტად ესაჭიროება ტენი, აღინიშნება გვალვა, რის გამო მცენარე ყრის ყვავილებს. ნალექები მაის - ივნისში ბათუმის მიდამოებში 9% არის შემცირებული. შესაბამისად, ციტრუსოვნებს გვალვიან პერიოდში ესაჭიროება მორწვა, რაც ჰერ-ჰერობით არ ხორციელდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო.


2050 წლისათვის საშუალო წლიური ტემპერატურის სავარაუდო ზრდა, განსაკუთრებით, საშუალო ტემპერატურების ზრდა წლის თბილ პერიოდში, საგრძნობ კორექტივებს შეიტანს ციტრუსოვანთა მოსავლიანობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებში. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველო ხმელთაშუა ზღვის აუზში და მიმდებარე ტერიტორიაზე მეციტრუსეობის გავრცელების უკიდურეს ჩრდილო საზღვარზე იმყოფება. აქ, სითბოს მოყვარული კულტურები, როგორიცაა ფორთოხალი, გრეიფრუტი, ლიმონი და სხვა ჯიშები აქტიურ ტემპერატურათა ჯამების საჭირო რაოდენობის ხშირ ნაკლებობას განიცდიან სავეგეტაციო პერიოდში. არსებული მონაცემებით ფორთოხლისა და გრეიფრუტის სრული მომწიფება აჭარაში ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ $5-6$ ჰერ ყოველ ათ წლიურადში (საჭიროა 4500°C). 2050 წლისათვის რეგიონის სანაპირო ზონაში მოსალოდნენელია საშუალო წლიური ტემპერატურის მომატება 1.5°C -ით, ხოლო 2100 წლისათვის აჭარის დაბლობის სუბტროპიკული ზონა კლიმატური თვალსაზრისით (საშუალო წლიური ტემპერატურა 18.3°C) გაუტოლდება ხმელთაშუა ზღვის სანაპირო რეგიონებს, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა ამჟამად 18°C -ის ფარგლებში მერყეობს. ყოველივე ეს ხელსაყრელ გარემოს შექმნის აჭარის სუბტროპიკულ ზონაში, შესაბამისი აგროტექნიკის პირობებში, ციტრუსოვანთა კულტურების მაღალხარისხოვანი და სტაბილური მოსავლის მისაღებად აქვთ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგნოზის მიხედვით ციტრუსის ნარმოებისათვის აუცილებელი ტენი საკმაოდ იკლებს 2100 წლისათვის (იხ. აგროკლიმატური ზონები) და ციტრუსისათვის (მანდარინისათვის) ხელსაყრელი ზონა 3 -ჰერ შემცირდება. ამ ფართობის შესანარჩუნებლად საჭირო იქნება რწყვა.

7.3. მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები მანდარინის ამროპლიმატურ ზონებში


მანდარინისათვის კვირტის გახსნიდან ყვავილობამდე საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს $400-560^{\circ}\text{C}$, ხოლო ყვავილობიდან სიმწიფემდე - $3500-3700^{\circ}\text{C}$. ჯამურად მანდარინს ესაჭიროება $3900-4260^{\circ}\text{C}$ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. იგივე ტემპერატურულ რეენის საჭიროებს ჩაიც. მანდარინისათვის ნოტიო-სუბტროპიკული კლიმატია აუცილებელი, ჩაი კი ზომიერი დატენიანების პირობებშიც იძლევა მოსავალს.

1966-1990 წლები


- █ 1
- █ 2
- █ 3



1991-2015 წლები



2071-2100 წლები



ნახატი 7.1. ცვლილებები ციტრუსების აგროკლიმატურ ზონირებაში 1966-1990, 1991-2015 და 2071-2100 წლებში²⁹

²⁸ მუქი მწვანე ფერით (ზონა 3) აღნიშნულია ციტრუსისათვის ხელსაყრელი აგროკლიმატური ზონა. ღია მწვანე ფერით (ზონა 2) აღნიშნულია ზონა სადაც ციტრუსის მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ რწყვის პირობებში და წითელი ფერით (ზონა 1) აღნიშნულია ზონა, რომელიც შეუთავსებელია ციტრუსისთვის ხელსაყრელ პირობებთან.

ცხრილი 7.1 ციტრუსის მოსაყვანად ხელსაყრელი ზონების ფართობები სხვადასხვა დროით პერიოდში

	1966-90 წ.წ. (ჰა)	1991-2015 წ.წ (ჰა)	2071-2100 წ.წ. (ჰა)
ზონა 2	598000	820600	1 762800
ზონა 3	899200	988400	765500

ციტრუსი მხოლოდ მესამე ზონაში მოდის, ხოლო ჩაი მეორე ზონაშიც. ციტრუსის მოსაყვანად ხელსაყრელი ზონის ფართობი მიმდინარე პერიოდშია ყველაზე დიდია, ხოლო შემდგომ მცირდება. მესამე ზონა მომავალში მნიშვნელოვნად მცირდება, ჩაის მოსაყვანად ხელსაყრელი ფართობი კი თითქმის 3-ჯერ გაიზრდება. ტერიტორიები, სადაც მომავალში შეიქმნება ხელსაყრელი კლიმატური პირობები ჩაისა და ციტრუსის მოსაყვანად, დღეისათვის უჭირავს ტყესა და საძოვრებს. მათი ათვისება უნდა მოხდეს ეკონომიკური მიზანშენონილობიდან გამომდინარე.

ექსპერტთა მოსაბრებით კლიმატის დათბობის ტენდენციის შესაბამისად და საადრეო ჰიმების დანერგვის პირობებში მომავალში, საჭიროების მიხედვით შესაძლებელი იქნება ციტრუსოვანი კულტურების გაშენება 50 ათას ჰექტარზე-აფხაზეთისა და კოლხეთის დაბლობის ჩათვლით. ეს შეფასება რეალურია მის პროდუქციაზე მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში. 80-იან წლებში მანდარინის ფართობები საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთის ჩათვლით) 27,000 ჰა-ს აღწევდა, 2014 წლის აღწერის მიხედვით 7,400 ჰა-ია³⁰.

7.4. რეკომენდაციები მანდარინის წარმოების ადაპტაციისათვის

მანდარინის წარმოების პროცესის კლიმატის ცვლილების რისკებისაგან დასაცავად გამოიკვეთა ორი ღონისძიება: მანდარინის უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ნაყოფის მქონე ჰიმების უნშიუსა და ტიახარა უნშიუს გავრცელების ხელშეწყობა და განვირათება აჭარის სუბტროპიკულ ზონაში და აგროდაზღვევის მასიურად გამოყენება მანდარინის მწრმოებლების მიერ.

მანდარინის უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ნაყოფების მქონე ჰიმების უნშიუსა და ტიახარა უნშიუს შეხამება აჭარის სუბტროპიკულ ზონასთან მეტად პერსპექტიულია ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც ეფუძნება მანდარინის კრეფისა და რეალიზაციის სეზონის გახანგრძლივების შესაძლებლობას (ოქტომბერი-იანვარი). ეს უკანასკნელი გამორიცხავს მოსავლის რეალიზაციაში პიკის წარმოქმნას, რაც მანდარინის ფასის სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

მოსავლის გარანტირებული და ხარისხიანი ნაყოფის მიღების უზრუნველსაყოფად უნდა გაგრძელდეს მანდარინის ჰიმების: ტრადიციული უნშიუსა და საადრეო ტიახარა-უნშიუს შეთანაწყობა ზონის, რელიეფისა და ექსპოზიციის მიხედვით. ეს მისცემს ფერმერებს საშუალებას ერთი თვით ადრე შევიდნენ საექსპორტო ბაზრებზე და შესაბამისად გახანგრძლივდეს ნაყოფის რეალიზაციის პერიოდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საადრეო ჰიმების მოშენების შემთხვევაში, ფერმერებს უმცირდებათ სეტყვასთან და წაყინვებთან დაკავშირებული რისკები, რომელთაგანაც სეტყვამ გახშირება დაიწყო ბოლო წლებში³¹, და მიმდინარე კლიმატის ცვლილების ფონზე სეტყვები მომავალში შესაძლოა კიდევ უფრო გახშირდეს. თუკი აქამდე მანდარინისათვის ძირითადი საფრთხე წაყინვები იყო³², ახლა ტემპერატურის მატებასთან ერთად წაყინვების სიხშირეც იკლებს, მაგრამ მატულობს სეტყვები. საადრეო ჰიმების მოშენება არის ერთ-ერთი საადაპტაციო ღონისძიება, რომლის გატარებაც რეკომენდირებულია აჭარაში.

იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის წარმატებული საქმიანობა ბევრადაა დამოკიდებული ამინდის და კლიმატის ცვალებადობაზე, ფერმერებისთვის რეკომენდირებული მეორე ღონისძიება აგროდაზღვევის გამოყენებაა.

³⁰ <http://census.ge/files/results/agriculture/AG%20Census%20Release.pdf>

³¹ სეტყვები აჭარაში ძირითადად დაიკვირვება ოქტომბრის ბოლოს-ნოემბერში.

³² წაყინვები ძირითადად დაიკვირვება ნოემბრის მეორე ნახევრიდან დაწყებული

7.5. მანდარინის წარმოების საკადაპთაში ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიბანობის ანალიზი

პირველი ღონისძიება მანდარინის საადრეო ჭიშის ტიახარა-უნშიუს გავრცელებაა აჭარაში.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება სტანდარტულ პერიოდზე (2018-2028). ხარჯთ-მოსავლიანობისათვის საჭირო დაშვებები და გამოთვლები მოცემულია დანართში 1.7. ძირითადი სარგებლიამღნოსძიების შემთხვევაში არის სეტყვას გადარჩენილი მოსავლის ღირებულება. ვინაიდან საადრეო ჭიში საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ სეტყვა, იგულისხმება რომ მოსავლის ის 60%, რომელიც ჩვეულებრივი ჭიშის შემთხვევაში იკარგებოდა სეტყვის გამო, აღარ დაიკარგება საადრეო ჭიშის მოშენების შემთხვევაში. სარგებლის მიღება ხდება მხოლოდ იმ წლებში, როდესაც ფიქსირდება სეტყვა. რაც შეეხება დანახარჯს, მასში შედის საადრეო ტიახარა-უნშიუს და ფართოფოთლიანი უნშიუს ჭიშების პლანტაციების გაშენების დანახარჯები, რაც გულისხმობს ტრადიციული უნშიუს ძირებიდან მიღებული შემოსავალის დაკარგვას, როდესაც ძველი ხეები ნაცვლდება ახლით, მაგრამ ახალი არ არის ჟერ შესული მსხმოიარობაში. ღონისძიების მიხედვით, ახალი ჭიში, მთელი პერიოდის განმავლობაში გაშენდება სულ 107 ჰა-ზე (უკვე გაშენებულია 100 ჰა-ზე) და საერთო დანახარჯი 1.4 მლნ ლარია მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (მოგება) 335 ათასი ლარია პერიოდის ბოლოს (7.37% დისკონტის განაკვეთის შემთხვევაში).

მეორე სცენარის მიხედვით ხდება სეტყვის მატება და სეტყვა დაფიქსირდება ყოველ წელს, მაშინ ღონისძიების სარგებელი კიდევ უფრო მაღალია. ამგვარად ღონისძიება მომგებიანი ორივე სცენარის და მაღალი დისკონტის განაკვეთის (9.98%) პირობებში. მეორე ღონისძიება არის ციტრუსის აგროდაბლვევის განვითარების ხელშეწყობა. ანალიზი ვრცელდება აჭარის რეგიონზე და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დანერგილ აგროდაბლვევის პროგრამას³³, რომლის ბენეფიციარებიც არიან მცირე ფერმერები, ვინც 5 ჰა-ზე ნაკლებ მინის ფართობს აზღვევს. ფერმერების ამ კატეგორიას სახელმწიფო სთავაზობს სადაბლვევო ტარიფის 70%-იან თანადაფინანსებას მანდარინის შემთხვევაში. სრული სადაბლვევო ტარიფი მანდარინის შემთხვევაში არის 1000 ლ/ჸა, ხოლო მცირე ფერმერს უწევს 300 ლარის გადახდა, დანარჩენ 70%-ს იხდის სახელმწიფო. მსხვილი ფერმერები კი თავად იხდიან სრულ თანხას. ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება სტანდარტულ პერიოდზე (2018-2028). დაშვებები და გამოთვლები იხილე დანართში 1.7.

ღონისძიების წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში ძირითადი სარგებელი მიიღება სადაბლვევოს მიერ ფერმერისთვის ანაზღაურებული ზარალიდან, რაც დამოკიდებულია დაბლვეულ ფართობზე, სადაბლვევო ტარიფისა და ზარალის ნორმაზე. 55%-იანი ზარალის ნორმა გულისხმობს, რომ სადაბლვევოში შემოსული პრემიების 55% საშუალოდ მიდის ზარალის ანაზღაურებაზე. ღონისძიების ძირითადი დანახარჯებია: ფერმერებისა და სახელმწიფოს მიერ სადაბლვევოსთვის გადახდილი პრემია. ეს თანხა დამოკიდებულია სადაბლვევო ტარიფზე, სახელმწიფოს თანადაფინანსების დონესა და მინის ფართობზე. მცირე ფერმერებს უწევთ ნაკლები დანახარჯი. ვინაიდან 70%-ს უფინანსებს სახელმწიფო. სულ დაბლვეული ფართობი, ციტრუსის მთელი ფართობის 14%-ს აღწევს ღონისძიების ბოლოსაკენ, აქედან 5.8% ტერიტორია ეკუთვნით მცირე ფერმერებს და 8.1% ეკუთვნით მსხვილ ფერმერებს.

ეს ღონისძიება წამგებიანია მსხვილი ფერმერებისთვის, რომლებიც სრულად ფარავენ სადაბლვევო პრემიას, მაგრამ მომგებიანია მცირე ფერმერებისთვის, რომელთა სადაბლვევო პრემიის 70%-ს სახელმწიფო იხდის. სადაბლვევო პრემიის სრულად გადამხდელთა უმეტესობა მსხვილი ფერმერია, რომელიც პრემიის 100%-ს იხდის. ეს ღონისძიება ამ სცენარით წამგებიანია დაბალი დისკონტის (4.76%) განაკვეთის შემთხვევაშიც.

მეორე სცენარის შემთხვევაში გათვალისწინებულია, რომ სეტყვების რაოდენობა იმატებს, ამ შემთხვევაში სადაბლვევოს მოუწევს უფრო ხშირად ზიანის ანაზღაურება, ვიდრე აქამდე უწევდა. თუ აქამდე მისი ზარალის ნორმა შეადგენდა 55%-ს, გახმირებული სეტყვების ფართზე ის შესაძლებელია გახდეს 75%.

ამ სცენარით ჩანს, რომ თუ ზარალის ნორმა გაიზრდება 50%-დან 75%-მდე, მაშინ სარგებელი ყველა ჭავჭავისთვის (როგორც მცირე, ისე მსხვილი ფერმერებისთვის) აღემატება დანახარჯს.

³³ <http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent>

7.6. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განხორციელებაში

მანდარინთან დაკავშირებული ორივე ღონისძიების შემთხვევაში სოციალური ეფექტი მაღალია, რადგან იგი დაკავშირებულია 20,000-მდე ფერმერის კეთილდღეობასთან, რომელთა მოსავლის 60% შეიძლება დაიკარგოს სეტყვის დროს. ხარჯთ-სარგებლიანობის გამოთვლისას სოციალური ეფექტის მონეტარული მნიშვნელობა გათვალისწინებულია მხოლოდ მეორე ღონისძიებაში, რომელიც გულისხმობს დაზღვევის პაკეტს. ვინაიდან აჭარის მოსახლეობისთვის ციტრუსი და კერძოდ მანდარინი არის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო, ორივე ამ ღონისძიებას დიდი გავლენა ექნება მოსახლეობის კეთილდღეობაზე, თუმცა მეორე მხრივ გასატარებლადაც უფრო რთულია, რადგან მოსახლეობის მენტალიტებში უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები და განსაკუთრებით სადაზღვევო პაკეტთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე დაზღვეულია პლანტაციების მხოლოდ 5.7%. განსკუთრებით მაღალი იქნება მეორე ღონისძიების სოციალური ეფექტი კლიმატის ცვლილების პირობებში გახმირებული სეტყვების ან წაყინვების შემთხვევაში, თუმცა აյ არსებობს იმის რისკიც, რომ კერძო სადაზღვევო სექტორი აღარ აიღებს რისკს თავის თავზე იგივე პირობებით, რაც შეცვლის ეკონომიკურ სურათს. ამ ღონისძიებების სრულყოფილად გატარების მიზნით აუცილებელი იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო ცენტრებისა და ექსტენციის ცენტრების მთელი დატვირთვით ჩართვა პროცესებში, რათა მოსახლეობამდე სწორად მივიდეს ინფორმაცია კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებზე და რაც მთავარია, უფრო მეტი კვლევა და მონიტორინგი უნდა განხორციელდეს იმაზე, თუ კიდევ რა უარყოფით გავლენებს უნდა ველოდეტ აჭარის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებაზე და მათ შორის ციტრუსზე კლიმატის ცვლილების ფონზე.

სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ჩადებული თანხები, სოციალურ ეფექტთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ საექსპორტო პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებულ რისკებს. სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებებში ეს ღონისძიებები ეხმიანება და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარებაში, თესლისა და სარგავი მასალის წარმოების და სერტიფიცირების ხელშეწყობაში, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის ხელშეწყობაში, ფერმერთა ცოდნის ამაღლებასა და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განვითარების, ღონისძიებას, მიზნობრივი პროგრამით, მხარს უჭერს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე დაინტერესებულნი არიან ფერმერებიც. აჭარის სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში ციტრუსი პრიორიტეტულ კულტურად განიხილება, როგორც მოსახლეობის შემოსავლების, ისე მთავარი საექსპორტო ნედლეულის მხრივ.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებაში წამყვანი როლი უჭირავს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ექსტენციის ცენტრებს, ასევე კერძო სადაზღვევო სექტორს და ადგილობრივ მცირე და საშუალო ფერმერებს.

კლიმატის ცვლილების გავლენა თხილის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები

8.

8.1. თხილის წარმოება საქართველოში

საქართველოში თხილის წარმოებაში წამყვანი ადგილი უჭირავს სამეგრელო-სვანეთს, სადაც მოყავთ საქართველოში წარმოებული თხილის 50%-ზე მეტი³⁴.

³⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2016.

ცხრილი 8.1. თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი, ტონა)

	2014	2015	2016
საქართველო	33,8	35,3	29,5
აჭარის ა/რ	-	-	1,5
გურია	6,2	6,2	7,2
იმერეთი	3,2	4,2	3,4
კახეთი	-	-	1,2
მცხეთა-მთიანეთი	-	-	0,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20,7	18,8	15,3
ქვემო ქართლი	-	-	0,5
შიდა ქართლი	-	-	0,1
დანარჩენი რეგიონები	3,6	6,1	0,0

საქართველოში თხილის მრავალი ჭიშია გავრცელებული, ძირითადად ადგილობრივი, მათ შორის ანაკლიური, შველისყურა, დედოფლისთითი, ნემსა, გულშიშველა, ხაჭაპურა, ვანის თეთრი. ქართული თხილის ჭიშები მაღალი სასაქონლო თვისებებით და კონკურენტუნარიანობით ხასიათდება და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო ნედლეულია, რომლის რეალიზაცია ძირითადად ევროპაში ხდება.

თხილის წარმოება განსაკუთრებით განვითარდა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში. თხილი ძირითადად იწარმოება მცირე საბალე და საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი მერყეობს 0.1 ჰა-დან 0.5-1 ჰა-მდე). გაზრდილი მოთხოვნის გამო, უკანასკნელ წლებში დაიწყო თხილის გაშენება დიდ ფართობებზე (10 ჰა-დან - 300 ჰა-მდე). საკარმიდამო ნაკვეთებზე 400-700 ძირი ხეა გაშენებული.

საქართველოს რეგიონებში, სადაც თხილის კულტურის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებია, საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 2.50-3.50 ტონას.

თხილს აქვს ძლიერი, ამასთან ნიადაგის ზედა ფენებში განლაგებული ფესვები, რითაც ამაგრებს და იცავს ნიადაგს ეროვნისაგან. შესაბამისად, რეკომენდირებულია თხილის გაშენება გამოუყენებელ ფერდობებზე.

8.2. კლიმატის მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილების გავლენა თხილის მოსავლიანობაზე

სამეგრელოში არის თხილის სამრეწველო დანიშნულებით მოყვანისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები. თუმცა, თხილის მოსავლიანობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს შემდეგი კლიმატური ცვლილებები:

- ცხელი ქარების სიმძლავრისა და ხანგრძლივობის ზრდა
- ნალექების რაოდენობის ზრდა თხილის ვეგეტაციის დასაწყიში
- გვალვების გახანგრძლივება ივლის-აგვისტოში

სამეგრელოში ნალექების 40-45% თხილის სავეგეტაციო პერიოდში მოდის. ბოლო პერიოდში აღინიშნება ცვლილება ნალექების წლიურ განაწილებაში. ნალექების რაოდენობის ზრდა გაზაფხულზე (თხილის ყვავილობის დროს) ხელს უწყობს თხილის მავნებელ-დაავადებების გავრცელებას, ვინაიდან რთულდება შენამვლის ჩატარება, რაც საბოლოოდ, იწვევს თხილის მოსავლიანობის შემცირებას. ბოლო ხეთი წლის განმავლობაში ჭარბი ნალექები ხელს უშლის თხილის ბალებში აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად, ვადებში განხორციელებას, რის გამოც ადგილი აქვს მავნებლების ტკიპას, ხარაბუბას, ცხვირგრძელას გავრცელებს, ასევე იმატა სხვადასხვა დაავადებებმა, როგორიცაა ნაცარი, ყავისფერი და ვარდისფერი სიდამპლე). ჭარბი ნალექები აფერხებს მცენარის განვითარებას, მცენარე კრიზისის და ავადდება და ბოლოს ხმება. უხვი ნალექები განაპირობებს ნიადაგის გადაჭარბებულ

ტენიანობას და ტერიტორიის დაჭაობებას, რის გამოც აუცილებელია ღრმა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური სადრენაჟე სისტემების მოწყობა.

ზოგადად, სამეგრელოს რეგიონისათვის დამახასიათებელია ცხელი ქარები (ქარშოშინა). ცხელი ქარების შემოჭრის ჰერადობამ, ასევე, ხანგრძლივობამ და სიჩქარემ იმატა ბოლო 5 წლის განმავლობაში. ცხელი ქარები აზიანებს არა მარტო მიმდინარე წლის მოსავალს, არამედ მისი უარყოფითი ზეგავლენა აისახება მომავალი წლის მოსავლიანობაზე. გვალვის პერიოდში ნაზარდი სუსტია, ცუდად განვითარებული და ადვილად ზიანდება ზამთრის ყინვებით. 2015-2016 წლებში სამეგრელოში ცხელმა ქარებმა, რომელთა სიჩქარე აჭარებდა 15მ/წმ-ს, მოსავალი მოვლილ ბალებში გაანადგურა 80-90%-ით. ასევე, გავრცელდა მავნებელ-დაავადებები, რომლებმაც მომავალ წლებში უარყოფითი ზეგავლენა იქონია მოსავლიანობაზე. ძლიერი ქარები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს თხილზე ყვავილობის პერიოდში, რის გამოც აუცილებელია ქარსაფარი ზოლების გაშენება.

სამეგრელოში წაყინვები მარტის შუა რიცხვებში წყდება, თუმცა ბოლო წლებში წაყინვები აღინიშნება აპრილშიც, ხოლო შემოდგომაზე პირველი წაყინვები აღინიშნება ნოემბრის ბოლოს. -7-9°C-ის დროს ზიანდება თხილის სანაყოფე ტოტები, ხოლო გაზაფხულის წაყინვები აზიანებს სანაყოფე კვირტებს.

კლიმატურ პარამეტრებში ცვლილებები განსაკუთრებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს თხილის მცირე ზომის ბალებზე, სადაც არ ტარდება სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები, როგორიცაა: მცენარის სხვლა-ფორმირება, დაზიანებული ტოტების შექრა-გამოტნა, ამონაყრების შეცვლა, ტკიპით გაბერილი კვირტების გამოკრეცა, ხარაბუზისაგან დაზიანებული ტოტების გამოჭრა, სასუქების შეტანა, შერამვლა, ბრძოლა სარეველების წინააღმდეგ. არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროს მოვლილ ბალებში მოსავლის დანაკარგი მხოლოდ 20-40%-ია, ხოლო არაფორმირებულ ბალში ძლიერ ცხელ ქარს შეუძლია სრულად გაანადგუროს მოსავალი.

თუ თხილის ბუჩქში არის 20-50 დედა ტოტი (ნაცვლად 4-9-სა), მცენარე იზრდება სიმაღლეში, მსხმოარობა მატულობს ხის კენწეროში, რთულდება წამლობა, დაზიანებული და დაავადებული ტოტების გამოჭრა. ასეთ ბალებში ცხელი ქარები ანადგურებს მოსავლის დიდ ნაწილს.

საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებები ძირითადად არ ტარდება საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ თხილის ბალებში, რომელთა მფლობელები კმაყოფილდებოდნენ იმ მცირე მოსავლით (400 გრამი-1.5 კგ ერთ ძირზე), რომელსაც მოუვლელი ბალი იძლეოდა. ეს ძირითადად დაკავშირებული იყო თხილის ბალის მოვლასთან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების სიმცირესთან. ამ მიღვომის, ასევე კლიმატურ პარამეტრებში მიმდინარე ცვლილებების გამო (ცხელი ძლიერი ქარების სიხშირისა და ხანგრძლივობის მატება, ჭარბი ნალექები, გვალვიანი პერიოდების გახანგრძლივება) გააქტიურდა მავნებლები და იმატა თხილის დაავადებების გავრცელებამ. 2016 წელს აღნიშნულის გამო ძლიერ შემცირდა თხილის მოსავლიანობა, მიღებული პროდუქცია იყო უხარისხო, მცენარეები დაკინდა და შეიქმნა მათი გახმობის საშიშროება.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია თხილის საშუალო მოსავლიანობა რეგიონების მიხედვით, ასევე, მითითებულია მოვლილ და მოუვლელ ბალებში მოსავლიანობის განსხვავების გამომწვევი ძირითადი მიზეზები.


ცხრილი 8.2. თხილის საშუალო მოსავლიანობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა (მოუვლელი ბალი)	საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა (მოვლილი ბალი)	განსხვავების მიზეზი
სამეგრელო	1.5-1.8	2.0-2.5-3.5	სადრენაჟო არხების მეშვეობით ხდება ჭარბი ტენის მოცილება, ნიადაგის ნაყოფიერება
გურია	1.3-1.6	1.7-2.0	ნარგაობის ასაკი
იმერეთი	1.5-1.7	1.8-2.0	ტენის ნაკლებობა
აჭარა	1.3-1.5	1.5-2.0	დაბალი აგროფონი
ვახეთი	1.9-2.3	2.5-3.0	ნიადაგის მაღალი ნაყოფიერება

8.3. მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებები თხილის ამონატენაზური ზონირებაში

თხილის მოსაყვანად საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჰაմი საშუალოდ $3900\text{-}4900^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა $1400\text{-}1720$ მმ-ს უდრის. თხილისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობების ზონებად გამოყოფა სწორედ ამ პრინციპით ჩატარდა. შედეგები მოცემულია სურათზე 8.1. აგროკლიმატური ზონების ფართობების ცვლილება, რომლებშიც ამ კულტურის მოყვანა არის შესაძლებელი, მოცემულია ცხრილში 8.3.

სურათი 8.1. ცვლილებები თხილის აგროკლიმატურ ზონირებაში 1966-90, 1991-2015 და 2071-2100 წლებში



ცხრილი 8.3. თხილის მოსაყვანად ხელსაყრელი ზონების ფართობები სხვადასხვა დროით პერიოდში

	1966-90 წ.წ. (ჰა)	1991-2015 წ.წ (ჰა)	2071-2100 წ.წ. (ჰა)
ზონა 2	548099	760736	1838121
ზონა 3	773237	859469	467510

თხილის მოსაყვანად ბუნებრივად ხელსაყრელი პირობები ზონა 3-ში კი ამ კულტურისთვის ხელსაყრელი მხოლოდ ტემპერატურაა, ნალექებით კი უზრუნველყოფილი არ არის და რწყვას მოითხოვს. მიმდინარე პერიოდში, სადაც ტემპერატურების ჯამი გაზრდილია და ნალექების რაოდენობა თითქმის უცვლელია, ზონა 3-ის და ზონა 2-ის ფართობები ორივე გაზრდილია და თხილის მოსაყვანად ოპტიმალური კლიმატური პირობებია. მომავალში ზონა 3 თითქმის 2-ჯერ შემცირდება, სამაგიეროდ იმ ტერიტორიების ფართობი, სადაც ტემპერატურის გამო თხილის მოყვანა შესაძლებელი გახდება 2.5-ჯერ გაიზრდება, თუმცა ამ ტერიტორიებიდან რომელ მათგანებ იქნება რწყვა შესაძლებელი და ეკონომიკურად სარგებლიანი დამატებით კვლევას საჭიროებს.

8.4. რეპორტდაგები თხილის წარმოების ადაპტაციისათვის

თხილის ბაღებში უნდა მოხდეს შემდეგი აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება:

- სადრენაჟო არხების გაყვანა და მოწესრიგება ჭარბი წყლის მოცილების მიზნით
- ქარსაფარი ზოლების გაშენება
- წყლით უზრუნველყოფის მიზნით ჭაბურღილებისა და სარწყავი სისტემების მოწყობა
- თხილის ბუჩქური რელიეფური გაშენება მცოცავ ქანებზე (პორიზონტალების მიხედვით „ჭადრაკულად“)
- პრევენციული ღონისძიებების გატარება მავნებლების გავრცელების წინააღმდეგ

გაშენებული უნდა იქნეს ინტენსიური ტიპის ბაღები სანერგეში გამოყვანილი ნერგებით; კიშს სიწმინდის დაცვის მიზნით სანერგე მასალა აღებული უნდა იქნეს სადედე ბაღიდან.

თხილის ახალგაზრდა ბაღებში უნდა მოხდეს ნარგავების ფორმირება (ერთშტამბიან, ბუჩქურ ფორმებად). გაახალგაზრდავებული უნდა იქნეს თხილის ძველი ნარგაობები. უნდა მოხდეს ამონაყრების შეცლა სავეგეტაციო პერიოდში 3-4-ჯერ.

8.5. თხილის წარმოების კლიმატის ფილილებასთან საადაპტაციო ღონისძიებების ხარჩ-სარგებლივი გრძელების ანალიზი

თხილის წარმოების კლიმატგონივრული ადაპტაციის მიზნით შეირჩა ორი ძირითადი ღონისძიება: მოუვლელი თხილის ბაღებში აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება და თხილის ბაღების ქარსაფარებით უზრუნველყოფა. თითოეული ღონისძიების ანალიზი მოიცავს სტანდარტულ 11 წელს (2018-2028).

პირველი ღონისძიების შემთხვევაში ძირითადი სარგებელი გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგად გაზრდილი მოსავლით მიღებული შემოსავალია. სათანადოდ მოვლილ ბაღებში 1 ძირის მოსავლიანობა შეადგენს 4-5 კგ, მაშინ როდესაც მოუვლელ ბაღში იგივე მაჩვენებელი შეადგენს 1 კგ-ს. რაც შეეხება დანახარჯს ესაა სხვაობა დანახარჯებში მოუვლელი და მოვლილი ბაღის შემთხვევაში. ბაღის სათანადოდ მოვლა საჭიროებს უფრო მეტ დანახარჯს. დანახარჯები განსხვავებულია იმის მიხედვით, მსხმოიარეა თუ არა ძირები. მსხმოიარე ბაღის მოვლა ღირს 6,000 ლ/ჰა, მაშინ როდესაც არამსხმოიარე ბაღის მოვლის დანახარჯი შეადგენს 13%-ით ნაკლებს (5,291

ლ/ჰა). საერთო დანახარჯი 21,790 ჰა ბალებში თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების გასატარებლად 292 მლნ. ლარია.

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება ანუ მოგება პერიოდის ბოლოს არის 402 მლნ. ლარი. სენიტიურობის ანალიზი ჩატარდა დისკონტის სხვადასხვა განაკვეთისათვის და ღონისძიება ყველა შემთხვევაში მომგებიანია. ამავე ღონისძიების მეორე სცენარი განიხილავს მოსავლის შემცირებას მოულელ ბალებში კლიმატის ცვლილების გამო. ამ სცენარში იგულისხმება, რომ თერმერთა ის ნაწილი, ვინც მინიმალურ თანხას ხარჯავს თავისი ბალის მოვლაზე და არ ზრდის თავის დანახარჯებს, ვერ შეძლებს ერთ ძირზე 1 კგ-ის მიღებასაც კი და მოსავლიანობა შესაძლოა 50%-ით კიდევ შემცირდეს (დაშვება). იგულისხმება, რომ ანალიზის პირველი 5 წლის განმავლობაში მოსავალი არის 1 კგ ძირზე, ხოლო შემდგომი 5 წლის განმავლობაში - 0.5 კგ ძირზე. აქ საშუალო მოგება პერიოდის ბოლოსათვის 465 მლნ. ლარია. ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

მეორე ღონისძიება გულისხმობს ბუგდიდის მუნიციპალიტეტში თხილის ბალების უზრუნველყოფას ქარსაფარი ზონებით. ეს ანალიზიც გაკეთდა სტანდარტულ 11 წელზე (2017-2027). ამ ღონისძიების შემთხვევაში ძირითადი სარგებლია იმ მოსავლის ღირებულება, რომელიც არ დაიკარგება თუ ქარსაცავი ზოლი გაშენდება, ხოლო დანახარჯში განხილულია მხოლოდ ქარსაცავი ზოლის გაშენების დანახარჯი, რომელიც 5.6 მლნ. ლარია დაახლოებით 500 ჰა ქარსაფარის გასაშენებლად. როგორც დაბალი, ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში, წმინდა შემოსავალი დადგებითა და დისკონტის საშუალო განაკვეთის შემთხვევაში (7.37%) უდრის 1.6 მლნ. ლარს. ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მოგებიანი აღტერნატივაა.

ამ ღონისძიების მეორე სცენარი გულისხმობს ქარების გახშირებას კლიმატის ცვლილების გამო. თუ კლიმატის ცვლილების გამო, ქარები გახშირდა და ყოველ წელს დაფიქსირდა, მაშინ ქარსაცავი ზოლებისგან მიღებული სარგებელი უფრო მეტი იქნება და ის პერიოდის ბოლოს 15.7 მლნ. ლარს მიაღწევს დისკონტის საშუალო განაკვეთის პირობებში. ნებისმიერი სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

8.6. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის გეურნეობის სტრატეგიის მანეორნალებაში

ორივე ღონისძიების (ბალების მოვლა თანამედროვე აგროტექნოლოგიებით და ქარსაფარები) გატარების შემთხვევაში სოციალური ეფექტი იქნება დადგებითი და მაღალი, რადგან მოუვლელი ბლების უმეტესობა სწორედ მოსახლეობის მცირე საკარმიდამო ბალებია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 15,806 თხილის ბალია, რაც მთელი სამეგრელო-ზემო სვანეთის ბალების მესამედია, ხოლო თვითონ ამ რეგიონში, საქართველოში არსებული თხილის ბალების 46%-ია.ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ შევეხებით მხოლოდ პირველ ღონისძიებას (ბალების მოვლა თანამედროვე აგროტექნოლოგიებით) აქ, ერთ-ერთი დამაბრკოლებელი შეიძლება იყოს სწორედ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნალექების ზრდა და გადანაწილება, როცა ხანგრძლივი წვიმის პირობებში ვერ ხერხდება აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება. მეორე ბარიერი შეიძლება იყოს ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება ამ ღონისძიებების შესახებ ცოდნაზე და მათ არ აქვთ საშუალება შეისყიდონ ეს ცოდნა, რაც ზრდის მათ ხარჯებს, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბაზარმა უზრუნველყოს აგროტექნიკური ღონისძიებებისათვის საჭირო ხარისხიანი პრეპარატები, თუ სხვა მასალები.

მეორე ღონისძიებაში შემოთავაზებული ქარსაფარი თავისი დადგებითი ეფექტით არის ცნობილი სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში, თუმცა მისი სიმაღლიდან და ფუნქციიდან გამომდინარე მას შეიძლება უარყოფითი ეფექტიც ჰქონდეს მეზობელ ტერიტორიებზე გაშენებულ კულტურებზე, რომლებიც ბევრ მზეს და შეუქს მოითხოვენ და ეს გარკვეული ბარიერი იყოს მისი დაგეგმარებისა და გაშენების პროცესში. ამ ეტაპზე სოციალური ეფექტი შეფასებული არაა. ადრე ქარსაფარებს ნეიტრალური (სახელმწიფოს) ტერიტორია ეკავათ და ახლა კონკრეტულად თხილთან მიმართებაში, სავარაუდოდ ეს იქნება კერძო ტერიტორიაზე, თუმცა გამორიცხული არაა იყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მეტი მოსარგებლე ყავდეს. ამას, სჭირდება კონსულტაციები ფერმერებთან და მუნიციპალიტეტებთან, რაც მიმდინარე პროექტის ფარგლებში არ გავეთებულა.

პირველი ღონისძიება, რომელიც გულისხმობს თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად გატარებას და რომელიც ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების რისკებს შესაბამისობაშია სოფლის მეურნეობის სტრატეგიასთან და წვლილს შეიტანს ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა ფერმერთა ცოდნის ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა. ქარსაფარების გაშენება სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში ეხმიანება ნიადაგების რაციონალურ გამოყენებას. ორივე ღონისძიება ითვალისწინებს კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას.

აგროტექნიკური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ევალებათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივ საინფორმაციო ცენტრებს, აქვე უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა საერთაშორისო პროექტები და პროგრამები, მნიშვნელოვანია ის კერძო სექტორი, რომელიც ბაზარს მოამარავებს აგროტექნიკური ღონისძიებებისთვის საჭირო მასალებით, სოფლის მეურნეობის სამცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც მუდმივ მონიტორინგს აწარმოებს დაავადებებზე და კლიმატთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე.

რაც შეეხება ქარსაფარების გაშენებას კერძო სამრეწველო ბალებში-კერძო სექტორი იქნება ამაზე პასუხისმგებელი, საკარმიდამო ნაკვეთებისათვის შესაძლოა მუნიციპალიტეტი ჩაერთოს მოსახლეობასთან ერთად (თანადაფინანსებით). გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს როლი მნიშვნელოვანია ქარსაფარისათვის ხის ჭიშების შერჩევის (ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების) პროცესში. პირველ რიგში უნდა მოწესრიგდეს სავანონმდებლო ბაზა და გაირკვეს უფლება-მოვალეობები ქარსაფარებთან დაკავშირებით. საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავდა ქარსაფარებს და კოლმეურნეობებს ეკუთვნოდა მათი მოვლა პატრონობა. დედოფლის მაგალითმა აჩვენა, რომ სახელმწიფო საკუთრების შემთხვევაში მისი დაცვის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, რადგან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს.


9. კლიმატის შველილების გავლენა საძოვრებები და საადაპტაციო ღონისძიებები

9.1. საძოვრების მავრცელება საქართველოში

ბუნებრივ სათიბებსა და საძოვრებს საქართველოში 1911.2 ათასი ჰა უჭირავს, აქედან 143.0 ათასი ჰა სათიბებს, 1768.2 ათასი ჰა საძოვრებს³⁵. ეს სავარგულები განლაგებულია დაბლობ, მთის ქვედა, მთის შეულეული და ალპურ ზონებში³⁶.

რეგიონების მიხედვით, საქართველოში ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს ყველაზე დიდი ფართობები უჭირავს კახეთსა და სამეგრელო ზემო-სვანეთში, თუმცა მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე სათიბ-საძოვრებზე მოდის(ნახატი 9.1). აჭარის სუბალპური და ალპური ზონის ფართობი მოიცავს 37 759 ჰა-ს, რომლის უმეტესი ნაწილი უკავია საბათხეულო საძოვრებს.

მეურნეობის სარგებლობაში არსებული ბუნებრივი სათიბები და საძოვრები რეგიონების მიხედვით




ნახატი 9.1. მეურნეობების სარგებლობაში არსებული ბუნებრივი სათიბები და საძოვრები (ყველა კატეგორიის მეურნეობა, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, %)³⁷.

³⁵ http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/Garemo_2015.pdf

³⁶ http://www.gaas.dsl.ge/pdf/recomendations_2016/რეკომენდაცია-სარქველაძე-2016.pdf

³⁷ <http://census.ge/ge/results/agro-census/meurneobebis-ganatsileba-sargeblobashi-arsebuli-mitsis-fartobis-mikhedvit>

სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების წილი



ნახატი 9.2. სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების წილი რეგიონების მიხედვით. (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, %)³⁸.

კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს სოფლის მეურნეობის სააღაპტაციო გეგმის მომზადების პროცესში საძოვრების პროდუქტულობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებისთვის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის.

9.2. კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენა საძოვრების პროდუქტულობაზე

კახეთის ზამთრის საძოვრების და სათიბების ძირითადი მასივები თავმოყრილია თეთრიწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების მიმდებარე ტერიტორიებზე. ამ სავარგულების ყველაზე დიდი ფართობი კი დედოფლისწყაროს რეგიონშია (54.42 ათასი ჰა).

კახეთში ზამთრის საძოვრებზე აღინიშნება მნიშვნელოვანი ერობიული პროცესების განვითარება. საძოვრების ტერიტორიის როგორც შემაღლებული, ისე დაბლობი ნაწილები, გარდა იორისა და ალაზნის თანამედროვე ტერასებისა, აგებულია ბლვის მარილის შემცველი დანალექი ქანებით, რომელიც ადვილად ექვემდებარება გამოქარვის, დაშლის და ჩამორეცხვის პროცესებს. ფერდობებიდან ჩამოშლილი ქანები გროვდება შედარებით ვაკე რელიეფის მქონე საძოვრებზე და იწვევს ნიადაგის მარიალიანობის გაზრდას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჰაერის საშუალო ტემპერატურა გაზრდილია 0.9°C -ით. წლიური ჟამური ნალექები 1966-1990 და 1991-2015 პერიოდებს შორის უმნიშვნელოდ 1%-ით შემცირდა. რაოდენობამ მოიმატა 6%-ით. მაგრამ, ეს ნალექები ძირითადად თექშის სახით მოდის და მათი უარყოფითი ზემოქმედება პირველ რიგში აისახება მთიან-ბორცვიან რელიეფზე გავრცელებულ საძოვრებზე, საიდანაც წყალი სწრაფად ჩამოედინება ფერდობებიდან და თან ჩამოაქვს მცენარეული

³⁸ <http://census.ge/ge/results/agro-census/meurneobebis-ganatsileba-sargeblobashi-arcebule-mitsis-fartobis-mikhedvit>

კორდი და ნიადაგის საფარი. გავლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე კლიმატის ცვლილებამ დედოფლისწყაროს რაიონში გამოიწვია მცენარის ტენით უზრუნველყოფის შემცირება განსაკუთრებით აპრილსა და ივლისში. ჰიდროთერმული კოეფიციენტის საშუალო სეზონური მნიშვნელობა შემცირდა 15%-ით. აღსანიშნავია, აგრეთვე ძლიერი ქარების მნიშვნელოვანი 8რდა 1966-1990 და 1991-2015 წლებს შორის. კლიმატურ ჰარამეტრებში აღნიშნული ცვლილებები ხელს უწყობს საძოვრებზე ეროვნული პროცესების გაძლიერებას. აღნიშნულს ემატება არიდული მეჩხერი ტყეების გაჩეხვა და ჭარბი ძოვება, რის გამოც დაბლობ საძოვრებზე მიმდინარეობს უდაბნოს და ნახევრადუდაბნოს მცენარეების ექსპანსია, საძოვრების ქსეროფიტიზაცია, ხოლო ფერდობებზე და ბორცვებზე ფართოვდება მშრალი შიშველი ქანები და ბიცობები.

არიდულ და სემიარიდულ ზონაში მდებარე საძოვრებზე (ელდარის და სამუხის დაბლობი და ტარიბანას ველის სამხრეთ-აღმოსალეთი ნაწილი) ნალექების წლიური რაოდენობა 300 მმ დაბალია, წლის საშუალო ტემპერატურა კი 12-14°C-ია. ასეთ კლიმატურ ფონზე, მშრალ და ბიცობ ნიადაგებზე ძირითადად გავრცელებულია მანანასებრი ჩარანი (დაფარულობა 30-40%), რომელსაც ხშირად ერევა ავშანი. მანანასებრი ჩარანის ცხვრის მიერ ჭამადობა დაბალია და 30% არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ცხვრები მას გამოიყენებენ მხოლოდ პირველი ყინვების შემდეგ ანუ დეკემბერში. მშრალ, მარილიან და ქვიან ადგილებში გავრცელებულია ხვარხვარი (დაფარულობა 20-30%), რომელსაც ცხვარი უფრო მეტად ძოვს (ჭამადობა 40-50%).

ზამთრის საძოვრებზე ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს ავშნიანებს, ასევე უროიანებს. ეს საძოვრები გამოიყენება მთელი წლის განმავლობაში (შემოდგომის დასაწყისიდან ზაფხულის ჩათვლით). კორდიან სტეპებს (ვაცინვერიანი, წივანიანი) უკავიათ ზამთრის საძოვრების შედარებით მცირე ფართობი. ადამიანის მიერ არარაციონალური, გადაჭარბებული გამოიყენების შედეგად ისინი გაქრობის ზღვარზეა და მათ ადგილს თანდათან უროიანები იკავებს.

2100 წლისათვის დედოფლისწყაროში მოსალოდნელია ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის 8რდა 3.3°C-ით, ხოლო ნალექთა წლიური რაოდენობა შემცირდება 14%-ით. 2050 წლისათვის ნალექების წლიური ჯამი დედოფლისწყაროში შემცირდება 4%-ით. სავეგეტაციო პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მოიმატებს დაახლოებით 5 გრადუსით, ხოლო ნალექი შემცირდება 90 მმ-ით ე.ი მოხდება კლიმატის კიდევ უფრო ძლიერი არიდიზაცია.

ზაფხულში ტემპერატურის მატება ზამთრის საძოვრებისთვის არ იქნება იმდენად კატასტროფული, რადგან ივლის-აგვისტოში ვეგეტაცია ისედაც შეწყვეტილია. მაგრამ მოსალოდნელია საძოვრების ტრანსფორმაცია, კერძოდ ნახევრადუდაბნოებში, საძოვრად ყველაზე უფრო მეტად გამოსაყენებელი მცენარეების ავშნის, თივაქასრას, შვრიელას, ჭანგას და სხვების ნაცვლად, გაბატონებულ პოზიციას დაიკავებენ უკიდურესად მშრალი ჰალოფილური ხურხუმიან-ჩარანიანი, ყარღანიანი და გამანთუსიანი საძოვრები. ეს ტენდეცია უკვე აღინიშნება მიმდინარე პერიოდში.

მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდებიან ისედაც მცირე ფართობზე გავრცელებული ნამდვილი სტეპები და მათი კომპენსტები. კერძოდ, პირუტყვის საკვებად ისეთი კარგი მცენარეები, როგორიცაა ვაცინვერა, იონჯა. საშიშროება შეექმნებათ საღსაღაკიანი ტყეების განახლებას, კერძოდ მათი აღმონაცენის განვითარებას. გაუდაბნოების ზღვარს მიუახლოვდება დენუდაციურ-ეროზიულ და აკუმულაციურ ლანდშაფტებში არსებული სათიბ-საძოვრები. საფრთხის წინაშე აღმოჩნდება აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული უროიანი საძოვრები, რადგან ურო გვიან (აპრილის ბოლოს, მაისში) იწყებს ვეგეტაციას და 35-40°C ტემპერატურზე ხმება. საფრთხე შეექმნებათ გარდამავალ საძოვრებს (ზღვის დონიდან 500-1000 მ), რადგან ისინი შედარებით ტენიან პირობებში ყველაზე უფრო კარგად ვითარდებიან.

ყაბეგის ზაფხულის საძოვრები და სათიბები განლაგებულია ძლიერ დაქანებულ 20-30 გრადუსიან ფერდობებზე. მათი ძირითადი ფართობები (80%) მდებარეობს სუბალპურ და ალპურ სარტყელებში, სადაც ქედების საშუალო სიმაღლე აღმატება 3500 მეტრს ზღვის დონიდან. სათიბ-საძოვრების საერთო ფართობი ყაბეგის მუნიციპალიტეტში 387 ჰა-ია, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა შეადგენს 2593 სულს, რასაც ემატება 4 ათასამდე სული ცხვარი და თხა. შესაბამისად, აქ ერთ ჰექტარზე 7 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 10 ცხვარი და თხა მოდის.

ზაფხულის საძოვრებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს გამოფიტვის, დენუდაციის, ეროზიის, მეწყერების, ღვარცოფების მიმდინარე პროცესები. ამას ემატება კლიმატის შედარებით მაღალი კონტინენტურობა, თოვლის საფარის სიმცირე, ინტენსიური ტურიზმი და რაც მთავარია არარაციონალური ძოვება.

ზაფხულში(ივლისის ბოლო, აგვისტო) აქ აღინიშნება შუა აზის უდაბნოებიდან მომდინარე ცხელი და მშრალი ჰაერის მასები ფიონების სახით. ეს პროცესები ხელს უწყობს მშრალი ქსეროფილური მცენარეების შემოჭრას და მათ ექსპანსიას, ძირითადად სამხრეთ ფერდობებზე. ფიონები ასევე მკვეთრად აჩქარებს მცენარეთა ვეგეტაციას.

ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში (1800-2400 მ) წარმოდგენილია გასტეპებული, მშრალი, საშუალო ტენიანობის და დაჭაობებული სათიბ-საძოვრები. ალპურ სარტყელში (2400-2500-3000 მ) გაბატონებულია ძირითადად მკვრივ-კორდიანი მარცვლოვანი და ისლიანი საძოვრები.

დღეისთვის დარღვეულია ნაკვეთ-მორიგეობითი ძოვების და სათიბების მკაცრი დაცვის საუკუნოვანი ტრადიცია. 90-იანი წლების შემდეგ საგრძნობლად იკლო ცხვრის რაოდენობამ, რამაც ხელი შეუწყო საძოვრების მცენარეული საფარის სწრაფ აღდგენას, ასევე, ტყის მცენარეების(განსაკუთრებით არყის) ექსპანსიას მდელოებზე. მაგრამ ამას დაერთო ტემპერატურის მატება(განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში) და გვალვები, განსაკუთრებით 1998-1999 წლებში. გვალვის პერიოდში ძალიან სწრაფად მოხდა მცენარეული საფარის ტრანსფორმაცია, კერძოდ სუბალპურ სარტყელში გახმა მარადმწვანე ქონდარა ბუჩქი მაჯაღვერი, დაინყო ბალახოვანი მცენარეების ნაადრევი ყვავილობა, მაგრამ ჭკვნობა უკვე კორონის ფაზაში. საგრძნობლად (~2-ჯერ) შემცირდა ფიტომასის პროდუქტიულობა.

ამჟამად ყაბბეგის საკვები სავარგულების მდგომარეობა კვლავ კრიტიკული რჩება, იმატა ცხვრის ფარების რაოდენობამ, დარღვეულია ზღვარი სათიბებსა და საძოვრებს შორის და რაც მთავარია, გაიზარდა ტურისტთა რიცხვი. უკნასვნელი წლის დაკვირვებით ყაბბეგიდან სამების და გერგეტის გზის მიმართულებით მცენარეულობა(სათიბები) მკვეთრად დეგრადირდა, ხოლო ცხვრის და ცხენების ძოვება მაინც გრძელდება. სამების ვაკე ადგილი, შესანიშნავი საძოვარი, გამოიყენება ტურისტების ტრანსპორტის გადასაადგილებლად და პარკინგისათვის.

ტემპერატურის მოსალოდნელი მატება და ნალექების შემცირება გამოიწვევს ტიპიური ალპური საძოვრის გასტეპებას. დაიკარგება ამ მცენარეულობის პირველადი სახე, ეს პროცესებიც უკვე დაწყებულია.

ხეობებში მდინარეთა ტერასებზე, გამოტანის კონუსებზე და საერთოდ მთის ძირებზე გავრცელებულია ნაირბალახოვან-მარცვლოვანი და ნაირბალახოვან-პარკოსანი მდელოები. ისინი წარმოადგენენ მთავარ სათიბ სავარგულებს იმ სოფლებისათვის, რომლებიც მდებარეობენ ამ ადგილების მეზობლად. თუ ამ 20 -30 წლის წინათ ეს ადგილები ღობებით მაცრად იყო დაცული ძოვებისაგან, დღეს თითქმის ყველგან ამ სათიბებში მსხვილფეხა საქონელია შეშვებული. ამის შედეგია ის, რომ ბალახნარის მასა აქ 80%-ით უფრო დაბალია ვიდრე ნორმალურ სათიბში. მთვარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ნაცვლად ისეთი მაღალი კვებითი ღირსების მცენარეებისა როგორიცაა: იისფერი ქერი, ბრძამი, მდელოს წივანა, ტიმოთელა, სამყურას სახეობები, იონჯა და სხვ. ვითარდებიან საკვებად უვარგისი მცენარეები: ბაიას სახეობები, სატილია, ხრიალა და სხვ.

საუკუნის ბოლოსათვის, ამ რეგიონში მოსალოდნელი ცვლილებები კლიმატურ პარამეტრებში თითქმის მსგავსია დედოფლისწყაროსი. კერძოდ, 2100 წლისათვის მოსალოდნელია ტემპერატურის მატება 3.2 გრადუსით და ნალექების შემცირება 14%-ით, რაც გამოიწვევს მთის ზედა და სუბალპური სარტყელის მცენარეულობის ქსეროფილიციას. ამ სარტყლებში მოსალოდნელია სტეპური მცენარეულობის გაბატონება, ტყის ზედა საბლვრის აწევა 100-150 მეტრით³⁹. მაღალმთის სტეპის მცენარეულობა, თუ ის არ იქნა ძლიერ დარღვეული და ეროდირებული მაღალ კვებითი ღირებულების საკვებ სავარგულად დარჩება და მისი ფართობი მოიმატებს კიდეც. დღევანდელი ერობირებული ფერდობები კიდევ უფრო გაშიშვლდება. დღევანდელი საკვებ-სავარგულების ეკოლოგიური მდგომარეობა არ იძლევა კარგ ჰერსექტივას კლიმატის ცვლილების შედეგად მათი პროდუქტიულობის გაზრდის ან თუნდაც დღევანდელი მდგომარეობის შენარჩუნების თვალსაზრისით. უფრო მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად უკვე დღეიდან უნდა მოხდეს ალპურ სარტყელში ერობირებული ფერდობების გამდელოება.

ასევე მოსალოდნელია, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების ზეგავლენით, ალპური სარტყელის საძოვრების მნიშვნელოვანი ტრანსფორმირება დადებითი მიმართულებით. კერძოდ, მეზოფილური (ტენის მოყვარული) მცენარეულობა გადაადგილდება სულ ცოტა 100-150 მ-ით ზემოთ და მათ ადგილს დაიჭერს უფრო სიმძლავის მოყვარული სტეპის მცენარეები. ასეთი ექსპანსია საძოვრების თვალაზრისით არ იქნება უარყოფითი.

³⁹ აქ იგულისხმება კლიმატურ გონირების მიხედვით, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მიმდინარე ეროგიულ პროცესებს და მეწყერებს, შესაძლოა საპირისპირ პროცესებს ჰქონდეს ადგილო, როგორც ეს აჭარაში მოხდა, სადაც ტყის ზედა საზრვარომა 300 მეტრით ქვემოთ დაიწია ნიადაგის ეროზის და მეწყერების გამო, რასაც ხელი შეუწყო ტავსხმა წვევების მომატება.

სამეგრელოს სათიბ-საძოვრები განლაგებულია ზღვის დონიდან ალპურ სარტყელამდე. გამორჩეული საძოვრების კოლხეთის დაჭაობებული ადგილები (0-50 მ ზღვის დონიდან), რომელთაც ზოგიერთი ზღვის დონეზე დაბლაა. ზაფხულის საძოვრები მდებარეობს სუბალპურ და ალპურ სარტყელებში. კოლხეთის დაბლობზე ჭარბობს ჭაობიანი ისლიანი საძოვრები, სადაც დომინანტობს გაპობილ-ნაყოფა ისლი, კავკასიური რინპოპორა და სხვ. ისლიანი მდელოები არ ქმნიან მთლიან საფარს, მცენარეებით ღია ადგილებში კი წყალია. სამეგრელოს სუბალპური და ალპური საძოვრები ძირითადად კარსტული (კირქვიანი) ლანდშაფტის პირობებშია გავრცელებული. მათი დომინანტი მცენარეებია: შიშველნვერიანი ნემსიწვერა, ბრძამი და სხვ.

სამეგრელოს, კერძოდ მაღალმთის სათიბების და საძოვრების ამჟამინდელი მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ის ძლიერ არის გადატვირთული მსხვილფეხა და თხის ფარებით, არ არის დაცული ელემენტარული ნაკვეთ-მორიგეობითი ძოვება, არ არის გათვალისწინებული საძოვრების დატვირთვის შესაძლებლობები. საძოვრების გადატვირთვა იწვევს ეროზიული პროცესების განვითარებას, ბალახნარის გადაგვარებას. აუცილებელია საძოვრების განტვირთვა და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების შემოღება. კარსტულ ტერიტორიებზე საჭიროა იქ არსებული ღრმა კარსტული ძაბრების გამოყენება (ძირში ჩაცემენტება) საქონლის წყლით უზრუნველყოფისათვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2100 წლისათვის მოსალოდნელია ტემპერატურის მატება 3⁰-ით, რაც გამოიწვევს ძლიერ ეროზის და მეზოფილური საძოვრების გადაგვარებას. კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული საძოვრები, კიდევ უფრო დაჭაობდება, რადგან მოიმატებს გამდნარი მყინვარებიდან წამოსული წყლის რაოდენობა. რაც შეეხება ნალექებს, 2050 წლამდე ნალექები აქ მატების რეჭიმშია, მაგრამ 2100 წლისთვის იკლებს დაახლოებით 12 %-ით 2020-2050 პერიოდთან შედარებით.

ზემო სვანეთის სათიბ-საძოვრები განლაგებულია რთულ და დანაწევრებულ რელიეფზე. ტერიტორიისათვის დამახასიათებელია ფერდობების მნიშვნელოვანი დახრილობა და ეროზის და დენუდაციის ბაზისის განლაგების სიღრმე, რაც მაღალი ატმოსფერული ნალექების პირობებში ძლიერ ზემოქმედებს მცენარეულობასა და ნიადაგზე. ყოველივე ეს იწვევს საკვები სავარგულების ზედა ფენების ჩამორცხვას და კორდის წარმოქმნის შეჩერებას. 1966-1990 და 1991-2015 პერიოდებში ნალექები მეტიაში გაზრდილია 9%-ით და ეს პროცესი გრძელდება 2050 წლამდე, თუმცა ამ პერიოდში ნაზრდი დაახლოებით 2% იქნება, რის შემდეგაც ნალექები იწყებს კლებას, მაგრამ ბევრად ნაკლები ტემპით, 2050 წელთან შედარებით -6% 2100 წლისათვის.

ყაზბეგის მაღალმთიანეთისგან განსხვავებით სვანეთში დიდი ფართობები უკავია ნაირბალახოვან ჰიგროფილურ და მეზოფილურ არადაკორდებულ საძოვრებს, რომლებიც უფრო მოწყვლადია ძოვების მიმართ. ასეთ სათიბებსა და საძოვრებზე ტემპერატურის ზემოქმედებაც უფრო მკვეთრად აისახება მცენარეთა შემადგენლობაზე.

სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ზემო სვანეთის საძოვრები, შედარებით სუსტადაა დატვირთული, შესაბამისად მცენარეული საფარიც ნაკლებადაა დარღვეული. საძოვრების გამოყენების კოეფიციენტი აქ საკმაოდ დაბალია (40%), რადგან მის შემადგენლობაში გაბატონებულია ბევრი საკვებად უვარგისი და ბალასტი მცენარე.

აქ მოსალოდნელი კლიმატის ცვლილების ფონზე (ტემპერატურა მომატებულია 0.3⁰C და 2050 წლისათვის კიდევ 1.2⁰C მოიმატებს, ხოლო საუკუნის ბოლოს 3.70C-ით) მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია ელოდება ნაირბალახოვან (ნემსიწვერიანი, ფრინტიანი) საძოვრებს, რომლებსაც საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. მათ ადგილს დაიკავებს ტყის ბალახოვანი მცენარეები. მარცვლოვანი მცენარეების დომინანტობით ყველაზე უფრო ფართოდ არის გავრცელებული ბრძამიანი მდელოები, ნაირბალახების (რენარდის ნემსიწვერა, ბარისპირა და სხვ) და პარკოსნების (სამყურები, ცერცველა) მონაწილეობით. ამ სავარგულის მოსავალი მერყეობს 18-30 ც/ჰა ფარგლებში. მისი ბალახნარი გამოიყენება მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის მიერ 50-60%-ით. უფრო მაღალია ამ ბალახნარის თივად გამოყენების კოეფიციენტი-80-90%.

ალპურ სარტყელში შედარებით უკეთ არის წარმოდგენილი ჭიმილის და ჭრელი წივანას მდელოები. ამათგან პირველი კარგად გამოიყენება, ხოლო მეორე -არა უმეტეს 30-40% ისა. ამიტომ სასურველია

აჭარაში სათიბ-საძოვრებს უკავია მთელი ტერიტორიის 15%. ისინი აჭარის თითქმის ყველა ნიადაგურ-კლიმატურ ზონაშია, მაგრამ ძირითადად სუბალპურ და ალპურ სარტყელებშია განლაგებული. საძოვრებზე არსებითადაა შეცვლილი მცენარეულობა. დიდი გადატვირთვის გამო ნამიკრეფიას საძოვრები გადათელილია, ხოლო ფერდობები დასერილია ბილიკებით.

სუბალპური მდელოები ტრადიციულად გამოიყენებოდა და ამჟამადაც ინტენსიურად გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, საზაფხულო საძოვრებად. ბოლო პერიოდში მოსახლეობის და პირუტყვის რაოდენობის ზრდასთან ერთად, მთა-მდელოს საძოვრები ძლიერ გადატვირთულია. ამის შედეგად სასარგებლო მცენარეულობა, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად ნაირბალახოვანი მარცვლოვანების და პარკოსნების ჰავუფით, ძლიერ დაკნინებულია. შესაბამისად მცენარეული საფარის როლი ნიადაგნარმოქმნის და განვითარების პროცესში თანდათანობით ეცემა, ნიადაგები უკვე დეგრადირებულია, კორდი თანდათანობით იშლება, სტრუქტურა თითქმის იკარგება და ვითარდება ძლიერი წყლისმიერი ერობის პროცესები. აჭარის ალპურ ზონაში წლიურ ნალექთა ჭამი მომატებულია 13%-ით, ყველაზე დიდი მატებაა ზაფხულში. ასევე, მნიშვნელოვნადაა მომატებული გადაბმულად 5 დღე ნალექიანი დღეები.

აჭარის საძოვრებს ახასიათებს დიდი აღდგენითი უნარი, თუმცა, დღეისათვის, უკვე მნიშვნელოვნად იზრდება დეგრადირებული საძოვრების ფართობი ინტენსიური გამოიყენების (1 ჰა-ზე 3-4 სული მსხვილფეხა რექსანი პირუტყვი) და მოუვლელობის გამო. საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ერობირებული და დეგრადირებულია, მოგან კი დაფარულია ქვა-ღორლით და გამოფიტვის უხეში ნაშალით, ხშირია ნიადაგ საფარდავარგული გაშიშვლებული ნაკვეთები, აღნიშნულ ზონაში მშრალი ჭამადი მასა ჰექტარზე არ აღემატება 6-7, ხოლო სათიბების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 12-13 ცენტნერს.

კლიმატის მიმდინარე ცვლილებამ უკვე მოახდინა გარკვეული ზეგავლენა. მიმდინარე პროცესების შედეგად გაძლიერებული და გახშირებული უხვი ნალექები იწვევს მთების ფერდობებზე ნიადაგის ჩამორეცხვას, რასაც ბალახეული საფარის ინტენსიური ექსპლუატაციის პირობებში თან სდევს სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის შემცირება.

აჭარის მაღალმთინ ზონაში ტემპერატურის $1.4\text{--}1.5^{\circ}\text{C}$ -ით მომატებაა მოსალოდნელი 2050 წლისათვის, წლის თბილ პერიოდში, რაც სასიკეთოდ უნდა წაადგეს სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლებას. ნალექების მცირედით შესაძლო შემცირებას 1-8%-ით, სავარაუდოდ, დიდი გავლენა არ ექნება საძოვრების მდგომარეობაზე.

9.3. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შეფასება სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობასა და საირიგაციო წყალმომზადებების Aquacrop მოდელის საშუალებით

სათიბ-საძოვრების მოსავლიანობასა და საირიგაციო წყალმომზადებების კლიმატის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილების ზეგავლენა საქართველოს სამ რეგიონში (კახეთი, ყაზბეგი და ზემო სვანეთი) შეფასებულ იქნა Aquacrop(FAO) მოდელის და ექსპერტების ერთობლივი შეფასებებით⁴⁰. თითოეული რეგიონისთვის მოდელით სიმულირებული იქნა 4 სხვადასხვა პერიოდი: ორი მიმდინარე 25-წლიანი (1966-1990 წწ.; 1991-2015 წწ) პერიოდი და ორი საპროგნოზო 30-წლიანი პერიოდი (2021-2050 წწ; 2070-2099 წწ.).

მოდელში შემავალი სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური პარამეტრები ყველა განხილული პერიოდისათვის და შესაბამისი სიმულირებული მოსავლიანობა მოცემულია ცხრილებში 9.1; 9.2 და 9.3.

ცხადია, მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობის რეალურ სტატისტიკასთან შედარებისას გასათვალისწინებელია, რომ მოდელი არ განიხილავს მოსავლის პროდუქტიულობაზე ისეთი

⁴⁰ <http://www.fao.org/land-water/databases-and-software/aquacrop/en/> მომავლის კლიმატის სიმულირებისას გამოიყენებულ იქნა IPCC კლიმატის ცვლილების A1B სცენარი. კლიმატური პარამეტრები (ატმოსფერული ნალექები, ჰაერის მასიური და მინიმური ტემპერატურა, ეტალონური ევალონების სპეციალისტის მიღებული იქნა გლობალური ცირკულაციური მოდელის (ECHAM4.1) რეგიონზე დამასტაბიზით/დაყვანით რეგიონული დონამიკური კლიმატური მოდელის (RegCM) საშუალებით.

მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას, როგორიცაა ექსტრემალური მოვლენები: ტემპერატურის ზრდითა და თბური ტალღების გახშირებით გაზრდილი მავნებლების გამრავლების და დაავადებების გამოვლინების სიხშირის და ინტენსივობის ზრდა, წყალდიდობები, მეწყერები და ნიადაგის ერობია. რაც მთავარია, მოდელი განიხილავს სათიბ-საძოვრის სწორ მენეჯმენტს და აგროტექნიკური ღონისძიებების სრულყოფილად და დროულად გატარებას. შესაბამისად მოდელის მიერ სიმულირებული მოსავლიანობა უფრო აღნიშნული რეგიონისათვის პოტენციალის და ცვლილების ტრენდების მაჩვენებელია ვიდრე რეალური სიტუაციის, თუმცა იდელურ პირობებში შეიძლება კარგი თანხვედრაც მოხდეს.

AquaCrop მოდელის გამოყენებით ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობასა და წყალმოთხოვნილებაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასების მიზნით შერჩეული იქნა ბალახის ორი სახეობა:

1. იონჭა, როგორც თივის წარმოების საუკეთესო საშუალება, რამდენადაც იგი შეიცავს ყუათიან ნივთიერებებს და ცილების დიდ რაოდენობას. იონჭა გამოიყენება როგორც მწვანე საკვები, ასევე როგორც თივა. მონელებადი საკვები ნივთიერებების შემცველობის მიხედვით მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის.
2. ბოგადად ეტალონური ბალახი, საძოვრის ბოგადი ტიპის სიმულირებისთვის.

ცხრილებში 9.1, 9.2 და 9.3 განხილულია იონჭას მოსავლიანობა სამ განხილულ რეგიონში, როდესაც მოდელირების პროცესში გათვალისწინებულია გაზრდილი CO_2 -ის ეფექტი⁴¹. გარდა ამისა, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში სათიბ-საძოვრები მნიშვნელოვნადაა დეგრადირებული გათვალისწინებულ იქნა ნიადაგის სტრესი სხვადასხვა ხარისხით სხვადასხვა რეგიონისათვის, იმის მიხედვით, თუ რამდენად დეგრადირებულია საძოვარი ამა თუ იმ რეგიონში (დედოფლისწყაროში -44%, მესტია და ყაზბეგი 23%).

თივის მოსავლიანობის მოდელირებისთვის, მოდელში შესაყვან სიდიდეებად, გამოყენებულ იქნა იონჭას პარამეტრები, როგორც ყველაზე სასარგებლო და ყუათიანი საკვები საქონლისთვის. მოდელირების შედეგები და შემავალი ძირითადი კლიმატური პარამეტრები მოცემულია ცხრილებში 9.1, 9.2 და 9.3.

⁴¹ CO_2 -ის გაზრდილ კონცენტრაციას ექნება დადებითი ეფექტი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობაზე, ხოლო კლიმატური პარამეტრების (ნალექი, ევაპოტრანსპირაცია) არახელსაყრელი ცვლილებები კომპენსირდება/გადაიფარება შეცნარისთვის ზრდა-განვითარებისთვის ხელშემწყობი სხვა პირობებით, მაგალითად, როგორიცაა უკეთესი წყლის ბალანსი. ამასთან, აღნიშნული ეფექტი დამოკიდებულია ნიადაგის მდგომარეობასა და რეგიონის სპეციფიკაზე.

ცხრილი 9.1. იონქას სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები (მშრალ მასაში) და ცვლილება 1966-1990 (1), და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (მესტია)

პერიოდი / პარამეტრი	ნალექი, მმ	ევაპორონანცირაცია, მმ	აქტუალურაზუათა ჰამი, °C*ღლე	CO ₂ , ppm	ნიადაგის ნაყოფიერება ოპტიმალურ დონეზე			ნიადაგის ნაყოფიერების დაბალი სტრესი (23%)		
					მოსავლია- ნობა, ტ/ჰა (ურნევი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(რწყვადი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(სარწყავი) (RAW70)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(ურნევი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(სარწყავი) (RAW70)
1966-1990(1)	313	354	1190	336	3.8	4.0	4.0	3.2	3.3	3.3
1991-2015(2)	312	362	1257	376	4.1	4.4	4.4	3.5	3.7	3.7
2021-2050 (3)	342	351	1352	442	4.6	5.0	4.9	3.9	4.1	4.1
2070_2099(4)	344	439	1570	540	4.5	5.5	5.4	3.9	4.6	4.5
აბს. ცვლილება_21 ⁴²	0	8	66	40	0.4	0.4	0.4	0.3	0.4	0.4
აბს. ცვლილება_32	30	-10	96	65	0.5	0.6	0.5	0.4	0.5	0.4
აბს. ცვლილება_42	31	77	313	163	0.4	1.1	1.0	0.4	0.9	0.9
ფარდ. ცვლილება_21	-0.1%	2%	6%	12%	10%	11%	11%	10%	11%	11%
ფარდ. ცვლილება_32	9%	-3%	8%	17%	11%	13%	12%	11%	12%	12%
ფარდ. ცვლილება_42	10%	21%	25%	43%	9%	24%	24%	11%	24%	23%

ცხრილი 9.2. იონქას სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები (მშრალ მასაში) და ცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (სტეფანწმინდა)

პერიოდი / პარამეტრი	ნალექი, მმ	ევაპორონანცირაცია, მმ	აქტუალურაზუათა ჰამი, °C*ღლე	CO ₂ , ppm	ნიადაგის ნაყოფიერება ოპტიმალურ დონეზე			ნიადაგის ნაყოფიერების დაბალი სტრესი (23%)		
					მოსავლია- ნობა, ტ/ჰა (ურნევი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(რწყვადი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(სარწყავი) (RAW70)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(ურნევი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა(სარწყავი) (RAW70)
1966-1990(1)	416	406	1494	336	3.6	4.4	4.4	3.2	3.9	3.8
1991-2015(2)	355	431	1586	376	3.1	4.9	4.8	2.8	4.3	4.3
2021-2050 (3)	430	468	1700	442	3.4	5.5	5.4	3.0	4.8	4.8
2070_2099(4)	403	562	1992	540	1.9	6.0	5.9	1.7	5.3	5.2
აბს. ცვლილება_21	-62	24	92	40	-0.5	0.5	0.5	-0.4	0.4	0.4
აბს. ცვლილება_32	75	37	114	65	0.3	0.6	0.6	0.3	0.5	0.5
აბს. ცვლილება_42	48	132	406	163	-1.2	1.1	1.1	-1.0	1.0	0.9
ფარდ. ცვლილება_21	-15%	6%	6%	12%	-14%	11%	10%	-13%	11%	11%
ფარდ. ცვლილება_32	21%	9%	7%	17%	10%	13%	12%	10%	13%	12%
ფარდ. ცვლილება_42	14%	31%	26%	43%	-39%	24%	22%	-37%	24%	22%

⁴² აღნიშნავს ცვლილებას მე-2 და 1-ლ პერიოდებს შორის. შესაბამისად დანარჩენი პერიოდებისთვისაც

ცხრილი 9.3 იონქას სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები (მშრალ მასაზი) და ცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (დედოფლისწყარო)

პერიოდი / პარამეტრი	ნალექი, მმ	ევაპოტორანსპირაცია, მმ	ჟენერული ტემპერატურათა კამი, °C*დღე	CO ₂ , ppm	ნიადაგის ნაყოფიერება თპტიმალურ დონეზე			ნიადაგის ნაყოფიერების დაბალი სტრესი (23%)		
					მოსავლის ნობა, ტ/ჰა (ურნებავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW30)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნებავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW30)
1966-1990(I)	259	311	1316	336	2.4	3.6	3.6	1.5	2.3	2.3
1991-2015(II)	245	315	1373	376	2.6	4.0	4.0	1.6	2.5	2.5
2021-2050 (III)	225	231	1492	442	3.5	4.5	4.5	2.1	2.8	2.8
2070_2099(IV)	155	197	1703	540	3.6	4.9	5.0	2.2	3.1	3.1
აბს. ცვლილება_21	-14	4	57	40	0.2	0.4	0.4	0.1	0.2	0.2
აბს. ცვლილება_32	-21	-84	119	65	0.9	0.5	0.5	0.5	0.3	0.3
აბს. ცვლილება_42	-90	-118	330	163	1.0	1.0	1.0	0.6	0.6	0.6
ფარდ. ცვლილება_21	-5%	1%	4%	12%	9%	11%	11%	9%	11%	11%
ფარდ. ცვლილება_32	-8%	-27%	9%	17%	34%	13%	13%	29%	13%	13%
ფარდ. ცვლილება_42	-37%	-37%	24%	43%	36%	24%	24%	35%	24%	24%

ცხრილებიდან 9.1-9.3 ჩანს, რომ ნიადაგის მდგომარეობის ორივე შემთხვევაში, ურნებავ პირობებში, განხილული სამი რეგიონიდან, მოდელი აჩვენებს იონქას (სათივე ბალახის) ყველაზე მაღალი მოსავლიანობის პოტენციალს მესტიაში ახლაც (3.8 ტ/ჰა) და მომავალშიც (5.5 ტ/ჰა). ყველაზე დაბალი პოტენციალი არის დედოფლისწყაროში (2.4 ტ/ჰა ახლა და 3.6 ტ/ჰა საუკუნის ბოლოს). რაც შეეხება სტეფანწმინდას იგი ამ ორის შუაშია თავის მოსავლიანობით, მაგრამ მას კლების ტრენდი აქვს და 3.6 ტ/ჰა-დან მიმდინარე პერიოდში, საუკუნის ბოლოსათვის მისი პოტენციალი 1.9 ტ/ჰა იქნება. რა თქმა უნდა ყველგან იგულისმება, რომ გარდა კლიმატური პარამეტრების ცვლილებისა სხვა ყველა პირობა და მოდელში შემავალი სიდიდეები იგივე რჩება. რეგიონების მიხედვით საძოვრების მოსავლიანობა ხელმისაწვდომი არაა, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით თივის საშუალო მოსავლიანობა 2.4 ტ/ჰა-ზეა, რაც რეალურია სათიბების არსებული მდგომარეობის (არა შეღობილი და საქონელი ძოვს) გათვალისწინებით.

რაც შეეხება მოთხოვნილებას სარწყავ წყალზე, ცხრილში 9.4 მოცემულია იონქას სარწყავი წყლის მოთხოვნილება განხილულ სამ რეგიონში ადვილად ხელმისაწვდომი წყლის (RAW⁴³) ორი სცენარის მიხედვით.

⁴³ ფესვთა გავრცელების ზონაში არსებული ადვილად ხელმისაწვდომიწყლის (RAW) ორი სცენარი, როდესაც ფესვთა ზონის დასაშვები გამოძრობის ხარისხი შეადგენს 50 და 30% (RAW50, RAW30).

ცხრილი 9.4. იონქას საირიგაციო წყალმოთხოვნილების მნიშვნელობები (მმ) და ცვლილება 1991-2015 (2) და 1966-1990 (1), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (ნიადაგის ნაყოფიერება აპტიმალურ დონეზე)

პერიოდი/ცვლილება	სამეგრელო-ზემო სვანეთი (მესტია)		მცხეთა-მთიანეთი (სტეფანწმინდა)		კახeti (დედოფლისწყარო)	
	RAW50	RAW70	RAW50	RAW70	RAW50	RAW30
1966-1990(1)	53	35	59	50	134	152
1991-2015(2)	65	47	105	93	134	153
2021-2050 (3)	46	32	82	73	76	94
2070_2099(4)	83	63	146	136	93	113
აბს. ცვლილება_21	11	12	45	43	0	0
აბს. ცვლილება_32	-19	-16	-22	-20	-58	-59
აბს. ცვლილება_42	18	15	41	42	-41	-40
ფარდ. ცვლილება_21	21%	36%	77%	87%	-0.1%	0.3%
ფარდ. ცვლილება_32	-29%	-33%	-21%	-22%	-43%	-38%
ფარდ. ცვლილება_42	28%	32%	39%	45%	-30%	-26%

ზოგადად საძოვრების მოსავლიანობის მოდელირებისათვის, მოდელში შესაყვან სიღიდეებად, გამოყენებულ იქნა ეტალონური ბალახის პარამეტრები. მოდელირების შედეგები და შემავალი ძირითადი კლიმატური პარამეტრები მოცემულია ცხრილებში 9.5, 9.6 და 9.7.

ცხრილი 9.5. საძოვრების ბუნებრივი ბალახების სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები (მშრალ მასაში) და ცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (მესტია)

პერიოდი/ცვლილება	ნალექი, მმ	ევაპორაციანირაცია, მმ	ატმოსფერული ტემპერატურა ზამთა სამი, °C ⁺ დღე	CO ₂ , ppm	ნიადაგის ნაყოფიერება აპტიმალურ დონეზე			ნიადაგის ნაყოფიერების დაბალი სტრესი (23%)		
					მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნებავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW70)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნებავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW70)
1966-1990(1)	375	430	806	336	4.2	4.6	4.6	3.4	3.7	3.7
1991-2015(2)	380	439	882	376	4.8	5.5	5.5	3.9	4.4	4.4
2021-2050 (3)	410	419	985	441	6.0	6.9	6.9	4.9	5.5	5.5
2070_2099(4)	407	513	1238	539	7.1	8.6	8.6	5.8	6.9	6.9
აბს. ცვლილება_2 ¹	5	8	76	40	0.6	0.9	0.9	0.5	0.7	0.7
აბს. ცვლილება_32	30	-19	103	65	1.2	1.4	1.4	1.0	1.1	1.1
აბს. ცვლილება_42	27	74	355	163	2.4	3.1	3.1	2.0	2.5	2.5
ფარდ. ცვლილება_21	1%	2%	9%	12%	14%	19%	19%	15%	19%	19%
ფარდ. ცვლილება_32	8%	-4%	12%	17%	25%	25%	25%	26%	26%	25%
ფარდ. ცვლილება_42	7%	17%	40%	43%	50%	56%	56%	51%	57%	57%

ცხრილი 9.6. საძოვრების ბუნებრივი ბალაზების სავაგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები (მშრალ მასაში) და ცვლილება 1966-1990 (1), და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (სტეფანწმინდა)

პერიოდი/ცვლილება	ნალექი, მმ	ევაპორტუნასპირაცია, მმ	ატმოსფერული ტემპერატურა ზე, °C*დღე	CO ₂ , ppm	ნიადაგის ნაყოფიერება ოპტიმალურ დონეზე			ნიადაგის ნაყოფიერების დაბალი სტრესი (23%)		
					მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნევავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (რწყვადი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW70)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნევავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW70)
1966-1990(1)	397	380	592	336	3.1	3.3	3.3	2.4	2.6	2.6
1991-2015(2)	356	396	651	376	3.8	4.2	4.2	3.0	3.3	3.3
2021-2050 (3)	414	439	766	441	5.1	5.9	5.9	4.1	4.7	4.7
2070_2099(4)	396	533	990	539	5.3	7.8	7.8	4.2	6.2	6.2
აბს. ცვლილება_21	-41	15	59	40	0.7	0.9	0.9	0.6	0.7	0.7
აბს. ცვლილება_32	57	43	115	65	1.2	1.6	1.6	1.1	1.4	1.4
აბს. ცვლილება_42	39	137	339	163	1.5	3.5	3.5	1.2	2.9	2.9
ფარდ. ცვლილება_21	-10%	4%	10%	12%	22%	28%	28%	24%	29%	29%
ფარდ. ცვლილება_32	16%	11%	18%	17%	33%	38%	38%	36%	41%	41%
ფარდ. ცვლილება_42	11%	35%	52%	43%	40%	83%	83%	40%	88%	88%

ცხრილი 9.7. საძოვრების ბუნებრივი ბალაზების სავაგეტაციო პერიოდის კლიმატური მახასიათებლების და მოსავლიანობის მნიშვნელობები (მშრალ მასაში) დაცვლილება 1966-1990 (1) და 1991-2015 (2), 2021-2050 (3) და 1991-2015 (2), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (დედოფლისწყარო)

პერიოდი/ცვლილება	ნალექი, მმ	ევაპორტუნასპირაცია, მმ	ატმოსფერული ტემპერატურა ზე, °C*დღე	CO ₂ , ppm	ნიადაგის ნაყოფიერება ოპტიმალურ დონეზე			ნიადაგის ნაყოფიერების დაბალი სტრესი (23%)		
					მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნევავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (რწყვადი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW70)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (ურნევავი)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW50)	მოსავლიანობა, ტ/ჰა (სარწყავი) (RAW70)
1966-1990(I)	315	448	1311	336	2.5	4.6	4.6	1.6	2.8	2.8
1991-2015(II)	293	453	1394	376	2.6	5.1	5.1	1.8	3.1	3.1
2021-2050 (III)	279	321	1525	441	4.6	6.1	6.1	2.9	3.7	3.7
2070_2099(IV)	212	280	1773	539	4.5	6.9	6.9	3.0	4.2	4.2
აბს. ცვლილება_21	-21	5	83	40	0.1	0.5	0.5	0.1	0.3	0.3
აბს. ცვლილება_32	-15	-132	131	65	2.1	0.9	0.9	1.1	0.6	0.6
აბს. ცვლილება_42	-82	-173	379	163	1.9	1.7	1.7	1.2	1.1	1.1
ფარდ. ცვლილება_21	-7%	1%	6%	12%	2%	10%	10%	8%	10%	10%
ფარდ. ცვლილება_32	-5%	-29%	9%	17%	80%	18%	18%	63%	19%	19%
ფარდ. ცვლილება_42	-28%	-38%	27%	43%	74%	34%	34%	71%	34%	34%

ცხრილები 9.5-9.7-დან ჩანს, რომ ნიადაგის მდგომარეობის ორივე შემთხვევაში, განხილული სამი რეგიონიდან, მოდელი აჩვენებს საძოვრების (ბუნებრივი ბალანსი) ყველაზე მაღალი მოსავლიანობის პოტენციალს მესტიაში ახლაც (4.8 ტ/ჰა) და მომავალშიც (7.1 ტ/ჰა) ურნყავ პირობებში. ყველაზე დაბალი პოტენციალი არის დედოფლისწყაროში (2.6 ტ/ჰა ახლა და 4.5 ტ/ჰა საუკუნის ბოლოს) თან ისე, რომ 2050 წლის შემდგომ მოსავლიანობა კლებას იწყებს, მაგრამ უმნიშვნელოდ. რაც შეეხება სტეფანწმინდას იგი ამ ორის შეაშია თავის მოსავლიანობით. რეგიონების მიხედვით საძოვრების მოსავლიანობა ხელმისაწვდომი არაა, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით საერთო საშუალო 2.4 ტ/ჰა-ზეა, რაც რეალურია საძოვრების არსებული მდგომარეობის (გადაძოვება, არ არის მართვა, მიწის ეროვნია და ა. შ) გათვალისწინებით, თუმცა როგორც ექსპერტის ანგარიშიდან ჩანს მთის საძოვრებებზე (ზემო სვანეთი და სტეფანწმინდა) ბუნებრივი ბალანსის მოსავლიანობა 2.5-3.0 ტ/ჰა აღწევს.

რაც შეეხება მოთხოვნილებას სარწყავ წყალზე ცხრილში 9.8 მოცემულია საძოვარზე ბალანსის სარწყავი წყლის მოთხოვნილება განხილულ სამ რეგიონში ადვილად ხელმისაწვდომი წყლის (RAW⁴⁴) ორი სცენარის მიხედვით.

ცხრილი 9.8. საძოვრების საირიგაციო წყალმოთხოვნილების მნიშვნელობები (მმ) და ცვლილება 1991-2015 (2) და 1966-1990 (1), 2021-2050 (3), 2070-2099 (4) და 1991-2015 (2) პერიოდებს შორის (ნიადაგის ნაყოფიერება ოპტიმალურ დონეზე)

პერიოდი/ცვლილება	სამეგრელო-ზემო სვანეთი (მესტია)		მცხეთა-მთიანეთი (სტეფანწმინდა)		კახეთი (დედოფლისწყარო)	
	RAW50	RAW70	RAW50	RAW70	RAW50	RAW30
1966-1990(1)	83	68	45	32	206	221
1991-2015(2)	94	80	66	53	216	232
2021-2050 (3)	74	60	74	64	104	121
2070_2099(4)	114	96	153	137	115	131
აბს. ცვლილება_21	11	12	21	21	10	11
აბს. ცვლილება_32	-20	-19	9	12	-113	-111
აბს. ცვლილება_42	20	16	87	84	-102	-100
ფარდ. ცვლილება_21	13%	17%	47%	65%	5%	5%
ფარდ. ცვლილება_32	-21%	-24%	13%	22%	-52%	-48%
ფარდ. ცვლილება_42	21%	20%	133%	160%	-47%	-43%

მოდელირების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- კლიმატის ცვლილების შერჩეული სცენარის (A1B) მიხედვით, ურნყავ პირობებში ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პოტენციური მოსავლიანობა, სავარაუდოდ, მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში გაიზრდება ყველა საკვლევ რეგიონში. გამონაკლისია საუკუნის ბოლოს მცხეთა-მთიანეთის მხარეში იონჯას მოსავლიანობის სავარაუდო შემცირების ტენდენცია (-40%). როგორც იონჯას, ისე საძოვრების ბუნებრივი ბალანსების მაქსიმალური ზრდა მოსალოდნელია კახეთში 35-40% და 75-80%-ით, შესაბამისად. ცვლილებები ყველაზე უმნიშვნელოა ზემო სვანეთში და იონჯას შემთხვევაში 10%-ის ფარგლებშია, საძოვრების პროდუქტიულობა კი შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება და საუკუნის ბოლოს მოსავლიანობის ნაზრდი აქ 50%-ს აღწევს მიმდინარე პერიოდთან მიმართებაში.

⁴⁴ ფესვთა გავრცელების ზონაში არსებული ადვილად ხელმისაწვდომიწყლის (RAW) ორი სცენარი, როდესაც ფესვთა ზონის დასაშვები გამოშრობის ხარისხი შეადგენს 50 და 30% (RAW50, RAW30).

- ირიგაციის შემთხვევაში მოსავლიანობა ყველაზე იზრდება, შედარებით მაღალია ირიგაციის ეფექტი იონჯასთვის მცხეთა-მთიანეთში საპროგნოზო ჰერიოდში და საძოვრების ბუნებრივი ბალახებისთვის - კახეთში მიმდინარე ჰერიოდში. სწორი ირიგაციის პირობებში შესაძლებელია საძოვრებზე 7-9 ტ/ჰა, ხოლო იონჯასთვის 5-6 ტ/ჸა მოსავლიანობის მიღწევა ნიადაგის ნაყოფიერების სტრესის მოხსნის შემთხვევაში. დეგრადირებული ნიადაგებისთვის რწყვის გამოყენებით საძოვრების პროდუქტიულობა 4-7 ტ/ჸა-მდე, იონჯასი კი 3-5 ტ/ჸა-მდე გაიზრდება.
- ყაზბეგში მომავლის სცენარის მიხედვით, იონჯასა და საძოვრების პროდუქტიულობა შედარებით არასტაბილური ხდება, ხოლო კახეთში პროგნოზი ყველაზე ოპტიმისტურია, რაც გულისხმობს როგორც იონჯას, ისე ბუნებრივი ბალახების ყველაზე გაზრდილ და სტაბილურ მოსავალს მიმდინარე ჰერიოდთან მიმართებაში. ზემო სვანეთში სურათი ყველაზე მდგრადია და ყველა განხილულ ჰერიოდში ირიგაციის გარეშეც კი მოსავლიანობა ყველაზე სტაბილურია.
- იონჯას კულტურისთვის, რომელიც მიეკუთვნება ნიადაგის წყალშემცველობის სტრესის მიმართ ზომიერად მგრძნობიარე კულტურათა რიცხვს, ნალექების ცვლილების ეფექტი, საირიგაციო წყალმოთხოვნილებასთან მიმართებაში, მიმდინარე ჰერიოდში თვალსაჩინოა ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. საპროგნოზო ჰერიოდებში, განსაკუთრებით საუკუნის ბოლოსთვის, სამივე რეგიონში ნალექების ცვლილების გავლენა გადაფარულია ევაპოტრანსპირაციის შემცირების ტრენდებით. კლიმატურ ცვლილებებზე ასეთივე დამოკიდებულება გამოვლინდა საძოვრების ბალახის შემთხვევაშიც.
- იონჯასა და საძოვრების ბუნებრივი ბალახების საირიგაციო წყალმოთხოვნილება საუკუნის შესაძლებისთვის მაღალმთიანი სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის საბათხეულო საძოვრებზე შემცირდება საშუალოდ 20-30%-ით. ამ ჰერიოდში გამონაკლისია საძოვრების წყლის დეფიციტის ზრდა ყაზბეგში (10-30%-ით). საუკუნის ბოლოს ორივე რეგიონში წყლის დეფიციტი მნვავდება და ბუნებრივი ბალახებისთვის ყაზბეგში, ნიადაგის ნაყოფიერების დონეზე დამოკიდებულებით, არადეგრადირებული ნიადაგებისთვის 130-160%, დეგრადირებულისთვის 150-190%-ს აღწევს.
- სათიბ-საძოვრებისთვის პროგნოზი ყველაზე ოპტიმისტური აღმოჩნდა კახეთისთვის, სადაც წყლის 20-50%-ით ნაკლები რაოდენობა გახდება საჭირო იონჯასა და სხვა ბუნებრივი ბალახების მაქსიმალური მასავლიანობის შესანარჩუნებლად. ანუ, ზამთრის საძოვრებზე სამომავლოდ რწყვაზე მოთხოვნილების შემცირებაა მოსალოდნელი.
- მოდელის შემოწებამ რეალურ სტატისტიკასთან მიმართებაში აჩვენა, რომ სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის რეალური კლება (ლიტერატურული წყაროებით ხელმისაწვდომი არაოფიციალური სტატისტიკის მიხედვით) მხოლოდ კლიმატური პირობების ცვლილებით არ უნდა იყოს განპირობებული და სავარაუდოდ, მიწების არასწორი ექსპლოატაციისა და არათანმიმდევრული მენეჯმენტის შედეგიცაა, როგორიცაა სასუქების ნაკლებობა, არაოპტიმალურ ვადებში თიბვა, არასისტემური ძოვება და სხვ.

9.4. რეკომენდაციები საძოვრების ადაპტაციისათვის

პახეთის ზამთრის საძოვრები

- მაქსიმალურად უნდა შემცირდეს საძოვრების დატვირთვა. აბსოლუტური ზამთრის საძოვრის 1 ჰა-ზე ცხვრის დასაშვები სულადობა 2.5-დან უნდა შემცირდეს 2-1.5-მდე, ხოლო საშემოდგომო საძოვრებზე დაშვებული უნდა იქნეს 1 ჰა-ზე არა უმეტეს 4 სული ცხვრის ძოვება. ხელი უნდა შეეწყოს საბაგო მეურნეობაზე ნაწილობრივ გადასვლას მაინც.
- იმ საძოვრების ირიგაცია, რომელთა გასარწყავებაც შესაძლებელია ნიადაგური პირობების მიხედვით (სადაც გასარწყავება არ გამოიწვევს მარილების გრუნტიდან ამოსვლას, უროიან-ავშნიანები და უროიანები). სათიბ-საძოვრების გადაცემა მოსარგებლებზე.

- საძოვრების მონაცვლეობის აღდგენა, რათა არ იყოს დაშვებული ერთი და იგივე ნაკვეთის გაძოვება ყოველ წელს და ერთ და იმავე კალენდარულ ვადაში. ჩამორის საძოვრებზე უნდა გამოიყოს ერთი ნაკვეთი, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ ექსტრემალურ პირობებში, ძალიან ცუდი ამინდის შემთხვევაში, როგორც საკვების სამარავო საშუალება ბატკნებისა და დედა ცხვრისათვის.
- ერობიული ფართობების (დედოფლისწყაროში: პანტიშარა, კონახურას ქედი, ფარასი) ნატურალიზაცია-გამაგრება, ამისთვის გამოყენებული უნდა იყოს გვალვაგამძლე მერქნიანი მცენარეები როგორიცაა: ღვია, საღსაღაჭი, შავკაგა, აგრეთვე ქსეროფიტი ბალახები.
- ხელოვნური სათიბების შექმნა მიწების გადახვნის გზით, სასურველია თესვა ჩატარდეს ოქტომბრის თვეში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ დროს იქნება ნალექები. ხელოვნური სათიბების შესაქმნელად გამოყენებული უნდა იყოს ესპარცეტი, კაპუეტა, კონდარი და სხვ. შედარებით სიმშრალის მოყვარული მცენარეები.
- ქარსაცავი ზოლების აღდგენა.

ყაზბეგის საძოვრები

- გავაკებულ ან მცირედ დახრილ(<10 გრადუსი) ფერდობებზე უნდა შეიქმნას ნათესი სათიბები და საძოვრები ბალახნარევის სახით. სათიბისათვის დასაშვებია 3-4 სახეობიანი ბალახნარევი. ამისთვის ველური მცენარეებიდან გამოდგება მარცვლოვნები: ისთერი ქერი, მდელოს წივანა, მდელოს ტიმოთელა, სათითერა, პარკოსნებიდან: კავკასიონის იონჯა, ყვითელი იონჯა, ესპარცეტი, სამყურები, ნაირბალახებიდან: დვალურა, კვლიავი, ფარსმანდუკი. ყველა ეს მცენარე აღგილობრივია. ხანგრძლივად გამოსაყენებელი საძოვრებისათვის რეკომენდირებულია მრავალსახეობიანი (5-6 სახეობიან) ბალახნარევი მარცვლოვნებიდან: ჭრელი შვრიელა, ალპური ტიმოთელა, ცახცახა, კენენურა, პარკოსნებიდან: სამყურები, ცერცველა, კურდღლისფრჩილა, ნაირბალახებიდან: კავკასიური კვლიავი, ცხვრის კვლიავი, მრავალძარღვები.
- ერობირებულ ფერდობებზე ძოვების შეწყვეტა და მცენარეულობის აღდგენითი სამუშაოების დაწყება.
- უნდა დაწესდეს 10 მინდვრიანი საძოვართბრუნვა, რათა ნაკვეთი განმეორებით მოიძოვოს უფრო ხანგრძლივი მოსვენების შემდეგ. ნაკლებად გათქერილ ნაკვეთებზე შეიძლება შემოღებული იქნეს 4-5 ნაკვეთიანი ძოვება. ორივე ვარიანტის შემთხვევაში ამა თუ იმ ნაკვეთს უნდა მიეცეს მოსვენება ე.ი. შეწყდეს ძოვება 1 წლით მაინც.
- დროებით უნდა შეწყდეს ძლიერ დეგრადირებული საძოვრების გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება საძოვრების გაუდაბნოება, სრულიად შეიცვლება საძოვრის თუ სათიბის ბალახნარის შემადგენლობა-საკვებად უფრო უვარგისი (უხეში) ბალახნარის განვითარება-გაბატონება. აუცილებელია საბავო მეურნეობის (კვება თივით ბოსელში) დროებით მაინც გამოყენება დაუშვებულია საძოვრების გამოყენება გაზაფხულზე.
- მოთიბვა უნდა წარმოებდეს ოპტიმალურ ვადებში: მარცვლოვნების თესლის მომწიფებისას, პარკოსნების და ნაირბალახების ნაყოფობაში ან ყვავილობაში. თიბვა უნდა დაიწყოს ივლისის მეორე ნახევრიდან (ნაცვლად აგვისტოს მეორე ნახევრისა).
- გათქერილ საძოვრებზე აუცილებელია ბუნებრივ ბალახნარში შეითესოს ველური, ზოგჯერ კულტურული საკვები ბალახები.
- სასუქების შეტანა ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სათიბ-საძოვრების გასაუმჯობესებლად.

საგენერალო - ზემო სვანეთის საპოვრები

- აუცილებელია საბაგო მეურნეობაზე გადასვლა ეს კი თავისთავად საჭიროებს თივის მოსავლის გაზრდასა და სათიბების მაქსიმალურ გამოყენებას. ირიგაციას ამ სათიბ-საძოვრებზე წარსულში ფართოდ იყენებდნენ გვალვიან თვეებში(ივლისის ბოლო, აგვისტო). დღესაც შემორჩენილია საირიგაციო ღარები. უნდა გაფართოვდეს სათიბების ფართობები, შედარებით მშრალ ხეობებში ჩატარდეს ირიგაციული სამუშაოები.
- დაბალპროდუქტიული სათიბები, სადაც ძალიან ძნელია მათი მოვლა და თივის გამოტანა, გამოყენებული უნდა იქნეს საძოვრებად.
- აუცილებელია გაშენდეს ხელოვნური სათიბები.

პრიორიტეტის საპოვრები

- ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების ოპტიმალურ დატვირთვას, ძოვების ვადების დაცვას, დეგრადირებული ნაკვეთების შესვენებას გარკვეული ვადით, ნიადაგდაცვითი და წყალშემკრები უნარის მქონე მცენარეულობის გამოთვესვას. ცალკეული ნაკვეთები გამოყენებული უნდა იქნეს კარტოფილისა და ერთნლიანი ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად, ვიტამინებით მდიდარი მცენარეულობის გასაშენებლად. ეს ღონისძიებები უდაოდ პერსპექტიულია და ხელს შეუწყობს მთა-მდელოს ნიადაგების დაცვას და მათი აგროსაწარმოო თვისებების გაუმჯობესებას.
- მთა-მდელოს ნიადაგების დაცვისა და გაუმჯობესების მიზნით, სუბალპურია მდელოებზე, ველურად მობარდი სამკურნალო მცენარეების საწარმოო პლანტაციების გაშენება, განსაკუთრებით ისეთი მცენარეებისა, რომელთა ბუნებრივი მარაგები შემცირებულია.

9.5. საპოვრების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი

საძოვრების სექტორში შეირჩა ორი ღონისძიება. ფაქტიურად ორივე ღონისძიება ეხება საძოვრების რეაბილიტაციას, მაგრამ ერთი მათგანიარის სახელმწიფო პროგრამა⁴⁵ და ფარავს 29 მუნიციპალიტეტს, ხოლო მეორე ღონისძიება გამიზნულია საქართველოში კლიმატურად ყველაზე მძიმე რეგიონში დედოფლისწყაროში, სადაც ზაფხულის საძოვრების ყველაზე დიდი ფართობებია და ძალიან მაღალია გადაძოვების კოეფიციენტი. პირველი ღონისძიება-სახელმწიფო პროგრამა გულისხმობს შერჩეულ 29 მუნიციპალიტეტის კოოპერატივისთვის ტექნიკის გადაცემას თანადაფინანსებით და სათიბ-საძოვრების იჯარით გადაცემას. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 6 მლნ. ლარს და მასში მონაწილეობის მსურველმა კოოპერატივებმა უნდა დააკმაყოფილონ გარკვეული მოთხოვნები პირუტყვის რაოდენობისა და კოოპერატივის ზომის შესახებ. ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი მოიცავს სტანდარტულ 11 წელს 2018-2028.

ამ ღონისძიებაში სარგებელის ძირითადი კატეგორიებია: თივის გაზრდილი მოსავლიანობა და გაზრდილი წველადობა, ხოლო დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია: სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი, ტუკების წარმოება, სათიბ-საძოვრების მოვლა და დამატებით შეძენილი მეწველი ძროხების ღირებულება. სულ 11 წლის განმავლობაში დანახარჯი 69.5 მილიონი ლარია, ხოლო მოგება საშუალო დისკონტის განაკვეთის პირობებში 120, 000 ლარია, რაც მაღალი დისკონტის (9.98%) პირობებში გადადის წაგებაში, რაც პერიოდის ბოლოს 167,000 ლარს შეადგენს.

⁴⁵ <http://acda.gov.ge/index.php/geo/news/show/61/202>

მეორე სცენარის მიხედვით, კლიმატის ცვლილების გამო სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობა 2021 წლიდან ყოველწლიურად მცირდება 5%-ით (დაშვება). ამ შემთხვევაში პროდუქტიულობა უფრო დაბალია და შეადგენს 1.25 ტ/ჰა (ძირითად სცენარში 1.4 ტ/ჰა). სარგებელი ამ სცენარში უფრო მაღალია ძირითად სცენართან შედარებით, მაგრამ მაღალი დისკონტის განაკვეთის შემთხვევაში ეს სცენარიც წამგებიანია.

მეორე ღონისძიების შემთხვევაში, რომელიც დედოფლისწყაროს საძოვრების რეაბილიტაციას შეეხება და გულისხმობს საძოვრების ზედაპირულ გაუმჯობესებას - განმენდას ქვებისაგან, სარეველებისაგან, კოლონბოხების მოქრას და ფართობის განოყიერებას მინერალური სასუქებით, მთელი პერიოდის დანახარჯი 450 მლნ. ლარია. მინიმალური დანაკარგი ამ შემთხვევაში 170 მლნ ლარია. ამ ღონისძიებაში ძირითადი სარგებელია: თივის გაზრდილი მოსავლიანობა, გაზრდილი წველადობა და დაზოგილი ნახშირბადის ღირებულება, ხოლო დანახარჯი: ტუკების წარმოება, სათიბ-საძოვრების რეაბილიტაცია და შემდგომი მოვლა. განხილული ღონისძიება დიდ ხარჯებს მოითხოვს დაეკონომიკურად წამგებიანია. მეორე სცენარით კლიმატის ცვლილების გამო სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობა 2021 წლიდან ყოველწლიურად მცირდება 5%-ით (დაშვება) და აյ დანაკარგი ანუ წაგება უფრო მაღალია, ვიდრე პირველი სცენარის შემთხვევაში.

9.6. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მანეოროგიერებაში

ორივე ზემოთ განხილულ ღონისძლებას აქვს ძალიან მაღალი სოციალური და გარემოსდაცვითი ეფექტი. განსაკუთრებით კი, გარემოსდაცვითი ეფექტი.

სოციალური სარგებელი ამ ეტაპზე საკმაოდ მაღალი იქნება, რადგან საძოვრების გარკვეული ნაწილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზეა და საერთო სარგებლობაშია. საძოვრებთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამა ასევე განიხილავს რძის გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობას, რომელიც ამ დოკუმენტში არ არის განხილული, თუმცა ცხელ წყალმომარაგებაში მზის ენერგიის გამოყენების შემთხვევაში საქმე გვექნება სათბურის გაზების ემისიების შემცირებასთან, რადგან რძის წარმოებაში ბევრი ცხელი წყალი გამოიყენება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული სოციალური ეფექტი ექნება საძოვრების რეაბილიტაციას, რადგან ეს საძოვრები გამოიყენება არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმების მიერ, არამედ ზამთრის საძოვრებია სხვა მუნიციპალიტეტების საქონლისათვის.

პირველი ღონისძიება პირდაპირ პასუხის სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ისეთ მიმართულებას, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა, ხოლო ორივე ღონისძიებას აქვს ნიადაგების რაციონალური გამოყენების კომპონენტი.

ამ ეტაპზე სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო) და მესაქონლეობის ფერმები. დედოფლისწყაროს საძოვრების რეაბილიტაციის პროცესში მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობა და პასუხისმგებლობა, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს როლი საძოვრების საკუთრების ფორმების განსასაზღვრად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლი ფერმერებისათვის განვითარების პროგრამების შესათავაზებლად და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს როლი საძოვრების, როგორც ბიომრავალფეროვნების ნაწილის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

10. კლიმატის ცვლილების გავლენა მეცნოველეობაზე და საადაპტაციო ღონისძიებები

10.1. მეცნოველეობის სექტორის მანვითარების მდგრადირეობა

საქართველო გამოირჩევა შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ადგილობრივი ჰიმების მრავალ-ფეროვნებით. ცხოველთა ადგილობრივი ჰიმებიდან აღსანიშნავია: თუშური და მეგრული ცხენი; ქართული მთის ძროხა (ხევსურული, ფშავური და ოსური ჰილაგები), მეგრული წითელი, კავკასიური ნაბლა, ქართული კამეჩი; თუშური და იმერული ცხვარი, მეგრული თხა; კახური და სვანური ღორი; შავი, ჩალისფერი ნაცარა, მეგრული და ყელტიტველა ქათამი; ჩალისფერი ინდაური, ჯავახური ბატი; ქართული ნაგაზი და სხვა.

საქართველოში შინაურ ცხოველთა სულადობამ პივს მიაღწია გასული საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო 90-იანი წლების შემდგომ დაიწყო სულადობის მკვეთრი შემცირება. 2010 წლისათვის მსხვილი რეოსანი პირუტყვის სულადობა 1984 წელთან შედარებით შემცირებული იყო 36,6%-ით, მათ შორის ფური – 14,6%-ით; ცხვარი და თხა – 66,6%-ით.

ცხრილი 10.1. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სულადობა საქართველოში (ათასი სული, ფრთა)

ცხოველი	1984 წელი	2010 წელი	1984 წელთან შედარებით (%)	2016 წელი	2010 წელთან შედარებით (%)
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1652,6	1049,4	-36,5	878,4	-6,14
მ.შ. ფური	657,9	561,7	-14,6		
ღორი	1133,4	110,1	-90,3	115,4	+4,6
ცხვარი და თხა	1955,7	653,9	-66,6	821,5	+20,4
ფრინველი	24000	6521,5	-72,8		

ცხრილი 10.2 მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება საქართველოში(ათასი ტონა)

ცხოველი	1984 წელი	2010 წელი	შემცირდა (%)	2016 წელი
რძე	663,0 მლნ. ლ	587,7 მლნ. ლ	-11,4	540,1 მლნ. ლ
ხორცი	157,6 ათასი ტ	56,4 ათასი ტ	-64,2	66,1 ათასი ტ
მატყლი	6,1 ათასი ტ	1,7 ათასი ტ	-72,1	2 ათასი ტ

სტატისტიკური მონაცემებით ქვეყნაში დაბალია მსხვილფეხა რეკორდი პირუტყვის პროდუქტიულობა. დაბალი წველადობა მრავალი ურთიერთდაკავშირებული მიზებით არის გამოწვეული:

- მოუწესრიგებელია საკვები ბაზა, ოჯახურ მეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სულადობის რაოდენობას, შემადგენლობასა და საკვების ხარისხს;
- დაბალია სანაშენე მეურნეობების კვალიტიკაცია;
- ხბოების და დეკვეულის საკვებით არასაკმარისი უზრუნველყოფა;
- ფურების ბერნიანობა;
- წველის ჰიგიენის დაუცველობა.

10.2. კლიმატის მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილების გავლენა მეცნიერების სექტორზე

კლიმატის ცვალებადობამ ცხოველზე შეიძლება იმოქმედოს მრავალი გზით:

- მისი პირდაპირი ზემოქმედება ორგანიზმები.
- მისი ზემოქმედება ცხოველისათვის აუცილებელ საზრდო ნივთიერებებზე, რომლებსაც შეიცავს საკვები და წყალი.
- ცხოველთა საკვები მცენარეების ზრდა-განვითარებაზე, მათ პროდუქტიულობაზე (რაოდენობაზე).
- საკვები მცენარეების ქიმიურ შედგენილობაზე. მათში ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვებაზე.
- დაავადებათა აღმძვრელების გადამტანების (მწერები, მღრღნელები) პოპულაციაზე.
- დაავადებათა აღმძვრელების შენახვაზე გარემოში (ჰაერი, ნიადაგი, წყალი).
- კლიმატის ცვალებადობას შეუძლია გააღვიძოს დაავადების ისეთი გამომწვევები, რომლებიც დიდი ხანია მივიწყებულია ან გაააქტიუროს ისეთები, რომლებიც ამჟამად არის გავრცელებული.
- ზედმეტად თბილმა ზამთარმა შეიძლება ხელი შეუწყოს სამხრეთის ცხელი ქვეყნებიდან ეგზოტიკური დაავადებების გადამტანების (მწერების) ჩრდილოეთით გავრცელებას.
- ზამთარში თბილმა ამინდმა შეიძლება ხელი შეუწყოს ბარიდან მთაში რიგი დაავადებების გავრცელებას და სხვა.

აღნიშნულმა ფაქტორებმა შეიძლება იმოქმედოს ცალ-ცალკე ან გარკვეული კომბინაციით.

მაღალპროდუქტიული კულტურული ჭიშის ცხოველები უფრო მგრძნობიარენი არიან კლიმატისა და ამინდის ცვალებადობისადმი, ვიდრე დაბალპროდუქტიული ადგილობრივი ჭიშის ინდივიდები.

კლიმატის არასასურველი ხანგრძლივი ცვლილება დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმის მუდმივი მოქმედების არასპეციფიკური რეზისტენტობის ფაქტორებზე, როგორებიცაა:

- კანის და ლორნოვანი გარსების დამცველობითი უნარი;
- ნორმალური მიკროფლორის დამცველობითი ფუნქცია;
- ლიმფური სისტემის ფაგოციტოზი და ბარიერული ფუნქცია;
- ჰუმორალური ფაქტორები (ლიზოციმი, კომპლემენტი, ნორმალური ანტისეულები და სხვა);
- ფიზიოლოგიური ფაქტორები (ტემპერატურა, ცვლის პროცესები, მეტაბოლიზმი).

კანი უნდა იყოს სუფთა და სათანადო სინოტივის, რომლის დაცვა თბერი ტალღების ზემოქმედების დროს შეუძლებელია. კანის მთლიანობა არ უნდა იყოს დარღვეული. ლორნოვანი გარსების ფერმენტი ლიზოციმი, რომელსაც ახასიათებს ბაქტერიოციდული მოქმედება, აქტიურია სუსტი ტუტერეაქციის მქონე არეში. დაბალ ტემპერატურაზე მისი მოქმედება სუსტდება, ასევე მცირდება ან საერთოდ წყდება მისი მოქმედება 40°C -ის ზემოთ. საჭმლის მომნელებელი სისტემის მიკროფლორის მოქმედება სუსტდება არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში.

ძირითადი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ცხოველის პროდუქტიულობაზე და კანმრთელობაზე კვების შემდეგ, არის გარემო ტემპერატურა. დაბალი ტემპერატურა – სიცივე ხელს უწყობს სისხლში ლეიკოციტების შემცირებას და ფაგოციტური აქტივობის შემცირებას, ხოლო ტენიანი ჰაერი და მაღალი ტემპერატურა ხელს უშლის სითბოს გაცემას ორგანიზმიდან, რაც გადახურებას

იწვევს. ტენიანი და მაღალი ტემპერატურა ხელსაყრელი გარემოა მიკრობების გამრავლებისათვის. მაღალი ტემპერატურის და არასაკმარისის ვენტილაციის მქონე ჭუქყიან ბინებში ცხოველთა მჯიდრო შენახვა იწვევს მავნე აირების დაგროვებას, ამავდროულად იზრდება ჰაერის ტენიანობაც, რაც ხელსაყრელია მიკროორგანიზმების გამრავლებისათვის და ჰაერწვეთოვანი ინფექციების გავრცელებისათვის.

არახელსაყრელი კლიმატის დროს ცხოველთა არაჰიგიენურ პირობებში შენახვისას სუსტდება ორგანიზმის დამცველობითი ძალები, მეორე მხრივ, გროვდება დიდი რაოდენობით მიკრობები, რაც შემდგომში სხვადასხვა დაავადებების წარმოშობის მიზეზი ხდება. ასეთ პირობებში წარმოებული პროდუქტები (პირველ რიგში რძე) ბაქტერიოლოგიურად დიდად დაბინძურებულია და საშიში ხდება ადამიანისათვის.

ცივი ამინდი ხელს უწყობს ცხოველის გაციებას და მოყინვას. ღრუბლიანი ამინდი (ზამთარში და გაბაფებულზე) მკვეთრად ამცირებს მზის ულტრაიისტერი სხივების აქტიურ მოქმედებას ცხოველის ორგანიზმზე.

კლიმატური ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება გააქტიურდეს ან შემცირდეს საკვები მცენარეების ზრდა-განვითარება. შეცვალოს მასში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები და დაგროვდეს ტოქსიკური ნივთიერებები; ამაღლდეს ან გაუარესდეს საკვების და წყლის ხარისხი; შენელდეს ან გაძლიერდეს ცხოველთა რეპროდუქციული აქტიურობა; დაამუხრუჭოს ან პირიქით, ხელი შეუწყოს ინფექციური და ინვაზიური დაავადებების აღმძვრელების გამრავლებასა და გავრცელებას. კლიმატის გავლენით საძოვარზე მშრალ ნიადაგზე მზარდი ბალახები ვერ შეიწოვენ მინერალურ ნივთიერებათა გარკვეულ ნაწილს, შედეგად ჩნდება ამ ნივთიერებების დეფიციტი ცხოველის ორგანიზმში.

კლიმატის თანდათანობით ცვლა უარყოფითად არ მოქმედებს ცხოველზე, რადგან ხდება ორგანიზმის ადაპტაცია. ცხოველები ხდებიან უფრო გამძლე. აქტიურდება კანის თერმორეგულაცია, კუნთების და ჰემორალური აპარატის ტონუსი, ნივთიერებათ ცვლა და ორგანიზმის ფუნქცია.

ასევე გასათვალისწინებელია კლიმატური ფაქტორების ზეგავლენა მდინარეთა წყალუხვობაზე, რომლის დროსაც მდინარეები ხშირად იცვლიან კალაპოტს და ყოველწლიურად იტაცებენ ათასობით ჰექტარ მინას, მათ შორის დასახლებული ჰუნტების ტერიტორიებსაც. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოირეცხოს და გაშიშვლდეს ჭილების ძველი სამარხები, როგორც ეს მოხდა მცხეთა-მთიანეთში, სადაც ზედიზედ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა ცხოველების და ადამიანების ჭილებით დაავადებისა. დადგინდა, რომ ინფექციის კერა იყო ნიადაგი, რომელიც იმ წელს ძლიერი წვიმების შედეგად ჩამოირცხა. როგორც გაირკვა, წლების წინ ამ ტერიტორიაზე დაფიქსირდა ჭილებით ცხოველთა სიკვდილი.

აჭარაში დათბობის შედეგად გაძლიერებული და გახშირებული უხვი ნალექები იწვევს მთების ფერდობებზე ნიადაგის ჩამორცხვას, რასაც ბალახეული საფარის ინტენსიური ექსპლუტაციის პირობებში თან სდევს სათიბ-საძოვრებს პროდუქტიულობის მკვეთრი შემცირება, ასე მაგალითად თუ 1990 წლებში 1 ჰა სათიბზე მოდიოდა 20-25 ც თივა, ამჟამად 10-12 ც ფარგლებში მერყეობს, ხოლო საძოვრებში კიდევ უფრო დაბალია 7 ც/ჰა.

გარემოს ტემპერატურის მატება ავლენს მრავალ, ხშირად ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ცხოველთა დარწყულება.

ზაფხულის ცხელ დღეებში კახეთსა და ქვემო ქართლში მსხვილთება რქოსანი პირუტყვის წყლით უბრუნველყოფაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ გარემოს ტემპერატურის მატებასთან (30-38°C) ერთად (ივნისი-სექტემბერი) წყლით უბრუნველყოფა მცირდება ყოველდღიურად. წვიმისაგან წარმოშობილ გუბურებში (რომელიც ხშირ შემთხვევაში დარწყულება ერთადერთი წყაროა) წყალი თანდათან კლებულობს ან საერთოდ შრება. დარჩენილ გუბურებში, რომლებიც საძოვრებიდან ხშირ შემთხვევაში ძალიან შორს მდებარეობს, წყალი თბილი, მღვრიეა (ცხოველების მასში დგომისგან), ამასთან დაბინძურებულია ფეკალიებითა და შარდით. დაბინძურებულ წყალს ცხოველები ნაკლებად სვამენ. ასევე ამავე პერიოდში გვალვის გავლენით ცხოველების ძირითადი საკვები ბალახი თანდათან ხმება. პირუტყვი ძოვების შემდგომ განიცდის ძლიერ წყურვილს და ის იძულებული ხდება დალიოს გუბურებში შემორჩენილი დაბინძურებული წყალი.

ასეთ ტერიტორიაზე არსებული ცხოველთა სადგომებიც არ იყო წყლით სრულად უზრუნველყოფილი და ცხოველების შენახვა ხდებოდა დაბალ ვეტერინარიულ-სანიტარიულ პირობებში. მაღალი იყო ნარმოებული რძის მექანიკური და ბაქტერიული დაბინძურებაც.

მაღალი ტემპერატურის გავლენით ბუნებრივ საძოვრებზე ხშირია წყლის დეფიციტი, რის გამოც პირუტყვი დროულად ვერ ღებულობს ორგანიზმისათვის საჭირო რაოდენობის წყალს. მიღებული წყალიც დაბინძურებული და მაღალი ტემპერატურისაა, რომელიც არ კლავს წყურვილს. ამ დროს ცხოველის ორგანიზმში ხდება მრავალი ჰათოლოგიური პროცესის განვითარება, როგორიცაა საკვების მონელების დარღვევა (პირველ რიგში წინა კუჭების ატონია), ინფექციური და ინვაზიური დაავადებების გაჩენა, პროდუქციის (რძე, ხორცი) რაოდენობის და ხარისხის სწრაფი დაქვეითება და სხვა.

ბოლო წლების ზაფხულში სამეგრელოშიც ფიქსირდება მაღალი ტემპერატურის ხანგრძლივობა, რაც ინვეცის მუდმივ გვალვებს, შედეგად მცირდება საკვები ბალახების ზრდა საძოვარზე. ასეთ პირობებში საქონელის გამოკვება რთულია, ადრეულად ქვეითდება პროდუქტიულობა. რეგიონში იმატა ცხოველთა დაავადებებმა სისხლის ჰარაზიტებით. პიროპლაზმოზებით ცხოველთა დაავადების გამოვლინება ძირითადად გახშირდა ადრე გაზაფხულზე (რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია). ეს გამოწვეულია დაავადების გადამტანი ტკიპების ადრეული გააქტიურებით მაღალი ტემპერატურის პირობებში. პიროპლაზმოზის ადრეული გამოვლინება დაიწყო სამეგრელოს მთიან რაიონებსა და სოფლებშიც.

10.3. რეკომენდაციები მეცნიერებების სექტორის ადაპტაციისათვის

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესება და მოსავლიანობის ამაღლება მეცხოველეობის აღორძინებისა და განვითარების უპირველესი წინაპირობაა.

პირუტყვის სულადობისა და ხარისხიანისაკვების წარმოების შესაძლებლობათა ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა შესაძლებლობას მოვცემს იმავე რაოდენობის საკვებით ვაწარმოოთ 30–40%-ით მეტი მეცხოველეობის პროდუქცია.

მეძროხეობაში სანაშენე საქმის მკვეთრად გაუმჯობესება პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი ჰიბრების დადებითი თვისებების მაქსიმალურ გამოვლინებას და განვითარებას. უნდა იქნეს გამოყენებული ხელოვნური დათესვლის მეთოდი და დარაიონებული კულტურული ჰიბრების (ველის წითელი, შვიცური, ჰერსული) სპერმა.

მაღალპროდუქტიული და ჟანსაღი ფურების გამოზრდის მიზნით რეკომენდირებულია მოზარდი პირუტყვის ნახირის განცალკევება;

ცხოველთა საერთო ფიზიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების და განსაკუთრებით კი ახურებაში მყოფი დედა პირუტყვის მაქსიმალურად გამოვლინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ აქტიურ მოციონზე გაყვანას, განსაკუთრებით ზამთრის ჰერიონდში. ზამთარში დაბმული პირუტყვის გარკვეული ნაწილი გამოუვლინებელი რჩება, ციკლი იკარგება და ხელოვნურად იზარდება სერვის ჰერიონის ხანგრძლივობა.

საქართველოში ცხვრის სულადობის შემდგომი ზრდისას გათვალისწინებული უნდა იყოს ზამთრისა და საზაფხულო საძოვრების რაოდენობა და მათი ხარისხი. მეცხვარეობის დარგის განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს ტრადიციული დარგის – მეთხეობის განვითარებას, განსაკუთრებით სამეგრელოში. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მერძეული მიმართულების თხების მომრავლებას, მაგალითად, როგორიცაა მეგრული ჰიბრი და ზანენური.

10.4. მეცნოველეობის საადაპტაციო ღონისძიების ხარჯთ- სარგებლიანობის ანალიზი

მეცნოველეობის სექტორისათვის ამ ეტაპზე გამოიკვეთა მხოლოდ ერთი ღონისძიება, რომელიც შეეხება ცხოველთა დარწყულებას საძოვრებზე, გვალვების პერიოდში. გვალვიანი დღეების მატებასთან ერთად მოსალოდნელია სასმელ წყალზე მოთხოვნის ზრდა. საჭიროა საძოვარზე მყოფი პირუტყვისთვის სასმელი წყლის მიწოდება, რათა წყლის ნაკლებობა უარყოფითად არ აისახოს ძროხების წველადობაზე.

ღონისძიება გულისხმობს ცხოველთა ორგანიზებულად დარწყულების უზრუნველყოფას ცისტერნების მეშვეობით საგარეჯოს, დედოფლისწაროს, სიღნაღისა და გურჯაანის საძოვრებზე. განხილულ იქნა ორი სცენარი: ამჟამად არსებული გვალვების გათვალისწინებით და მომავალში გაზრდილი გვალვების გათვალისწინებით.

ანალიზი მოიცავს სტანდარტულ 11 წელს (2018-2028წწ.). ღონისძიების შესაფასებლად გაკეთებული დაშვებები და სხვა დეტალები მოცემულია დანართში 1.10. ამ ღონისძიებაში განხილული სარგებელი არის რძის დანაკარგის თავიდან აცილება, რომელსაც ხელს უწყობს ეს ღონისძიება, ხოლო დანახარჯში შედის ცისტერნების ღირებულება და ცისტერნების ტრანსპორტირების ხარჯი. დანახარჯი მთელი პერიოდის განმავლობაში 15 მლნ. ლარია, ხოლო წმინდა დღევანდელი ღირებულება 11 წლის ბოლოს -12.6 მლნ. ლარია 7.37% დისკონტის განაკვეთის პირობებში და უფრო დაბალზეც. ამგვარად, ეს ღონისძიება ეკონომიკურად მომგებიანი არაა და სასურველია იგი სხვა უფრო ნაკლებად ხარჯიანი ალტერნატივით ჩანაცვლდეს.

თუ კლიმატის ცვლილების გამო მოხდა გვალვიანი დღეების რაოდენობის ზრდა ამჟამად არსებული 112 დღიდან 115-მდე, მაშინ ღონისძიებას კიდევ უფრო მეტი წაგება ექნება, ვინაიდან ცისტერნების საჭირო რაოდენობა კიდევ უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინა შემთხვევებში.

ამგვარად, ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული დანახარჯი აღემატება მის სარგებელს და ეს მიღვომა ეკონომიკურად წამგებიანია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ღონისძიების მაღალი სოციალური ეფექტი, რადგან აქ საერთო საძოვრებზეა საუბარი, სადაც ძირითადად მცირე ფერმერები და სოფლის მოსახლეობა აძოვებს პირუტყვს.

10.5. ღონისძიებების სოციალური ეფექტი და როლი სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მანხორციელებაში

სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში ეს მიმართულება არაა გამოყოფილი პრიორიტეტებში, მაგრამ პირუტყვის დაწყურების უზრუნველსაყოფად ოპტიმალური გადაწყვეტის მოძებნა აუცილებელი იქნება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გვალვების სიხშირისა და ხანგრძლივობის ზრდის ფონზე. ღონისძიება წვლილს შეიტანს კლიმატ გონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიებას აქვს მაღალი სოციალური ეფექტი, რადგან აქ საერთო საძოვრებზეა საუბარი, სადაც ძირითადად მცირე ფერმერები და სოფლის მოსახლეობა აძოვებს პირუტყვს. ღონისძიება განხილავს 34,000 სული მეწველი ძრობის დაწყურებას, რომელთა წველადობა წყლის ნორმალურად მიღების პირობებში გაიზრდება 30%-ით დღეში.

მოგება ამ ღონისძიებაში შეფასდა მხოლოდ რძის დანაკარგის შემცირების გათვალისწინებით. პირველ რიგში საჭირო იქნება იგივე ღონისძიება დათვლილ იქნეს საქონლის წონის, როგორც შემოსავლის წყაროს გათვალისწინებით.

ვიდრე ამ საძოვრების საკუთრების ფორმა ბოლომდე არაა გარკვეული, ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ, როგორც საკუთარი, ასევე ეროვნული პროგრამების ფარგლებში.

დასკვნები და რეპომენდაციები ადაპტაციის ეროვნული გამმის და მისი მომზადების პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის

სოფლის მეურნეობის სექტორისათვის კლიმატის ცვლილებასთან ეროვნული საადაპტაციო გეგმის მომზადების პროცესში განხილულ იქნა, წინასწარ შერჩეული, შემდეგი მიმართულებები:

- ციტრუსის (მანდარინის) წარმოება აჭარის ა/რ
- თხილის წარმოება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში
- ხორბლის წარმოება კახეთში (დედოფლისწყარო, სიღნაღი)
- სიმინდის წარმოება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელოში)
- კარტოფილის წარმოება ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი), დუშეთში (მცხეთა-მთიანეთი) და ხულოში (აჭარის ა/რ)
- საძოვრები დედოფლისწყაროში (კახეთი), ყაზბეგში (მცხეთა-მთიანეთი) და მესტიაში (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
- მეცხოველეობა (სამეგრელო, კახეთი)

ამ მიმართულებებისათვის საადაპტაციო ღონისძიებების შესარჩევად პირველ რიგში შეფასდა იმ კლიმატური პარამეტრების მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები, რომლებიც საჭიროა სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ კულტურაზე ან მიმართულებაზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი და დადებითი გავლენის შესაფასებლად. დადგინდა მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები თითოეული კულტურისათვის კლიმატის მხრივ კომფორტულ აგროკლიმატურ ზონებში. დოკუმენტში წარმოდგენილი ცვლილებები აგროკლიმატურ ზონებში ეყრდნობა მხოლოდ კლიმატურ პარამეტრებს (აქტიურ ტემპერატურათა ჸამი და ნალექები ვეგეტაციის პერიოდში, ასევე წაყინვები), რაც აუცილებელია კულტურის განვითარებისათვის, მაგრამ ამ ეტაპზე არაა გათვალისწინებული თუ რამდენად ხელსაყრელია ამა თუ იმ კულტურისათვის მისთვის კომფორტულ აგროკლიმატურ ზონაში არსებული ნიადაგების ტიპები, რამდენია ამ ზონაში სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწა, რამდენია ინფრასტრუქტურა და ა.შ. იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს განხილული კულტურებისათვის რომელ რეგიონში რა ფართობები შეიძლება იყოს გამოყენებადი საჭიროა უფრო დეტალური გამოკვლევა, რომლის ფარგლებშიც თითოეული პრიორიტეტული კულტურისათვის უნდა განისაზღვროს მომავალში, კლიმატის ცვლილების ფონზე, რომელ რეგიონში, რა პოტენციალი ექნება მოსავლიანობას, რამდენი იქნება წყლის დანაკლისი და ა.შ. თითოეული კულტურისათვის უნდა დადგინდეს მისი ეკონომიკურ სარგებელი და სოციალური ეფექტი.

კიმატის ცვლილების გავლენის შესაფასებლად ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობასა და წყალმოთხოვნილებაზე, გამოყენებულ იქნა AquaCrop (FAO) მოდელი. ძირითადი პრობლემა რომელიც ამ პროცესში წარმოიქმნა არის ადგილობრივი სტატისტიკის არარსებობა ან მასზე წვდომა, რაც სამუალებას მისცემდა ექსპერტებს გადამოწმებულიყო მოდელის მიერ მიღებული შედეგები და რაც მთავარია დაედგინათ მოსავლიანობის ზრდის ან კლების რეალური მიზეზები. ასეთი ინფორმაცია აუცილებელია, რათა სწორად მოხდეს მოდელის მიერ მოცემული შედეგების ინტერპრეტირება. შემდეგ ეტაპზე აუცილებელი იქნება ამ დოკუმენტში მოყვანილი სხვადასხვა მოვლენის და მისი გამომწვევი მიზეზების ადგილზე უფრო დეტალურად გადამოწმება.

კლიმატის ცვლილებისა და ამ ცვლილებების მიმართ ამა თუ იმ კულტურის მგრძნობიარობის გარდა, აუცილებლად უნდა შეფასდეს მცენარის ადაპტაციის უნარი იმ გარემოში, რომელშიც

იგი იმყოფება. მაგალითად, თუ ვიცით რომ კულტურა მგრძნობიარეა გვალვების მიმართ და საჭიროა მისი რჩყვა, უნდა შეფასდეს წყალზე ხელმისაწვდომობა და მისი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტი. ამ ეტაპზე, სრულად არაა შესწავლილი თუ როგორ შეიცვლება წყლის ჩამონადენი იმ მდინარეებში, რომლებიც ისტორიულად ირიგაციისათვის გამოიყენებოდა ან ხელმისაწვდომი იქნება თუ არა სარწყავი წყალი იმ ტერიტორიებზე, სადაც ეს ადრე არ იყო საჭირო. ამ ჟერზე, ეს ამოცანა არ იყო გათვალისწინებული პროექტში, რაც შემდგომში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

ღონისძიებების პრიორიტეტიზაციის პროცესში, ერთ-ერთი სირთულე იყო გადაწყვეტილების მიღება იმაზე, რომ კულტურა პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნისათვის, თუ მხოლოდ კონკრეტული რეგიონისათვის პრიორიტეტულობა არის საკმარისი პირობა. ვინაიდან სოფლის მეურნეობის სექტორი ძალიან ლოკალურ ხასიათს ატარებს და ერთიდაიგივე კულტურა განსხვავებულ შედეგს იძლევა სხვადასხვა რეგიონში და სხვადასხვა პრიორიტეტი აქვს სხვადასხვა რეგიონისათვის. აუცილებელია, რომ სოფლის მეურნეობის სტრატეგიის პუნქტების 3.4.1 (რეგიონებისათვის სოფლის განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში ინვესტირების გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა) და 3.4.2 (საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა) განხორციელების პროცესში მათში გათვალისწინებული იყოს კლიმატის ცვლილების მიმართ რეგიონის ადაპტაციის უნარი და ინტეგრირებული იყოს კლიმატის ცვლილების მიმართ სექტორში გასატარებელი საადაპტაციო ღონისძიებები.

კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს ეროვნული შეტყობინების მომზადების პროცესში, მრავალკრიტიკულიანი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, შეფასდა 14 მუნიციპალიტეტი კახეთსა და აჭარაში. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლოა დადგინდეს მუნიციპალიტეტის ან რეგიონის ტერიტორიაზე მიმდინარე კლიმატის ცვლილების პროცესის სიმძაფრე, შემდგომ, რამდენად სენიტიურია დარგი (ამ შემთხვევაში სოფლის მეურნეობა) მიმდინარე ცვლილებების მიმართ და ბოლოს, რამდენად არის ადგილზე(მუნიციპალიტეტის ან რეგიონის დონეზე) ადაპტაციის უნარი. ეს უკანასკნელი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია კლიმატის ცვლილების რისკების შემცირების პროცესში, რადგან საადაპტაციო ღონისძიების სწორად და ეფექტურად დასაგეგმად, უნდა არსებობდეს ზუსტი ხედვა, სად არის სუსტი წერტილები, და სად უნდა გატარდეს პირველ რიგში საადაპტაციო ღონისძიებები. ეს მიღვინა, ამ ეტაპზე ვერ განხორციელდა, რადგან მოითხოვს მეტ ღროს ვიდრე პროექტის ფარგლებში იყო გამოყოფილი, საკმაოდ დეტალურ ადგილობრივ სტატისტიკას ადაპტაციის უნარის განსასაზღვრად და ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და ექსპერტების ჩართვას.

კლიმატის ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის სექტორის ეროვნული საადაპტაციო გეგმის ამ პირველი ვერსიის მომზადების პროცესში უფრო გამოყენებულ იქნა ფრაგმენტული მიდგომა, რომელიც წინასწარ შეთანხმდა სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს შორის. ამ მიდგომით, რომელიც პირველ ეტაპზე ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებების შეფასებას მოიაზრებს, წინ წამოიწია გარკვეული პრიორიტეტული კულტურები და სექტორისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებები და შეფასდა კლიმატის ცვლილების გავლენა ამ კულტურებზე და მიმართულებებზე, რაც აუცილებელი პირობაა, მაგრამ არაა საკმარისი. ამის პარალელურად აუცილებელია ადაპტაციის, როგორც კოორდინაციის პროცესის სწორი წარმართვა.

სწორედ ამ მიზეზით ვერ მოხერხდა კლიმატის ცვლილებების და საადაპტაციო ღონისძიებების სოციალური ეფექტის სრულყოფილი შეფასება. ამ ეტაპზე მკაფიოდ არაა გამოიკვეთილი და შეფასებული ღონისძიების განხორციელებადობის წინაშე მდგარი ბარიერები.

რაც შეეხება მიღებულ მიღწევებს და სიახლეებს ხაზი უნდა გაესვას, რომ გარდა აგროკლიმატური ზონებისა, რომელთა ტრენდები შეფასდა თითოეული კულტურისა და მიმართულებისათვის, სოფლის მეურნეობის სექტორში, საქართველოში პირველად გაკეთდა საადაპტაციო ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი კლიმატის ცვლილებისა და ზოგიერთ ღონისძიებაში სოციალური ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ხარჯთ-სარგებლიანობის შეფასების პროცესში გაკეთდა ბევრი ისეთი დაშვებები, რომლებიც ზრდიან საბოლოო შედეგების ცდომილებას. ამის თავიდან ასაცილებლად, ამ დაშვებების სამედიობის გადასამოწმებლად აუცილებელია ჩაერთოს ადგილობრივი ფერმერები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო ცენტრები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა.

ანგარიშში განხილული საადაპტაციო ღონისძიებების ფარგლებში რეკომენდირებულია სხვადასხვა ტექნოლოგიები, რომელთა შორის ნაწილი ცნობილი ტექნოლოგიებია, რომელთა

გამოყენება არ ხდება, რადგან ეს აძვირებს საბოლოო პროდუქციას . სამწუხაროდ, მცირე ფერმერების დიდი ნაწილი შეზღუდულია საწყის კაპიტალში და ნაწილს არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ (სადაზღვევო ჰაკეტი,,მინი-თილი“ ხორბლის წარმოებაში, სიმინდის ქართული და უცხოური ჰიბრიდები, მანდარინის საადრეო ჭიშები). გამოყენებული ტექნოლოგიების ფასების ანალიზმა აჩვენა, რომ გაუმჯობესებული და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება კონკრეტული კულტურების კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციოდ დარგს უკდება დაახლოებით 82%-ით უფრო ძვირი საბაზისო სიტუაციასთან შედარებით, რაც მოცემულია ცხრილში 1..

ცხრილი 11.1. კლიმატის ცვლილენასთან საადაპტაციოდ აუცილებელი ტექნოლოგიების დირექტულების შედარება საბაზისო/ტრადიციულ ტექნოლოგიებთან

ტექნოლოგიის/ ღონისძიების და კულტურის დასახელება, ხარჯთ- სარგებლის შედეგი	საბაზისო ტექნოლოგიის ღირებულება	რეკომენდი- რებული ტექნოლოგიის ღირებულება	ტექნოლოგიის აღწე
ხორბალი			
რწყვა	0	400 ლ/ჰა	დედოფლისწყაროში ამჟამად ხორბალი არ ირწყვება. საბჭოთა პერიოდში ირწყვებოდა დაწვიმებით ან მიშვებით
თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებები ⁴⁶	1,000 ლ/ჸა	1,496 ლ/ჸა	ნიადაგის ნახევრად ანეულად დამუშავება, თესვის ოპტიმალური ვადის დაცვა, თესვის ოპტიმალური სიღრმის განსაზღვრა, ნიადაგის განვითრება, ნიადაგის მოტკეპნა თესვის შემდეგ, ნაკვეთებში თოვლის შეკავება, თესლბრუნვა, გაუმჯობესებული ჭიშები
„მინი-თილი“ ⁴⁷	1,000ლ/ჸა	1,466 ლ/ჸა	ნიადაგის ნაკლებად დამუშავების პირობებში (25 სმ ხვნა და 12 სმ „ჩაჩეხვა“) ხორბლის მოყვანა. განსხვავება არის მხოლოდ მიწის დამუშავებაში რაც 30 ლ/ჸა-ზე ნაკლები ჭდება ჩვეულებრივ ხვნასთან შედარებით. სხვა ღონისძიებები ყველათვერი იგივეა
„ნოუ-თილი“ ⁴⁸	1,000ლ/ჸა	-	100,000 აშშ დოლარი ღირს მხოლოდ ის მექანიზაცია, რომელიც ამ თესვას აკეთებს

⁴⁶ ეს ღონისძიება განერილია ურნებავი შემთხვევისათვის და თუ სარწყავ პირობებში იქნება, მაშინ ის 400 ლ/ჸა დაემატება როგორც საბაზისო, ასევე საადაპტაციო ვარიანტებს. სარწყავ პირობებში აგროტექნიკური ღონისძიებებია: რწყვა, ნიადაგის განვითრება, კულტურათა მორიგეობა და სარწყავი პირობებისათვის შესაბამისი ჭიშების შერჩევა

⁴⁷ ეს ღონისძიება შედის თანამედროვე აგროტექნიკურ ღონისძიებებში, მაგრამ ცხრილში წარმოდგენილია ცალკე, რადგან დედოფლისწყაროში მას ფერმერების თითქმის 70% იყენებს და 1 ჰა მიწის დამუშავება ამ მეთოდით დაახლოებით 38%-ით ნაკლები ჭდება.

⁴⁸ ესაა ხორბლის დათესვის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც საქართველოში არ გამოიყენება და არ შედის რეკომენდირებულ აგროტექნიკურ ღონისძიებებში. ამ მეთოდით თესვა მოითხოვს სპეციალურ ტექნიკას, რომლის ღირებულება ძალიან მაღალია (დაახლოებით 100,000 აშშ დოლარი)

სიმინდი

სიმინდის მაღალმოსავლიანი ჭიშების (ჰიბრიდების) დანერგვა/გავრცელება. მომგებიანია	1,230 ლ/ჰა	2,043 ლ/ ჰა (ქართული ჰიბრიდი) 2,523 ლ/ ჰა (უცხოური ჰიბრიდი) (105% ძვირია)	საბაზისო სიტუაციაში განიხილება თეთრი სიმინდის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთში გამოიყენება ჰირუტყვის საკვებად და ქართული და უცხოური ჰიბრიდები, რომელიც მხოლოდ ჰირუტყვის საკვებად გამოიყენება
გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებები მომგებიანია	1230 ლ/ჰა	1641 ლ/ჰა	ღონისძიება გულისხმობს თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანის ორი ტექნოლოგიის შედარებას: ფერმერულ მეურნეობებში ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აბაშის საცდელ სადგურზე დანერგილი გაუმჯობესებული ტექნოლოგიის

მანდარინი

მანდარინის საადრეო ჭიშის ტიახარა-უნშიუს გავრცელება აჭარაში მომგებიანია	16,870 ლ/ჰა	22,870 ლ/ჰა	მანდარინის ეს საადრეო ჭიში საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ სეტყვა, იგულისხმება რომ მოსავლის ის 60%, რომელიც ჩვეულებრივი ჭიშის შემთხვევაში იკარგებოდა სეტყვის გამო, აღარ დაიკარგება თუ საადრეო ჭიში გაშენდება
აგროდაბლვევის ხელშეწყობა მომგებიანია (მცირე ფერმერებისათვის) ნამგებიანია (მსხვილი ფერმერებისათვის და კამურად, რადგან გადამხდელთა დიდი ნაწილი მსხვილი ფერმერია)	0	300 ლ/ჰა (700 ლ/ჰა-ზე 70% სახელმწიფოს თანადაფინა- ნსებაა)	აგროდაბლვევის პროგრამა, რომლის ბენეფიციარებიც არიან მცირე ფერმერები, ვინც 5 ჰა-ზე ნაკლებ მიწის ფართობს აზღვეს. ფერმერების ამ კატეგორიას სახელმწიფო სთავაზობს სადაბლვევო ტარიფის 70%-იან თანადაფინანსებას მანდარინის შემთხვევაში. სრული სადაბლვევო ტარიფი მანდარინის შემთხვევაში არის 1000 ლ/ჰა, საიდანაც მცირე ფერმერს უწევს 300 ლარის გადახდა, დანარჩენ 70%-ს იხდის სახელმწიფო

თხილი

თხილის ბაღების მოვლა გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებებით მომგებიანია	2,260 ლ/ჰა (მსხვილიარე ძირები)	6,000 ლ/ჰა (მსხვილიარე ძირები)	ნიადაგის საშემოდგომო დამუშავება, მინერალური სასუქის შეტანა, გასხვლა, განასხლავის გამოტანა, აზოტოვანი სასუქის შეტანა, ნიადაგის რიგთაშორის კულტივაცია, მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ შეწამვლა, მოსავლის კრეფა გამოტანით
ქარსაფარი ზოლების გაშენება მომგებიანია	0	1,146 ლ/ჰა ⁴⁹	ღონისძიება გულისხმობს თხილის ბაღების უზრუნველყოფას ქარსაფარებით

⁴⁹ ესაა 10 მ სიგანის 1000 მ სიგრძის ქარსაფარი ზოლის გაშენების ღირებულება, რომელიც მოიაზრება 1 ჰა ნაკვეთის ერთი მხრიდან დასაცავად.

საძოვრები			
საძოვრების რეაბილიტაცია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომგებიანია (დაბალი და საშუალო დისკონტის შემთხვევაში) არაა მომგებიანი (მაღალი დისკონტის შემთხვევაში, დაახლოებით 10%)	0	500 ლ/ ჰა (მოვლა- პატრონბა, არ შედის იჯარა)	სახელმწიფო პროგრამა გულისხმობს 29 მუნიციპალიტეტის კოოპერატივისთვის ტექნიკის გადაცემას თანადაფინანსებით და სათიბ-საძოვრების იჯარით გადაცემას მათი რეაბილიტაციისა მოვლა-პატრონობის პირობით
საძოვრების რეაბილიტაცია დედოფლისანუაროში არაა მომგებიანი	0	500 ლ/ჰა	რეაბილიტაცია მოიცავს საძოვრების ზედაპირულ გაუმჯობესებას - გაზმენდას ქვებისაგან, სარეველებისაგან, კოლობოხების მოჭრას და ფართობის განოყიერებას მინერალური სასუქებით
კარტოფილი			
კარტოფილის ნათესების მავნებლებისაგან დაცვა დუშეთის მთიან რაიონებში მომგებიანია	3,000 ლ/ჰა	10,000 ლ/ჰა	კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებით გამოწვეული კარტოფილის დაავადებების გახშირებასთან დაკავშირებით, ზედმინევნით უნდა იქნეს დაცული და სრულყოფილად გატარებული კარტოფილის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებები
კარტოფილის შესანახი სარდაფების მოწყობა დუშეთში არაა მომგებიანი(თუ საერთო რაოდენობა მოსავლის ნაკლებია 2 ტონაზე და ფასი 0.7 ლარია)	0	1,250 ლარი (გაუმჯობესება და არა ახლის აგება)	ღონისძიება, გულისხმობს, რომელიც კარტოფილის მრავმოებლებმა უნდა მოაწყონ კარტოფილის შესანახი სპეციალური სარდაფები და შესანახად უნდა შეარჩიონ მხოლოდ საღი, დაუავადებელი კარტოფილი
ჭარბ ნალექებთან ბრძოლა ახალციხეში მომგებიანია	0	0	
ხარჯთ-სარგებლიანობის შედეგად გამოვლენილი მომგებიანი ღონისძიებების ღირებულების შედარება საბაზისო ღონისძიებების ღირებულებასთან	26,590 ლ/ჸა	48,342 ლ/ჸა	ძვირდება 21,752 ლ/ჸა (82%)

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სრული შესწავლა და შეფასება იმ თანამედროვე ტექნოლოგიებისა, რომლებიც აუცილებელია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შესამცირებლად და ახალ გარემოპირობებთან სექტორის ადაპტაციისათვის არ განხორციელებულა და აუცილებლად უნდა იქნეს განხილული შემდგომ ეტაპზე საერთაშორისო ექსპერტების თანამონაწილეობით.

რეკომენდირებული საადაპტაციო ღონისძიებების პრიორიტეტიზაცია მოხდა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: ღონისძიების ეკონომიკური ეფექტი, ღონისძიების სოციალური ეფექტი, გარემოსდაცვითი ეფექტი, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობა და ბარიერები, მიმართულების საექსპორტო პოტენციალი, წვლილი სოფლის მეურნეობის განითარების სტრატეგიის პრიორიტეტების განხორციელებაში. პრივატული პრიორიტეტი, პროცესში ჩართულმა დაინტერესებულმა პირებმა, მიანიჭეს თხილის კულტურას და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, განსაკუთრებით აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და სრულად გატარებას; შემდეგი ციტრუსის წარმოებასთან დაკავშირებული ღონისძიებებია და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის სექტორში სადაბლვევო მომსახურების განვითარების ხელშეწყობა; სიმინდის მაღალმოსავლიანი ჟიშების გავრცელების ხელშეწყობა მესაქონლეობის განვითარების პროცესში და საძოვრების რეაბილიტაცია მესამე ადგილზე გავიდა; ხორბლის წარმოებაში აგროტექნიკური ღონისძიებების როლის გაძლიერება ასევე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, მაგრამ ეჭვს იწვევს ხორბლის გასარწყავების ღონისძიება, რომელიც გარდა იმისა, რომ ძვირია, საფრთხეს უქმნის ნიადაგის გარკვეულ ტიპს დედოფლისწყაროში და მხოლოდ იქ შეიძლება ამ ღონისძიების გატარება, სადაც ნიადაგი იძლევა ამის საშუალებას. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ დედოფლისწყაროში 2050 წლამდე მცირედ, მაგრამ მაინც ნალექების მატებაა; ნაკლები პრიორიტეტი მიენიჭა კარტოფილის წარმოებაში შეთავაზებულ საადაპტაციო ღონისძიებებს და ცხოველების ორგანიზებულად დაწყურებას საძოვრებზე ხანგრძლივი გვალვის პირობებში. კარტოფილის შემთხვევაში ბოლომდე ვერ დადგინდა რეალურად რა არის პრობლემა და აქედან გამომდინარე საეჭვოდ გამოიყურება ღონისძიებაც.

პროექტის ფარგლებში, ტექნიკური დავალების 3a და 3b პუნქტებში, მოთხოვნილი იყოგარემოსადა ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის მჭიდრო თანამშრომლობა არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით და სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებში კლიმატის ცვლილების მაქსიმალურად გათვალისწინება. გადაიდგა ნაბიჭები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე მეტ ინიციატივას გამოხატავს ამ მიმართულებით, მაგრამ ეს საკმარისი არაა და საჭიროა უფრო მეტი ერთობლივი პროგრამების განხორციელება და ერთობლივი სამუშაო შეხვედრები.

დანართი |

დანართი 1.4. ხორბალი

ღონისძიება #1.4.1 დედოფლისწყაროსსასოფლო-სამეურნეო სავარგულების
მასარწყავება

ღონისძიების პლანი

ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ურნყავი სოფლის მეურნებაა გაბატონებული. კლიმატურიმოდელირებით დადგინდა, რომ დედოფლისწყაროს რაიონში საშემოდგომო ხორბალი წყლის დანაკლის განიცდის და საირიგაციო წყალმოთხოვნილება შავმიწა ნიადაგებზე 100-150 მმ შეადგენს. ეს დანაკლისი ახლო მომავალში (2021-2050) რამდენადმე შემცირდება, მაგრამ შემდეგ (2070-99) წლებში ისევ გაიზრდება და დაუბრუნდება ახლანდელ დონეს. ამის პარალელურად განუხრელად გაიზრდება აქტურ ტემპერატურათა ჸამი და ნახშირორუანგის კონცენტრაცია, რაც საშემოდგომო ხორბალის მოსავლიანობაზე მოტიურად იმოქმედებს. ღონისძიება თითქოს წინააღმდეგობაში მოდის იმ ცვლილებებთან, რომელიც 2050 წლამდე არის მოსალოდნელი, მაგრამ წყლის დანაკლისის შემცირება არ ნიშნავს, რომ დანაკლისი საერთოდ აღარ იქნება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საშემოდგომო ხორბალის მოსავლიანობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ დაბალ ნიშნულთან, 2-დან 3 ტონამდე მერყეობს და ამის მთავარი მიზები წყლის დანაკლისია. თუ საშემოდგომო ხორბალი უზრუნველყოფილი იქნება საკმარისი ტენით, მისი მოსავლიანობა 2-3 ჰერ გაიზრდება და 6-8 ტ/ჰა-ს გაუთანაბრდება. ამიტომ მთავარი რეკომენდაციაც დედოფლისწყაროს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავებაა. სახელმწიფოს მიერ საირიგაციო სისტემის ინსტალაციის დანახარჯები არ არის გათვალისწინებული ანალიზში, ვინაიდან ანალიზი ფერმერის სარგებელსა და დანახარჯებს განიხილავს. ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2087. ანალიზი მოიცავს მხოლოდ დედოფლისწყაროსა და სიღნაღმს.

დაშვებები

- ირიგაციის გარეშე მოსავალი არის 2.5 ტ/ჰა და მუდმივია წლების განმავლობაში
- ირიგაციის შემთხვევაში მოსავალი არის 5.5 ტ/ჰა და მუდმივია წლების განმავლობაში
- ხორბალის ფასი იზრდება ყოველწლიურად 5.4%-ით¹
- ირიგაციის გამო დამატებითი დანახარჯი (წყლის გადასახადი და რწყვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები) შეადგენს 400 ლ/ჰა-ს და არ იცვლება წლების განმავლობაში
- ხორბალის ნათესი ფართობის საწყისი მნიშვნელობა შეადგენს 43100 ჰა და იგი ყოველწლიურად მცირდება 0.7%-ით²
- ხორბალის ნათესი ფართობის 87% არ ირწყვება
- ურნყავი მიწის საშუალო ფასი 1625 ლ/ჰა და არ იცვლება წლების განმავლობაში
- გასარწყავებული მიწის ფასი 3750 ლ/ჰა და არ იცვლება წლების განმავლობაში
- იგულისხმება, რომ 1-ელ წელს ხდება ურნყავი მიწების 10%-ის გასარწყავება და ეს მაჩვენებელი იზრდება თანდათან და აღწევს 25%-ს ანალიზის ბოლო წლისთვის.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%³

შედეგები

სარგებლის ძირითადი კატეგორიებია:

- გასარწყავების შედეგად მიღებული დამატებითი მოსავლის ღირებულება. გასარწყავება ზრდის მოსავლიანობას 2,5 ტ/ჰა-დან 5,5 ტ/ჰა-მდე

¹ ეს ზრდის ტემპი გამომდინარეობს 1999 - 2015 წნ. ხორბალის ფქვილის ფასის დინამიკაზე დაკვირვებიდან

² ეს ტემპი გამოთვლილია ხორბალის ნათეს ფართობებში 2006-2013 წლებში არსებულ ტენდენციაზე დაყრდნობით


³ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო წლიური შემოსავალი

- სხვაობა სარწყავი და ურწყავი მიწის ფასებში. ურწყავი მიწა საშუალოდ 2.3-ჯერ უფრო იაფია ვიდრე სარწყავი სისტემით უზრუნველყოფილი მიწა.
- დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:
- რწყვასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები, რაც მოიცავს წყლის გადასახადს და რწყვის პროცესთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს

ცხრილი 1.4.1. ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	153,053,231ლარი ($NPV > 0$)
გასარწყავებული მიწის ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	8,744 (მთლიანი ფართობის 25%)

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯებს.



ნახაზი 1.4.1. სარგებელი და დანახარჯის წლების მიხედვით

გასარწყავება დადებითად აისახება მოსავლიანობაზე და მიწის ფასზე და არსებული ტარიფებიდან გამომდინარე, ფერმერისთვის ამ ღონისძიებიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით აღემატება დანახარჯებს.

დასკვნა

განხილული ღონისძიება მომგებიანია ხარჯთ-სარგებლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მონეტარიზებულ დანახარჯს.

სენსიტიურობის ანალიზი

სცენარი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($R=4,76\%$) შეადგენს 179,227,287 ლარს ($NPV>0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($R=9.98\%$) - 131,960,513 ლარს ($NPV>0$).

დისკონტის განაკვეთის ორივე მნიშვნელობის შემთხვევაში სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი.

სცენარი 2. მვალვების გახშირება

კლიმატის ცვლილების გამო, გახშირებული გვალვების ფონზე ხორბლის მოსავლიანობა ურწყავში ყოველწლიურად მცირდება 5%-ით (დაშვება). 2018 წელს მოსავლიანობა ურწყავში შეადგენს 2.5 ტ/ჰა და ყოველწლიური 5%-იანი შემცირების შედეგად 2028 წლისთვის ეს მაჩენებელი შეადგენს 1.3 ტ/ჰა.

ცხრილი 1.4.2. ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	171,451,486 ლარი ($NPV>0$)
გასარწყავებული მიწის ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	8,744 (მთლიანი ფართობის 25%)

ამ შემთხვევაში ღონისძიების სარგებელი უფრო მაღალია ძირითად სცენართან შედარებით.

ღონისძიება #1.4.2. აგროტექნიკური ღონისძიებები

ღონისძიების აღწერა

გამართული აგროტექნიკური ღონისძიებები დადებითად აისახება ხორბლის პროდუქტიულობაზე. ანალიზში განხილულია აგროტექნიკური ღონისძიებების ეფექტი ორი შემთხვევისთვის: ხორბლის მოყვანა ურწყავ პირობებში და ხორბლის მოყვანა სარწყავ პირობებში. 1-ელ შემთხვევაში ერთმანეთს დარდება ურწყავ პირობებში საბაზისო და გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენების შედეგები, ხოლო მე-2 შემთხვევაში ერთმანეთს დარდება სარწყავ პირობებში საბაზისო და გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენების შედეგები.

ურწყავ პირობებში აგროტექნიკურ ღონისძიებებში შედის: ნიადაგის ნახევრად ანეულად დამუშავება, თესვის ოპტიმალური ვადის დაცვა, თესვის ოპტიმალური სიღრმის განსაზღვრა, ნიადაგის განოყირება, ნიადაგის მოტკეპნა თესვის შემდეგ, ნაკვეთებში თოვლის შეკავება, თესლბრუნვა, ნოუტილი და გაუმჯობესებული ჭიშები.

სარწყავ პირობებში ხორბლის მოყვანის აგროტექნიკურ ღონისძიებებში შედის: რწყვა, ნიადაგის განოყირება, კულტურათა მორიგეობა და სარწყავი პირობებისათვის შესაბამისი ჭიშების შერჩევა.

დაშვებები

- ურნყავ პირობებში საბაზისო ტექნოლოგიებით მიიღება 2.5 ტ/ჰა (ეს მაჩვენებელი მუდმივია წლების განმავლობაში), ხოლო თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების შემთხვევაში მოსავალი შეადგენს 4 ტ/ჰა (ეს მაჩვენებელიც მუდმივია წლების განმავლობაში)
- სარწყავ პირობებში საბაზისო ტექნოლოგიებით მიიღება 5,5 ტ/ჰა (ეს მაჩვენებელი მუდმივია წლების განმავლობაში), ხოლო თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების შემთხვევაში მოსავალი შეადგენს 7 ტ/ჰა (ეს მაჩვენებელიც ასევე მუდმივია წლების მიხედვით)
- ხორბლის ფასი იზრდება ყოველწლიურად 5.4%-ით⁴
- ურნყავში საბაზისო აგროტექნიკური ღონისძიებების დანახარჯი არის 1000 ლ/ჰა, ხოლო თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების შემთხვევაში - 1496 ლ/ჰა (ეს მაჩვენებლები მუდმივია წლების განმავლობაში)
- სარწყავში საბაზისო აგროტექნიკური ღონისძიებების დანახარჯი არის 1400 ლ/ჰა⁵, ხოლო თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების შემთხვევაში - 1866 ლ/ჰა (ეს მაჩვენებლები მუდმივია წლების განმავლობაში)
- ხორბლის ნათესი ფართობის საწყისი მნიშვნელობა დედოფლისწყაროსა და სიღნაღში შეადგენს 43100 ჰა და იგი ყოველწლიურად მცირდება 0.7%-ით⁶
- სარწყავ პირობებში ანალიზის 1-ლი 4 წლის განმავლობაში თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდები გამოიყენება ნათესი ფართობების 2%-8%, შემდეგი 4 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი უდრის 5%-ს, ხოლო ბოლო 3 წლის განმავლობაში - 10%-ს. იდენტური მაჩვენებლები ვრცელდება ურნყავ პირობებში თანამედროვე აგროტექნიკული მეთოდების დანერგვაზე.⁷
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%⁸

შედეგები

ცხრილი 1.4.3. ჩეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა	
	ურნყავ პირობებში	სარწყავ პირობებში
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	7,047,497 ლარი (NPV>0)	8,749,387 ლარი (NPV>0)
ხორბლის ნათესი ფართობები, სადაც ვრცელდება თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებები 2027 წლისთვის	4034 ჰა	4034 ჰა

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი ორივე შემთხვევაში, ურნყავშიც და სარწყავშიც თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების გამოყენებას აქვს დადებითი ეფექტი. იგი უფრო მეტია, როდესაც თანამდეროვე აგროტექნიკური ღონისძიებები გამოიყენება სარწყავ პირობებში.


⁵ ირიგაციის გამო საბაზისო ტექნოლოგიის დანახარჯზე დამატებულია რწყავსთან დაკავშირებული 400 ლ, რაც ჯამში 1400 ლ/ჸ-ზე გამოდის.

⁶ ხორბლის ნათესი ფართობების დინამიკის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით

⁷ ერთი და იგივე ფართობები აღებულია იმისთვის, რომ ერთმანეთს შედარღეს ურნყავში და სარწყავში მიღებული შედეგები.

⁸ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო ნლიური შემოსავალი


სარგებელი და დანახარჯი ურნპავ პირობებში



ნახაზი 1.4.2. სარგებელი და დანახარჯი წლების მიხედვით ურნპავ პირობებში

ყველა წელს სარგებელი აღემატება დანახარჯს და მათ შორის პროპორცია დამოკიდებულია ათვისებული ფართობების წილზე.

სარგებელი და დანახარჯი ურნპავ პირობებში



დიაგრამა 1.4.3. სარგებელი და დანახარჯი წლების მიხედვით სარნპავ პირობებში

სარნპავ პირობებში იგივე დინამიკაა, რაც ურნპავში, რადგან ფართობები არის ერთი და იგივე.

დასკვნა

განხილული ღონისძიება მომგებიანია ხარჯთ-სარგებლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მის მონეტარიზებულ დანახარჯს. გარდა ამისა, თუ ფერმერი იყენებს თანამედროვე აგროტექნიკურ ღონისძიებებს, მაშინ მისთვის უფრო მომგებიანია ხორბლის სარნპავ პირობებში წარმოება, რადგან ეს ორი ღონისძიება ერთად არის უფრო შედეგიანი.

სენსიტიურობის ანალიზი

სპეციალი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

ცხრილი 1.4.3. ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა	
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits) დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($R=4,76\%$)	ურნყავ პირობებში 8,564,038 ლარი ($NPV>0$)	სარნყავ პირობებში 5,852,283 ლარი ($NPV>0$)
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits) დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($R=4,76\%$)	10,609,184 ლარი ($NPV>0$)	7,281,248 ლარი ($NPV>0$)

დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დადგებითია, რაც მიანიშნებს ღონისძიების მომგებიანობაზე.

სპეციალი 2. შემცირებული მოსავლიანობა გვალვიანი დღეების მათების ფონზე

თუ კლიმატის ცვლილების გამო, გვალვამ იმატა და ფერმერების მიერ არ იქნა დანერგილი თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებები, მოსავლიანობა შემცირდება.

იგულისხმება, რომ საბაზისო მეთოდების გამოყენების შემთხვევაში ურნყავში მოსავლიანობა ყოველ წელს 5%-ით შემცირდება, ხოლო სარნყავში - 2,5%-ით.

ცხრილი 1.4.3. ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა	
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	ურნყავ პირობებში 14,615,461 ლარი ($NPV>0$)	სარნყავ პირობებში 17,074,147 ლარი ($NPV>0$)
ხორბლის ნათესი ფართობები, სადაც ვრცელდება თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებები 2027 წლისთვის	4034 ჰა	4034 ჰა

თუ გვალვებმა იმატა, ღონისძიების სარგებელი თითქმის ორმაგდება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ თანამედროვე აგროტექნიკურ ღონისძიებებს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს კლიმატის ცვლილების ფონზე.

დანართი 1.5. სიმინდი

ლონისძიება 1.5.1 სიმინდის მაღალმოსავლიანი პიშების (პიბრიდების) დანართი/გავრცელება

ლონისძიების აღწერა

ღონისძიების მიზანია მაღალმოსავლიანი პიბრიდებიდან გამოცდის მეთოდით ადგილობრივი პირობებისათვის საუკეთესო ჭიშების შერჩევა მომავალი კლიმატის ცვლილების ფონის გათვალისწინებით. ანალიზი ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე მხოლოდ. განიხილება თეთრი სიმინდი, რომელიც დასავლეთში გამოიყენება როგორც სასურსათო მიზნებისათვის, ასევე პირუტყვის საკვებად და ქართული და უცხოური პიბრიდები, რომელიც მხოლოდ პირუტყვის საკვებად გამოიყენება. იგულისხმება, რომ გვალვიანი დღეების მატებასთან ერთად ფერმერების გარკვეული ნაწილი ქართული ჩვეულებრივი ჭიშის სიმინდიდან გადადის ქართულ პიბრიდზე, ხოლო სხვა ნაწილი ფერმერებისა გადადის უცხოურზე.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

დაშვებები

- სიმინდის ნაოესი ფართობი არის 4,877 ჰა და ყოველწლიურად მცირდება 6%-ით⁹.
- ექსპერტზე დაყრდნობით თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანის ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია იძლევა 3.5 ტ/ჰა
- ექსპერტზე დაყრდნობით ქართული პიბრიდები სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცენტრის“ ტექნოლოგიის მიხედვით იძლევა 7ტ/ჰა
- უცხოური პიბრიდები შპს „ვარტლისის“ სქემით მოყვანის შემთხვევაში იძლევა 10 ტ/ჰა
- ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიით თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანა ჰდება 1,230 ლ/ჰა
- ახალი ქართული პიბრიდის მოყვანა ჰდება 2,043 ლ/ჰა
- უცხოური პიბრიდის მოყვანა ჰდება 2,523 ლ/ჰა
- პირუტყვის საკვებად განკუთვნილი სიმინდის ფასი 450 ლ/ტ და იგი ყოველწლიურად 5%-ით ¹⁰ იზრდება.
- პირუტყვის საკვებად განკუთვნილი სიმინდის ნაოესი ფართობი შეადგენს მთლიანი ნაოესი ფართობების 29% -ს. ¹¹
- იგულისხმება, რომ ამჟამად ქართული პიბრიდი პირუტყვის საკვებად განკუთვნილი ფართობის 2%-ზეა დათესილი. 2020-2021 წწ. ეს მაჩვენებელი იზრდება 2.5% -მდე, 2022-2023 წწ. 3%-მდე, 2024-2025 წწ. - 3.5%-მდე, ხოლო 2026-2027 წწ. ეს მაჩვენებელი 4%-ს აღწევს.
- იგულისხმება, რომ ამჟამად უცხოური პიბრიდი პირუტყვის საკვებად განკუთვნილი ფართობის 1%-ზეა დათესილი. 2020-2022 წწ. ეს მაჩვენებელი იზრდება 1.5% -მდე, 2023-2025 წწ. 2%-მდე, 2026 წ. - 2.5%-მდე, ხოლო 2027 წ. ეს მაჩვენებელი 3%-ს აღწევს. შედარებით დაბალი ზრდის ტემპი აიხსნება იმით რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიმინდი მინდვრის ბევრ სხვა კულტურაზე უკეთ იტანს მაღალ ტემპერატურას.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37% ¹²

შედეგები

სარგებლის ძირითადი კატეგორია:

- დამატებითი მოსავლის ღირებულება. ქართული პიბრიდის გამოყენების შემთხვევაში მოსავლიანობა იზრდება 3.5 ტ/ჰა-დან 7 ტ/ჰა- მდე, ხოლო უცხოური პიბრიდის შემთხვევაში იგი იზრდება 7 ტ/ჰა-დან 10 ტ/ჰა-მდე.

⁹ პროცენტული ცვლილება გამოთვლილია 2013-2017 წწ. ტენდენციებზე დაყრდნობით. ამ პერიოდის განმავლობაში ფიქსირდება ფართობების შემცირება და ყველაზე მინიმალური შემცირება იყო 6%

¹⁰ ზრდის ტემპი განისაზღვრა ფასების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით

¹¹ ეს წილი გამოყვანილია სასურსათო ბალანსებზე დაყრდნობით, სადაც ჩანს რომ ნარმოებული სიმინდის საშუალო 29% გამოიყენება პირუტყვის საკვებად 2014-2016 წწ.

¹² ათწლიანი სახელმწიფო ობლიგაციის სარგებლის განაკვეთი

დანახარჯების ძირითადი კატეგორია:

- სხვაობა ჰიბრიდული ჰიშის წარმოების დანახარჯებსა და ჩვეულებრივი ჰიშის წარმოების დანახარჯებს შორის. ქართული ჰიბრიდის გამოყენების შემთხვევაში დანახარჯი იზრდება 1,230 ლ/ჰა-დან 2,043 ლ/ჰა-მდე, ხოლო უცხოური ჰიბრიდის შემთხვევაში - 1,230 ლ/ჰა-დან 2,523 ლ/ჰა-მდე. ¹³


ცხრილი 1.5.1. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	545,976 ლარი (NPV>0)
სიმინდის მთლიანი ნათესი ფართობი 2027 წლისთვის	2,627 ჰა
ქართული ჰიბრიდის ნათესი ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	30 ჰა(მთლიანი ფართობის 1.2%)
უცხოური ჰიბრიდის ნათესი ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	23 ჰა(მთლიანი ფართობის 0.9%)

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯებს.

სარგებელი და დანახარჯები

■ სარგებელი



ნახატი 1.5.1. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

ყველა წელს სარგებელი აღემატება დანახარჯს იმიტომ, რომ ქართულ ჰიბრიდზე გადასვლის შემთხვევაში მოსავალი 3.5 ტ/ჰა-დან იზრდება 7 ტ/ჰა-მდე (100%-იანი ზრდა), ხოლო დანახარჯი იზრდება მხოლოდ 66%-ით. უცხოურ ჰიბრიდზე გადასვლის შემთხვევაში მოსავალი იზრდება 186%-ით, ხოლო დანახარჯი 105%-ით.

¹³ მონაცემების სიმნირის გამო არ განიხილება ის შემთხვევა, როდესაც ფერმერი ქართული ჰიბრიდიდან გადადის უცხოურზე

დასკვნა

განხილული ღონისძიება მომგებიანია ხარჯ-სარგებლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მონეტარიზებულ დანახარჯს.

სენსიტიურობის ანალიზი

სპეციალი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის ($R=4.76\%$) განაკვეთის პირობებში შეადგენს 641,211ლარს($NPV>0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში 469,368ლარს ($NPV>0$)¹⁴.

როგორც დაბალი ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადგებითია, რაც ნიმუში იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მომგებიანი აღტერნატივაა.

სპეციალი 2. მოსავლის შემცირება საბაზისო თემოლოგიების გამოყენების შემთხვევაში

თუ კლიმატის ცვლილების გამო ტემპერატურამ თანდათანობით იმატა, ეს გამოიწვევს სიმინდის (ჩვეულებრივი ჰიში, არა ჰიბრიდული) მოსავლის შემცირებას 3.5 ტ/ჰა-დან 1.1 ტ/ჰა-მდე¹⁵.

ცხრილი 1.5.2. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	777,579ლარი ($NPV>0$)
არაჰიბრიდული ჰიშის სიმინდის მოსავლიანობა (ტ/ჰა) 2027 წლისთვის	1.1 ტ/ჰა

ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

ღონისძიება 1.5.2. გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებები

ღონისძიების აღწერა

სიმინდის აგროტექნიკაში მზრალად ხვნა ნიადაგში ტენის დაგროვების მთავარი მეთოდია. როგორც წესი, დასავლეთ საქართველოში სიმინდისათვის განკუთვნილი ნიადაგი მზრალად უნდა მოიხსნას ნოემბრის ბოლოს - დეკემბერის დასაწყისში. მოხნეული ნიადაგი ზამთრის განმავლობაში აგროვებს ტენს, მისი კოშტები დაბალი ტემპერატურის მოქმედებით იშლება და გაზაფხულზე, თესვის წინ, მხოლოდ ნიადაგის კულტივაციაა (ზედაპირული დამუშავება) საჭირო. გამონაკლისს წარმოადგენს

¹⁴ ღისკონტის განაკვეთები მიიღება საშუალო მნიშვნელობაზე $+1.96$ სტანდარტული გადახრის დამატებით (აქაც და ყველგან ტექსტი)

¹⁵ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით 1.1 ტ/ჰა არის ყველაზე დაბალი მაჩვანებელი, რომელიც დაფიქსირებულა სამეცნიერო რეგიონისთვის 2006-2013 წლების მანძილზე.

ზღვისპირა დაბლობზე განლაგებული მინდვრები, სადაც ძალზე უხვი და ძლიერი წვიმების გამო ნიადაგი იტკეპნება და ადრე გაგაფხულზე თავიდან მოსახნავი ხდება. გაგაფხულზე მოხნული ნიადაგი კი სწრაფად შრება (მაღალი ტემპერატურის გამო), რაც თესლის აღმოცენებასა და ღივის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ წვიმიან დაბლობ ადგილებში მზრალად ხვნა უფრო გვიან, თებერვლის ბოლოს ან მარტში არის სასურველი - ასეთ შემთხვევაში ნიადაგი ვერ მოასწრებს გამოშრობას თესვის წინ და ხვნა საჭირო აღარ იქნება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მზრალად ხვნის ოპტიმალური ვადების დაცვა, რაც დღევანდელ პირობებში არ ხდება.

ეს ღონისძიება გულისხმობს თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანის ორი ტექნოლოგიის შედარებას: ორი ალტერნატივის შედარებას: ფერმერულ მეურნეობებში ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აბაშის საცდელ სადგურზე დანერგილი გაუმჯობესებული ტექნოლოგიის.

ანალიზი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას მოიცავს.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

დაშვებები

- სიმინდის ნათესი ფართობი არის 4,877 ჰა და ყოველწლიურად მცირდება 6%-ით .
- თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანის ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია იძლევა 3.5 ტ/ჰა
- თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანის გაუმჯობესებული ტექნოლოგია იძლევა 5 ტ/ჸა
- ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიით თეთრი სასურსათო სიმინდის მოყვანა ჯდება 1,230 ლ/ჸა, ხოლო გაუმჯობესებული ტექნოლოგიით მოყვანა ჯდება 1641 ლ/ჸა
- სასურსათო სიმინდის ფასია 500 ლ/ტ და იგი ყოველწლიურად 5%-ით იზრდება .
- ამჟამად გაუმჯობესებული ტექნოლოგიით სრული ნათესი ფართობის 10% მუშავდება, 2019-2021 წწ. - 15%, 2022-2025 წწ. - 20%, ხოლო 2026-2027 წწ. ეს მაჩვენდელი 30%-ს აღწევს.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორიებია:

- ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად ნამატი მოსავლიდან შემოსავალი. საბაზისო და ფერმერულ მეურნეობებში გავრცელებული სიმინდის მოყვანის ტექნოლოგია იძლევა 3.5 ტ/ჸა-ზე, ხოლო გაუმჯობესებული ტექნოლოგიით შესაძლებელია 5 ტ/ჸა-ზე მიღება. სხვაობის ღირებულება არის დამატებითი სარგებელი, რომელსაც ფერმერი იღებს.

დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:

- სხვაობა საბაზისო და გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების ღირებულებებს შორის. გაუმჯობესებული ღონისძიებები უფრო მეტ მოსავალს იძლევა, თუმცა უფრო ძვირია.


ცხრილი 1.5.3. ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	2,479,548 ლარი(NPV>0)
გაუმჯობესებული ტექნოლოგიით დამუშავებული სიმინდის ნათესი ფართობი 2027 წლისათვის	788 ჰა (მთლიანი ნათესი ფართობის 90%)

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯებს.

სარგებელი და დანახარჯები

■ სარგებელი ■ დანახარჯები



ნახაზი 1.5.2. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

ყველა წელს სარგებელი აღემატება დანახარჯს იმიტომ, რომ ქართულ გაუმჯობესებულ აგროტექნიკაზე გადასვლის შემთხვევაში მოსავალი 3.5 ტ/ჰა-დან იზრდება 5 ტ/ჰა-მდე (43%-იანი ზრდა), ხოლო დანახარჯი უფრო ნაკლებად იზრდება (33%-ით).

სენსიტიურობის ანალიზი

სცენარი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits) დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($R=4.76\%$) მეადგენს 2,923,348 ლარს ($NPV>0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში ($R=9.98\%$) - 2,123,323 ლარს ($NPV>0$).

როგორც დაბალი ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადგებითია, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მომგებიანი აღტერნატივაა.

სცენარი 2. დანახარჯების გაზრდა საბაზისო აგროტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში

თუ კლიმატის ცვლილების შედეგად ტემპერატურა გაიზრდება, ერთი და იგივე მოსავლის მისაღებად საბაზისო აგროტექნიკური ღონისძიებები გაძვირდება. იგულისხმება, რომ დანახარჯები ყოველწლიორად გაიზრდება 5%-ით.

ცხრილი 1.5.4. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	3,803,497 ლარი ($NPV>0$)
გაუმჯობესებული ტექნოლოგიით დამუშავებული სიმინდის ნათესი ფართობი 2027 წლისათვის	788 ჰა (მთლიანი ნათესი ფართობის 90%)

ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

დანართი 1.6. პაროგოლი

ღონისძიება #1. პაროგოლის ნათესაბის მავნებლებისამან დაცვა დუშეთის მთიანი რაიონის

დუშეთის მუნიციპალიტეტის მთიანი სოფლების ფერმერებმა კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებით გამოწვეული კარტოფილის დაავადებების გახშირებასთან დაკავშირებით, ზედმინევნით უნდა დაიცვან და სრულყოფილად გაატარონ კარტოფილის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებები. ფერმერებმა დროულად, გამოვლენისთანავე უნდა მოახდინონ დაავადებებისა და მავნებლების კონტროლი, მცენარეთა დაცვის საშუალებების რეკომენდირებული დოზებით გამოყენებით.

დუშეთში ბარში ფერმერების უმეტესობა უკვე იყენებს მცენარეთა დაცვის საშუალებებს, ვინაიდან ბარში დაავადებების რაოდენობა შედარებით დიდია. მთაში კი დაავადებების რაოდენობა ნაკლებია და შესაბამისად დღესდღეობით მცენარეთა დაცვის საშუალებების საჭიროება ნაკლებია. თუმცა მომავალში კლიმატის ცვლილების ფონზე სავარაუდოა დაავადებების გახშირება მთაშიც, რისთვისაც რეკომენდირებულია უფრო სრულყოფილი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, რაც დანახარჯების ზრდაში აისახება.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

კარტოფილის ნათეს ფართობებში იგულისხმება მთაში ნათესი ფართობები.

დაშვებები

- მთაში კარტოფილის ნათესი ფართობი შეადგენს 359 ჰა და ყოველწლიურად 3%-ით¹⁸ იზრდება
- საბაზისო აგროტექნიკური ღონისძიებების ღირებულება ერთ ჰექტარზე 3000 ლარია და იქიდან გამომდინარე, რომ ნავარაუდებია დაავადებების გახშირება, რაც გაზრდის დანახარჯებს მცენარის დაცვის საშუალებებზე, საბაზისო ღონისძიებების ღირებულება ყოველწლიურად 300 ლარით იზრდება. გახშირებული დაავადებების პირობებში ერთი და იგივე მოსავლის მისაღებად მეტი დანახარჯის გაწევა იქნება საჭირო.
- გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღირებულება ერთ ჰექტარზე 10000 ლარია და იგი წლების განმავლობაში მუდმივია.
- მოსავლის ოდენობა ერთ ჰექტარზე გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებებით 22.5 ტონაა და ის უცვლელია წლების განმავლობაში.
- მოსავლის რაოდენობა ერთ ჰექტარზე საბაზისო აგროტექნიკური ღონისძიებებით შეადგენს 22.5 ტ-ის 40%-ს და შეესაბამება 9 ტონას; ეს მაჩვენებელი მუდმივია წლების განმავლობაში.
- გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღირებულები გამოიყენება კარტოფილის ნათესი ფართობის (359 ჰა) 10%-ზე 1-ელ და მე-2 წელს. თუმცა შემდეგ ახალი ტექნიკური დანერგვის ტემპი იზრდება ვინაიდან დაავადებების გახშირების ფონზე სულ უფრო მეტი ფერმერი მიმართავს დაავადებებთან ბრძოლის საშუალებებს. ამრიგად მე-3, მე-4 და მე-5 წლებში ნათესი ფართობების 15%, 20% და 25%-ზე დანერგილია უფრო სრულყოფილი აგროტექნიკური ღონისძიებები. დანარჩენ წლებში 2027 წლამდე ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად 10%-ით იზრდება და 2027 წელს 85%-ს აღწევს.
- ერთი ტონა კარტოფილის საწყისი საბაზრო ფასი 700 ლ/ტ და ყოველწლიურად იზრდება 9.3%-ით სტაბისტიკის სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით¹⁹.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%²⁰

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორია:

- გაზრდილი მოსავლიანობის ღირებულება. საბაზისო ტექნიკური მიიღება 9ტ/ჰა, ხოლო გაუმჯობესებული ტექნიკური იძლევა იმის შაულებას, რომ მოსავალის რაოდენობა გაიზარდოს 22.5 ტ/ჰა. კარტოფილის ფასიდან გამომდინარე ანგარიშდება ამ ნამატი მოსავლის ღირებულება.

¹⁸ 8წლის ტემპი განისაზღვრება დუშეთში კარტოფილის ნათესი ფართობის წლიური მონაცემებიდან გამომდინარე.

¹⁹ იგულისხმება რომ 1991 წლიდან მოყოლებული რა 8წლის ტემპიც ქონდა ფასს, იგივე ტემპი შეუნარჩუნდება მომავალი 10 წლის განმავლობაში.

²⁰ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო წლიური შემოსავალი

დანახარჯების ძირითადი კატეგორია:

- სხვაობა გაუმჯობესებული და საბაზისო აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ღირებულებებს შორის


ცხრილი 1.6.1. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	11 248 139 ლარი (NPV>0)
გაუმჯობესებული აგროტექნოლოგიური ღონისძიებებით დამუშავებული ნათესი ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	398(მთლიანი ფართობის 85%)

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯებს.

სარგებელი და დანახარჯები

■ სარგებელი ■ დანახარჯები



ნახაზი 1.6.1 სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

ყველა წელს სარგებელი აღემატება დანახარჯს იმიტომ, რომ მოსავალი ჰა-ზე იზრდება 150%-ით, ხოლო დანახარჯებში სხვაობა წლებთან ერთად მცირდება. თავდაპირველად დანახრჯებში სხვაობა 233%-ს შეადგენს, რადგან სრულყოფილი აგროტექნოლოგიური ღონისძიებები კდება საშუალოდ 10000 ლარი/ჰა, მაშინ როდესაც მთაში იხარჯება 3000 ლა/ჰა საბაზისო ტექნოლოგიაზე, თუმცა შემდგომ წლებში საბაზისო ტექნოლოგიის ღირებულება იზრდება და 2027 წლისთვის აღწევს 6000-ს და სხვაობაც 10000-თან მცირდება 67%-მდე.

გარდა ამისა კარტოფილის ფასი და ნათესი ფართობები იზრდება, რაც ასევე ზრდის სარგებელს წლების განმავლობაში.

დასკვნა

განხილული ღონისძიება მომვებიანია ხარჯ-სარგებლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მონეტარიზებულ დანახარჯს.

სენსიტიურობის პრედიკტი

სპეციალის 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის²¹ პირობებში შეადგენს 13,898,673 ლარს ($NPV > 0$), მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში კი - 9,177,514 ლარს ($NPV > 0$).

როგორც დაბალი, ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადგებითა, რაც ნიმუშს იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მომგებიანი ალტერნატივაა.

სპეციალის 2. შემცირება საბაზისო ფენოლოგიების მართვის შემთხვევაში

თუ კლიმატის ცვლილების გამო მოხდა დაავადებების გახშირება, შესაძლებელია, რომ საბაზისო ტექნოლოგიით მიღებული მოსავალი მცირდებოდეს ნლების განმავლობაში. ამ სცენარში იგულისხმება, რომ ფერმერთა ის ნაწილი ვინც 3000 ლარის ღირებულების საბაზისო ტექნოლოგიას მიმართავს, და არ ზრდის თავის დანახარჯებს, ვერ შეძლებს ნლების განმავლობაში 9 ტონიანი მოსავლის შენარჩუნებას და იგი შემცირდება ჰარ 8 ტონამდე, ხოლო 2027 წლისთვის 7 ტონამდე.

ცხრილი 1.6.2 ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	10 469 015 ლარი ($NPV > 0$)
კარტოფილის მოსავლიანობა (ტ/ჰა) საბაზისო ტექნოლოგიით 2027 წლისთვის	7
გაუმჯობესებული აგროტექნოლოგიური ღონისძიებებით დამუშავებული ნათესი ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	398(მთლიანი ფართობის 85%)

ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

ღონისძიება #2. კარტოფილის შესანახი სარდაფების მოწყობა დუალი

დუალის მუნიციპალიტეტში ზამთრის პერიოდში კარტოფილის მოსავლის დაახლოებით 6% უფრუქდება იმ ფერმერებს, რომლებსაც არ აქვთ სპეციალური შესანახი სარდაფები. პრობლემის გამომწვევი მიზეზი ჰარ-ჰარობით ზუსტად არაა დადგენილი, მაგრამ, ამ ეტაპზე, იკვეთება ორი სავარაუდო მიზეზი: ყინვიანი დღეების ზრდა, რასაც თან ახლავს კარტოფილის გაყინვა, თუ პროდუქცია სწორად არაა შენახული და მას ივნისის თვეში ნალექების სერიოზული ზრდა, რაც გარდა იმისა, რომ აზიანებს მოსავალს, ასევე აქვეითებს კარტოფილის გამოგამორების უნარს. ამ მიმართულებით დაკვირვება და კვლევა კვლავ უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ამ ეტაპზე, ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, შეთავაზებულია ღონისძიება, რომელიც გულისხმობს, რომ კარტოფილის მწარმოებლებმა უნდა მოაწყონ კარტოფილის შესანახი სპეციალური სარდაფები და შესანახად უნდა შეარჩიონ მხოლოდ საღი, დაუავადებელი კარტოფილი.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-20287.

²¹ დისკონტის განაკვეთები მიღება საშუალო მნიშვნელობაზე +1.96 სტანდარტული გადახრის დამატებით

დაშვებები

- კარტოფილის საწყისი ნათესი ფართობი 523 ჰექტარია და ყოველწლიურად 3%-ით²² იზრდება.
- კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 15 ტ/ჰა²³.
- ყინვების გამო დანაკარგი შეადგენს მოსავლის 6%-ს.
- სარდაფის მოწყობის ერთჯერადი ხარჯი საშუალოდ 1,250 ლარს შეადგენს, რაც გულისხმობს არსებული სარდაფის გაუმჯობესებას და არა ახლის აშენებას.
- ერთ სარდაფში საშუალოდ 450 კილოგრამი კარტოფილი ეტევა.
- საწყის ეტაპზე ახალ სარდაფებში მთელი მოსავლის 10%-ის შენახვა მოხდება და ეს მაჩვენებელი ყოველ წელს 5%-ით გაიზრდება.
- ერთი ტონა კარტოფილის საწყისი საბაზრო ფასი 700 ლ/ტ და ყოველწლიურად იზრდება 9.3%-ით სტატისტიკის სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით²⁴.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%²⁵

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორიებია:

- გაყინვას გადარჩენილი მოსავლის ღირებულება

დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:

- სარდაფების მოწყობის ხარჯი

ცხრილი 1.6.3. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	-8 677 735ლარი (NPV<0)
გაყინვის საშიშროების წინაშე არსებული მოსავლის რაოდენობა (ტ) 2027 წლისთვის	614 (მთლიანი მოსავლის 6%)
უსაფრთხოდ შენახული მოსავლის რაოდენობა 2027 წლისთვის (ტონა)	368 (გაყინვის საფრთხის წინაშე არსებული მოსავლის 60%)

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის უარყოფითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი ნაკლებია მის დანახარჯებების გამომდინარე.


²² 8წლის ტემპი განისაზღვრება დუქტეში კარტოფილის ნათესი ფართოების ნლიური მონაცემებიდან გამომდინარე.

²³ ეს არის 2015 წლის მონაცემი დუქტეთის მენიციპალიტეტისთვის

²⁴ იგულისხმება რომ 1991 წლიდან მოყოლებული რა 8წლის ტემპიც ქონდა ფასს, იგივე ტემპი შეუნარჩუნდება მომავალი 10 წლის განმავლობაში.

²⁵ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო ნლიური შემოსავალი

სარგებელი და დანახარჯები
■ სარგებელი ■ დანახარჯები



დიაგრამა 1.6.2. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

ყველაზე მაღალი დანახარჯები ფიქსირდება 2018 წელს რადგან რეაბილიტირებული სარდაფების ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ამ წელს ფიქსირდება. ყოველ შემდგომ წელს გაუმჯობესებული სარდაფების რაოდენობა იზრდება შედარებით დაბალი ტემპით და შესაბამისად დანახარჯებიც უფრო ნაკლებია ვიდრე პირველ წელს.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 6%-იანი დანაკარგის პირობებში, კარტოფილის დაბალი ფასის გამო, ფერმერს შესაძლოა არ ჰქონდეს იმის მოტივაცია რომ 1250 ლარი დახარჯოს სარდაფის გაუმჯობესებაზე. თუ 1 კგ კარტოფილის ფასი არის 0.70 ლარი, ფერმერს 1.8 ტ კარტოფილი მაინც უნდა უფრეს დაბალი ფასის მისთვის, რომ მან განახორციელოს 1250 ლარის ინვესტიცია სარდაფის გაუმჯობესებაში.

სენსიტიურობის ანალიზი

სპენარი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის²⁶ ($R=4,76\%$) განაკვეთის პირობებში შეადგენს -9 772 148 ლარს ($NPV<0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის ($R=9,98\%$) პირობებში -7 773 640 ლარს ($NPV<0$).

ორივე შემთხვევაში სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის უარყოფითი და მიანიშნებს ღონისძიების წამგებიანობაზე თუ წარმოების მასშტაბი არ გაიზარდა.

სპენარი 2. გაზრდილი დანაკარგები ყინვიანი დღიების/ნალექების მათების ფონზე

თუ პირველი ორი წლის განმავლობაში სარდაფის არ ქონით მთელი მოსავლის 6% იკარგება, 2020-დან 2022 წლის ჩათვლით ეს მაჩვენებელი 10%-მდე იზრდება, ხოლო 2023-დან 2028-ის ჩათვლით ეს მაჩვენებელი 15%-ს აღწევს. იგულისხმება რომ კლიმატის ცვლილების გამო ყინვიანი დღეები მოიმატებს და შესაბამისად დანაკარგებიც გაიზარდება.

²² დისკონტის განაკვეთები მიიღება საშუალო მნიშვნელობაზე ± 1.96 სტანდარტული გადახრის დამატებით

ცხრილი 1.6.4. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	- 6 902 798ლარი (NPV<0)
გაყინვის საშიშროების წინაშე არსებული მოსავლის რაოდენობა (ტ) 2027 წლისთვის 2027 წლისთვის (ტონა)	1536 (მთლიანი მოსავლის 6%)
უსაფრთხოდ შენახული მოსავლის რაოდენობა 2027 წლისთვის (ტონა)	921 (გაყინვის საფრთხის წინაშე არსებული მოსავლის 60%)

ორივე სცენარში სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება უარყოფითია.

ღონისძიება #3. ჩარბ ნალექებთან ბრძოლა ახალციხისათვის

ღონისძიების აღწერა

მესხეთში (ახალციხის და სხვა მუნიციპალიტეტებში), ბოლო ხუთ წელიწადში, კლიმატის ცვლილების ფონზე, 10% არის გაზრდილი მაის-ივნისის ნალექების რაოდენობა. მსგავსი მატება დაიკვირვება დუშეთის მუნიციპალიტეტშიც და ხულოშიც. მომავალში წლიური ნალექების და ვეგეტაციის ჰერიოდში ნალექების ჭამი მცირდება, მაგრამ ზრდის ტრენდს ინარჩუნებს წვიმების ინტენსივობა, რის გამოც გაგრძელდება კარტოფილის მინდვრების დროებითი დატბორვა, რაც თავის მხრივ ნეგატიურად იმოქმედებს წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე. აღნიშნულ პროცესთან ადაპტაციის მიზნით, საჭიროა დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში აპრობირებული მეთოდის გადმოღება სამცხე-ჭავახეთში, რაც გულისხმობს კარტოფილის ნაკვეთებში წყალშემკრები და წყალგამყვანი კვლების მოწყობას. აღნიშნულ კვლებში ჩაედინება ნაკვეთის ზედაპირზე დროის მცირე ჰერიოდში მოსული ნალექი, რომელიც წყალგამყვანი კვლებით გაიყვანება მინდვრიდან. კვლები უნდა მოეწყოს ნაკვეთის საგაზაფხულო ხვის დროს, ხოლო მისი ფასი შედის ხვის ფასში. აღსანიშნავია, რომ ორივე პროცესი ერთდროულად კეთდება. ჭარბი ნალექიანობა ძირითადად ქ. ვალესა და მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

დაშვებები

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული ნათესი ფართობი 2,105 ჰექტარს შეადგენს და ის ყოველწლიურად 5%-ით²⁷ იზრდება
- კარტოფილის სახუისი მთლიანი მოსავალია 35,555 ტონა და ის ყოველწლიურად 19%-ით²⁸ იზრდება
- პრობლემური ტერიტორიები ძირითადად განლაგებულია ვალეს მიდამოებში და ამ ტერიტორიაზე მოდის მთელი მოსავლის 18%.

²⁷ 8რდის ტემპი განისაზღვრა წინა წლების სტატისტიკურ მონაცემებშე დაყრდნობით

²⁸ 8რდის ტემპი განისაზღვრება სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით

²⁹ იგულისმება რომ 1991 წლიდან მოყოლებული რა 8რდის ტემპიც ქონდა ფასს, იგივე ტემპი შეუნარჩუნდება მომავალი 10 წლის განმავლობაში.

- პირველი სამი წელი დატბორილ ტერიტორიაზე მოსავლის 70% ნადგურდება, 2020-დან 2023-ის ჩათვლით კი 80%, ხოლო 2024-დან 2027-ის ჩათვლით ეს მაჩვენებელი 90%-ს აღწევს.
- ერთი ტონა კარტოფილის საწყისი საბაზო ფასი 700 ლ/ტ და ყოველწლიურად იზრდება 9.3%-ით სტატისტიკის სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით .
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%³⁰.

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორიებია:

- დატბორვას გადარჩენილი მოსავლის ღირებულება
-

დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:


- წყალშემკრები კვლების მოწყობის ხარჯი, რომელიც ნულის ტოლია ვინაიდან შედის ხვნის ხარჯში და არ საჭიროებს დამატებით დანახარჯს

ცხრილი 1.6.5. ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებელის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	63 022 521ლარი (NPV>0)
დატბორვას გადარჩენილი მოსავლის რაოდენობა (ჰა)	13093 (მთლიანი რაოდენობის 13%)

სარგებელი და დანახარჯები

■ სარგებელი



ნახაზი 1.6.3 სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

³⁰ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო წლიური შემოსავალი

სენსიტიურობის ანალიზი

სპეციალი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში შეადგენს 74 906 528ლარს ($NPV > 0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში 53 523 736ლარს ($NPV > 0$).

ორივე შემთხვევაში სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი, რაც მიანიშნებს ღონისძიების მომვებიანობაზე.

სპეციალი 2. გაზრდილი დანაკარგები ინფენსიური წვიმების გამო

იგულისხმება რომ ინტენსიური წვიმების გახშირებას მოჰყვება დატბორილი ტერიტორიების ზრდა. პირველი სამი წელი დატბორილ ტერიტორიაზე მოსავლის 70% განადგურდება, 2020-დან 2023-ის ჩათვლით კი 80%, ხოლო 2024-დან 2028-ის ჩათვლით ეს მაჩვენებელი 90%-ს აღწევს.

ცხრილი 1.6.6 ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	74 796 424ლარი ($NPV > 0$)
დატბორვის საშიშროების წინაშე არსებული მოსავლის რაოდენობა (ტ) 2027 წლისთვის	18705 (მთლიანი მოსავლის 18%)
დატბორვას გადარჩენილი მოსავლის რაოდენობა 2027 წლისთვის (ტონა)	16834 (დატბორვის საფრთხის წინაშე არსებული მოსავლის 90%)

ორივე სცენარში სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დადებითია.

დანართი 1.7. მანდარინის წარმოების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჩთ-სარმებლიანობის ანალიზი

ღონისძიება #1. მანდარინის საადრეო პირის მიერაცხა-უნშიუს მავრცელება აზარკაში

პირველი ღონისძიებამანდარინის საადრეო კიშის ტიახარა-უნშიუს გავრცელებაა აჭარაში. ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

- დაშვებები
- მანდარინის პლანტაციებს აჭარაში უჭირავს 5,206 ჰა და ეს მაჩვენებელი უცვლელია წლების განმავლობაში
- სეტყვა-საშიშ გონიაში განლაგებულია 2000 ჰა ფართობის პლანტაციები

- ამორტიზირებული ხეები იძლევა 5000 კგ/ჰა-ზე, მაშინ როდესაც ახალი ჭიშის მანდარინი მსხმოიარობის მე-3 წელს იძლევა 1500 კგ/ჰა, შემდეგ - 6500 კგ/ჰა, შემდეგ - 12000 კგ/ჰა, შემდეგ - 20000 კგ/ჰა, შემდეგ - 30000 კგ/ჰა, შემდეგ - 40000 კგ/ჰა და სრულ მსხმოიარობაში - 50000 კგ/ჰა.
- 1-ლი 7 წლის განმავლობაში კამურად 50 ჰა³¹ ფართობზე ხდება ახალი ჭიშის გაშენება, თითოეულ წელს 7 ჰა-ზე. შემდეგი 4 წლის განმავლობაში კი ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია და მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 წელს ხდება 14 ჰა მოშენება.
- სეტყვა ხდება ყოველ მეორე წელს და მის შედეგად რისკის ზონაში არსებული მოსავლის 60% იკარგება
- ძველი ჭიშის პლანტაციის გაშენების ხარჯი შეადგენს 16,870 ლ/ჰა, ხოლო ახლისა - 22,870 ლ/ჰა. გაშენების დანახარჯებში სხვაობა გამოწვეულია ნერგის ფასში სხვაობით. ახალი ჭიშის მანდარინის ნერგი ღირს 8 ლ, ხოლო ძველი - 2 ლ.
- მოვლის დანახარჯი ერთი და იგივეა ორივე ჭიშის შემთხვევაში და თანდათანობით იზრდება წლების განმავლობაში ³²
- მანდარინის ფასი შეადგენს 0.6 ლ/კგ და იგი უცვლელია წლების განმავლობაში
- ვინაიდან პლანტაციების უმეტესობა არის ძალიან ძველი, იგულისხმება, რომ ახალი ჭიშები უნდა გაშენდეს ძველის ადგილას. ამიტომაც როდესაც ახალი პლანტაცია შენდება და არ არის შესული მსხმოიარობაში, იმ წლების განმავლობაში ძველი ჭიშის ძირებიდან მიღებული შემცირებული შემოსავალი არის ფერმერის ალტერნატიული დანახარჯი
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37% ³³
- შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორია:

- სეტყვას გადარჩენილი მოსავლის ღირებულება. ვინაიდან საადრეო ჭიში საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ სეტყვა, იგულისხმება რომ მოსავლის ის 60%, რომელიც ჩვეულებრივი ჭიშის შემთხვევაში იკარგებოდა სეტყვის გამო, აღარ დაიკარგება თუ საადრეო ჭიში გაშენდება. სარგებლის მიღება ხდება მხოლოდ იმ წლებში, როდესაც ფიქსირდება სეტყვა.

დანახარჯების ძირითადი კატეგორია:

- ახალი და ძველი ჭიშის პლანტაციების გაშენების დანახარჯებს შორის სხვაობა.
- ალტერნატიული დანახარჯი, რაც გულისხმობს ძველი ჭიშის ძირებიდან მიღებული შემოსავლის დაკარგვას, როდესაც ძველი ხეები ნაცვლდება ახლით, მაგრამ ახალი არ არის ჟერ შესული მსხმოიარობაში.

ცხრილი 1.7.1. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები


ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	334,645ლარი (NPV>0)
საადრეო ჭიშის მანდარინის პლანტაციების კამური ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	107(მთლიანი ფართობის 2%, რისკის ზონის ფართობის 5%)
მოსავალის რაოდენობა საადრეო ჭიშებიდან 2027 წელს(ტ)	1,914

³¹ ექსპერტები დაყრდნობით აქარაში ახალი ჭიშის მანდარინის მოშენება დაიწყო 7 წლის წინ და დღემდე დაახლოებით 50 ჰა არის მომენტებული. იგულისხმება რომ შემდეგი 7 წლის განმავლობაშიც იგივე ტრენდი

³² ექსპერტის შეფასებაზე დაყრდნობით

³³ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციის საშუალო ნლიური შემოსავალი

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯებს.



ნახაზი 1.7.1. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

პირველი 2 წლის განმავლობაში, როდესაც ახალი ბაღები არ არის მსხმოიარობაში შესული, ფერმერს აქვს მხოლოდ დანახარჯები და არ აქვს სარგებელი, ხოლო შემდეგ ყოველ მეორე წელს უფიქსირდება სარგებელი, რომელიც წლებთან ერთად იზრდება ვინაიდან მოსავლიანობა იზრდება მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ.

დასკვნა

განხილული ღონისძიება მომგებიანია ხარჯთ-სარგებლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მონეტარიზებულ დანახარჯს.

სენსიტიურობის ანალიზი

სპენარი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში შეადგენს 519.281ლარს($NPV > 0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში - 200,500ლარს ($NPV > 0$).

როგორც დაბალი ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადებითია, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მომგებიანი ალტერნატივაა.

სპენარი 2. სეტყვის სიხშირის მატება

თუ კლიმატის ცვლილების გამო სეტყვა დაფიქსირდება ყოველ წელს, მაშინ ღონისძიების სარგებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება.

ნახაზი 1.7.2. ღონისძიების შეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	844,487ლარი (NPV>0)
საადრეო ჰიბის მანდარინის პლანტაციების ჯამური ფართობი 2027 წლისთვის (ჰა) მოსავალის რაოდენობა საადრეო ჰიბიდან 2027 წელს(ტ)	107 (მთლიანი ფართობის 2%, რისკის ზონის ფართობის 5%) 1,914

ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

ღონისძიება #2. ამონდაზღვევის ხელშეწყობა

ღონისძიება არის ციტრუსის აგროდაზღვევის განვითარების ხელშეწყობა. ანალიზი ვრცელდება აჭარის რეგიონზე და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დანერგილ აგროდაზღვევის პროგრამას³⁴, რომლის ბენეფიციარებიც არიან მცირე ფერმერები, ვინც 5 ჰა-ზე ნაკლებ მიწის ფართობს აზღვევს. ფერმერების ამ ვატეგორიას სახელმწიფო სთავაზობს სადაზღვევო ტარიფის 70%-იან თანადაფინანსებას მანდარინის შემთხვევაში. სრული სადაზღვევო ტარიფი მანდარინის შემთხვევაში არის 1000 ლ/ჰა, ხოლო მცირე ფერმერს უწევს 300 ლარის გადახდა, დანარჩენ 70%-ს იხდის სახელმწიფო. მსხვილი ფერმერები კი თავად იხდიან სრულ თანხას.

ანალიზი ვრცელდება აჭარის რეგიონზე და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დანერგილ აგროდაზღვევის პროგრამას³⁵, რომლის ბენეფიციარებიც არიან მცირე ფერმერები, ვინც 5 ჰა-ზე (ხორბლის შემთხვევაში 15 ჰა-ზე) ნაკლებ მიწის ფართობს აზღვევს. ფერმერების ამ ვატეგორიას სახელმწიფო სთავაზობს სადაზღვევო ტარიფის 70%-იან თანადაფინანსებას მანდარინის შემთხვევაში. სრული სადაზღვევო ტარიფი მანდარინის შემთხვევაში არის 1000 ლ/ჰა, ხოლო მცირე ფერმერს უწევს 300 ლარის გადახდა, დანარჩენ 70%-ს იხდის სახელმწიფო. მსხვილი ფერმერები კი თავად იხდიან სრულ თანხას.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

დაშვებები

- მანდარინის პლანტაციების საერთო ფართობი აჭარაში შეადგენს 5,206 ჰა და მუდმივია წლების განმავლობაში
- დაზღვეული მიწის ფართობის წილი მთლიან ფართობში 2017 წელს შეადგენს 5.7%-ს, მეორე წელს - 6.3%-ს, შემდეგ 6.9%-ს და 2027 წელს - 13.9%-ს .
- ვინაიდან მცირე და მსხვილი ფერმერები დაზღვევის სხვადასხვა პირობებით სარგებლობენ, ცალკე გამოყოფილია მცირე ფერმერების მიერ დაზღვეული ფართობები და მათი დინამიკა და მსხვილი ფერმერების მიერ დაზღვეული ფართობები და მათი დინამიკა. დაზღვეული ფართობების გადანაწილება მცირე და მსვილ ფერმერებს შორის ხდება გარკვეული პროცენტით³⁷.

³⁴ [³⁵ <http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent>](http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parentხოლო შემდეგ, როცა ფერმერები დაინახავენ საადრეო ჰიბის უპირატესობებს, ახალი ჰიბის უფრო აქტიურად მოშენება დაიხურება.</p>
</div>
<div data-bbox=)

³⁶ ბრდის ტემპი აღებულია ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევიდან “აგროდაზღვევის რეგულირების გეგავლენის შეფასება”, 2015 წ.

³⁷ პროპორცია აღებულია ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევიდან “აგროდაზღვევის რეგულირების გეგავლენის შეფასება”, 2015 წ.

- სადაზღვევო ტარიფი შეადგენს ერთ ჰა-ზე მოსალოდნელი მოსავლის ღირებულების, (რაც აჭარაში საშუალოდ 10,000 ლარია), 10%-ს, რაც უდრის 1000 ლ/ჰა³⁸
- მცირე ფერმერი იხდის სადაზღვევო პრემიის 30%-ს, ხოლო მსხვილი - 100%-ს. ეს მაჩვენებლები მუდმივია წლების განმავლობაში.
- ზარალის ნორმა (სადაზღვეო კომპანიის მიერ დაზღვეულისთვის ანაზღაურებული ზარალის შეფარდება სადაზღვევო პრემიებთან, არის 55% და მუდმივია წლების განმავლობაში ორივე სახის ფერმერებისთვის.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%³⁹.

• შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორიებია:

- სადაზღვევოს მიერ ფერმერისთვის ანაზღაურებული ზარალი, რაც დამოკიდებულია დაზღვეულ ფართობზე, სადაზღვევო ტარიფსა და ზარალის ნორმაზე. 55%-იანი ზარალის ნორმა გულისხმობს, რომ სადაზღვევოში შემოსული პრემიების 55% საშუალოდ მიდის ზარალის ანაზღაურებაზე.

დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:

- ფერმერების მიერ სადაზღვევოსთვის გადახდილი პრემია. ეს თანხა დამოკიდებულია სადაზღვევო ტარიფზე, სახელმწიფოს თანადაფინანსების დონესა და მიწის ფართობზე. მცირე ფერმერებს უწევთ ნაკლები დანახარჯი, ვინაიდან 70%-ს უფინანსებს სახელმწიფო.

ცხრილი 1.7.3. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	-545 486ლარი (NPV<0)
მთლიანი დაზღვეული ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	726 (მთლიანი ფართობის 13.9%)
მცირე ფერმერების მიერ დაზღვეული ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	302 (მთლიანი ფართობის 5.8%)
მსხვილი ფერმერების მიერ დაზღვეული ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	423 (მთლიანი ფართობის 8.1%)


ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის უარყოფითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი ნაკლებია მის დანახარჯზე, რაც აისხება იმით, რომ თანადაფინანსებას მხოლოდ მცირე ფერმერები იღებენ. სადაზღვევო პრემიის გადამხდელთა უმტესობა მსხვილი ფერმერია, რომელიც პრემიის 100%-ს იხდის, დანარჩენი ფერმერები 30%-ს იხდიან, ხოლო სადაზღვევო გასცემს პრემიების 55%-ს. ფერმერების მიერ გადახდილი საშუალო შეწონილი პრემია მეტია ვიდრე სადაზღვევოს ზარალის ნორმა (55%).

³⁷ პროპორცია აღებულია ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევიდან “ავროდაზღვევის რეგულირების ზეგავლენის შეფასება”, 2015 წ.

³⁸ სადაზღვევო იყენებს ნორმატიული ფასის (სადაზღვევო ლიმიტის) ცნებას, რომელიც მანდარინის შემთხვევაში შეადგენს 10000 ლ/ჰა და 10%-იანი სადაზღვევო ტარიფის პირობებში, ლარში ფერმერის გადასახადი შეადგენს 1000 ლ/ჰა-ზე.

³⁹ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო წლიური შემოსავალი

სარგებელი და დანახარჯები
■ სარგებელი ■ დანახარჯები



1.7.2. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

მსხვილი ფერმერების შემთხვევაში დანახარჯები უფრო მაღალია, ვიდრე სარგებელი, ხოლო მცირე ფერმერებისათვის, ვისაც ნაკლების გადახდა უწევს, სარგებელი აღემატება დანახარჯს.

სისიტიურობის პარამეტრები

სპეციალისტი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის მანაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში შეადგენს -587 302ლარს($NPV < 0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში -506 927ლარს ($NPV < 0$).

ორივე შემთხვევაში სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის უარყოფითი და მიანიშნებს ღონისძიების ხარჯისანობაზე მსხვილი ფერმერებისთვის.

სპეციალი 2. ზარალის ნორმის მაზრდა

თუ სეტყვების რაოდენობამ იმატა, ამ შემთხვევაში სადაზღვევოს მოუწევს უფრო მეტი ზიანის ანაზღაურება, ვიდრე აქამდე უწევდა. თუ აქამდე მისი ზარალის ნორმა შეადგენდა 55%-ს, გახშირებული სეტყვების ფონზე ის შესაძლებელია გახდეს 75%.

ცხრილი 1.7.4. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	38 244 ლარი ($NPV > 0$)
მთლიანი დაზღვეული ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	726 (მთლიანი ფართობის 13.9%)
მცირე ფერმერების მიერ დაზღვეული ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	302 (მთლიანი ფართობის 5.8%)
მსხვილი ფერმერების მიერ დაზღვეული ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	423 (მთლიანი ფართობის 8.1%)

ამ სცენარში ჩანს, რომ თუ ზარალის ნორმა გაიზრდება 50%-დან 75%-მდე, მაშინ სარგებელი ყველა ჯგუფისთვის (როგორც მცირე, ისე მსხვილი ფერმერებისთვის) აღემატება დანახარჯს.

დანართი 1.8. თხილის წარმოების საქადაპთაშით ღონისძიებების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი

ღონისძიება #1. თხილის ბალების მოვლა, გაუმატობესაბული აგროტექნიკური ღონისძიებებით

მოუვლელ თხილის ბალებში აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება. აგროტექნიკურ ღონისძიებები იგულისხმება: ნიადაგის საშემოდგომო დამუშავება, მინერალური სასუქის შეტანა, გასხვლა, განასხვლავის გამოტანა, აზოტოვანი სასუქის შეტანა, ნიადაგის რიგთაშორის კულტივაცია, მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ შეწამვლა, მოსავლის კრეფა გამოტანით.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

დაშვებები

- თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების გარეშე ერთ ძირზე საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 1 კგ, ხოლო მთლიანი ბალისა - 700-800 კგ. აյ იგულისხმება მოუვლელი ბალი.
- თანამდეროვე აგროტექნიკური ღონისძიებებით ერთი ძირის საშუალო მოსავლიანობა არის 4-5 კგ.
- ძირების რაოდენობა ერთ ჰექტარზე არის საშუალოდ 750 ცალი.
- მსხმოიარე ძირების რაოდენობა შეადგენს 20,347,200-ს და იგი უცვლელია წლების განმავლობაში
- არამსხმოიარე ძირების რაოდენობა შეადგენს 2,998,700-ს 2017 და 2018 წლებში.
- იგულისხმება რომ 2019 წელს 8 მოთნახსენები არამსხმოიარე ბალებიც შევლენ მსხმოიარობაში და 2019 წელს იძლევიან პოტენციურად შესაძლებელი (4,5 კგ-ის) 25%-ს, შემდეგ წელს - 35%-ს, შემდგომში - 60%-ს და ბოლოს 100%-ს.
- მსხმოიარე ძირების მოვლა საბაზისო (არაგაუმჯობესებული) მეთოდებით ჭდება 2,260 ლ/ჰა
- არამსხმოიარე ძირების მოვლა საბაზისო (არაგაუმჯობესებული) მეთოდებით ჭდება 2,000 ლ/ჰა.
- არამსხმოიარე ძირების მოვლა გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებით 5,291 ლ/ჰა
- მსხმოიარე ძირების მოვლა გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებით 6,000 ლარი ჭდება და იგი უცვლელია წლების განმავლობაში⁴⁰
- ნაჭუჭაცლილი თხილის საბაზრო ფასი 21.5 ლ/კგ და იგი მუდმივია წლების განმავლობაში
- ნაჭუჭიანი თხილის ფასი 4.5 ლ/კგ და იგი მუდმივია წლების განმავლობაში⁴¹
- საწყის ეტაპზე გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებები გამოიყენება თხილის ბალების 5%-ში, შემდეგ ეს რიცხვი იზრდება ყოველ წელს (მე-2 წელს - 7%, მე-3 წელს - 10%, მე-4 წელს - 14%, მე-5 წელს - 19%, მე-6 წელს - 25%, მე-7 წელს - 32% და ა.შ) და ანალიზის ბოლო წლისთვის აღწევს 70%-ს. იგულისხმება რომ ბალების 70%-ში 2027 წლისთვის დაწერგილი იქნება თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებები და მათი მოსავლიანობა ძირზე გაიზრდება 1 კგ-დან 4.5 კგ-მდე.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%⁴².
- შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორია:

- გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგად გაზრდილი მოსავლის ღირებულება. სათანადოდ მოვლილ ბალებში 1 ძირის მოსავლიანობა შეადგენს 4-5 კგ, მაშინ როდესაც მოუვლელ ბალში იგივე მაჩვენებელი შეადგენს 1 კგ-ს.

დანახარჯების ძირითადი კატეგორია:

- სხვაობა დანახარჯებში მოუვლელი და მოვლილი ბალის შემთხვევაში. ბალის სათანადოდ მოვლა საჭიროებს უფრო მეტ დანახარჯს. დანახარჯები განსხვავებულია იმის მიხედვით, მსხმოიარეა თუ არა ძირები. მსხმოიარე ბალის მოვლა ღირს 6000 ლ/ჰა, მაგრ როდესაც არამსხმოიარე ბალის მოვლის დანახარჯი შეადგენს 13%-ით ნაკლებს (5,291 ლ/ჰა).

⁴⁰ მომავალი წლებისთვის ფასის პროგნოზირებას ართულებს ფასში მაღალი ვარიაცია

⁴¹ მომავალი წლებისთვის ფასის პროგნოზირებას ართულებს ფასში მაღალი ვარიაცია


⁴² 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო წლიური შემოსავალი

ცხრილი 1.7.4. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	401,790,266 (NPV>0)
ახალი ტექნოლოგიით დამუშავებული თხილის ბალის მთლიანი ფართობი 2027 წლისათვის (ჰა) ძირების რაოდენობა კარგად მოვლილ ბალებში (ცალი)	21,790 (მთლიანი ფართობის 70%) 16,342,130 (ძირების მთლიანი რაოდენობის 70%)

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის დადებითი, აღნიშნული ღონისძიების მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯებს.

სარგებელი და დანახარჯები



ნახაზი 1.8.1. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

ყოველ წელს სარგებელი აღემატება დანახარჯს. როგორც დანახარჯი ასევე სარგებელი, ორივე უფრო მაღალია ანალიზის ბოლო წლებში რაც გამოწვეულია გაუმჯობესებული აგროტექნიკური ღონისძიებების არეალის გაფართოებით.

სენსიტიურობის ანალიზი

სპენარი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში შეადგენს 485,951,528ლარს(NPV>0), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში - 335,156,995ლარს (NPV>0).

როგორც დაბალი ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადებითია, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მომვებიანი ალტერნატივაა.

სცენარი 2. მოსავლის შემცირება მოუვლელ ბალებში

თუ კლიმატის ცვლილების გამო მოხდა დაავადებების გახშირება შესაძლებელია, რომ მოუვლელ ბალებში მიღებული მოსავალი მცირდებოდეს წლების განმავლობაში. ამ სცენარში იგულისხმება, რომ ფერმერთა ის ნაწილი, ვინც მინიმალურ თანხას ხარჯავს თავისი ბალის მოვლაზე და არ ზრდის თავის დანახარჯებს, ვერ შეძლებს ერთ ძირზე 1 კგ-ის მიღებასაც და ეს მაჩვენებლი შესაძლოა 50%-ით შემცირდეს (დაშვება). იგულისხმება, რომ ანალიზი პირველი 5 წლის განმავლობაში მოსავალი არის 1 კგ ძირზე, ხოლო შემდგომი 5 წლის განმავლობაში - 0.5 კგ ძირზე.

ცხრილი 1.8.2. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	464,592,564ლარი (NPV>0)
ახალი ტექნოლოგიით დამუშავებული მიწის მთლიანი ფართიბი 2027 წლისათვის (ჰა)	21,790 (მთლიანი ფართობის 70%)
ძირების რაოდენობა კარგად მოვლილ ბალებში (ცალი)	16,342,130 (ძირების მთლიანი რაოდენობის 70%)

ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

ღონისძიება #2. ეარსაცავი ზოლების გაშენება

ღონისძიება გულისხმობს თხილის ბალების უზრუნველყოფას ქარსაფარებით.

შეფასება ვრცელდება მხოლოდ თხილის ბალებისათვის სამეგრელოში.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

დაშვებები

- ნარმოებული თხილის რაოდენობა არის 15,300 ტ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2018 წელს და იგი უცვლელია წლების განმავლობაში
- წლიური მოსავლის 50% არის ძლიერი ქარების რისკის ზონაში
- ძლიერი ქარის შემთხვევაში, თუ ბალი არ არის დაცული ქარსაცავი ზოლით, იკარგება რისკის ქვეშ არსებული მოსავლის 80%
- ბალის პროდუქტულობა შეადგენს 1,65 ტ/ჰა
- ძლიერი ქარი ფიქსირდება ყოველ მე-3 წელს
- ნაჭრიანი თხილის ფასი 4.5 ლ/კგ და იგი მუდმივია წლების განმავლობაში⁴³
- ქარსაცავი ზოლის გაშენების ხარჯი შეადგენს 11,460 ლ/ჰა⁴⁴
- 80-იან წლებში არსებული 4000 ჰა ქარსაცავის 12.2%⁴⁵ მოდის სამეგრელოს რეგიონზე და შეადგენს 487 ჰა-ს, რაც წარმოადგენს სამიზნე ფართობს 2027 წლისათვის
- ანალიზის 1-ელ წელს ხდება სამიზნე ფართობის 5%-ის გაშენება, მე-2 წელს კიდევ დამატებით 5% შენდება და ჟამში 10%-ზე არის გაშენებული. ყოველ შემდეგ წელს გაშენებული ფართობი იზრდება 10%-ით და 2027 წელს აღწევს 487 ჰა -ს.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%⁴⁶

⁴³ მომოვალი წლებისთვის ფასის პროგნოზირებას ართულებს ფასში მაღალი ვარიაცია

⁴⁴ ქარსაცავი მომოვალის სიგრძეარის 100 მ, ხოლო მაქსიმალურისიგან - 10 მ; 1000 მ2 ფართობის ქარსაცავი ზოლის გაშენების ხარჯია 1,146 ლ

⁴⁵ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათეს ფართობებში სამეგრელო-ზემო სვანეთის წილი

⁴⁶ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო წლიური შემოსავალი

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორიებია:

- იმ მოსავლის ღირებულება, რომელიც არ დაიკარგება თუ ქარსაცავი ზოლი გაშენდება

დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:

- ქარსაცავი ზოლის გაშენების დანახარჯი


ცხრილი 1.8.3. ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	1,606,468 ლარი (NPV>0)
ძლიერი ქარების რისკის ქვეშ არსებული მოსავლის რაოდენობა 2027 წლისთვის (ტ)	6,845 (მთლიანი მოსავლის 45%)
ქარსაცავი ზოლის ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	487

როგორც დაბალი ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადებითია, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მომვებიანი აღტერნატივა.

სარგებელი და დანახარჯები

■ სარგებელი ■ დანახარჯები



ნახატი 1.8.2. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

ვინაიდან იგულისხმება, რომ ძლიერი ქარი (23 მ/წმ) ბუგდიდის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ყოველ მე-3 წელს, სარგებელიც შესაბამისად ყოველ მე-3 წელს ფიქსირდება. სარგებელს შემცირების ტენდენცია აქვს, ვინაიდან იმის გამო, რომ ყოველ წელს ქარსაცავი ზოლების ფართობი იზრდება, რისკის ზონაში წლიდან წლამდე სულ უფრო ნაკლები ბალი რჩება.

დანახარჯები თითქმის მუდმივია რადგან ქარსაცავის ფართობის ზრდის ტემპი ერთი და იგივეა და შეადგენს 10%-ს ყოველ წელს, ანალიზის 1-ლი ორი წლის გარდა.

სანებითი ურობის პრეზენტაცია

სპეციალური 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში შეადგენს 17,875,818ლარს($NPV > 0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში 13,983,095ლარს ($NPV > 0$).

როგორც დაბალი ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადებითია, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით მომგებიანი აღტერნატივაა.

სპეციალური 2. განვითარებული ეპრეპი

თუ კლიმატის ცვლილების გამო, ქარები გახშირდა და ყოველ წელს დაფიქსირდა, მაშინ ქარსაცავი ზოლებისგან მიღებული სარგებელი უფრო მეტი იქნება.

ცხრილი 1.8.4. ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	15,741,438ლარი ($NPV > 0$)
ძლიერი ქარების რისკის ქვეშ არსებული მოსავლის რაოდენობა 2027 წლისთვის (ტ)	6,845 (მთლიანი მოსავლის 45%)
ქარსაცავი ზოლის ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	487

ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული სარგებელი აღემატება მის დანახარჯს.

დანართი 1.9 საძოვრების საადაპტაციო ღონისძიებების ხარჩთ-სარმებლიანობის პრეზენტაცია

ღონისძიება #1. საძოვრების რეაბილიტაცია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

2016 წლიდან მაღალმთიან რეგიონებში ხორციელდებასახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა⁴⁷, რომლის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გაკეთდა 2018-2028 წლებისათვის. პროგრამა გულისხმობს 29 მუნიციპალიტეტის კონკრეტურატივისთვის ტექნიკის გადაცემას თანადაფინანსებით და სათიბ-საძოვრების იჭარით გადაცემას. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 6 მლნ. ლარს და მასში მონაწილეობის მსურველმა კონკრეტურატივებმა უნდა დააკმაყოფილონ გარკეული მოთხოვნები პირუტყვის რაოდენობისა და კონკრეტურატივის ზომის შესახებ.

ანალიზი არ ითვალისწინებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და შესაბამისად 28 მუნიციპალიტეტის მონაცემებს ეყრდნობა.

ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028.

დაშვებები

- პროგრამაში მონაწილე თითოეულ კოოპერატივს ჰყავს 200 სული მეწველი ძროხა და იჯარით იღებს 200 ჰა სატიბს ან საძოვარს.
- კოოპერატივი 8 წლის განმავლობაში ყოველ წელს 10%-ით ზრდის პირუტყვის რაოდენობას პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე
- პირუტყვის რაოდენობის ზრდასთან ერთად პროპორციულად იზრდება იჯარით აღებული სატიბ-საძოვრების რაოდენობა, ვინაიდან პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე 1 ჰა სატიბ-საძოვარზე (საშუალოდ) დასაშვებია 1 სული მეწველი ძროხა.
- პროგრამის წესებიდან გამომდინარე თითო მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ერთი კოოპერატივის შერჩევა ხდება.
- ექსპერტთა მოსაზრებით, სატიბ-საძოვრების სწორად გამოყენების შემთხვევაში, მათი პროდუქტიულობა იზრდება საშუალოდ 2.75 ტონით/ჰა, რაც შეესაბამება 138 ცალ იონჯას ტუკს (თითოეული ინონის 20 ვგ).
- ტუკის ფასი და თვითღირებულება არის 3.5 ლარი და 1 ლარი შესაბამისად, და უცვლელია წლების განმავლობაში
- რძის საშუალო წლიური ნაწველი 1 სულ ძროხაზე შეადგენს 1213 ლიტრს.
- ძროხის პროდუქტიულობა იზრდება 30%-ით გაუმჯობესებულ საძოვარზე ხელმისაწვდომობის შედეგად.
- რეაბილიტირებული მინები ერთ წელს გამოიყენება სატიბად, ხოლო მეორე წელს - საძოვრად
- სატიბ-საძოვრის იჯარის დანახარჯი არის 1 ლარი/ჰა/წა პირველი ორი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ 15 ლ/ჰა/წა პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე
- სატიბ-საძოვრის მოვლის წლიური ხარჯი შეადგენს 500 ლარს
- მეწველი ძროხის ფასია 850 ლ/სულზე და იგი უცვლელია წლების განმავლობაში.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%⁴⁸.

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორიებია:

- თივის გაზრდილი მოსავლიანობა
- გაზრდილი წველადობა

დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:


- პროგრამის ბიუჯეტი
- ტუკების წარმოება
- სატიბ-საძოვრების მოვლა
- დამატებით შეძენილი მეწველი ძროხების ღირებულება.

ცხრილი 1.9.1.ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	120,331ლარი (NPV>0)
პროგრამაში ჩართული მეწველი ძროხების რაოდენობა 2027 წლისთვის (სული)	12,004 (მთლიანი რაოდენობის 5,4%)
რეაბილიტირებული სატიბ-საძოვრების ფართობი 2027 წლისთვის (ჰა)	12,004 (მთლიანი რაოდენობის 9,5%)

⁴⁸

10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო წლიური შემოსავალი



ნახაზი 1.9.1 სარგებელი და დანახარჯები წლებს მიხედვით

დასკვნა

განხილული ღონისძიება მომგებიანია ხარჯთ-სარგებლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი მონეტარიზებული სარგებელი აღემატება მონეტარიზებულ დანახარჯს.

სენსიტიურობის ანალიზი

სცენარი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაპირობი

სათიბ-საძოვრების ფართობი და მეწველი ძროხების რაოდენობა უცვლელია. სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში შეადგენს 479,713 ლარს ($NPV > 0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში - -167,015 ლარს ($NPV < 0$).

დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი დადებითია, ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის შემთხვევაში - უარყოფითი.

სცენარი 2. სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის შემცირება

კლიმატის ცვლილების გამო სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობა 2021 წლიდან ყოველწლიურად მცირდება 5%-ით (დაშვება).

ცხრილი 1.9.2. ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი

მნიშვნელობა

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება
(NPV of Net Benefits)

292,268 ლარი ($NPV > 0$)

სათიბ-საძოვრის საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)
რეაბილიტაციამდე 2027 წლისთვის

1.25

ამ შემთხვევაში პროდუქტიულობა უფრო დაბალია და შეადგენს 1.25 ტ/ჰა (ძირითად სცენარში 1.4 ტ/ჰა). სარგებელი ამ სცენარში უფრო მაღალია ძირითად სცენართან შედარებით.

ღონისძიება #2. საძოვრების რეაბილითაზია დედოფლისწყაროში

რეაბილიტაცია მოიცავს საძოვრების ზედაპირულ გაუმჯობესებას - გაწმენდას ქვებისაგან, სარეველებისაგან, კოლობოხების მოქრას და ფართობის განვითრებას მინერალური სასუებით. ანალიზი 11 წელს მოიცავს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028. ანალიზი ვრცელდება დედოფლისწყაროში არსებული მეწვეების ძროხების რაოდენობაზე.

დაშვებები

- დედოფლისწყაროს სათიბების რეაბილიტაცია ხდება პირველი 5 წლის განმავლობაში ყოველ წელს თანაბარი რაოდენობით (1/5 ით).
- რეაბილიტირებული მიწები ერთ წელს გამოიყენება სათიბად, ხოლო მეორე წელს - საძოვრად.
- ექსპერტის მოსაზრებით, სათიბ-საძოვრების სწორად გამოყენების შემთხვევაში, მათი პროდუქტიულობა იზრდება საშუალოდ 2.75 ტონით/ჸა, რაც შეესაბამება 138 ცალ იონჯას ტუკს (თითოეული ინონის 20 კგ).
- ტუკის ფასი და თვითონირებულება არის 3,5 ლარი და 1 ლარი შესაბამისად, და უცვლელია წლების განმავლობაში.
- რძის საშუალო წლიური ნაწველი 1 სულ ძროხაზე შეადგენს 965 ლიტრს.
- ძროხის პროდუქტიულობა იზრდება 30%-ით გაუმჯობესებულ საძოვარზე ხელმისაწვდომობის შედეგად.
- რძის ფასი არის 0.70 ლარი/ლ და მუდმივია წლების განმავლობაში.
- მეწველი ძროხის ფასია 850 ლ/სულბე და იგი უცვლელია წლების განმავლობაში.
- სათიბ-საძოვრის მოვლის წლიური ხარჯი შეადგენს 500 ლარს.
- რეაბილიტაციის შემდეგ დამატებით შთანთქმული ნახშირბადის რაოდენობა 0.5 ტ/ჸა; ფასი - 11.95 ლარი/ტონა
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%.

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორიებია:

- თივის გაზრდილი მოსავლიანობა
- გაზრდილი წველადობა
- დაბოგილი ნახშირბადის ღირებულება


დანახარჯების ძირითადი კატეგორიებია:

- ტუკების წარმოება
- სათიბ-საძოვრების რეაბილიტაცია და შემდგომი მოვლა

ცხრილი 1.9.3. ძირითადი ინდივატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	- 190,136,120ლარი (NPV<0)
პროგრამაში ჩართული მეწველი ძროხების რაოდენობა 2027 წლისთვის (სული)	6,916 (მთლიანი რაოდენობის 100%)
რეაბილიტირებული სათიბ-საძოვრების ფართობი 2027 წლისთვის (ჸა)	63,868 (მთლიანი რაოდენობის 100%)

სარგებელი და დანახარჯები



ნახაზი 1.9.1 სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

დასკვნა

განხილული ოპნისძიება წამგებიანია ხარჯთ-სარგებლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი მონეტარიზებული სარგებელი ნაკლებია მონეტარიზებულ დანახარჯზე, რაც ძირითადად გამოწვეულია რეაბილიტირებული ფართობების დიდი რაოდენობით ანალიზის საწყის ეტაპზე და პირუტყვის შედარებით მცირე რაოდენობით.

იმისთვის, რომ ოპნისძიება იყოს მომგებიანი, აუცილებელია, პირუტყვის რაოდენობის თანდათანობით გაზრდა და რეაბილიტაციის სიჩქარის შემცირება.

სენსიტიურობის ანალიზი

სცენარი 1. დაბალი და მაღალი დისკონტის განაპვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალის დისკონტის განაკვეთის პირობებში შეადგენს - 209,924,688 ლარს ($NPV < 0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში - - 168,360,327 ლარს ($NPV < 0$).

სათიბ-საძოვრების ფართობი და მეწველი ძროხების რაოდენობა უცვლელია.

დაბალი და მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი უარყოფითია.

სცენარი 2. სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის შემცირება

კლიმატის ცვლილების გამო სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობა 2021 წლიდან ყოველწლიურად მცირდება 5%-ით (დაშვება).

ცხრილი 1.9.4 ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPVof Net Benefits)	- 187,334,387ლარი (NPV<0)
სათიბ-საძოვრის საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა) რეაბილიტაციამდე 2027 წლისთვის	1.25

ამ შემთხვევაში პროდუქტიულობა უფრო დაბალია და შეადგენს 1.25 ტ/ჰა (ძირითად სცენარში 1.4 ტ/ჰა). სარგებელი ამ სცენარში კიდევ უფრო ნაკლებია ძირითად სცენართან შედარებით.

დანართი 1.10. მეზოველეობის საადაპტაციო ღონისძიების ხარჩთ-სარგებლივინობის ანალიზი

ღონისძიება #1. მეზოველთა დარცყულება

ღონისძიება გულისხმობს ცხოველთა ორგანიზებულად დარწყელების უზრუნველყოფას ცისტერნების მეშვეობით საგარეჭოს, დედოფლისწაროს, სიღნაღისა და გურჯაანის სოფლებში. გვალვიანი დღეების მატებასთან ერთად მოსალოდნელია წყალზე მოთხოვნის ზრდა და საჭიროა საძოვარზე მყოფი პირუტყვისთვის სასმელი წყლის მიწოდება იმისთვის, რომ წყლის ნაკლებობა უარყოფითად არ აისახოს ძროხების წველადობაზე. ანალიზი მოიცავს 11 წელს და ვრცელდება შემდეგ პერიოდზე: 2018-2028 წწ.

დაშვებები

- ფურის რაოდენობა შესაბამის მუნიციპალიტეტებში ჯამურად არის 34,043⁴⁹ დაიგი უცვლელია წლების განმავლობაში
- საშუალო დღიური წველადობა კახეთის რეგიონში არის 3.2 ლ/დღეში 1 სულზე და იზრდება 2.4%-ით⁵⁰ ყოველ წელს
- წყლის ნაკლებობის პირობებში წველადობა მცირდება 22.5%-ით. თუ ნორმალურ პირობებში წველადობა არის 3.2 ლ დღეში, წყლის უკმარისობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი არის 2.5 ლ/დღეში
- რძის საწყისი ფასია 0.6 ლარი/ლ და იგი ყოველ წელს 9.7%-ით⁵¹ იზრდება
- 1 სულ ძროხას სჭირდება 75 ლ წყალი დღეში, მაგრამ ანალიზში ეს რიცხვი განახევრებულია, ვინაიდან იგულისხმება, რომ დარწყელების სხვა საშუალებებიც არსებობს (მდინარე, ჭაბურღლილი, ხეობა და ა.შ.) და შესაბამისად ცისტერნებით მისატანი წყლის რაოდენობა განახევრებულია
- 1 ცისტრენის ტრანსპორტირების დანახარჯი არის 50 ლ და იგი უცვლელია წლების განმავლობაში
- 1 ცისტერნაში საშუალოდ 5.5 ტ წყალი ეჭვა და ეს მაჩვენებელი უცვლელია წლების განმავლობაში
- 1 ცისტერნის ფასი არის 850 ლ და იგი უცვლელია წლების განმავლობაში
- გვალვიანი დღეების რაოდენობა წლიწადში არის 112 დღე⁵²

⁴⁹ 2016 წლის აღნერის შედეგები

⁵⁰ იგულისხმება, რომ მომავალ წლებში შენარჩუნდება იგივე ტრენდი, რაც 2006-2013 წწ. წველადობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში ფიქსირდებოდა

⁵¹ იგულისხმება, რომ მომავალ წლებში შენარჩუნდება იგივე ტრენდი, რაც 2006-2013 წწ. წველადობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში ფიქსირდებოდა

⁵² სიღნაღის 109 დღისა და დედოფლისწყაროს 115 დღის საშუალო მაჩვენებელი

- იგულისხმება, რომ 1-ელს წელს მოხდება ცისტრენების საჭირო რაოდენობის 40%-ის შეძენა, მე-2 წელს მოხდება დარჩენილის 35%-ის შეძენა, შემდეგ - 25%, 20%, 15%, 10% და ბოლო 5 წლის განმავლობაში მოხდება შესაბამის წელს დარჩენილი რაოდენობის 5%-ის შეძენა. წლებთან ერთად შეძენილი ცისტერნების რაოდენობა მცირდება, რადგან იგულისხმება, რომ თანდათანობით მოხდება სხვა გზებით საძოვრების გასარწყავება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.
- დისკონტის განაკვეთი არის 7.37%⁵³

შედეგები

სარგებელის ძირითადი კატეგორია:

- რძის დანაკარგის თავიდან აცილება. სარგებელი არის იმ რძის ღირებულება, რომლის დაკარგვის თავიდან აცილებას ხელს უწყობს დარწყულება ცისტერნებით.
-


დანახარჯების ძირითადი კატეგორია:

- ცისტერნების ღირებულება
- ცისტერნების ტრანსპორტირების დანახარჯი

ცხრილი 1.10.1 ღონისძიების შეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	- 11,580,565ლარი (NPV<0)
ცისტერნების საჭირო რაოდენობა	12,998
შეძენილი ცისტერნების ჭამური რაოდენობა	11,198 (მთლიანი რაოდენობის 86%)

ვინაიდან სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება არის უარყოფითი, აღნიშნული ღონისძიების დანახარჯი აღემატება მის მონეტარიზებულ სარგებელს, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს იმაზე, რომ ცისტერნებით დარწყულება ძვირი ღონისძიებაა და იგი სხვა უფრო ნაკლებად ხარჯიანი აღტერნატივით უნდა ჩანაცვლდეს.



ნახაზი 1.10.1. სარგებელი და დანახარჯები წლების მიხედვით

⁵³

10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე საშუალო რეალური ნლიური სარგებელი

ყველა წელს დანახარჯი აღემატება სარგებელს და მათ შორის სხვაობა განსაკუთრებით მაღალია საწყის ეტაპზე, როდესაც ხდება ცისტერნების შედარებით დიდი რაოდენობით შეძენა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობის ცისტერნით მეტი ჰირუტყვის დარწყულებაა შესაძლებელი, ცისტერნის ფასი მაინც საკმაოდ მაღალია რძის იმ ღირებულებასთან შედარებით, რაც სარგებელშია ჩათვლილი.

დასკვნა

განხილული ღონისძიება წამგებიანია ხარჯთ-სარგებლიანობის თვალსაზრისით და იგი ან უნდა ჩანაცვლდეს სხვა ალტერნატივით, ან უნდა მოხდეს მისი მოდიფიცირება.

სენსიტიურობის ანალიზი

სპეციალური და მაღალი დისკონტის განაკვეთი

სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დაბალი დისკონტის განაკვეთის პირობებში არის -12,549,049ლარი($NPV < 0$), ხოლო მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში - - 10,742,139ლარი ($NPV < 0$).

როგორც დაბალი ისე მაღალი დისკონტის განაკვეთის პირობებში წმინდა შემოსავალი უარყოფითია, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ღონისძიება თანხის დაბანდების თვალსაზრისით არც ისე კარგი ალტერნატივაა.

სპეციალური გვალვიანი დღეების რაოდენობის ზრდა

თუ კლიმატის ცვლილების გამო მოხდა გვალვიანი დღეების რაოდენობის ზრდა 112-დან 115-მდე, მაშინ ღონისძიებას კიდევ უფრო ნაკლები სარგებელი ექნება, ვინაიდან ცისტერნების საჭირო რაოდენობა კიდევ უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინა შემთხვევებში.

ცხრილი 1.10.2 ღონისძიების ზეგავლენის ძირითადი ინდიკატორები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
სარგებლის წმინდა დღევანდელი ღირებულება (NPV of Net Benefits)	- 11,885,456ლარი ($NPV < 0$)
ცისტერნების საჭირო რაოდენობა	13,346
შეძენილი ცისტერნების კამური რაოდენობა	11,498 (მთლიანი რაოდენობის 86%)

ორივე სცენარის შემთხვევაში ამ ღონისძიებით მიღებული დანახარჯი აღემატება მის სარგებელს.

დოკუმენტის „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის“ და მისი დანართის: „საქართველოს სოფლის მეურნეობის ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადების საგზაო რუკა, ხარვეზებისა და საჭიროებების ანალიზი“ ელექტრონული ვერსიები იხილეთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე - eiec.gov.ge

